

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტი

# სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები

---

№1

ISSN 24449-3112

---

თბილისი, 2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტი

# სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები

№1

ISSN 24449-3112

თბილისი  
2017

**თსუ იურიდიული ფაკულტეტი**  
**სისხლის სამართლის მიმართულების**  
**პერიოდული გამოცემა**

სარედაქციო საბჭო:

**მანია ივანიძე**  
**მარინა მესხი**  
**ნინო გოგინიაშვილი**  
**თამარ მახარაძე**

კორექტორი **ნელი ელიზბარაშვილი**

ტექ. რედაქტორი **პასახაძე რუსიკა**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **დავით კუტუბიძე**

© ავტორთა ჯგუფი, 2017

ISSN 2449-3112

გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №47.

☎ 239-15-22; E-mail: meridiani777@gmail.com

# შინაარსი

## მანია ივანიძე

სასჯელის შეფარდების ზოგადი საწყისები საქართველოს  
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის მიხედვით.....5

## ნინო გომბიაშვილი

არასრულწლოვნის დაკითხვის თავისებურება.....23

## ირინე ხერხეულიძე

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში არსებული  
პრევენციის დონეები და შერჩეული ინტერვენციების ეფექტურობა.....32

## მარინა მისხი

არასრულწლოვანი მსხვერპლის დაცვა და საერთაშორისო  
სტანდარტებით აღიარებული უფლებები, რომელთა გათვალისწინება  
აუცილებელია სამართალწარმოებისას .....53

## ქეთევან მჭედლიშვილი – ჰეღრიხი

შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა  
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში –  
ისტორიული, სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება .....62

## იოსებ ვარძალაშვილი

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის,  
როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის  
უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში.....71

## თამარ მახარაშვილი

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა  
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.....78

## მეკა გორგოძე

იუვენალური იუსტიციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოდელები  
და ქართული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების  
ზოგიერთი პრობლემატური საკითხი ამ მოდელთა ჭრილში .....88

თათია ქვრივიშვილი	
არასრულწლოვნის პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი.....	100
იოსებ ბაბარაევი	
ადვოკატის თვალით დანახული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი.....	112
მანია (ზონია) ხასია	
არასრულწლოვანთა სასჯელის მოხდის საერთაშორისო სტანდარტების ზოგადი მიმოხილვა.....	128
ლუარა ჭანტურია	
ოჯახის ფაქტორი არასრულწლოვნის სამართლებრივი აღზრდისა და მართლშეგნების ამაღლებისათვის.....	143

## სასჯელის შეფარდების ზოგადი საწყისები საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის მიხედვით

მაია ივანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი

სასჯელის დანიშვნა სისხლის სამართლის მნიშვნელოვანი საკითხია და თუკი მას ფართო ქრილში განვიხილავთ, ის შესაძლებელია ხელოვნებასთანაც გავაიგივოთ.

მართალია, იურისპრუდენცია ხელოვნების რომელიმე დარგს არ წარმოადგენს, მაგრამ სასჯელის დანიშვნა მოსამართლის ისეთი საპასუხისმგებლო მოვალეობაა, რომ სწორედ ამ პროცესში ვლინდება მისი სამართალშემოქმედებითი ხასიათი, რომელზეც, საბოლოო ჯამში ადამიანის ბედია დამოკიდებული.

სასჯელის სწორად დანიშვნამ საზოგადოების თითოეულ წევრს სამართლიანობის განცდა უნდა ჩამოუყალიბოს. სასჯელის დანიშვნისას გათვალისწინებული უნდა იყოს სასჯელის მიზნები, მისი დანიშვნის ზოგადი საწყისები.

ეს პროცესი განსაკუთრებულ სპეციფიკას მოითხოვს არასრულწლოვანთათვის სასჯელის დანიშვნისას, რომლის დროსაც, ჩამოთვლილ გარემოებებთან ერთად, მხედველობაშია მისაღები დამნაშავეს ასაკი. იგი ხომ სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. საქართველოში კი ის 14 წლიდან იწყება.

ბოლო წლებში ჩვენს ქვეყანაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კუთხით სიახლეა გათვალისწინებული. კერძოდ, 2015 წლის 12 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომლის ძირითადი ნაწილი ძალაში შევიდა 2016 წლის 1 იანვარს. მანამდე აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის მეხუთე კარში სახელწოდებით – „არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურება.“

იმისათვის, რომ ნებისმიერი სიახლე სწორად შევაფასოთ, საჭიროა ის ძველთან მიმართებაში შევისწავლოთ. არასრულწლოვანთათვის სასჯელის დანიშვნის საკითხის განზოგადება უახლესი წარსულის მოკლე მიმოხილვით გვსურს დავიწყოთ, რისი სურვილიც შემდეგმა მოსაზრებამ კიდევ უფრო გაამძაფრა:

„სასჯელის მიზნებისა და მისი დანიშვნის ისტორია არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მხოლოდ ბრძოლისა და იდეების ცვლილებათა ისტორია, რაც არცთუ იშვიათად ხდება. ასეთმა მიდგომამ შეიძლება შექმნას შთაბეჭდილება, რომ სასჯელის ფაქტობრივი ხასიათი განისაზღვრებოდა და განისაზღვრება მისი „ფილოსოფიით“, რომელიც იცვლებოდა და იცვლება ადამიანის აზროვნების განვითარებასთან დაკავშირებით, მისი შინაარსისა და მიზნების მეტ-ნაკლებად უფრო ჰუმანური შეხედულებით.“<sup>1</sup>

დიახ, სასჯელის მიზნები, მისი დანიშვნა ცვლილებათა ის ისტორიაა, რომელიც საზოგადოების განვითარების თანმდევი, ფილოსოფიური არსით დატვირთული და ჰუმანურ პრინციპებს

<sup>1</sup> მ. ლეკვეიშვილი, სასჯელის მიზნები და არასრულწლოვანთა სასჯელის დანიშვნის სპეციფიკა, არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები (სტატიათა კრებული), გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011, გვ. 28.

დაფუძნებული უნდა იყოს. ეს ყოველივე განსაკუთრებით ვლინდება არასრულწლოვანთათვის სასჯელის დანიშვნისას. ამ კუთხით საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ისტორია საინტერესო და მრავალმხრივია.

1960 წელს მიღებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის ასაკი, სასჯელის მიზნები, სასჯელის სახეები და მათი დანიშვნის წესი თავისებური ხასიათის იყო და არსებული სინამდვილიდან გამომდინარეობდა.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საერთო ასაკი მაშინ 16 წელი იყო. 14-დან 16 წლამდე ასაკის პირებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ისეთი დანაშაულისათვის ეკისრებოდათ, როგორცაა მკვლელობა, სხეულის განზრახ დაზიანება, გაუპატიურება, ქურდობა, ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებადი ნივთიერების გატაცება და მთელი რიგი ისეთი ქმედებები, რომლის გაცნობიერებაც (სხვადასხვა სპეციალისტის შეხედულებით) 14-დან 16 წლის პირს შეეძლო.

იმ პირთა მიმართ, ვინც დანაშაულს 18 წლის ასაკამდე ჩადენდა და მოსამართლის შეფასებით დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენდა, შესაძლებელი გახლდათ აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენება, რაც სისხლისსამართლის სასჯელს არ წარმოადგენდა.

ეს ყოველივე სისხლის სამართლის ცალკე მუხლით (64-ე მუხლი) – არასრულწლოვანთა მიმართ აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებათა გამოყენებით – რეგულირდებოდა. სასჯელის დანიშვნისას მთავარ ამოცანას უდავოდ სასჯელის მიზნების განხორციელება წარმოადგენს. ამ მხრივ ორიგინალური და საინტერესოა იმდროინდელი სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრული სასჯელის მიზნები. ის შემდეგი სახით იყო ჩამოყალიბებული:

„სასჯელი როდია მხოლოდ დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ მიზნად ისახავს აგრეთვე გამოასწოროს და ხელახლა აღზარდოს მსჯავრდებულნი შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონთა ზუსტი შესრულების, საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით. აგრეთვე აცდენილ იქნეს ახალ დანაშაულთა ჩადენა როგორც მსჯავრდებულთა, ისე სხვა პირთა მიერ.

სასჯელის მიზნების ამგვარი დეფინიცია ნათლად გვიჩვენებს, რომ მხოლოდ დასჯა არ იყო სასჯელის მიზანი, მაგრამ მისი შინაარსიდან გამომდინარე ერთ-ერთი მიზანი თავისთავად დასჯაც იყო. იმდროინდელ სისხლის სამართლის კოდექსში ასახული სასჯელის მიზნები ერთნაირად ვრცელდებოდა როგორც სრულწლოვანი, ასევე არასრულწლოვანი პირის მიმართ.

მამრობითი სქესის არასრულწლოვნებს, რომლებსაც თავისუფლების აღკვეთის სახით მსჯავრი პირველად ედებოდათ – სასჯელის მოხდა შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში ენიშნებოდათ, ხოლო იმ არასრულწლოვნებს, რომლებსაც თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელი უკვე მოხდილი ჰქონდათ, სასჯელი გაძლიერებული რეჟიმის კოლონიებში უნდა მოეხადათ; მდედრობითი სქესის არასრულწლოვნები სასჯელს საერთო რეჟიმის კოლონიებში იხდიდნენ.

არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებით, საინტერესო გახლავთ ის გარემოებები, რაც სასამართლოს სასჯელის დანიშვნის პროცესში მხედველობაში უნდა მიეღო: კერძოდ, ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასიათი და ხარისხი, დამნაშავეს პიროვნება და სასჯელის დამამძიმებელი და შემამასუბუქებელი გარემოებანი.

ყოველივე ეს განსაზღვრული გახლდათ სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლი – სასჯელის დანიშვნის ზოგადი სანყისები. ეს ძირითადი საფუძვლები სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი პირის მიმართ სასჯელის დანიშვნისას. კოდექსი სასჯელის დანიშვნასა და სასჯელისაგან გათავისუფლების საკითხს ცალკე (მე-5) თავს უთმობდა. გარკვეულ თავისებურებას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების ნუსხა ჩამოთვლილი იყო.

შემამსუბუქებელ გარემოებათა ჩამონათვალი ითვალისწინებდა არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენას, ხოლო ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნეოდა არასრულწლოვანთა

ნაქეზება დანაშაულის ჩასადენად ან არასრულწლოვანთა ჩაბმა დანაშაულში მონაწილეობისთვის; იმ პირს, რომელსაც დანაშაულის ჩადენამდე თვრამეტი წელი არ შესრულებოდა, თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა არ შეიძლებოდა ათ წელზე მეტი ვადით. ამ პერიოდის სასჯელთა სისტემა ისეთი მკაცრი სახის სასჯელს ითვალისწინებდა, როგორც იყო სიკვდილით დასჯა. იმ პირის მიმართ, რომელსაც თვრამეტი წელი არ შესრულებოდა, სასჯელის უმაღლესი ზომის შეფარდება დაუშვებელი იყო.

1960 წელს მიღებული სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელმაც დანაშაული თვრამეტი წლის ასაკამდე ჩაიდინა და სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთა ან გამასწორებელი სამუშაო დაენიშნებოდა, შესაძლებელი იყო მისი გათავისუფლება პირობით ვადამდე ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით. ესეც იმ შემთხვევაში, თუკი არასრულწლოვანი შრომისა და სწავლისადმი პატიოსან დამოკიდებულებას გამოიჩინდა.

საკითხის მოკლე ისტორიასთან დაკავშირებით საინტერესოა ზოგიერთი უცხო ქვეყნის კანონმდებლობის ანალიზი არასრულწლოვანთა ასაკთან, სასჯელის მიზნებთან და მისი დანიშვნის წესთან დაკავშირებით.

XX საუკუნის ოციანი წლებიდან მოყოლებული გერმანიაში არასრულწლოვანთა სპეციალური სისხლის სამართლის კანონების შექმნა დაიწყო (1923, 1943 და 1953 წლებში). არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის 1953 წლის კანონი ორჯერ იქნა რეფორმირებული (1990 და 2007 წელს).<sup>2</sup> 1923 წლის კანონი არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას 14-დან და 18 წლამდე აწესებდა. 14-დან 18 წლამდე სამართალდამრღვევები კი კანონის მთელი სიმკაცრით არ ისჯებოდნენ. კანონი ითვალისწინებდა აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებებსა და პირობით მსჯავრს.

1943 წელს ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის კანონმდებელმა 16 წელს მიღწეულ პირთა სრული პასუხისმგებლობა დაანესა იმ შემთხვევაში, როდესაც სამართალდამრღვევი არასრულწლოვანი სოციალურად მომწიფებული და დანაშაულებრივი განწყობის მქონე იყო, ხოლო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი 14-დან 12 წლამდე დაიყვანა და პირობითი მსჯავრი გააუქმა.<sup>3</sup>

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ძველ (1923 წლის კანონის) გაგებას დაუბრუნდა.

1953 წლის კანონი არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ 1-ის მე-3 აბზაცში ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას 14 წლიდან აწესებს. ამ კანონის მიხედვით დაისჯებიან როგორც არასრულწლოვნები (Juendliche), ანუ 14-დან 18 წლამდე ასაკის სამართალდამრღვევები, ასევე მოზრდილები, ანუ 18-დან 21 წლამდე ასაკის სამართალდამრღვევები<sup>4</sup>, თუ ისინი დანაშაულის ჩადენის დროს თავისი ზნეობრივი და სულიერი განვითარების დონით არასრულწლოვნის დონეზე იდგნენ, ანდა ქმედება თავისი სახის, გარემოებებისა და მოტივების მიხედვით ახალგაზრდული გადაცდომაა. თუ სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედება მცირეწლოვანმა (აბსოლუტურად ბრალუუნარო პირმა) ჩაიდინა, საქმე ახალგაზრდების საქმეთა სამმართველოს გადაეცემა.

ჩვენს ქვეყანაში 1999 წლიდან 2016 წლის 1 იანვრამდე არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი გათვალისწინებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის მეხუთე კარით. იგი თავის მხრივ ორი თავისაგან შედგებოდა:

პირველი, არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თავისებურება და მეორე, არასრულწლოვანის გათავისუფლება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან.

<sup>2</sup> ქ. მჭედლიშვილ-ჭედრიხი, სანქციები არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით. სტატიათა კრებული. არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2011. გვ. 236.

<sup>3</sup> Laubertahl/Nestler, Jugendstrafrecht, S.17.

<sup>4</sup> მ. შალიკაშვილის მიერ შემოღებული დიფერენციაცია.



1999 წლიდან მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით არასრულწლოვანი დამნაშავეს ასაკი 14 წლით განისაზღვრა, ე.ი. სისხლის სამართლის წესით პასუხს აგებს პირი, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდა თოთხმეტი წელი, მაგრამ არ შესრულებია თვრამეტი წელი.

რაც შეეხება სასჯელის მიზნებს, ის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლში შემდეგი სახით არის ჩამოყალიბებული: სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია. აღნიშნული მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანი არ არის ადამიანის ფიზიკური ტანჯვა ან მისი ღირსების დამცირება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღებამდე არასრულწლოვანთათვის სასჯელის დანიშვნა ამ მიზნების შესაბამისი უნდა ყოფილიყო. ახალმა კოდექსმა სასჯელის მიზნები ახლებურად განსაზღვრა, რომელზეც დანერგვით ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ.

არასრულწლოვანთათვის სასჯელის დანიშვნის დროს მოსამართლეს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებებთან ერთად მხედველობაში უნდა მიეღოს პირის ცხოვრებისა და აღზრდის პირობები, ფსიქიკური განვითარების დონე, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სხვა პიროვნული თავისებურებანი, მასზე ასაკით უფროსი პირის ზეგავლენა. კანონმდებელი არ სჯერდებოდა იმ გარემოებებს, რაც 53-ე მუხლში იყო მოცემული და ცალკე გამოყოფდა არასრულწლოვან დამნაშავესათვის სასჯელის დანიშვნისას გათვალისწინებულ დამატებით რეკომენდაციებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლი კი სასჯელის დანიშვნისას სამართლოს მხედველობაში მისაღებად შემდეგ გარემოებებს უთითებს, კერძოდ, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, დანაშაულის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავეს წარსული ცხოვრება, პირადი და ეკონომიკური პირობები, ქმედების ჩადენის შემდეგ დამნაშავეს ყოფაქცევა, განსაკუთრებით პირის მისწრაფება, ანაზღაუროს ზიანი და შეურიგდეს დაზარალებულს.

„დამსახურებული სასჯელის დაკისრება ეფუძნება „დამსახურებული სასჯელის თეორიას“, რომლის თანახმად დამნაშავეს უნდა დაეკისროს ის სასჯელი, რაც მან დაიმსახურა, ცხადია, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით. პროფესორი მეთიუ ლიპპმენის აზრით, „დამსახურებული“ სასჯელის დაკისრება დამოკიდებულია დანაშაულის ჩადენის მთელ რიგ გარემოებებზე, დამნაშავეს პირადულ თვისებებზე, დაზარალებულის პიროვნების გათვალისწინებაზე და სხვა.“<sup>5</sup>

ამ მოსაზრების მხედველობაში მიღება განსაკუთრებით საჭიროა არასრულწლოვანთათვის სასჯელის დანიშვნისას. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ცალკე მე-16 თავი მთლიანად არასრულწლოვანთა სასჯელის დანიშვნას ეთმობა. კერძოდ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 75-ე და 76-ე მუხლები არასრულწლოვანთათვის სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებსა და მათთვის კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის თავისებურებებს აწესებს.

მოცემული მოხსენების (მოცემული სტატიის) ფარგლებში შევეცდებით არასრულწლოვანთა სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებული სიახლეები წარმოვაჩინოთ. ამ მხრივ საინტერესოა არასრულწლოვანთა ახალი კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის მიზნებისა და არასრულწლოვანთა სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისების შედარება მანამდე არსებულ სინამდვილესთან.

საინტერესოა, შედარებით მოკლე დროში როგორ დაიმკვიდრა ადგილი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა სასამართლო პრაქტიკაში და რა პრობლემები იჩინა თავს არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელთა დანიშვნის კუთხით. მხედველობაში გვაქვს არასრულწლოვანთა მიმართ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის სპეციფიკა, არასრულწლოვანთათვის არასაპატიმრო სასჯელის დანიშვნის თავისებურებანი, ნასამართლობასთან დაკავშირებული საკითხები.

საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ „არასრულწლოვანთა სამართლის შექმნა

<sup>5</sup> Matthew Lippman. Coteremporary Criminal Law; Concepts, Cases and Controversies, 2004, p. 55-60.

ძალიან რთული პროცესია. ის ბავშვთან არის დაკავშირებული. ამასთან, თითოეულ ქვეყანას ახასიათებს ბავშვთან დაკავშირებული თავისი პრობლემები.<sup>6</sup> მათი გადაჭრის გზებზე მსჯელობისას, უმთავრესი გზავნილი გახლავთ, რომ ყველა ქვეყანაში ბავშვი უნდა იყოს თითოეული ოჯახის, მოქალაქის, სახელმწიფოს პირველი რიგის საზრუნავი. როგორც არ უნდა შეეცვალოთ კანონმდებლობა, ამოსავალი ერთია – როგორი მიდგომები არსებობს ამა თუ იმ ქვეყანაში არასრულწლოვნის მიმართ.<sup>7</sup>

ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი კი ის არის, რომ საქმე ეხება პირს, რომელიც დანაშაულს გარდატეხის ასაკში სჩადის და მისი ქმედების შეფასება გარდა იურისტებისა სხვადასხვა დარგის მუშაკთა (ფსიქოლოგების, სოციოლოგების, პედაგოგების) ერთობლივი განსჯის საგანია. თუკი ამ საკითხს ფრთხილად მივუდგებით, ნაკლები შანსი რჩება, რომ მოზარდმა დანაშაული ჩაიდინოს.

სწორედ არასრულწლოვანთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება არის არასრულწლოვნისათვის დანიშნული სასჯელის მიზანი. სამართლიანობის აღდგენა, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზანი (სსკ-ის 39-ე მუხლი), არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში აღარ გვხვდება.

„მართებულად არის აღნიშნული იურიდიულ ლიტერატურაში, რომ სამართლიანობა არის შეფასებითი ცნება.“<sup>8</sup>

„სამართლიანობის პრინციპი არ შეიძლება მხოლოდ სასჯელის სამართლიანობით შემოიფარგლოს. სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ზემოქმედების სხვა ზომებსაც.“<sup>9</sup>

არასრულწლოვანთათვის სასჯელის დანიშნისას, კანონმდებელმა ზემოქმედების ეფექტურ საშუალებად (ზომებად) ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასთან ერთად რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზანი მიიჩნია. ამასთან, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციამ რიგითობით პირველ ადგილზე გადმოინაცვლა. მას მოსდევს დანაშაულის თავიდან აცილების მიზანი. ბუნებრივია, ამ ორი მიზნის განხორციელებამ საზოგადოებაში სამართლიანობის განცდა უნდა დატოვოს, თუმცა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ასეთი მიზანი არ გვხვდება.

არასრულწლოვანთა სასჯელის მიზნებთან დაკავშირებით მოვიშველიოთ უცხოური გამოცდილება. გერმანიის ფედერალური სასამართლო ბოლო წლებში არასრულწლოვნის სასჯელის მიზნად მისი აღზრდის გვერდით მის დასჯასა (Sühne) და სამართლიანობის აღდგენას (Schuldgleich) აღიარებს. ამით იგი ეთანხმება ლიტერატურაში გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ სასჯელის მიზანი მაშინ, როდესაც პირი განაჩენის გამოტანისას უკვე სრულწლოვანია, აღზრდა არ შეიძლება იყოს, რადგან ზრდასრული ადამიანის აღზრდა მის ღირსებას ლახავს და ამიტომაც დაუშვებელია, ამასთან მძიმე ბრალი უცილობლად დასჯას უნდა უკავშირდებოდეს.<sup>10</sup>

კიდევ ერთი სიახლის შესახებ მივუთითებთ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლში საუბარია ზოგადად სასჯელის მიზნებზე, ხოლო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 65-ე მუხლში მითითებულია დანიშნული სასჯელის მიზანზე. სასჯელის ისეთი მიზნები, როგორცაა: სამართლიანობის აღდგენა და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, მათი მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნის გზით.

რაც შეეხება ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას, მისი მიღწევა შესაძლებელია როგორც დანაშაულის ჩადენამდე, როდესაც ქმედება გამოცხადდება დანაშაულად და აიკრძალება მისი ჩადენა, ისე სასამართლოს მიერ სასჯელის დანიშვნის შემდეგ.<sup>11</sup>

ვინაიდან დანაშაულის ჩადენამდეც სასჯელს ზოგადპრევენციული ფუნქცია აქვს, ამიტომ შესაძლებელია, არასრულწლოვანთათვის განსაზღვრული სასჯელის მიზანი უფრო ფართოდ

<sup>6</sup> А. М. Равец. Ювинальное право Российской Федерации, м. 2015, стр. 53.

<sup>7</sup> მ. ივანიძე, არასრულწლოვანი და მისი საუკეთესო ინტერესები, წიგნში არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2017 გვ. 14.

<sup>8</sup> გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბ., 2004, გვ. 67-68.

<sup>9</sup> სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ. გ. ტყეშელაძე, გ. ნაჭყებია, თბ., 2004, გვ. 29-31.

<sup>10</sup> Schaffstein/beulke, Jugendstrafrecht, s. 330.

<sup>11</sup> ი. ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2016, გვ. 89.

იქნეს გაგებული და მხოლოდ ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით არ შემოიფარგლოს.

იმისათვის, რომ სასჯელის დანიშვნის პროცესი სწორად წარიმართოს, საჭიროა თავად სასჯელთა სისტემა იყოს დახვეწილი. საქართველოში არსებული ლიბერალური პოლიტიკა, განსაკუთრებით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, ხაზს უსვამს ყველაზე მსუბუქი საშუალებისა და ალტერნატიული ზომების პრიორიტეტულობას.

სისხლისსამართლებრივი სანქციები, როგორც წესი, ითვალისწინებს სასჯელის ალტერნატიულ სახეებსა და მის ზომას (უმეტესად მაქსიმალურსა და მინიმალურს), რაც გამოხატულია თავისუფლების აღკვეთის ვადებში, ჯარიმაში, გამასწორებელ სამუშაოში და ა.შ. სასჯელის დანიშვნისას სასამართლო განსაზღვრავს სასჯელის სახესა და ზომას კონკრეტული რაოდენობრივი მაჩვენებლით (წელი, თანხა), ამიტომ სასჯელის ნაწილში სასამართლო განაჩენი ემსახურება იმ ფაქტორთა ერთობლიობას, რომელიც საფუძვლად უდევს სასჯელის ზომას და პრობლემა იმაში გამოიხატება, თუ რა შეფასება უნდა მიეცეს კონკრეტული დამნაშავეს მიერ ჩადენილ დანაშაულს.<sup>12</sup>

არასრულწლოვნების პერიოდი ადამიანის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი დროა, რომელიც დიდ გავლენას ახდენს მის მომავალზე. შესაბამისად, კანონმდებლობა უნდა იყოს იმდენად დახვეწილი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, რომ ამ ასაკში ჩადენილმა დანაშაულმა რაც შეიძლება უმტკივნეულოდ ჩაიაროს პირის ცხოვრებაში. პირიქით, ეს გახდეს მაგალითი, რომ არასდროს დაუშვას ის შეცდომა, რის გამოც იქნა მსჯავრდებული.

ყოველივე ამ გარემოების გათვალისწინებით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში განსაკუთრებული როლი სასჯელებს აკისრია. ახალმა კოდექსმა ალტერნატიული სასჯელის სახეები შემოგვთავაზა, მათ შორის სრულიად ახალი სასჯელის სახეა შინაპატიმრობა, რომელიც 2015 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა.<sup>13</sup> სასჯელის ამ სახესთან ერთად არასრულწლოვანთა მიმართ გათვალისწინებულია ისეთი სასჯელის სახეები, როგორცაა ჯარიმა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, თავისუფლების შეზღუდვა, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.

შევეცდებით ცალ-ცალკე ვიმსჯელოთ არასრულწლოვანთათვის არასაპატიმრო სასჯელის დანიშვნის თვისებურებებსა და მათ მიმართ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის სპეციფიკის შესახებ.

რაც შეეხება უშუალოდ არასრულწლოვანთა სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 75-ე მუხლის შესაბამისად, მოსამართლემ პირველ რიგში მისი საუკეთესო ინტერესები და მისი ინდივიდუალური შეფასების ანგარიში უნდა გაითვალისწინოს.

არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესი ნიშნავს თითოეული არასრულწლოვნის უსაფრთხოებას, კეთილდღეობას, ჯანმრთელობის დაცვას, განათლებას, განვითარებას, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და სხვა ინტერესებს, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება.

„ამ ინტერესის პრიორიტეტულობა კი ისე უნდა გავიგოთ, რომ სისხლის სამართლის სხვა აღიარებულ პრინციპებთან შედარებით და უფრო მეტიც, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სხვა პრინციპებთან შედარებითაც კი უპირატესობა ენიჭება არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების პრინციპს. შესაბამისად, სხვა პრინციპი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მხოლოდ მაშინ უნდა გამოვიყენოთ, თუ იგი არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის

<sup>12</sup> მ. ლეკვეიშვილი, სასჯელის მიზნები და არასრულწლოვანთა სასჯელის დანიშვნის სპეციფიკა, სტატიათა კრებულში — არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2011, გვ. 49.

<sup>13</sup> თ. მახარობლიძე, სასჯელები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, წიგნში არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2007, გვ. 42.

საუკეთესო ინტერესს.<sup>14</sup>

ზემოთ დასახელებული მოსაზრების ავტორს მაგალითად მოჰყავს სისხლის სამართლის გარდუვალობის პრინციპი, რაც ნიშნავს იმას, „თუ სუბიექტი თავის მოვალეობას უპასუხისმგებლოდ მოეკიდა, მას გარდუვალად მოჰყვება ნეგატიური პასუხისმგებლობა, როგორც შესაბამისი ინსტანციის (მაგალითად, სახელმწიფოს მხრივ) უარყოფითი რეაქცია.<sup>15</sup> იმის მიუხედავად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, თუკი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი მოითხოვს მის მიმართ სისხლის სამართლის დევნის დაწყებაზე უარის თქმას, პროკურორმა სს პასუხისმგებლობის გარდუვალობასთან შედარებით უპირატესობა ამ უკანასკნელ პრინციპს უნდა მიანიჭოს.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე, აუცილებელია მისი პირადი ცხოვრების დაცულობა. იყო შემთხვევები, როცა არასრულწლოვნის საქმის განხილვის წინა დღეს ბავშვის ყველა მონაცემი – სახელი, გვარი, ასევე მისი ცხოვრების ამსახველი დეტალები პირდაპირი ეთერით შუქდებოდა. ხშირად ეს ხდებოდა სასამართლოს საქმიანობის კრიტიკის მიზნით, რაც იმავდროულად უარყოფითად მოქმედებდა სასამართლოს დამოუკიდებლობაზეც და თავის მხრივ მოზარდზე, მის განვითარებაზე უარყოფითად აისახება.

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-16 მუხლის თანახმად, არც ერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს პირადი და ოჯახური ცხოვრების ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფის ობიექტი. მისი პირადი ცხოვრების სრული პატივისცემა უნდა მოხდეს საქმის განხილვის ყველა სტადიაზე. ბუნებრივია, სასჯელის დანიშვნის სტადიაზეც.

ბავშვის კომიტეტის №10 ზოგადი კომენტარი განმარტავს: მაგალითისთვის ბავშვის ყველაზე საუკეთესო ინტერესის დაცვა ნიშნავს იმას, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ისეთი ტრადიციული მიზნები, როგორცაა დამნაშავეს დასჯა, დანაშაულის ჩამდენი ბავშვებისათვის უნდა შეიცვალოს რეაბილიტაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების მიზნებით.

აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე ყურადღების გამახვილების პარალელურად.<sup>16</sup>

არასრულწლოვანთათვის სასჯელის დანიშვნისას მოსამართლე იყენებს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს. მაშასადამე, არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინება ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლები: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასებისა და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

მნიშვნელოვანი სიახლე, რაც საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში არასრულწლოვანთა საქმეების წარმოებისას უნდა იყოს გათვალისწინებული და თანდათან დამკვიდრდეს, სწორედ ბავშვის ინდივიდუალური ანგარიშის შესწავლა და მასზე დაყრდნობით სასჯელის სახის შერჩევაა. ამასთან, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე პროცესის მწარმოებელი პირი არასრულწლოვანს განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყროს. ამ მხრივ საინტერესოდ მივიჩნიეთ საქართველოს სასამართლო პრაქტიკის შესწავლა და ანალიზი. კერძოდ, თითოეულ სისხლის სამართლის საქმეზე რამდენად არის დაცული არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი და ხდება თუ არა კონკრეტულ საქმეზე ბავშვის ინდივიდუალური ანგარიშის შესწავლა.

ამ საკითხის საფუძვლიანი ანალიზი მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ ახლო წარსულში არასრულწლოვანთა საქმისწარმოების ირგვლივ კრიტიკა ხშირი იყო. ეს ეხებოდა როგორც მის მიმართ შეფარდებული სასჯელის სახესა და ზომას, ასევე სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებს.

„ორიოდე სიტყვით მაინც არ შეიძლება არ შევეხო სასამართლოთა საქმიანობაში გაბატონებულ არასწორ პრაქტიკას: ჩვენს ხელთ არსებული სასამართლო განაჩენთა უმრავლესობაში,

<sup>14</sup> იხ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი. რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, 2016, გვ. 658.

<sup>15</sup> შეად. გ. ნაჭყებია, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ავტ. კოლექტივი, თბ., 2007, გვ. 28.

<sup>16</sup> ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი 10 (2007), პუნქტი 10.

სამწუხაროდ, მეტად ზერელედ ხდება სასჯელის შეფარდებისას ყველა იმ გარემოებათა ღრმა ანალიზი, რაც საფუძვლად ედება დამნაშავეისათვის სასჯელის ამა თუ იმ სახის თუ ზომის შეფარდებას. ვფიქრობ, რომ მოსამართლეები არ უნდა შემოიფარგლონ სასჯელის შეფარდებისას თვით სისხლის სამართლის კოდექსით რეკომენდებულ გარემოებათა ჩამონათვალთ. მაგალითად „სასამართლომ გაითვალისწინა დამნაშავეის წარსული ცხოვრება“ (მიუთითონ კონკრეტულად რაში გამოიხატა); ანდა „პირადი და ეკონომიკური პირობები“ (რაში პოვა მან გამოხატულება) და სხვა.<sup>17</sup>

ეს შენიშვნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღებამდეა გაკეთებული. მაშინ არასრულწლოვანისთვის სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები ცალკე არ იყო განერილი და მხოლოდ 53-ე მუხლის შესაბამისად ხდებოდა მათი მხედველობაში მიღება.

არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესი და ინდივიდუალური შეფასების ანგარიში არასრულწლოვანის სასჯელის დანიშვნისას აუცილებლად გასათვალისწინებელი გარემოებებია, ამ კუთხით საინტერესოა საქართველოს სასამართლო პრაქტიკის განზოგადება.

ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე. მოცემულ საქმეებზე სასჯელის გამოყენების დასაბუთებისას, უმრავლეს შემთხვევაში, მოსამართლეები უთითებენ ბავშვთა კონვენციის შესაბამის მუხლებს, რომლითაც არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესია დაცული. ასევე უთითებენ გაეროს სტანდარტულ მინიმალურ ნესებს, რომლის მიხედვითაც ზემოქმედების ზომა იქნა შერჩეული. ამასთან, ეს ზომები უნდა იყოს თანაზომადი არა მარტო ჩადენილი ქმედების გარემოებებთან, არამედ არასრულწლოვანის მდგომარეობასა და მოთხოვნილებებთან. რამდენად ხდება ამ სტანდარტების გათვალისწინება სასჯელის ამა თუ იმ სახის შერჩევისას, შევეცდებით, ეს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეების მაგალითზე განვიხილოთ.

შესწავლილ მასალებზე დაყრდნობით, ხშირ შემთხვევაში არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებში, ვხვდებით შემდეგი სახის ტრაფარეტულ მსჯელობას, „სასამართლო სასჯელის დანიშვნის დროს ითვალისწინებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 65-ე და 75-ე მუხლის მოთხოვნებს, მხედველობაში იღებს არასრულწლოვანი ბრალდებულის კეთილდღეობის, განათლების განვითარების ინტერესს და მიაჩნია, რომ მას შესაძლებელია დაენიშნოს, მაგალითად, არასაპატიმრო სასჯელი. კონკრეტულ შემთხვევაში, თუ რა გარემოება ჩათვალა სასამართლომ არასრულწლოვანის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, მითითებული არ გახლავთ და ის ყველა შემთხვევაში ინდივიდუალურია.“

არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებზე ჩვენს მიერ შესწავლილი პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ხშირ შემთხვევაში განაჩენში არ არის მითითებული ბავშვის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშზე დაყრდნობილი მსჯელობა. მაგალითად, სისხლის სამართლის საქმე №1/5573-15.

ნასამართლობის არმქონე არასრულწლოვანმა თავი სრულად ცნო დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე კოდექსის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ბინაში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია).

მოსამართლე განაჩენში ზოგადად მსჯელობს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიზანს წარმოადგენს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესის დაცვა, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა.

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მითითების გარეშე ასევე მსჯელობს ამკ-ის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესახებ და უთითებს იმის თაობაზე, რომ სასამართლო უფლებამოსილია არასრულწლოვანს დააკისროს ერთი ან რამდენიმე მოვალეობა, რომელიც გათვალისწინებულია

<sup>17</sup> მ. ლეკვეიშვილი, სასჯელის მიზნები და არასრულწლოვანთა სასჯელის დანიშვნის სპეციფიკა, სტატიათა კრებულში – არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2011, გვ. 50.

ამავე კოდექსის 45-ე მუხლით.

სასამართლო ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე მსჯელობს და არასრულწლოვანს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლას უკრძალავს, ასევე დროის განსაზღვრულ მონაკვეთში უკრძალავს შინიდან გასვლას. მოსამართლე იქვე მსჯელობს, რომ ასეთი მოვალეობის დაკისრება ხელს შეუწყობს მის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას, რაც უზრუნველყოფს სასჯელის ძირითადი მიზნის შესრულებას. რა გარემოებებზე დაყრდნობით აკეთებს ამ დასკვნას მოსამართლე, ეს განაჩენიდან არ ჩანს.

ანალოგიურად მსჯელობს სასამართლო სისხლის სამართლის საქმე №1/5702-15-ში არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის დანიშნისას და ამ შემთხვევაშიც არ ჩანს შესწავლილია თუ არა არასრულწლოვანის ინდივიდუალური შეფასების ანგარიში.

არასრულწლოვანთა მიერ განხორციელებულ იქნა მძიმე კატეგორიის დანაშაული, კერძოდ, ყაჩაღობა ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ. მათ თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე ყაჩაღური თავდასხმა განახორციელეს ტაქსის მძღოლზე, რომელსაც ცეცხლსასროლი იარაღის მაგვარი საგნის დემონსტრირებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით გასტაცეს მობილური ტელეფონი.

მოსამართლემ ორივე არასრულწლოვანს დააკისრა შემდეგი მოვალეობა: მათ აეკრძალათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, ასევე დროის განსაზღვრულ მონაკვეთში შინიდან გასვლა. მოსამართლემ იმსჯელა, რომ ასეთი მოვალეობის შესრულება ხელს შეუწყობს მათ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

ორივე მსჯავრდებულის სასჯელის სახესა და ზომაზე მსჯელობისას მოსამართლემ მიუთითა მათი სასჯელის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები. ორივე მსჯავრდებული აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს და დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნიათ.

ამ გარემოებებზე დაყრდნობით მათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრათ 6 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის ვადა შემცირდა 1/4-ით და სასჯელი სახედ და ზომად პირს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად, ჩაეთვალიათ პირობით და სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე, გამოსაცდელ ვადად დაუდგინდათ 4 წელი და 6 თვე.

არასრულწლოვანთათვის არასაპატიმრო სასჯელის დანიშნისას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 75-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე უფლებამოსილია არასაპატიმრო სასჯელთან ერთად მას დააკისროს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე მოვალეობა. მაგალითად:

ა) სპეციალიზებულ სახელმწიფო ორგანოს დახმარებით საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დაწყება ან განახლება;

ბ) სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს დახმარებით მუშაობის დაწყება;

გ) საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი ან/და სამკურნალო პროგრამის გავლა;

დ) თავისუფალი დროის განსაზღვრული ფორმით გამოყენება;

ე) სხვა ისეთი მოვალეობა, რომელიც ხელს შეუწყობს მის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

ამ შემთხვევაში დაუშვებელია არასრულწლოვანისთვის ისეთი მოვალეობის დაკისრება, რომელიც დიდი ალბათობით არ შესრულდება ან რომლის შესრულება არასრულწლოვანის გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობებს აღემატება. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი არასრულწლოვანის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შესწავლა საჭირო, რათა კარგად იქნეს გამოვლენილი თითოეული არასრულწლოვანის შესაძლებლობები.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ინდივიდუალურ ანგარიშთან დაკავშირებით გვხვდება განსხვავებული შემთხვევებიც.

მაგალითად მოვიყვანოთ სისხლის სამართლის საქმე №1/313-16. მოცემულ შემთხვევაში რამდენჯერმე ნასამართლევემა არასრულწლოვანმა კვლავ ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული (ქურდობა, სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის). საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული ნორმების მითითების შემდეგ, სასამართლო განაჩენში მსჯელობს არასრულწლოვნისთვის თავისუფლების აღკვეთის გამოყენების თავისებურებებზე.

საქმეში ასევე მოცემულია ინდივიდუალური შეფასების ანგარიში. კერძოდ, მოსამართლე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ბრალდებულს ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდა და ღამეს სახლში არ ათევდა, თამაშობდა აზარტულ თამაშებს და ოჯახის წევრები არასრულწლოვანთა რეჟიმის სწორად წარმართვას მეთვალყურეობას ვერ უწევდნენ.

ეს ყოველივე იყო დაზარალებულის მხრიდან დანაშაულებრივი ქცევის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი, თუმცა, ანგარიშში მოყვანილი ფაქტებით ასევე დგინდება, რომ არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში ბრალდებულს ჰქონდა განვითარებისა და განათლების უფლება.

საინტერესოა არასრულწლოვანთათვის ვადიანი თავისუფლების აღკვეთის შეფარდების სპეციფიკა საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მაგალითზე.

მოვიყვანოთ მაგალითი. საქმე №1/2526-15. დახურულ სასამართლო სხდომაზე განხილულ იქნა სისხლის სამართლის საქმე ნასამართლობის მქონე პირის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ფარული ნივთის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით).

2015 წლის 3 მაისს, დაახლოებით 14:30 საათზე, პირი ქ. თბილისში ერთ-ერთი სკვერის მიმდებარე ტერიტორიაზე მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლა დაზარალებულის კუთვნილ 125 ლარს. სასჯელის განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში მიიღო ბავშვის კონვენციის 37-ე მუხლის „ბ“ ქ/პუნქტის მოთხოვნები, რომლის თანახმად „ბავშვის დაპატიმრება, დაკავება ან ციხეში მოთავსება ხორციელდება კანონის თანახმად და განხილდება როგორც მხოლოდ უკიდურესი ზომა, რაც შეიძლება ნაკლები პერიოდის განმავლობაში. მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე სასჯელის დანიშვნის დროს მითითებულია 53-ე მუხლი. სასამართლომ მხედველობაში მიიღო დანაშაულის მოტივი და მიზანი, ასევე ქმედების განხორციელების სახე და ხერხი.

მოსამართლე მსჯელობს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებზე. კერძოდ, შემამსუბუქებელ გარემოებად თვლის პირის მიერ დანაშაულის ჩადენას არასრულწლოვნობის პერიოდში, ხოლო დამამძიმებელ გარემოებად იმას, რომ იგი თავს არიდებდა სასამართლოში გამოცხადებას.

ამ გარემოებებზე დაყრდნობით სასამართლომ არასრულწლოვანს სასჯელის სახედ განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 (ოთხი) წლის ვადით, საქართველოს კანონის – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა შეუმცირა  $\frac{1}{4}$  და სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 (სამი) წლის ვადით. საქართველოს სკ-ის 67-ე მუხლის საფუძველზე გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 4 ივლისის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ახალი განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 9 (ცხრა) თვით

თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ განაჩენთა ერთობლიობით პირს შეეფარდა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ჩვენ მიერ შესწავლილი სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თავისუფლების აღკვეთის დანიშნისას სასამართლო ხშირ შემთხვევაში არ ასაბუთებს რა გარემოებებზე დაყრდნობით იქნა სასჯელის სახედ შერჩეული სასჯელის ეს ზომა.

მოცემულ შემთხვევაში არ არის შესწავლილი (ყოველ შემთხვევაში განაჩენში არ არის ასახული) არასრულწლოვნის ინდივიდუალური ანგარიში, არ არის მსჯელობა იმის შესახებ, თუ სასჯელის უკიდურეს სახედ რატომ იქნა მიჩნეული თავისუფლების აღკვეთა.

თუმცა გვხვდება არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეები, სადაც სასჯელის სახედ ვადიანი თავისუფლების აღკვეთაა განსაზღვრული, მაგრამ სასჯელის ამ სახის შერჩევისას მოსამართლე არგუმენტირებულად მსჯელობს მისი შერჩევისა და შეფარდების საფუძვლებზე.

მაგალითად მოვიყვანოთ სამართლის საქმე №1/313-16.

არასრულწლოვანი სამი წლის განმავლობაში ოთხჯერ იქნა გასამართლებული საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის არაერთი ეპიზოდის ჩადენისათვის და ოთხჯერვე მასთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება შეღავათიან სასჯელზე. სასჯელის მოხდის პერიოდში ის გათავისუფლდა პირობით ვადამდე ადრე, თუმცა პირობითი მსჯავრის პერიოდში, მან კვლავ ჩაიდინა ახალი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, სასამართლოს მსჯელობის თანახმად, მიუთითებს იმაზე, რომ პირის რესოციალიზაცია ჯერ კიდევ არ იყო მომხდარი. საინტერესოა, რომ მოცემული სისხლის სამართლის საქმეზე შესწავლილია ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, საიდანაც გამომდინარე, სასამართლოსთვის ნათელი გახდა ის გარემოებები, რაც ბრალდებულის დელიქტენტურ ქცევას იწვევდა. ის ღამეს სახლში არ ათევდა, თამაშობდა აზარტულ თამაშებს და ოჯახის წევრები ვერ უწევდნენ მეთვალყურეობას არასრულწლოვნის დღის რეჟიმის სწორად წარმართვას.

ეს ყოველივე იყო ბრალდებულის მხრიდან გამოვლენილი დანაშაულებრივი ქცევის ხელშემწყობი ფაქტორი. თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ მოყვანილი ფაქტები მიანიშნებს და განათლების მიღების შესაძლებლობა. სასამართლომ ასევე განმარტა, რომ სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ბრალდებულის მიმართ გამოვლენილმა ლოიალურმა დამოკიდებულებამ ვერ უზრუნველყო მისი გამოსწორება და მან მაინც არ შეწყვიტა დანაშაულებრივი საქმიანობა. აქედან გამომდინარე, მის მიმართ წარდგენილი ბრალდება დაკვლიფიცირდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და ამავე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახედ 6-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

აღნიშნულ არგუმენტებსა და მსჯელობაზე დაყრდნობით სასამართლომ არასრულწლოვანს სასჯელის სახედ და ზომად 6 წელი საპატიმრო სასჯელი დაუნიშნა, რაც საქართველოს სსკ-ის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე პირს 1/4-ით შეუმცირდა და საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად 4(ოთხი) წლისა და 6(ექვსი) თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

გავეცნოთ არასრულწლოვანისთვის ვადიანი თავისუფლების დანიშნის თეორიულ საფუძვლებს.

არასრულწლოვანს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაენიშნოს, თუ მან მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა ან ის თავს არიდებს არასაპატიმრო სასჯელს ანდა მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი.

პროფესორი ნონა თოდუა ყურადღებას ამახვილებს თითოეულ შემთხვევაზე ცალ-ცალკე. კერძოდ, არასრულწლოვანმა ჩაიდინა „მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.“ არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაული შესაძლებელია იყოს არა მარტო განზრახი, არამედ გაუფრთხილებელიც. მას მოჰყავს ავტოავარიის შემთხვევა, როცა საჭეს არასრულწლოვანი მართავდა და მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევის გამო ორი მოქალაქე მიყენებული ტრავმისაგან ადგილზევე გარდაიცვალა. ამ შემთხვევაში გაუფრთხილებლობით არის ჩადენილი მძიმე კატეგორიის დანაშაული.



ნაკლებად მძიმე განზრახი დანაშაულის შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთა არასრულწლოვანთათვის დაუშვებელია.<sup>18</sup> განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ისმის კითხვა: რა წესით და რა სახით შეიძლება დანიშნოს სასამართლომ არასრულწლოვნის მიმართ სასჯელი, თუკი სსკ-ის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დაწესებულია მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა და სხვა ალტერნატიული სასჯელები დაწესებული არ არის?

ხომ არ შეიძლება ამ შემთხვევაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 76-ე მუხლის გამოყენება? მას კიდევ თავისი დანაწესი აქვს. ასევე შეიძლება

1. გერმანული გამოცდილების გაზიარება და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა სასჯელის დანიშვნის გარეშე.

2. შესაძლებელია სხვა სასჯელის დანიშვნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 66-ე მუხლში მოცემული სასჯელთა სისტემიდან;

3. ან სასჯელის სახით შეიძლება დაინიშნოს შინაპატიმრობა.

14-დან 16 წლამდე არასრულწლოვნისთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა 1/3-ით მცირდება. ამასთანავე, საბოლოო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს.

16 -დან 18 წლამდე არასრულწლოვნისთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა 1/4-ით მცირდება. საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 წელს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 88-ე მუხლი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღებამდე სწორედ ამგვარი სახის შეღავათებს ითვალისწინებდა. მიუხედავად ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წლების განმავლობაში არასრულწლოვანთა საქმეებზე სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის შეფარდებისას კრიტიკა ძალზედ მწვავე იყო.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-9 მუხლი – პატიმრობას, როგორც უკიდურეს ღონისძიებას განიხილავს. ის რაც შეიძლება მოკლე ვადით და რეგულარული გადასინჯვის პირობით უნდა იქნეს გამოყენებული. დაუშვებელია არასრულწლოვნისთვის თავისუფლების შეზღუდვა, თუ კანონით განსაზღვრული მიზნის მიღწევა უფრო მსუბუქი ზომის გამოყენებით არის შესაძლებელი.

შედარების თვალსაზრისით, არასრულწლოვანთათვის თავისუფლების აღკვეთის შეფარდების კუთხით საინტერესოა უცხო ქვეყნის კანონმდებლობის ანალიზი.

გერმანიაში არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის მინიმალური ზღვარი – §18 1-ლი აბზაცის 1-ლი წინადადების მიხედვით მოიცავს ექვს თვეს, მაქსიმალური – 5 წელს.

– §18 1-ლი აბზაცის მე-2 წინადადების მიხედვით თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ზღვარი შესაძლებელია გაიზარდოს ათ წლამდე. თუ საქმე იმ დანაშაულს ეხება, რომლისთვისაც ზრდასრულთა სისხლის სამართალში ათ წელზე ხანგრძლივი თავისუფლების აღკვეთა დაინიშნებოდა. ამ დანაშაულებს მიეკუთვნება მკვლელობა, მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში და შედეგით კვალიფიცირებული დელიქტები.

– 18-დან 21 წლამდე ახალგაზრდებისთვისაც, თუ ისინი სოციალურად მოუმწიფებელი არიან (მოზრდილები), თავისუფლების აღკვეთის ზედა ზღვარი 10 წელს შეადგენს. სასჯელის დანიშვნისას ყურადღება არ ექცევა იმ ფაქტს, რომ მსგავსი დანაშაულისათვის ზრდასრულ სამართალდამრღვევს თავისუფლების აღკვეთა 10 წელზე მეტი ვადით დაენიშნებოდა.<sup>19</sup>

გერმანიაში კანონი არასრულწლოვანთა მიმართ შემდეგი სახის სანქციებს გამოიყენებს: აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებანი, გამასწორებელი ღონისძიებანი (Zuchtmittel) და არასრულწლოვნის სასჯელი-თავისუფლების აღკვეთა (Jugendstrafe).

არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებულ სანქციათა შორის ყველაზე მკაცრია არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთა. გერმანული კანონმდებლობის მიხედვით იგი ორ შემთხვევაში შეიძლება დაინიშნოს:

<sup>18</sup> ნ. თოდუა, არასრულწლოვანთა სასჯელის დანიშვნის ზოგიერთი სადავო საკითხი. ნიგნში „არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა“, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017, გვ. 91.

<sup>19</sup> Laubentah/Nestler, Jugendstrafrecht, S. 326

- 1) მაშინ, როდესაც არასრულწლოვანს მავნე ჩვევები ახასიათებს;
- 2) მაშინ, როდესაც ბრალის სიმძიმე სასჯელის საჭიროებაზე მიუთითებს;

რაც შეეხება გამასწორებელ ღონისძიებებს, ეს არის გაფრთხილება, ვალდებულების დაკისრება და არასრულწლოვნის თავისუფლების შეზღუდვა, რომელიც არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი ქმედების პროპორციული უნდა იყოს.

რაც შეეხება აღმზრდელობითი ხასიათის იძულებით ღონისძიებებს – სასამართლოს შეუძლია არასრულწლოვანს მისცეს მითითება მისი ადგილსამყოფელის შესახებ, დაავალდებულოს, რომ მან იცხოვროს განსაზღვრულ ოჯახში ან თავშესაფარში, დაიწყოს სწავლა ან მუშაობა, შეასრულოს რაიმე სამუშაო, გადასცეს იგი საზედამხედველოდ მეთვალყურეს, მონაწილეობა მიიღოს სოციალური ვარჯიშის კურსში, მოურიგდეს დაზარალებულს და იზრუნოს მისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე, მონაწილეობა მიიღოს ავტომანქანის მართვის კურსში.

სასამართლოს პარაგრაფი 12-ის მიხედვით შეუძლია არასრულწლოვანი საცხოვრებლად მიამაგროს სადღეღამისო დაწესებულებას ან მას ცხოვრების სხვა ისეთი ფორმა მოუძებნოს, რომლის დროსაც იგი ვინმეს მეთვალყურეობას დაექვემდებარება.

საქართველოს კანონის – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თავში – ზოგადი პრინციპები, კერძოდ, მე-9 მუხლში – პატიმრობა განხილულია, როგორც უკიდურესი ზომა. ამ მუხლის თანახმად, დაუშვებელია არასრულწლოვანთათვის თავისუფლების შეზღუდვა, თუ კანონით განსაზღვრული მიზნის მიღწევა უფრო მსუბუქი ზომის მიღწევით არის შესაძლებელი. არასრულწლოვნის დაკავება და დაპატიმრება, მისთვის თავისუფლების შეზღუდვა და თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ როგორც უკიდურესი ღონისძიება, რომელიც შეძლებისდაგვარად მოკლე ვადით და რეგულარული გადასინჯვის პირობით უნდა იქნეს გამოყენებული.

არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებზე წლების განმავლობაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კრიტიკა მწვავე იყო. განსაკუთრებით საპატიმრო სასჯელსა და მის ზომებთან დაკავშირებით. ამის მიზეზი სხვადასხვა გარემოება გახლდათ:

- ა) არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულთა სიმრავლე, მათი ძალადობრივი ხასიათი;

ცოტა რამ ჩვენი ქვეყნის უახლესი წარსულიდან არასრულწლოვანთა დანაშაულისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ. ფაქტია, რომ წლების განმავლობაში არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის დიდი ნაწილი აგრესიით, სისასტიკითა და ძალადობით ხასიათდებოდა. სწორედ ამიტომ დავინწყეთ მოცემული საკითხის განხილვა უახლოესი ისტორიით. 1990-იან წლებში ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა ფორმით გამოვლენილ ძალადობას ჰქონდა ადგილი. მიმდინარე ზოგადსოციალურმა მოვლენებმა ცალკეულ ოჯახებშიც პოვა ასახვა. შედეგად კი ამ ყველაფრით დაზარალებული ბავშვები მივიღეთ.

ესენი იყვნენ საქართველოში ძალადობის წლებში დაბადებული და აღზრდილი ბავშვები, როცა აგრესიისა და სისასტიკის რისკი მაღალი გახლდათ. სახეზე გვქონდა არასრულწლოვანთა მიერ ერთი და იმავე ხელნერით ჩადენილი ძალადობრივი დანაშაული, რომელიც არასრულწლოვანს დამოუკიდებლად ან ჯგუფთან ერთად ჰქონდა ჩადენილი. ეს იყო პოკერ-კლუბების დაყაჩაღება, ტაქსის მძღოლების გატაცება, პიროვნებისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები.<sup>20</sup>

ბ) მწვავე კრიტიკის საპასუხოდ საჭირო იყო ამ მოვლენების გამომწვევი მიზეზების შესწავლა. არასრულწლოვანთა დანაშაული ხომ გარდატეხის ასაკში იყო ჩადენილი და გარდა იურისტებისა, სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა (ფსიქოლოგების, სოციოლოგების, ბიოლოგებისა და პედაგოგების) განსჯის საგანი უნდა ყოფილიყო. მოზარდის მიმართ განხორციელებულ აგრესიას, კონფლიქტებს, სისასტიკეს ხომ გამოუსწორებელ შედეგებამდე მივყავართ.

ხშირად მიფიქრია არასრულწლოვანი დანაშაულის გარემოზე – ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რა იყო ახალგაზრდა ადამიანის მხრიდან დანაშაულის ჩადენის მიზეზი. როგორადაც არ

<sup>20</sup> მ. ივანიძე, არასრულწლოვანი და მისი საუკეთესო ინტერესები, ნაშრომში არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბ., 2017, გვ. 15.

უნდა ჩავუღრმავდეთ, ფაქტი სახეზეა – არასრულწლოვანი მართლმსაჯულების წინაშე წარდგა. მაგონდება ნორვეგიელი კოლეგების რჩევა. არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნაზე მსჯელობისას – გადანყვეტილებაში ვრცლად აგვესახა ის გარემოებები, ტრავმები, კონფლიქტები, რამაც არასრულწლოვანი კონკრეტული დანაშაულის ჩადენამდე მიიყვანა. (ვთქვათ, დედა ადრე გარდაცვალა, ერთი მშობელი ზრდის, მამა ნარკომანია და ა.შ.)

გ) კიდევ ერთი ფაქტორი – მედიის არასწორი როლი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში. მაგალითად, ერთი რომელიმე არასრულწლოვნის ბედით დაინტერესება, რა დროსაც ჩნდება კითხვა, რამ გამოიწვია კონკრეტული არასრულწლოვნის გამოყოფა და მისი საქმის საჯაროდ განხილვა. ასეთი სტიგმატიზაცია ხომ თავად არასრულწლოვნის მომავალს ვნებს. (მისი პირადი ცხოვრებისა და საქმიანობის საჯაროდ განხილვა).

დ) კრიტიკის საფუძველს იძლეოდა თავად სისხლის სამართლის კანონმდებლობა, რომელიც ისტორიული იერარქიით მოკლედ მიმოვიხილეთ. მთავარი პოსტულატი – თავისუფლების აღკვეთა უკიდურესი ზომა – ყველასათვის მისაღები იყო და არის, მაგრამ რა ბერკეტს იძლეოდა კანონმდებლობა, ეს დასაფიქრებელი გახლდათ. იმის აღნიშვნა, რომ კანონმდებლობა იყო დასახვეწი და შესაცვლელი, იშვიათად ხდებოდა.

ახლმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა ამ კუთხით ბევრი რამ შეცვალა. საინტერესოა რა მივიღეთ ამ სიახლით. მოვიშველიოთ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 76-ე მუხლი. მოსამართლე უფლებამოსილია არასრულწლოვანს დაუნიშნოს კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე ნაკლები ან სხვა, უფრო მსუბუქი სასჯელი, თუ მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი არ ყოფილა და არსებობს შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა ერთობლიობა, რის გამოც მიზანშეწონილია კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა.

თუ ადრე (ამკ-ის 76-ე მუხლის შემოღებამდე) მოსამართლეს უფლება არ ჰქონდა დაენიშნა კანონით გათვალისწინებულ სასჯელის ზომაზე უფრო ნაკლები ან უფრო მსუბუქი სასჯელი, თუ მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმება არ იყო გაფორმებული, ახლა მოსამართლეს შეუძლია საკუთარი შეხედულებითა და არასრულწლოვანთა ქვემარტივი ინტერესის გათვალისწინებით, შეარჩიოს სასჯელის ის ფორმა და ზომა, რომელიც მოზარდის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას უზრუნველყოფს.

პროფესორ მორის შალიკაშვილის შეხედულებით, ამკ-ის 76-ე მუხლის ჩანაწერი ნასამართლობის ამ რეციდივის გამო მსჯავრდებულის უარყოფით მდგომარეობაში ჩაყენების მსგავსია. თუმცა ამ შემთხვევაში კანონმდებელი საუბრობს არა ნასამართლობის მქონე პირზე, არამედ არასრულწლოვანზე, რომლის მიმართაც ოდესღაც, წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი... კანონმდებელი მკაცრად განუსაზღვრავს მოსამართლეს კრიტერიუმს და არ აძლევს იმის საშუალებას, რომ თავად გადანყვეტოს საკითხი ბრალეულობის პრინციპიდან გამომდინარე, ანუ მოზარდს ჩადენილ ქმედებაში საკუთარი ბრალეულობისა და პიროვნების მიხედვით შეურჩიოს სასჯელი.<sup>21</sup>

კანონმდებლობის ამ საშეღავათო გარემოებით ისარგებლა მოსამართლემ, სისხლის სამართლის საქმე №1/2469-16 და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 76-ე მუხლი გამოიყენა. მან მოცემულ შემთხვევაში არასრულწლოვანს 6 (ექვსი) თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. საქმე ეხებოდა სიცოცხლის მოსპობის მუქარას დანის გამოყენებით. კერძოდ, 13 ლარის ფულადი თანხის გატაცებას.

მოცემულ შემთხვევაში, ბრალდებულის ასაკი შეადგენდა 16 წელს, თუმცა განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესისა და პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, მხედველობაში მიიღო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმად პირის ასაკი შეესაბამებოდა 15 წელს.

<sup>21</sup> მ. შალიკაშვილი, „შენიშვნები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსთან დაკავშირებით“, კრიმინოლოგიის ჟურნალი №1(2016), დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა. გვ. 75.

ინდივიდუალური ანგარიშის შესწავლის საფუძველზე, სასამართლომ იმსჯელა იმის თაობაზე, რომ პირს არ ჰყავდა ოჯახი. მისი საცხოვრებელი ადგილი მუდმივად იცვლებოდა, იგი ქუჩაში ვაჭრობით იყო დაკავებული. სასამართლომ მიიჩნია, რომ არასაპატიმრო სასჯელის გამოყენების შემთხვევაში პირი ვერ შეასრულებდა მასზე კანონით დაკისრებულ მოვალეობას. მოსამართლის მსჯელობის თანახმად, სასამართლომ არქონის ფაქტი ვერ წონის ბავშვის მიმართ საპატიმრო სასჯელის გამოყენების ნაკლებ პრიორიტეტულობის პრინციპს. არასრულწლოვანმა დაკავებისთანავე აღიარა დანაშაული.

სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას შემდეგ გარემოებებზე გაამახვილა ყურადღება.

1) არასრულწლოვანი მოქმედებდა დანის გამოყენებით და დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობის მუქარით;

2) მნიშვნელოვანია თავად ქმედების მიმართ არასრულწლოვნის დამოკიდებულება;

3) სასამართლომ გაითვალისწინა არასრულწლოვნის საცხოვრებელი გარემოს არასტაბილური ხასიათი;

4) კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე საინტერესოა მოსამართლის მსჯელობა სასჯელის სახესთან დაკავშირებით. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მსჯავრდებულის მიმართ შერჩეული ყოველი სასჯელის გამოყენება პრაქტიკაში სიცოცხლისუნარიანი უნდა იყოს.

მოცემულ გარემოებებზე დაყრდნობით, სასამართლომ არასრულწლოვანს კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე ნაკლები სასჯელი – 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა დაუნიშნა. მან ეს სასჯელი სიცოცხლისუნარიანად მიიჩნია (179-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 7 წლამდე ვადით):

არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენების გაეროს სტანდარტული მინიმალური წესების (ტოკიოს წესები) თანახმად, ყველა ქვეყანაში ეს წესები უნდა განხორციელდეს თითოეული ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პირობების, ქვეყნის სისხლის სამართლის სისტემის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით.

ჩვენს ქვეყანაში სისხლის სამართლის ლიბერალური პოლიტიკიდან გამომდინარე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა ახალი ლიბერალური ხედვები შემოგვთავაზა, მათ შორის სასჯელების გარშემო.

სისხლის სამართლის საქმე №1/3251-16 საინტერესოა როგორც არასრულწლოვნისათვის არასაპატიმრო სასჯელის დანიშვნის თვალსაზრისით, ასევე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 76-ე მუხლის გამოყენების კუთხით. მოცემულ შემთხვევაში არასრულწლოვნს ბრალად ედებოდა ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური იძულება, შეესრულებინა მოქმედება, რომლის განხორციელება მის უფლებას წარმოადგენდა. სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას მიუთითა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლზე, რაც არ არის მართებული, რამდენადაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ცალკე ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებს. განაჩენში მოსამართლე არ მსჯელობს კონკრეტულ სიტუაციაში ბავშვის საუკეთესო ინტერესზე, მის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშზე. მხოლოდ ბავშვის უფლებათა კონვენციას მოიხსენიებს და ამ გარემოებებზე დაყრდნობით, ამკ-ის 76-ე მუხლის გამოყენებით. 7 (შვიდი) თვის ვადით შინაპატიმრობას იყენებს. სასჯელის სახისა და ზომის შერჩევისას მოსამართლე არ მსჯელობს რა გარემოებებზე დაყრდნობით გამოიყენა 76-ე მუხლი და არც ამ მუხლით გათვალისწინებული საშეღავათო გარემოებები იკვეთება.

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, არასრულწლოვანს შინაპატიმრობა ენიშნება 6 თვიდან 1 წლამდე ვადით ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. მისმა აღსრულებამ კი ხელი არ უნდა შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს. გერმანიაში 1.1.2011 კანონით (კანონი პრევენციული პატიმრობის შესახებ) სამართლებრივად მიღებულია ტერმინი „ადგილსამყოფელის ელექტრონული ზედამხედველობა“, რაც ამ მოწყობილობის გამოყენების დღევანდელ პრაქტიკას სრულად შეესაბამება. იგი მოიცავს არა მხოლოდ შინაპატიმრობის ვალდებულებების შემოწმების, არამედ აკრძალულ

ადგილებთან მიახლოების (პოტენციური მსხვერპლის ადგილსამყოფელი) შესაძლებლობებს.

შინაპატიმრობის დანიშვნასთან დაკავშირებით გვესურს მოვიყვანოთ ერთ-ერთი მაგალითი საქართველოს სასამართლო პრაქტიკიდან. მიღებული გადაწყვეტილებით რამდენად იყო დაცული არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, მსჯელობის საგანია.

საქმე №3-165-16. ბრალდების თანახმად, არასრულწლოვანი მეტალის საგნის გამოყენებით, სწრაფი ჩარიცხვის აპარატიდან, ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაეუფლა ფულად თანხას 3 ლარს. პირველი ინსტანციის სასამართლომ არასრულწლოვანი უდანაშაულოდ ცნო. კერძოდ, ქმედება, რომლის განხორციელებაც ბრალად ედებოდა არასრულწლოვანს ფორმალურად შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს. პირველი ინსტანციის მოსამართლემ გამოიყენა სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი და იმსჯელა, რომ აღნიშნულ ქმედებას არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა არასრულწლოვნის პასუხისმგებლობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ არასრულწლოვანს სასჯელის სახედ და ზომად 6 თვის ვადით შინაპატიმრობა შეუფარდა. იგი დაეყრდნო იმ მსჯელობას, რომ არასრულწლოვანს ამოძრავებდა სხვისი ნივთის და არა კონკრეტულად 3 ლარის დაუფლების განზრახვა. მოცემულ შემთხვევაში პირის დასჯა სსკ-ის 1-ლი ნაწილით და მისთვის სასჯელის ზომად შინაპატიმრობის დანიშვნა, რამდენად ითვალისწინებდა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს – მსჯელობის საგანია. ზოგჯერ არასრულწლოვანთა მხრიდან ადგილი აქვს შინაპატიმრობისათვის თავის არიდებას. ამ მხრივ საინტერესოა ერთ-ერთი საქმე საქართველოს სასამართლო პრაქტიკიდან. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 2 თებერვლის განაჩენით არასრულწლოვან ა.მ-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა შინაპატიმრობა 6 (ექვსი) თვის ვადით. მას დაეკისრა საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულება 24:00 საათიდან 07:00 საათამდე. მანვე დანიშნული სასჯელის შეწყვეტის მიზნით დააზიანა სამაჯური, რომელიც შემონმების შედეგად აღმოჩნდა მსჯავრდებულის საცხოვრებელ მისამართზე. აღნიშნულის გამო არასრულწლოვანს დანიშნული სასჯელი შეეცვალა თავისუფლების აღკვეთით 6 თვის ვადით.<sup>22</sup>

არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენების გაეროს სტანდარტული მინიმალური წესების (ტოკიოს წესები)<sup>23</sup> თანახმად, არასაპატიმრო ზომის შერჩევა უნდა ეფუძნებოდეს დანესებული კრიტერიუმების შეფასებას დანაშაულის ხასიათისა და სიმძიმის, დამნაშავის პიროვნების, წარსულის, სასჯელის მიზნისა და დაზარალებულის უფლებების გათვალისწინებით.

ვფიქრობთ, ყოველ სისხლის სამართლის საქმეზე მკაფიოდ უნდა ჩანდეს სასჯელის დანიშვნის საფუძვლები, რაც მომავალში არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას უზრუნველყოფს.

შევვხვით კიდევ ერთ არასაპატიმრო ღონისძიების – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნის თავისებურებას.

2016 წლის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე №1/5708-15 გადწყვეტილებით, ნასამართლობის არმქონე პირს, რომელიც რეგისტრირებული იყო თბილისში, ბრალი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ).

არასრულწლოვანი მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა 600 ლარად ღირებულ კუთვნილ საათს, რითაც დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ არასრულწლოვანი აღიარებს და გულწრფელად ინანიებს ჩადენილ

<sup>22</sup> ი. ვარძელაშვილი, არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნა (სასამართლო პრაქტიკის ანალიზი), ნიგნში „არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა“; გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2017, გვ. 148.

<sup>23</sup> მიღებული გაეროს ასამბლეის 1990 წლის 14 დეკემბრის №45/110 რეზოლუციით.

დანაშაულს, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია.

გადანყვეტილებაში მოსამართლე ითვალისწინებს ბავშვის საუკეთესო ინტერესს და მის ინდივიდუალურ შეფასების ანგარიშზე დაყრდნობით მიზანშეწონილად მიიჩნევს არასრულწლოვანისათვის არასაპატიმრო სასჯელის შეფარდებას. მოსამართლე მსჯელობს, რომ ბრალდებული გამოხატავს სინანულს მის მიერ განხორციელებული ქმედებისადმი, იზიარებს ქმედებაზე პასუხისმგებლობის შედეგებს. ამასთან, სასამართლოს აზრით, კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე ყველა გარემოება არსებობს, რომ გამოყენებული იყოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 76-ე მუხლი.

მოსამართლე აქვე მსჯელობს, რომ არასაპატიმრო სასჯელის დანიშვნის შემთხვევაში, პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების დანიშვნის შემთხვევაში, პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს, დაზარალებულის მიმართ ემპათიის გაღვივებისა და სტრესთან გამკლავების უნარების გაძლიერებისათვის. ამ მსჯელობაზე დაყრდნობით სასამართლომ არასრულწლოვანს საბოლოოდ დაუნიშნა 160 საათის ვადით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა.

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 71-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვანს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ენიშნება 40-დან 300 საათამდე ვადით.

ამასთან, არასრულწლოვანს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ისე უნდა დაენიშნოს, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს. ამავ კოდექსის 71-ე მუხლის თანახმად, თავისუფლების აღკვეთის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლის ან მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების არსებობის შემთხვევაში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეცვლა შეიძლება უფრო ნაკლები ვადითაც დაინიშნოს.

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა გერმანიაში სასჯელის სახე კი არა, არასაპატიმრო სასჯელებთან დაკავშირებული ვალდებულებაა, ამიტომაც გერმანიის სისხლის სამართლის ლიტერატურაში მიმდინარეობს დისკუსია მისი სასჯელად შემოღების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.<sup>24</sup>

გასათვალისწინებელია ასევე შვეიცარიის მაგალითიც, სადაც საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის სისხლისსამართლებრივ სანქციად ჩამოყალიბებამ მისი გამოყენების სტატისტიკა გააუარესა.<sup>25</sup>

მოკლედ შევეხებით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებისას საპროცესო შეთანხმების გაფორმების თავისებურებებს. ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეები, საიდანაც ნაწილზე გაფორმებულია საპროცესო შეთანხმება. იგი დადებულია როგორც პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე, ასევე საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე, ნარკოტიკული დანაშაულის უკანონო შექმნა და შენახვის ფაქტზე, საპატიმრო დაწესებულებაში ჩადენილ დანაშაულებზე.

არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებზე, საპროცესო შეთანხმებისას სასჯელის სახედ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის გარდა, ვხვდებით პირობით სასჯელსაც.

ჩვენ ვეთანხმებით ბატონ მორის შალიკაშვილის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საპროცესო ინსტიტუტი არ უნდა იქნეს გამოყენებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებისას. არგუმენტი იმის თაობაზე, რომ საპროცესო შეთანხმება სწრაფ მართლმსაჯულებას უზრუნველყოფს, არ არის მისაღები, რადგან სწრაფი მართლმსაჯულების პირობებშიც კი მოზარდის ქმედარტი ინტერესი მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული. საპროცესო შეთანხმების ნაცვლად ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული სწრაფი და ეფექტური აღდგენითი

<sup>24</sup> ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, საპატიმრო სასჯელების ალტერნატივა საზღვარგარეთის ქვეყნებში, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ., 2016, გვ. 695.

<sup>25</sup> იქვე. შვეიცარიის სტატისტიკა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენების შესახებ, გვ. 694.

მართლმსაჯულების სხვა ინსტიტუტები.

არასრულწლოვანთა სასჯელის დანიშვნის თავისებურებებზე შეგვიძლია შემაჯამებელი სახის შემდეგი რეკომენდაციები წარმოვადგინოთ:

– საქართველოში დღეს არსებული ლიბერალური პოლიტიკა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, ხაზს უსვამს ყველაზე მსუბუქი საშუალებისა და ალტერნატიული ზომების პრიორიტეტულობას. ვადიანი თავისუფლების გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. თუმცა ალტერნატიული სასჯელის შერჩევასა და ცული უნდა იყოს არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომისა და თანაზომიერების პრინციპი. ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს ცნება – კარგია სასჯელი, რომელიც ამცირებს რეციდივიდ რისკს. არასრულწლოვანისთვის სასჯელის დანიშვნისას გათვალისწინებული უნდა იყოს სასჯელის მიზნები.<sup>26</sup>

– არ შეიძლება საზოგადოების, საინფორმაციო საშუალებების ყურადღება მიზანმიმართულად მხოლოდ ერთი რომელიმე მოზარდის ქმედებას ან მის მიმართ შერჩეულ სასჯელის სახეს დაეთმოს. ეს ეწინააღმდეგება ბავშვის პირადი ცხოვრების დაცულობის პრინციპს.

– წლების განმავლობაში არასრულწლოვანთათვის დანიშნული სასჯელის შესახებ სასამართლოს კრიტიკა დიდი იყო. ახალმა კანონმდებლობამ ბევრი რამ შეცვალა, თუმცა მიდგომები ერთი უნდა იყოს, რამდენადაც არასრულწლოვანთა დანაშაული თავისებურებით გამოირჩევა – ის გარდატეხის ასაკშია ჩადენილი. საზოგადოების ინტერესს არა მარტო არასრულწლოვანთათვის განსაზღვრული სასჯელის სახე და ზომა უნდა ინვევდეს, არამედ მათ მიერ განხორციელებული ქმედების შინაარსი და ხასიათი. საზოგადოების თითოეული წევრის მიზანი არასრულწლოვანთა დანაშაულის შემცირება უნდა იყოს.

– არასრულწლოვანთა საქმის განმხილველი მოსამართლე კარგად უნდა ერკვეოდეს არასრულწლოვანთა ფსიქოლოგიაში და ყოველ კონკრეტულ საქმეზე გადანყვეტილების მიღებისას არასრულწლოვნის ასაკთან ერთად მისი ინდივიდუალური მახასიათებლები: მოზარდის განვითარების დონე, ცხოვრების პირობები, აღზრდა და განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, უნდა მიიღოს მხედველობაში.

<sup>26</sup> მ. ივანიძე (თანაავტორი), „არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა“. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2017, გვ. 40.

## არასრულწლოვნის დაკითხვის თავისებურება

ნინო გოგნიაშვილი

სამართლის დოქტორი,

შსს აკადემიის ასოცირებული პროფესორი,

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტ. პროფესორი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში უმნიშვნელოვანესი ფუნქციის მატარებელია და იგი სპეციფიკურ მიდგომას საჭიროებს. მსოფლიოს თითქმის ყველა პროგრესულ საკანონმდებლო თეორიასა და პრაქტიკაში სწორედ აღნიშნული ფაქტორიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა განსაკუთრებული მიდგომა არასრულწლოვნებთან მიმართებაში, განსაკუთრებით კი არასრულწლოვან დამნაშავეებთან მიმართებაში, რომლის თანახმადაც არასრულწლოვანი უფრო მსხვერპლად უნდა მოიაზრებოდეს, ვიდრე დამნაშავედ. ისინი საჭიროებენ დაცვას, ზრუნვასა და რეინტეგრაციას. ამიტომაც საერთაშორისო დოკუმენტებში ძირითადი აქცენტი სწორედ მართლმსაჯულების ცალკე სისტემის შექმნისა და სპეციალური სასამართლოების, ასევე განსაკუთრებული პროცედურების შემუშავების აუცილებლობაზე კეთდება.<sup>1</sup> თავისი არსით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა კომპლექსურია და აერთიანებს სხვადასხვა ისეთ სამთავრობო სტრუქტურას, სააგენტოს, უწყებას, ორგანიზაციასა და დანესებულებას, როგორცაა პოლიცია, პროკურატურა, ადვოკატურა, სასამართლო, სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, პრობაციის სამსახურები, სასჯელაღსრულებითი დაწესებულებები და სხვა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული სტანდარტები დადგენილია ოთხი ძირითადი დოკუმენტით: „გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციის შესახებ“, „გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ“, „გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების დასაცავად“ და „სახელმძღვანელო პრინციპები სისხლის სამართლის სისტემაში ბავშვებთან დაკავშირებით მოქმედების შესახებ“. მიუხედავად იმისა, რომ ოთხივე მათგანი ძირითადად სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს, მათ მიერ დადგენილია მთელი რიგი დებულებები, რომელთა გათვალისწინებაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განვითარებაში ძალიან დიდ როლს თამაშობს. მთავარ დოკუმენტად კი გაეროს 1989 წლის „კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ“ რჩება. გასული წლების განმავლობაში საქართველოში (რომელიც ზემოაღნიშნულ კონვენციას 1994 წელს შეუერთდა) არაერთი წარმატებული ნაბიჯი იქნა გადადგმული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის თვალსაზრისით. ამ კუთხით მნიშვნელოვანია საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 12 ივნისს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღება, რომლის ძირითადი ნაწილი 2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა. კოდექსმა ახლებური, გაცილებით ლიბერალური

<sup>1</sup> ბოლო 100 წლის განმავლობაში იუვენალური იუსტიციის სხვადასხვა სისტემა განვითარდა თითქმის მთელ მსოფლიოში. პირველი სასამართლო არასრულწლოვანთა საქმეებზე ჩამოყალიბდა 1899 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ილინოისის შტატში, ჩიკაგოში, დიდ ბრიტანეთში (1908), რუსეთში (1910), საფრანგეთსა და ბელგიაში (1912), ესპანეთში (1918), ნიდერლანდებში (1921), გერმანიაში (1922) და ავსტრიაში (1923). ერთა ლიგის მოწოდებებით, ასეთი სასამართლოები 1931 წლისთვის უკვე მსოფლიოს 30 ქვეყანაში მოქმედებდა.



მიდგომა შემოგვთავაზა<sup>2</sup> და ყველა ის ნორმა, რომელიც სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში იყო მოცემული, სხვაგვარად დაარეგულირა. გარდა ამისა, დღემდე ეტაპობრივად ხდება ადვოკატურის, პროკურატურის, სასამართლოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების გადაზიდვა სპეციალური პროგრამის შესაბამისად, ვინაიდან კანონმდებლობით პირდაპირ არის განსაზღვრული, რომ ის პირი, რომელსაც არ გააჩნია სპეციალური მომზადება, არ აქვს უფლებამოსილება თავისი საქმიანობა ამ მიმართულებით განახორციელოს.<sup>3</sup> მიუხედავად აღნიშნული გარემოებებისა, მოცემულ სფეროში დღემდე არსებობს არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელთა გადაჭრაც კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების უფლებების ეფექტური დაცვისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

საჭიროა პრობლემის უფრო სიღრმისეული კვლევა და შესაბამისი მიდგომების ჩამოყალიბება. დანაშაულის გამომწვევი მიზეზები, ცხოვრების, განვითარებისა და იმ სოციალური გარემოს გათვალისწინება, რომელიც არსებით გავლენას ახდენს პირის დამნაშავედ ჩამოყალიბებაზე. მათ შორის კი განსაკუთრებული ადგილი ოჯახსა და სკოლას უკავია.<sup>4</sup> გასათვალისწინებელია ასევე ყოფა-ცხოვრება, ქალაქი, რაიონი, სოფელი და რეგიონებისთვის დამახასიათებელი თავისებურებები, ვინაიდან ისინი ერთმანეთისაგან გარემოს თვალსაზრისით მკვეთრად განსხვავდებიან და აქედან გამომდინარე, მოცემულ რეგიონებში აღზრდილი ბავშვებიც განსხვავებული მოთხოვნილებებისა და მისწრაფებების მატარებელი არიან. ეს ფაქტორები მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების მხრიდან, განსაკუთრებით კი დაკითხვის/გამოკითხვის ეტაპზე. ვინაიდან, დანაშაულის გახსნა და საქმეზე არსებული გარემოებების დადგენის მნიშვნელოვანი პირობა ცალკეული სახის საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, მათი სწორად დაგეგმვა და განხორციელებაა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 52-ე მუხლი განსაზღვრავს არასრულწლოვნის გამოკითხვის/დაკითხვის წესს, რომლის თანახმადაც არასრულწლოვნის დაკითხვის/გამოკითხვის დროს მოქმედებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესი (გარდა ამავე კოდექსის 332-ე მუხლის დებულებებისა). არასრულწლოვნის დაკითხვა მისი კანონიერი წამომადგენლისა და ადვოკატის თანდასწრებით ტარდება. საჭიროებისამებრ, უზრუნველყოფილია ფსიქოლოგის მონაწილეობაც.<sup>5</sup> 14 წლამდე ასაკის პირის დაკითხვა შეიძლება ჩატარდეს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობითა და თანდასწრებით. კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, გამოთქვას თავისი მოსაზრება

<sup>2</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ლიბერალური მიდგომა არასრულწლოვნებთან მიმართებაში ყოველთვის არსებობდა თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობაში. მაგ., ნორვეგიაში, ჯერ კიდევ XIII საუკუნეში, სისხლის სამართლის კოდექსში მითითებული იყო, რომ „უფროსებს ქურდობისათვის შეიძლება მოაჭრან ორივე ხელი, ბავშვებს კი, მხოლოდ ერთი“. არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრაცია (საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები), 2003, 6.

<sup>3</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მ.16 - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესს აწარმოებენ მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პირები, გარდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 121-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 171-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა. თუ არასრულწლოვნის მიმართ საპროცესო მოქმედება არასპეციალიზებულმა პირმა განახორციელა, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულ პირს, რომელმაც უნდა განაგრძოს პროცესი, ხოლო არასპეციალიზებული პირი დაუყოვნებლივ უნდა ჩამოშორდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესს.

აღნიშნულს ითვალისწინებს პეკინური წესებიც, კერძოდ, პეკინური წესები მოუწოდებს სახელმწიფოებს ნორმატიულ დონეზე მოახდინონ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების კვალიფიცირება, რათა მათ გაიარონ ბავშვებთან მუშაობის სპეციალური და რეგულარული ტრენინგები და მხოლოდ მათ აწარმოონ ბავშვთა გამოკითხვა/დაკითხვა (პეკინური წესები, წესი 12).

<sup>4</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), თბ., ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, 22.

<sup>5</sup> ბავშვთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი განმარტავს, რომ ზოგჯერ ბავშვმა გამომკითხველის სპეციფიკური ენა არ იცის, რის გამოც ვერ აღიქვამს მის ნათქვამს, ვინაიდან, ბავშვების მეტყველება გარკვეულ შემთხვევაში განსხვავებულია. ცოდნის, გონებრივი განვითარებისა თუ გამოცდილების ნაკლებობამ კი შესაძლებელია გამოიწვიოს კითხვის არასრულყოფილად გაგება და ასევე არასწორი პასუხის მიღება. საამისოდ არსებობს სპეციალისტის საჭიროება – იქნება ეს თარჯიმანი თუ ფსიქოლოგი (გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი № 10,პ).

და სასამართლოს ნებართვით დააზუსტოს 14 წლამდე ასაკის პირისათვის დასმული კითხვა. 14 წლამდე ასაკის მონემს განუმარტავენ მის მოვალეობას, თქვას მხოლოდ სიმართლე, მაგრამ არ აფრთხილებენ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, ცრუ ჩვენების და არსებითად ურთიერთ-საწინააღმდეგო ჩვენების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე. პროცესუალურ საკითხებთან ერთად მნიშვნელოვანია დაკითხვის ტაქტიკური წესების სწორად გამოყენება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მაქსიმალური შედეგის მიღწევა აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე.

დაკითხვა მტკიცებულებათა მიღებისა და გადამოწმების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გზა, ამავდროულად საკმაოდ რთული და ყველაზე გავრცელებული საგამოძიებო მოქმედებაა. იგი გამოიყენება ინფორმაციის მიღების მიზნით იმ პირებისაგან, რომლებმაც უშუალოდ აღიქვეს მტკიცებულებითი ხასიათის ინფორმაცია, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმისთვის (ეს შეიძლება იყოს ბრალდებული, მონემ, დაზარალებული). აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება უფლებამოსილი პირების მხრიდან ზოგადფსიქოლოგიურ და პროფესიულ განათლებას, ადამიანების ფსიქოლოგიისა და დაკითხვის ტაქტიკური მეთოდების ცოდნას მოითხოვს. დაკითხვის საშუალებით იღებს ინფორმაციას უფლებამოსილი პირი, თუ რა უძლოდა წინ დანაშაულის ჩადენას, ადგენს დანაშაულის ჩადენის მოტივსა და მიზანს. თუმცა, სრულწლოვანთაგან განსხვავებით, განსაკუთრებული სირთულით გამოირჩევა არასრულწლოვანთა დაკითხვა. იგი მოითხოვს უფლებამოსილი პირისაგან საერთო და პროფესიულ კულტურას, ცხოვრებისეულ გამოცდილებას, არასრულწლოვანთა ფსიქოლოგიისა და დაკითხვის თავისებურებების ცოდნასა და ასაკობრივი მახასიათებლების მიხედვით ინდივიდუალური მიდგომის ჩამოყალიბებას. არასრულწლოვნის დაკითხვისას ფართოდ გამოიყენება: კრიმინალისტიკური ტაქტიკა, იურიდიული ფსიქოლოგია, ლოგიკა, პედაგოგიკა, სასამართლო ეთიკა.

არასრულწლოვნის დაკითხვას გააჩნია გარკვეული თავისებურებები, რომელიც უკავშირდება დასაკითხის ასაკს, სოციალურ-დემოგრაფიულ და ფსიქოლოგიურ თავისებურებებს.

სრულწლოვნისაგან განსხვავებით არასრულწლოვანს ახასიათებს:

ა. ყურადღების კონცენტრაციის ნაკლები უნარი;

ბ. ფანტაზიისკენ მიდრეკილება;

გ. შემეცნებულის აღქმისა და ანალიზის, ასევე რეალურის გამოგონილისაგან განსხვავების ნაკლები უნარი.<sup>6</sup>

არასრულწლოვნებს, როგორც წესი, სრულწლოვანთაგან განსხვავებით ნაკლებად შეუძლიათ გააცნობიერონ მოვლენა მთლიანობაში და გამოყონ მთავარი. ყურადღებას აქცევენ მხოლოდ იმ მოვლენას, რომელიც მათთვის საინტერესოა, ან მოახდინეს მათზე განსაკუთრებული გავლენა. ისინი უფროსებზე მეტად უშვებენ შეცდომას მანძილსა და დროსთან მიმართებაში, მოვლენებისა და მოქმედებების თანმიმდევრობაში. მარტივად ავინყდებათ მოვლენა (ფაქტები, გარემოებები) და ამავდროულად გამორჩეულად ზუსტად შეუძლიათ აღიქვან და უკეთ დაიმახსოვრონ ის ფაქტები, რომელიც მათ აინტერესებთ. არასრულწლოვნებს ახასიათებთ მომეტებული ემოციური აღგზნებადობა, ხასიათის გაუნონასწორებულობა, ხშირი ცვლილება და ქცევის თავისებურება, რომელიც აისახება მათ ჩვენებაზეც (აღნიშნული გარემოებები დამახასიათებელია ყველა კატეგორიის არასრულწლოვნებისთვის, მათი პროცესუალური სტატუსის მიუხედავად).

არასრულწლოვნის ქცევა ხშირ შემთხვევაში დამოკიდებულია დაკითხვის პროცესში მის მიერ თავისი მონიჭულობისა და დამოუკიდებლობის დემონსტრირებაზე. ვინაიდან არასრულწლოვნის განვითარების ზემოთ ჩამოთვლილი და ზოგიერთი სხვა ფიზიკური და ფსიქიკური თავისებურება ერთნაირად გამოვლინდება ჩვენების ფორმირებისა და დაკითხვის პროცესში.

არასრულწლოვნის დაკითხვის ორგანიზების მიზნით აუცილებელია მთელი რიგი მოსამზადებელი ღონისძიებების განხორციელება:

<sup>6</sup> Руководство для следователей/Метод.пособие/под.ред.В.А.Селиванова М., 1993, 315.

1. არასრულწლოვნის დაკითხვა/გამოკითხვის ადგილის განსაზღვრა<sup>7</sup>;
2. დაკითხვის დროის განსაზღვრა.
3. დაკითხვის ხანგრძლივობის განსაზღვრა.

დაკითხვის წარმატებით ჩატარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა ადგილისა და გარემოს განსაზღვრა. ევროსაბჭოს დირექტივა ბავშვებზე ორიენტირებული მართლმსაჯულების თაობაზე, სწორედ აღნიშნულზე მიუთითებს, კერძოდ, სამართალწარმოების ყველა ეტაპზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბავშვისადმი მოპყრობა მისი ასაკის, განსაკუთრებული საჭიროების, მისი სიმწიფისა და განვითარების დონის, ასევე კომუნიკაციაში შესაძლო პრობლემების გათვალისწინებით. იმ საქმეების განხილვა, რომლებიც ბავშვებს შეეხება, ბავშვის საჭიროებების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს და გარემო ბავშვებისთვის არ უნდა იყოს შემაშინებელი.

დაკითხვა უნდა ჩატარდეს დროულად, აღქმული ფაქტის შემეცნებიდან გარკვეული დროის გასვლამდე. აღნიშნული იმით არის განპირობებული, რომ, თუ არასრულწლოვნის მიერ აღქმულ მოვლენას არ გააჩნია მისთვის მნიშვნელოვანი ემოციური მნიშვნელობა, მაშინ არასრულწლოვნის მიერ მოვლენის აღქმა უფრო ზედაპირულ ხასიათს ატარებს და მის მეხსიერებაში აღბეჭდილი ესა თუ ის მოვლენა ძალიან მარტივად იშლება გონებიდან. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ არასრულწლოვანი შეიძლება ძალიან მარტივად მოექცეს როგორც წინასწარ განზრახული, ისე განზრახვის გარეშე – გარკვეული პირების, ან ფაქტორების – შთაგონების ქვეშ, რომლის გავლენითაც მან შეიძლება საკუთარი თავი დაარწმუნოს სხვა პირთა მიერ გამოთქმული მოსაზრებების სისწორეში, რომლებთანაც მას დაკითხვამდე ჰქონდა ურთიერთობა. თუ ნანახიდან გამომდინარე გამოწვეული ძლიერი განცდების გამო მოხდა არასრულწლოვნის გონების ფსიქოლოგიური შეფერხება, მაშინ დაკითხვა უნდა გადაიდოს, მანამდის სანამ ის არ იქნება ფსიქოლოგიურად მზად მოგვცეს ჩვენება. დაკითხვაზე გამოძახებისას კი იგი ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ არასრულწლოვანს არ მოუწიოს დიდხანს ლოდინი, რამაც, საბოლოო ჯამში, შეიძლება უარყოფითად განაწყოს დასაკითხი პირისადმი.

დაკითხვის/გამოკითხვის დროსა და ხანგრძლივობას რაც შეეხება, უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 52-ე მუხლში მხოლოდ იმ გარემოებაზეა მითითებული, რომ არასრულწლოვანი არ შეიძლება დაკითხოს 22:00 საათიდან 08:00 საათამდე, თუმცა, დაკითხვის ხანგრძლივობაზე არაფერია ნათქვამი, რაც უდავოდ მნიშვნელოვანი ხარვეზია კანონმდებლობაში (აღნიშნულზე მითითება უშუალოდ „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში“ უნდა იყოს). ვინაიდან საკითხი ძალზე აქტუალურია და დასაკითხის პიროვნების, მისი ასაკის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს სწორედ დაკითხვის ხანგრძლივობა, რის რეკომენდაციასაც ფსიქოლოგებიც იძლევიან. მათი მოსაზრების თანახმად, დაკითხვის ხანგრძლივობა უნდა გამომდინარეობდეს დასაკითხის ასაკიდან. ვინაიდან, მაგალითად, მცირეწლოვანი ბავშვების ყურადღების კონცენტრაციის ხანგრძლივობა ძალიან მცირეა და განისაზღვრება რამდენიმე წუთით, ამიტომ მათი დაკითხვის/გამოკითხვის პროცესში აუცილებელია ხშირი შესვენებების გამოყენება. მოზარდების შემთხვევაში კი შესაძლებელია დაკითხვის/გამოკითხვის დროის უფრო გახანგრძლივება და შესვენების რაოდენობის შემცირება. თუმცა დაკითხვა არ უნდა გაჭიანურდეს, როდესაც ბავშვი დაღლილია და სტრესის ნიშნებს ავლენს, რაც ძირითადად გამოიხატება ყურადღების გაფანტვაში, პასუხების შემოკლების ან შემცირების, სხეულის მოძრაობის გახშირების ან, პირიქით, მოდუნებაში.<sup>8</sup>

იმისათვის, რომ მოხდეს დასაკითხთან ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარება და განისაზღვროს დაკითხვის ტაქტიკა, აუცილებელია დადგინდეს: მისი დამოკიდებულება თანატოლებთან, ხასიათის თავისებურებები, ინტერესთა წრე და ჰობი, ასევე სხვა მთელი რიგი გარემოებები, რომელიც დაკავშირებულია მისი სოციალურ-დემოგრაფიული და ფსიქოლოგიური ხასიათის თავ-

<sup>7</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო დირექტივები ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების თაობაზე, პ 54.

<sup>8</sup> არასრულწლოვანთა დაკითხვის/გამოკითხვის ფსიქოლოგიური ასპექტები, ავტ. კოლ., შსს აკადემია, 2016, 74.

ისებურებებთან. ამ მიზნით აუცილებელია ზედმინევიტ მოხდეს სისხლის სამართლის საქმისა და საქმეზე შეკრებილი ინფორმაციის შესწავლა. დასაკითხის პიროვნების შესწავლა ხორციელდება იმ მეთოდების ბაზაზე, რომელიც შემუშავებულია ფსიქოლოგიური მეცნიერების მიერ საგამოძიებო მოქმედების მიზნების გათვალისწინებით და მას გარკვეული საზღვრები გააჩნია. დაკითხვის მომზადების პროცესში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი მეთოდები, როგორცაა დაკვირვება, მსჯელობა, საქმიანობის შედეგების ანალიზი. გარდა ამისა, ასევე პიროვნების შესწავლის მიზნით მნიშვნელოვანია ისეთი გარემოებების დაზუსტება და შესაბამისი კითხვების დასმა დასაკითხი პირებისადმი, როგორცაა: არასრულწლოვანი დასაკითხის ანკეტურ-ბიოგრაფიული მონაცემები; მონაცემები პირებზე, რომლებიც ზრდიან მოზარდს და ოჯახის მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატზე ახდენენ გავლენას; მოზარდის გარემომცველი გარემოს შესახებ მონაცემები, მისი სანაცნობო წრისა და კავშირების შესახებ ინფორმაცია; არასრულწლოვნის დამოკიდებულება სწავლის მიმართ; ხასიათი, ჩვევები და მათი მისწრაფებები; არასრულწლოვნის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი უნარი, სწორად აღიქვას მოვლენები და უნარი, მისცეს სწორი ჩვენება.<sup>9</sup>

დაკითხვამდე დასაკითხი პიროვნების შესწავლა უნდა მოხდეს გამომძიებლისათვის ხელმისაწვდომი ყველა ინფორმაციის წყაროს გამოყენების საფუძველზე. ძირითადი წყარო, რომელიც შეიძლება მოიცავდეს არასრულწლოვნის პიროვნების შესახებ ინფორმაციას, არის: ა. მისი მშობლების, მეზობლების, მასწავლებლებისა და აღმზრდელების ჩვენება, მეგობრების, თანამშრომლების, ასევე იმ მეგობრების ჩვენებაც, რომელთაც კონტაქტი ჰქონდათ სკოლის გარეთ; ბ. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით მოპოვებული ინფორმაცია; გ. დახასიათება, ცნობები და სხვა დოკუმენტები; სწავლობს რა არასრულწლოვნის პიროვნებას, გამომძიებელი პირველ რიგში ვალდებულია დაადგინოს მისი დადებითი თვისებები, დრო, როდესაც დაეწყო პირს უარყოფითი ქცევა, გაარკვიოს მისი ქცევის ცვლილების მიზეზები. რა სახის პრობლემები აქვს, მაგალითად, ოჯახში, ავადმყოფობა ან სიკვდილი ერთ-ერთი მშობლის, ან სხვა სახის ისეთი გარემოებები, რომლებიც საბოლოოდ უარყოფითად აისახება არასრულწლოვნის პიროვნებაზე. მშობლები როგორც საქმის შედეგით დაინტერესებული პირები, როგორც წესი, ამცირებენ ბავშვის უარყოფით მხარეებს, ცდილობენ, გაზარდონ მისი დადებითი მხარეები და დადებითი კუთხით წარმოაჩინონ არასრულწლოვნის პიროვნება. დასაკითხი არასრულწლოვნის პიროვნების შესწავლა მოიცავს ინფორმაციის მიღებას დასაკითხი პირის მეზობლების დაკითხვის გზითაც. აღნიშნულმა პირებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვანოდონ არასრულწლოვნის პიროვნების შესახებ, გასცენ პასუხები შემდეგ კითხვებზე: ა. რამდენი ხანია იცნობენ ისინი არასრულწლოვანს; ბ. როგორია მათი ურთიერთდამოკიდებულება; გ. რა არის მათთვის ცნობილი – პირის მატერიალური მდგომარეობისა და ცხოვრების პირობების შესახებ; მისი დამოკიდებულების შესახებ ოჯახში მშობლებთან და ახლობლებთან; დ. ხასიათი და მისწრაფებები; ე. ურთიერთობა მეზობლებთან, ვისთან აქვთ მეგობრული დამოკიდებულება; ვ. ხომ არ იყენებს ალკოჰოლურ სასმელებს, ხომ არ არის უხეში გარშემომყოფების მიმართ; ზ. ვინ ახდენს არასრულწლოვანზე უარყოფით გავლენას; თ. ვის შეუძლია მოახდინოს მასზე დადებითი ზემოქმედება; ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია არასრულწლოვნის პიროვნების შესახებ ინფორმაციის მიღება მისი პედაგოგების დაკითხვის გზითაც. მათგან შეიძლება ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება, როგორცაა არასრულწლოვნის მოსწრების დონე, მისი ინტერესები, გარემო, რომელშიც ტრიალებს არასრულწლოვანი, როგორ ატარებს თავისუფალ დროს და ა.შ.

არასრულწლოვნის პიროვნების შესწავლა ასევე შესაძლებელია მთელი რიგი დოკუმენტების მოძიებითა და მათი სისხლის სამართლის საქმეზე დართვის გზით: მისი ასაკის დამადასტურებელი დოკუმენტები, სამკურნალო დანესებულებებიდან, ნასამართლობის შესახებ ცნობა, განაჩენების ასლები, არასრულწლოვნის მახასიათებლები, ასევე მისი მშობლების, დაზარალებულის,

<sup>9</sup> Закатов А.А. Псих.особенности тактики производства след. действий следователь участием несовершеннолетних :учебное пособие. Волгоград, 1979, 18.

აუცილებლობის შემთხვევაში კი სხვა პირების შესახებ ინფორმაცია. მნიშვნელოვანია ფსიქოლოგის მონაწილეობაც არა მხოლოდ დაკითხვის/გამოკითხვის დროს, არამედ დაკითხვის მოსამზადებელ ეტაპზეც. ვინაიდან მას შეუძლია დახმარება გაუწიოს უფლებამოსილ პირს განსაზღვროს არასრულწლოვანთა ფსიქიკური პროცესების თავისებურებები, მისი მდგომარეობა, ტემპერამენტის ტიპი, ხასიათის თავისებურებები, ინტელექტუალური შესაძლებლობები, გაარკვიოს ფსიქოლოგიური მახასიათებლები, რომელიც დამახასიათებელია აღნიშნული არასრულწლოვნის ასაკის პირებისათვის. რეკომენდაცია გაუწიოს იმ საშუალებებს, რომლითაც შეიძლება იყოს გამოვლენილი არასრულწლოვნის ცალკეული სახის ფსიქოლოგიური თავისებურებები, შესთავაზოს კითხვები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარებაში. ტემპერამენტის მიხედვით შეუძლია შეექმნას წარმოდგენა მოწმის განონასწორებულობის შესახებ, რეაქციების ხარისხზე, მისი ჩაკეტილობის ან გახსნილობის შესახებ. არასრულწლოვანი ბრალდებულის შესახებ ინფორმაცია აუცილებელია ტაქტიკურად სწორად იყოს გამოყენებული დაკითხვის ეტაპზე.

დაკითხვის სრულფასოვანად ჩატარების მნიშვნელოვანი პირობა გეგმის შედგენაა, ვინაიდან მოსამზადებელ სტადიაზე ხდება სწორედ იმის დაგეგმვა, თუ როგორი ფსიქოლოგიური კონტაქტი უნდა დამყარდეს დასაკითხთან. არასრულწლოვანი გამოუცდელობასთან ერთად ყველაზე კარგად გრძნობს ტყუილს, ამიტომ დაკითხვის ჩატარებამდე უნდა განისაზღვროს და შესწავლილ იქნეს ინტერესების წრე, მისწრაფებები და გამოითქვას მათ მიმართ გულითადი ინტერესი, იმისათვის, რომ მაქსიმალურად დამყარდეს ფსიქოლოგიური კონტაქტი.<sup>10</sup>

გეგმის შედგენისას უნდა მოხდეს კითხვების სწორად ფორმულირება, რათა ისინი არასრულწლოვნისთვის გასაგები და არაორაზროვანი იყოს. არ უნდა მოხდეს გარკვეული კატეგორიის კითხვების განსაკუთრებულად გამოყოფა ნეიტრალურ კითხვებს შორის, თუნდაც, ხმის აწევით ან დაწევით, კითხვის შესატყვის საშუალებით დასმით და ა.შ. დასაკითხი პირისათვის უფლებების განმარტების ეტაპზე კი აუცილებელია, დაკითხვის მიზნის, პროცესუალური მდგომარეობისა და საგამომძიებო მოქმედების ჩატარებისას მის როლზე მითითება, ასევე მისი დამოკიდებულების გარკვევა პროცესის სხვა მონაწილეებთან.

დროულად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი დაკითხვის პროცედურის ფიქსაცია შესაბამისი საშუალებებით, რათა არ მოხდეს დაკითხვის პროცედურის შეჩერება ან გაუგებრობა მის მიმდინარეობისას.

დაკითხვის პროცესის დასაგეგმად აუცილებელია კითხვების ფორმულირება, რომელიც მიმართულია კონკრეტული გარემოებების დადგენისაკენ და იგი შეიძლება დავეყთ შემდეგი სახის კითხვებად: ა. შემავსებელი. ბ. დამაზუსტებელი, გ. გამახსენებელი, დ. საკონტროლო, ე. სიცრუის მამხილებელი. მაგალითად, პროფ. ა.ა. ზაკატოვის რეკომენდაციით საჭიროა დაცულ იქნეს შემდეგი სახის მოთხოვნები: 1. კითხვები უნდა იყოს ისე შედგენილი, რომ არასრულწლოვანს შეეძლოს აღქმა, პასუხობდეს მისი განვითარებისა და განათლების დონეს; 2. ის უნდა იყოს კონკრეტული, ეხებოდეს მხოლოდ ერთ კონკრეტულ გარემოებას, ლაკონური და არ უნდა ინვედეს ორაზროვანი მოსაზრებების ჩამოყალიბებას. 3. აუცილებელია ისეთი კითხვებისათვის გვერდის ავლა, რომელზედაც შესაძლებელია სავარაუდო პასუხი. 4. კითხვამ უნდა გამოიწვიოს დასაკითხ არასრულწლოვანში ინიციატივა, დამოუკიდებელი აზრის ჩამოყალიბება და მხოლოდ ერთი კონკრეტული პასუხის გაცემა (მაგალითად, კი, არა, შესაძლებელია, შეუძლებელია, რა თქმა უნდა და ა.შ.). 5. კითხვა არ უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, რომელიც არასრულწლოვანმა შეიძლება გამოიყენოს პასუხისთვის; 6. წინასწარ უნდა განსაზღვროს, როგორი თანმიმდევრობით უნდა მოხდეს კითხვების დასმა, ისე, რომ ერთი კითხვა გამომდინარეობდეს მეორისაგან, ხოლო მთელი დაკითხვა კი ატარებდეს თვალნათელ ლოგიკურ სტრუქტურულ ხასიათს; 7. კითხვები უნდა იყოს პირდაპირ და ზუსტად დასმული, იმისათვის, რომ არასრულწლოვანი დასაკითხი არ დაიბნეს აღნიშნულ გაურკვევლობაში.<sup>11</sup> დაკითხვის გეგმის შემუშავებისას აუცილებლად უნდა იქნეს გათ-

<sup>10</sup> Руководство для следователей/метод.пособие/под ред. В.А.Селиванова. М.,1993. -с 321.

<sup>11</sup> Закатов А.А. Психологические особенности тактики производства след.действий с участием несовершеннолетних. Волгоград., 1979. 26-27.

ვალისწინებული უფრო ოპტიმალური ტაქტიკური ხერხები და მათი გამოყენების თანმიმდევრობა. ტაქტიკური მეთოდების გამოყენება დაკითხვის პროცესში ეფექტურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შერჩეულია კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, თუ ისინი მიზანმიმართულია და დამკითხავი პირი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ამ ტაქტიკური ხერხების გამოყენებით შესაძლებელია დადებითი შედეგის მიღება.<sup>12</sup> აღნიშნულის მიღწევა კი ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარების გარეშე შეუძლებელია. ფსიქოლოგიური კონტაქტი საგამოძიებო პრაქტიკაში – ეს არის გამოძიებლის არსებითი ხასიათის ურთიერთობა პროცესის მონაწილეებთან, რომელიც ხასიათდება გამოძიებლის მისწრაფებით, მხარი დაუჭიროს ურთიერთობას სამართლიანი, სრული და სანდო ჩვენების მიღების მიზნით, რომელსაც კავშირი აქვს საქმესთან. კონტაქტი არასრულწლოვანსა და გამოძიებელს შორის ატარებს ცალმხრივ ხასიათს, იმდენად, რამდენადაც გამოძიებელი ისწრაფვის მიიღოს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია, თუმცა თვითონ გარკვეულ ეტაპამდე მაღავს იმ ინფორმაციას, რომელსაც ფლობს საქმესთან დაკავშირებით. არსებობს მოსაზრება, რომელიც ახასიათებს ფსიქოლოგიურ კონტაქტს, „ისეთი ურთიერთგაგების ჩამოყალიბების შესახებ, რომელიც ეფუძნება ურთიერთგაგებასა და ნდობას“, ან „საქმიანი გარემო სიტუაციის შექმნას, რომელის თანახმადაც დამკითხავი პირი მზად არის შეატყობინოს დასაკითხს საქმის არსებითი გარემოებების შესახებ“. ფსიქოლოგიური კონტაქტი – გარკვეულწილად კეთილსასურველი ფსიქოლოგიური გარემოა, რომელიც ხელს უწყობს ურთიერთგაგებასა და დამოკიდებულებას, ეს არის განსაზღვრული „განწყობა“ ურთიერთობაზე. მეცნიერთა გარკვეული ნაწილი, მაგალითად, ფსიქოლოგიური კონტაქტის გამოყენების შესაძლებლობას დაკითხვის ცალკეულ სტადიაზეც კი განიხილავს.

ტაქტიკური ხერხები, რომლებიც მიმართულია დასაკითხთან ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარებაზე, დაფუძნებულია ფსიქოლოგიური მონაცემების, ლოგიკისა და სხვა მეცნიერების მიღწევებზე. პროფ. ვ.გ. ლუკაშევიჩი გვთავაზობს დაკითხვის დროს ფსიქოლოგიური კონტაქტის დასამყარებელ 9 მნიშვნელოვან საშუალებას:

1. არასრულწლოვნისათვის შესაბამისი პირობების შექმნა;
2. კორექტული დამოკიდებულება;
3. კეთილგანწყობის დემონსტრაცია;
4. დემონსტრაცია იმისა, რომ მას აქვს სურვილი ბოლომდე მოუსმინოს, ხმის აწვევის გარეშე;
5. დასაკითხისათვის მნიშვნელოვან საკითხზე საუბრის დაწყება;
6. ლოგიკური აზროვნებისკენ მიმართვა;
7. დაკითხვის მიზნისა და ამოცანების განმარტება;
8. ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც აღვივებს დაკითხვისა და მისი შედეგისადმი ინტერესს;<sup>13</sup> დასაკითხთან ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარების პროცესი დამოკიდებულია ძირითადად დაკითხვის/გამოკითხვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირზე, მის პროფესიულ მომზადებაზე, ავტორიტეტულობის ხარისხსა და ზოგიერთ სხვა გარემოებაზე.

დაკითხვის პროცესში ასევე მნიშვნელოვანია დასაკითხზე ზემოქმედების ზომებისა და დაკითხვის ზოგადი ტაქტიკური ხერხების გამოყენება, რომელიც ხელს უწყობს სწორი ჩვენების მიღებას. ამ მიზნით კი მნიშვნელოვანია დაკითხვის პროცესში აქტიურობა, მიზანსწრაფულობა, ასევე ობიექტურობისა და სისრულის დაცვა. დაკითხვის აქტუალობა მდგომარეობს იმაში, რომ გამოძიებელმა მყარად უზრუნველყოს და თავის ხელში აიღოს დაკითხვის მიმდინარეობის მთელი პროცესი, გამოიყენოს ყველა საჭირო ტაქტიკური ხერხი და მკაცრად დაიცვას კანონის მოთხოვნები.

არასრულწლოვან პირებთან დაკავშირებით, რომლებიც მიმართულნი არის ჩვენების მიცემისას სიმართლის დამალვისკენ, აუცილებელია გადაჭრითი, მკაცრი მიდგომა. გამოძიებელმა უნდა გამოიყენოს ყველა მის ხელთ არსებული კანონიერი საშუალება იმისათვის, რომ მიიღოს სწორი ჩვენება და მხოლოდ უბრალოდ ფაქტის აღმრიცხველებად არ მოგვევლინოს. დაკითხვის მიზანმიმართულება ნიშნავს მის ჩატარებას წინასწარ განსაზღვრული, კარგად მოფიქრებული

<sup>12</sup> Коновалова В.Е. Допрос как информационный процесс. Харьков, 1980, 132

<sup>13</sup> Лукашевич В.Г. Тактика общения следователя с участниками отдельных следственных действий. Киев, 1989, 42-43..

გეგმის საფუძველზე, იმისათვის, რომ მიღებულ იქნეს არა ყოველგვარი, არამედ, მხოლოდ განსაზღვრული სახის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია. მიზანსწრაფულობა უზრუნველყოფს გამოძიებელში მყარ წარმოდგენას დაკითხვის პროცესზე, დასახული მიზნის მიღწევას და იმის შესაძლებლობას, რომ ამ მიზნით გამოყენებულ იქნეს დაკითხვის შესაბამისი საშუალებები და ხერხები.

დაკითხვის ობიექტურობა და სისრულე გამოიხატება იმაში, რომ გამოძიებელს არ აქვს უფლება თავისი მოსაზრებისამებრ მოახდინოს მიღებული ჩვენების ინტერპრეტაცია, შეცვალოს ან გამოთქვას მოსაზრება არასრულწლოვანი დასაკითხის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე. ამ მიზნით აუცილებელია დამაზუსტებელი კითხვების სწორად დასმა, სისრულისთვის კი ჩვენების შესაძლებლობისამებრ სიტყვასიტყვით გადმოცემა. ყველა ტაქტიკური ხერხი, რომელიც მიმართულია არასრულწლოვნის მეხსიერებაში დარჩენილი მოვლენების გასახსენებლად, ფსიქოლოგიური კონტაქტის დასამყარებლად და სიცრუის გამოსააშკარავებლად, შეიძლება დავეყოს შემდეგი სახის ტაქტიკურ ხერხებად: 1. დაკითხვა ასოციაციური კავშირების გამოყენებით; 2. დაკითხვა ადგილზე; 3. განმეორებითი დაკითხვა მხოლოდ გარკვეული სახის გარემოებების წრის გათვალისწინებით,<sup>14</sup> აღნიშნული კი ეფუძნება ასოციაციური კავშირების გამოყენებას და იგი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მეხსიერების „გამოცოცხლებაზე“. ამ გზით, ტაქტიკური ხერხების სისტემა, რომელიც მიმართულია მეხსიერების აქტუალიზაციისაკენ, მოიცავს: 1. გასახსენებელი კითხვების დასმას; 2. ნივთიერი მტკიცებულებების წარდგენას; 3. სხვა მატერიალური ინფორმაციის დემონსტრაციას; 4. დასაკითხის გონებრივი შესაძლებლობების გამოყენებას.

მტკიცებულებათა დემონსტრირებასთან საკმაოდ ახლოს არის ისეთი ხერხი, როგორცაა არასრულწლოვანი დასაკითხი მონმისათვის მატერიალიზებული ინფორმაციის წარდგენა იმისათვის, რომ მას გავუნოთ დახმარება დავინყებელი ინფორმაციის აქტივიზაციაში. არასრულწლოვანი მონმის დაკითხვისას ასევე წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული სხვადასხვა სახის ფოტოსურათის, ნახატის, სქემისა და ა.შ. წარდგენა.

რაც შეეხება სხვა პირების ჩვენების წარდგენას დასაკითხი პირისათვის, ისეთი ტაქტიკური ხერხია, რომელიც ხელს უწყობს გარკვეულ შემთხვევაში შთაგონებას და თუ სწორად არ იქნება გამოყენებული, დიდია იმისი ალბათობა, რომ დასაკითხი პირი შეცდომაში შევიდეს და ფანტაზიას მიმართოს.

შემდეგი სახის ტაქტიკური ხერხი, რომელსაც გააჩნია არსებითი მნიშვნელობა ფსიქოლოგიური კონტაქტის დასამყარებლად, არის სხვადასხვა მისთვის აქტუალურ თემაზე გასაუბრება. მნიშვნელოვანია ამ კუთხით გამოძიებლის მხრიდან სწორი თემის შერჩევა, რაც განისაზღვრება არასრულწლოვანი დასაკითხის ინტერესებითა და განვითარების დონით. ასეთი სახის საუბრები იძლევა შესაძლებლობას შეცვალოს დასაკითხის ფსიქიკური განწყობა, მოახდინოს დადებითი გავლენა გაურკვეველობაში მყოფ დასაკითხზე. დასაკითხი არ უნდა გრძნობდეს, რომ ის შეგნებულად მიჰყავთ წინასწარ დაგეგმილ საუბრამდე.

რაც შეეხება პასუხისმგებლობის გარდუვალობის მტკიცებას, როგორც ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ტაქტიკურ ხერხს, იგი საკმაოდ აქტუალურია არასრულწლოვან დაზარალებულთან მიმართებაში. ასეთი სახის ტაქტიკური ხერხის გამოყენების მიზანი მდგომარეობს იმ შიშის თავიდან აცილებაში, რომელიც დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ გააჩნია. აღნიშნული კი მარტივად მიღწევადია, თუ მას განვუმარტავთ, რომ დამნაშავის დაკავება, დაპატიმრება და მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა გარდუვალია. ასევე მოხდეს დასაკითხი არასრულწლოვანი მონმის დადებითი მხარეების სათანადოდ შეფასება, რომელიც წარმოადგენს ეფექტურ ტაქტიკურ ხერხს, არის მასტიმულირებელი საშუალება დაკითხვის პროცესში შესაბამისი ფსიქოლოგიური კონტაქტის დასამყარებლად.<sup>15</sup>

ყველაზე მნიშვნელოვანი ტაქტიკური ხერხი, რომელიც ასტიმულირებს დაკითხვის პროცეს-

<sup>14</sup> Белкин Р.С. Тактика допрос/Криминалистика / под. ред Р.С.Белкина, Б.А.Викторова. М., 1985, 313-315.

<sup>15</sup> Ратинов А.Р., Ефимова Н.И. Психология допроса обвиняемого. М., 198, 66.

ში ურთიერთობის აუცილებლობა, არის არასრულწლოვანი მოწმის დარწმუნება, დაეხმაროს გამოძიების ორგანოებს დანაშაულის გამოძიებასა და გახსნაში. არასრულწლოვან დასაკითხს უნდა განემარტოს, რომ მისი უარყოფითი პასუხებიც კი არანაკლებ მნიშვნელოვანია და დიდ დახმარებას გაუწევს გამოძიებას<sup>16</sup> (მაგალითად, ვერ დაინახა რაიმე ფაქტი, ან ადგილი არ ჰქონია რაიმე გარემოებას).

კიდევ ერთი ტაქტიკური ხერხი ფსიქოლოგიური კონტაქტის დასამყარებლად არის დასაკითხისთვის დანაშაულის ჩადენის შედეგების შესახებ ან მათი კვლავ წარმოშობის შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. მოცემული ხერხის გამოყენება მართებული იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც არასრულწლოვანი მოწმე არ არის მზად ან არ სურს მიაწოდოს ინფორმაცია დანაშაულის ჩადენის შესახებ. ასეთი ტიპის განმარტება, როგორც წესი, ხელს უწყობს არასრულწლოვან მოწმეს შეექმნას მოტივაცია, კონტაქტი დაამყაროს გამოძიებელთან.

ამ გზით, ზემოთ ჩამოთვლილი ტაქტიკური ხერხები დასაკითხ პირებს დაეხმარება მეხსიერების აქტუალიზაციასა და დავინწყებული ინფორმაციის აღდგენაში, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს დანაშაულის გამოძიებასა და საქმეზე არსებული ფაქტობრივი გარემოებების დადგენაში.

<sup>16</sup> Коченов М.М., Осипова Н.Р. Психология допроса малолетних свидетелей. М., 1984, 24.



# არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში არსებული პრევენციის დონეები და შერჩეული ინტერვენციების ეფექტურობა

ირინე ხერხეულიძე

სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი

## შესავალი

ბავშვთა ჭეშმარიტ ინტერესებსა და მათ კეთილდღეობაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სისტემის დანერგვა საქართველოს მთავრობამ პრიორიტეტად დაისახა და შექმნა კიდევ მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენციის პრინციპებსა და ნორმებს, არასრულწლოვანთა დელინქენტობის პრევენციის სახელმძღვანელო პრინციპებს, არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ მინიმალურ სტანდარტებს, თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ გაეროს წესებს, ასევე ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპებს ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების შესახებ და სხვა მნიშვნელოვან საერთაშორისო თუ რეგიონულ ინსტრუმენტს.<sup>1</sup>

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემისა და შესაბამისი კოდექსის შექმნის კვალდაკვალ, საქართველო თანმიმდევრულად ახორციელებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფართო პოლიტიკას, მათ შორის, ამ პოლიტიკის შემადგენელ ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტზე აქცენტის გაკეთებით, როგორც არის **არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია**. საქართველოს ამ მიმართებით აღებული კურსი განსაკუთრებით საგულისხმოა, ვინაიდან, როგორც **ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №10 აღნიშნავს: „არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციის ზომების არარსებობა** არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკის სერიოზული ხარვეზია და მონაწილე სახელმწიფოებმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ეროვნულ პოლიტიკაში უნდა მოახდინონ გაეროს არასრულწლოვანთა დელინქენტობის პრევენციის სახელმძღვანელო პრინციპებს (რიადის პრინციპების) ინტეგრირება“.<sup>2</sup>

რიადის პრინციპების მოთხოვნით, აქცენტი უნდა გაკეთდეს პრევენციის პოლიტიკაზე, რომელიც ხელს შეუწყობს ყველა ბავშვის წარმატებულ სოციალიზაციასა და ინტეგრაციას, კერძოდ, ოჯახის, საზოგადოების, თანატოლთა ჯგუფების, სკოლების, პროფესიული მომზადების ცენტრებისა და სამსახურის, აგრეთვე ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მეშვეობით. პრევენციის პროგრამებში გათვალისწინებული უნდა იყოს განსაკუთრებით დაუცველი ოჯახების მხარდაჭერა და სკოლების მონაწილეობა ძირითადი ფასეულობების სწავლებაში, მათ შორის ბავშვებისა და მშობლების კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში. ოჯახების დახმარების ზომები არა მხოლოდ ნეგატიური სიტუაციების პრევენციაზე უნდა იყოს მიმართული, არამედ, და კიდევ უფრო მეტადაც კი, მშობლების სოციალური პოტენ-

<sup>1</sup> 2015 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის სტრატეგია.

<sup>2</sup> ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №10 (2007), პუნქტი 17.

ციალის გაღრმავებაზე.<sup>3</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ქეროლინ ჰამილტონი გვანჯდის ხედვას იმის თაობაზე, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა არ შეიცავს არც პირველად (ანუ საყოველთაო), და არც მეორეულ (ანუ მიზნობრივ) პრევენციის პროგრამებს ბავშვების მიერ დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის შემცირებისათვის, არამედ სანაცვლოდ, იგი ითვალისწინებს მესამეულ პრევენციას, ანუ ინტერვენციას პროცესის განმავლობაში (დაპატიმრების მომენტიდან), რაც მიზნად ისახავს განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილებას<sup>4</sup> და რომ, შესაბამისად, „პრევენციის სტრატეგიები არ განეკუთვნება (არასრულწლოვანთა) მართლმსაჯულების სისტემის მანდატსა და პასუხისმგებლობას,<sup>5</sup> – ხაზგასმით უნდა აღინიშნოს №10 ზოგად კომენტარში მოცემული აუცილებლობა იმისა, რომ ისინი წარმოადგენდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ყოვლისმომცველი პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს. როგორც უკვე აღინიშნა, ბავშვის უფლებათა კომიტეტის მოთხოვნით სახელმწიფოებმა სრულად უნდა შეიტანონ რიადის პრინციპები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისადმი მიძღვნილ საკუთარ ყოვლისმომცველ პოლიტიკაში, ხოლო ეკონომიკური და სოციალური საბჭოს სახელმძღვანელო პრინციპები სისხლის სამართლის დანაშაულის პრევენციისათვის და მისი რეზოლუცია 2005/22 – „სისხლის სამართლის დანაშაულის ეფექტიანი პრევენციის ხელშემწყობი მოქმედებები“ – სახელმწიფოებს აძლევს პრევენციის მდგრადი სტრატეგიის ამოქმედების რეკომენდაციას.<sup>6</sup>

## 1. საქართველოს გამოცდილება არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მიმართებით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფართო პოლიტიკის ფარგლებში

საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციების ფონზე აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებამდე, 2015 წლის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგიით გათვალისწინებულ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის ფარგლებში, ისევე როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის 2016-2020 წლების სამოქმედო გეგმაში, საქართველოს მთავრობის ძირითადი პრიორიტეტია არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია და ინდივიდუალური სარეაბილიტაციო პროგრამების საშუალებით რეციდივის დონის შემცირება.<sup>7</sup> თავად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის სტრატეგიის სამიზნე ჯგუფთა ჩამონათვალში პირდაპირ არის მითითებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს მიუღწეველ არასრულწლოვნებზე, როგორც პრევენციული პროგრამების სამიზნე ჯგუფზე. ასევე სტრატეგიის პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა დანაშაულის/სამართალდარღვევის პრევენცია.<sup>8</sup>

გარდა ამისა, კონსოლიდირებულ დოკუმენტში, 2015 წლის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგიაში ცაკლე, გამოკვეთილად ჩამოყალიბდა მოთხოვნა როგორც პოლიციის, ისე პროკურატურის მიერ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კუთხით პრევენციული და იმგვარი ღონისძიებების გატარების აუცილებლობის შესახებ, რაც მორგებული იქნება „ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესზე“.<sup>9</sup>

<sup>3</sup> ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №10 (2007), პუნქტი 19.

<sup>4</sup> ჰამილტონი ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ბავშვთა სამართლებრივი ცენტრი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი („იუნისეფი“), ბავშვთა დაცვის განყოფილება, ნიუ-იორკი, 2011, გვ.19.

<sup>5</sup> იქვე გვ. 20.

<sup>6</sup> იქვე გვ. 20.

<sup>7</sup> 2015 წლის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია.

<sup>8</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის 2016-2020 წლების სამოქმედო გეგმაში, 2015 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის სტრატეგია.

<sup>9</sup> 2015 წლის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია.

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის განახლებული, 2016 წლის სტრატეგია ისევ და ისევ იმეორებს ქვეყნის მიერ არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის კუთხით აღებულ კურსს და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს მიუღწევად არასრულწლოვნებს პრევენციული პროგრამების სამიზნე ჯგუფად მოიაზრებს, ისევე როგორც სტრატეგიის მიზნის მისაღწევად რეფორმა მის პრიორიტეტულ მიმართულებად დანაშაულის/სამართალდარღვევის პრევენციას ასახელებს.<sup>10</sup>

ამდენად, დანაშაულის პრევენციასა და სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარების კუთხით მუშაობამ ქვეყნის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირების ფარგლებში განსაკუთრებული სერიოზულობა და დატვირთვა შეიძინა. აღნიშნული ნაბიჯების ქმედითად გადასადგმელად 2015-2017 წლების არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმაში, სახელდებით გაიწერა როგორც მისი მიზნები და შედეგები, ასევე სამიზნე ჯგუფები, შერჩეული ღონისძიებები, შეფასების ინდიკატორები და პასუხისმგებელი უწყებები. ბუნებრივია, ეს ყველაფერი უნდა განხორციელდეს იმის გათვალისწინებით, რომ ეფექტიანი პრევენციული პოლიტიკის იმპლემენტაცია საჭიროებს სამთავრობო, არასამთავრობო და კერძო სექტორის, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების ერთობლივ ძალისხმევას.

ზოგადად, ის საკითხი, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია წარმოადგენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მნიშვნელოვან კომპონენტს, აღიარებულია არა მარტო საერთაშორისო გამოცდილებით, არამედ, ასევე, ცალსახად ჩანს **საქართველოს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიაშიც**, რომელიც პირველად 2011 წელს შემუშავდა სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისი საბჭოს მიერ და ამავე წელს დამტკიცდა საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ეფექტური და სწრაფი რეფორმირების კვალდაკვალ. მიღწეული შედეგებისა და ახალი გამოწვევების გათვალისწინებით არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია 2015 წლის დასაწყისში განახლდა. აღნიშნული დოკუმენტის არსებობა საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, რამდენადაც იგი: „ქმნის არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ეროვნულ ჩარჩოს და ასახავს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის პრინციპებსა და ნორმებს, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტანდარტებს, მათ შორის, გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებს არასრულწლოვანთა დელინქენტური ქცევის პრევენციის შესახებ, გაეროს მინიმალურ სტანდარტულ წესებს არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ და სხვა სტანდარტებს“.<sup>11</sup>

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა საბოლოოდ განახლდა 2016 წელს. იგი შესაბამისობაშია რიადის წესების მე-9 წესის მოთხოვნებთან, რომლის მიხედვითაც არასრულწლოვანთა დანაშაულის აღკვეთის ამომწურავი გეგმები მთავრობის ყველა დონეზე უნდა იქნეს შემუშავებული და მოიცავდეს გარკვეულ ასპექტებს. საკითხის კვლევის, პოლიტიკის განვითარებისა და კოორდინაციის მიმართულებით ასევე გათვალისწინებულია რიადის წესების მე-60-63-ე წესები.

სტრატეგიის მიზნების მისაღწევად, აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში დანერგულია მთელი რიგი პრევენციული პროგრამები. ამ მხრივ აღსანიშნავია, იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს მთავარი პროკურატურის და სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ შემუშავებული პროექტები. პრევენციული პროგრამების დანერგვის კუთხით აქტიურ როლს ასრულებს ასევე შინაგან საქმეთა სამინისტრო, საყურადღებოა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უსაფრთხო სკოლის პროგრამა.

მნიშვნელოვანია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ მიღწეული შედეგები არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენის პრევენციის მიმართულებით. ცალკე უნდა აღინიშნოს ასევე შრომის, ჯანმრთ-

<sup>10</sup> 2016 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის სტრატეგია.

<sup>11</sup> 2015 და 2016 წლების არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის სტრატეგია.

ელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დანერგილი ბავშვზე ზრუნვის პროგრამები. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო აგრეთვე ახორციელებს სხვადასხვა პრევენციულ პროგრამებს. არასრულწლოვანთა დანაშაულის ეფექტიანი პრევენციისათვის მნიშვნელოვანია არსებობდეს **პრევენციული პროგრამების მრავალფეროვნება**, ხოლო მათი იმპლემენტაცია უნდა იყოს თანმიმდევრული. ამასთანავე, პრევენციული პროგრამების დაგეგმვისას საჭიროა არსებული შეზღუდული რესურსის სწორად და შედეგიანად გამოყენება და ისეთი პროგრამების წამოწყება, რომელთა წარმატებაც დადასტურებული და გარანტირებულია შესაბამისი კვლევებითა და საერთაშორისო გამოცდილებით.

ამ კონტექსტში ხაზი უნდა გაესვას არსებული პრევენციული პროგრამების **შეფასების სისტემის** საჭიროებას, რაც განმსაზღვრელია პრევენციული პოლიტიკის ეფექტიანი და თანმიმდევრული განვითარებისათვის. ამასთანავე, შეფასების მექანიზმი უზრუნველყოფს შეზღუდული რესურსის დაზოგვასა და მის გამოყენებას მხოლოდ ეფექტიან პრევენციულ პროგრამებში.<sup>12</sup>

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე სტატია წარმოადგენს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მიზნით **შერჩეული ინტერვენციების ეფექტურობის საკითხის შეფასების** ერთ-ერთ პირველ მცდელობას ქართულ სამეცნიერო-სამართლებრივ სივრცეში **საერთაშორისო გამოცდილების ფონზე, განსაკუთრებით კი იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ** პრევენციული პროგრამების შეფასების კრიტერიუმების შემუშავების მიზნით 2016 წლისათვის შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ პრევენციული პროგრამების ეფექტიანობის შეფასების კონცეფციის შემუშავება და დამტკიცება სამომავლოდ, 2017-2018 წლებში არის დაგეგმილი.<sup>13</sup>

## 2. პრევენციის დონეების საერთაშორისო გაგება და დანაშაულის რისკ-ფაქტორებთან მათი კორელაციის საკითხი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ პრევენციული პოლიტიკა უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა წარმატებულ რესოციალიზაციას და ემსახურება მთელი საზოგადოების უსაფრთხოებას. ამასთან, ამ პოლიტიკის ეფექტურობის შეფასება და შესაბამისად, გამართლებული და წარმატებული ინტერვენციის განხორციელება არსებული პრევენციული პროგრამების **შეფასებასა და ანალიტიკულ კვლევას საჭიროებს.**

სწორედ აქ ვლინდება იმ პრევენციული პროგრამების განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომლებიც განისაზღვრება დანაშაულის ჩადენის რისკ-ფაქტორების მიხედვით და ეხება რისკის ქვეშ და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებს, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ ზრუნვასა და მიდგომებს. ბუნებრივია, საკითხის ასეთი ხედვა და მიდგომა, თავის მხრივ, მოითხოვს დელინქენტურობის პრევენციის სხვადასხვა დონის განსაზღვრას. მაგალითად, აშშ-ის გამოცდილებით, რომელიც აღიარებულია ზოგადადაც, მიუთითებენ პრევენციის სამ დონეზე: **პირველადი პრევენცია** მიმართულია ფიზიკურ და სოციალურ გარემოში არსებული პირობების მოდიფიცირებისკენ ფართო გაგებით; **მეორადი პრევენცია** მიმართულია კრიმინოგენულ გარემოებებში მყოფი ინდივიდების ან ჯგუფების ადრეულ იდენტიფიკაციაზე და მათ ცხოვრებასა და არსებობაში ადრეულ ინტერვენციაზე; **მესამე დონის** პრევენცია კი მიმართულია რეციდივის პრევენციაზე.<sup>14</sup>

საერთაშორისო გამოცდილებითაც, პრევენციაზე ორიენტირებულ პროგრამებს ხშირად მოიხსენიებენ როგორც პირველად, მეორეულ და მესამეულ დონეებზე მოქმედ პროგრამებს. მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემას მხოლოდ მესამეულ პროგრამებს მიაკუთვნებენ (პროგრამებს, რომლებიც გამიზნულია იმ ბავშვების მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის პრევენციაზე, ვინც აღიარა დანაშაული ან მსჯავრდებულია დანაშაულის

<sup>12</sup> 2016 წლების არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის სტრატეგია.

<sup>13</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის 2016-2020 წლების სამოქმედო გეგმა.

<sup>14</sup> Juvenile Justice in America, Bartollas Clemens, Miller Stuart J., second edition, 1998, Prentice Hall, Inc., p.256.

ჩადენაში), მაინც ძალზე მნიშვნელოვანია სოციალური დაცვის ფარგლებში პირველადი (ანუ საყოველთაო) და მეორეული (ანუ მიზნობრივი) პრევენციის პროგრამების შემუშავება. პირველად და მეორეულ პრევენციასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები სოციალური დაცვისა და ბავშვთა დაცვის კანონმდებლობაში უნდა შედიოდეს და არა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობაში.<sup>15</sup> თუმცა, ეს არ გულისხმობს, რომ ისინი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფართო პოლიტიკას მონყვეტილი ნაწილია. საქართველოს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ელემენტია. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ერთიანი პოლიტიკის, სტრატეგიისა და დანაშაულის პრევენციის კოორდინაციას ახორციელებს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“. იგი ხორციელდება მრავალი უწყების ერთობლივი ძალისხმევით, მულტიდისციპლინური მიდგომისა და სამთავრობო, სამოქალაქო და კერძო სექტორს შორის და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

თავისი არსით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა კომპლექსურია და აერთიანებს სხვადასხვა ისეთ სამთავრობო სტრუქტურას, სააგენტოს, უწყებას, ორგანიზაციასა და დაწესებულებას, როგორცაა პოლიცია, პროკურატურა, ადვოკატურა, სასამართლო, სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, პრობაციის სამსახურები, სასჯელაღსრულების დაწესებულებები, განთავისუფლების შემდგომი ზრუნვის ორგანოები და საზოგადოებრივი არასამთავრობო ორგანიზაციები.<sup>16</sup>

ზემოთ ხსენებული პრევენციის დონეებზე დაყოფის საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, საქართველოს **არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიაშიც** მოცემული გვაქვს სამიზნე ჯგუფი პრობლემის განვითარების სტადიის მიხედვით და პრევენციული პროგრამებიც იმავე მაჩვენებელზე დაყრდნობით არის დაყოფილი. შედეგად მივიღეთ: (ა) **პირველადი/ადრეული** პრევენცია, რომელიც მიმართულია ყველა არასრულწლოვანზე; (ბ) **მეორე დონის პრევენცია**, რომელიც ორიენტირებულია დანაშაულის რისკის ქვეშ მყოფ არასრულწლოვნებზე და უზრუნველყოფს დანაშაულის გამომწვევი რისკ-ფაქტორების შემცირებას. მეორე დონის პრევენციის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია რისკის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნების სათანადო იდენტიფიცირებისა და ეფექტიანი რეფერალური მექანიზმის შემუშავება; და (გ) **მესამე დონის პრევენცია**, რომელიც განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილებას, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა გამოსწორებას, მსჯავრდებულთა რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციას ისახავს მიზნად.<sup>17</sup>

არასრულწლოვანთა დელინქენტურობის მხოლოდ პრევენციის დონეების დადგენა, ცხადია, არაა საკმარისი ელემენტი დანაშაულის თუ დევიაციური ქცევის თავიდან აცილების თვალსაზრისით. იგი არის მხოლოდ ბასიზი, საფუძველი იმის დასადგენად, თუ რომელი კონკრეტული პროგრამა რა ერთობლივი მახასიათებლების საშუალებებით იდენტიფიცირებად ჯგუფს უნდა შეეხოს.

შესაბამისად, აღნიშნული დონეების განსაზღვრის შემდეგ, მსოფლიო მასშტაბით ჩატარებული კვლევების საფუძველზე უნდა შეფასდეს არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენის რისკისა და მისგან დამცავი ფაქტორები, რაც განმსაზღვრელი იქნება ეფექტური პრევენციული ჩარევის საშუალებების დასადგენად. ამასთან, შეფასება უნდა მოხდეს არა რომელიმე ცალკეულ, იზოლირებულ ფაქტორზე დაყრდნობით, არამედ გათვალისწინებულ უნდა იქნას ამ ფაქტორების კუმულაციური ეფექტი.<sup>18</sup> რისკისა და მისგან დამცავი ფაქტორების ერთობლივი შეფასება საშუალებას იძლევა განისაზღვროს, რა მაჩვენებლებს უკავშირდება პრევენციის საშუალებების შერჩევა.

<sup>15</sup> ჰამილტონი ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ბავშვთა სამართლებრივი ცენტრი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი („იუნისეფი“), ბავშვთა დაცვის განყოფილება, ნიუ-იორკი, 2011, გვ. 20.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 19.

<sup>17</sup> 2015 წლის არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია.

<sup>18</sup> Caeti, Tory J., and Eric J. Fritsch. "At-Risk Youth." Encyclopedia of Juvenile Justice. Ed. . Thousand Oaks, CA: SAGE, 2002. 22-28. SAGE Reference Online. Web. 22 Feb. 2012; Browning, K., and R. Loeber, Highlights of Findings From the Pittsburgh Youth Study Series. Washington, DC: Office of Juvenile Justice and Delinquency Prevention, 1999.

გარდა ამისა, ასევე უნდა შეფასდეს ინტერვენციის დრულობა, ხარისხი, პროპორციულობა და ადეკვატური ინტერვენციის შესაბამისი პროგრამები. თუმცა, ცხადია, რომ რისკისა და მისგან დამცავი ფაქტორებისა და მათი მნიშვნელობის შესწავლა-გაანალიზება უცილობელ ფუნდამენტს წარმოადგენს ეფექტური ინტერვენციის განხორციელების თვალსაზრისით.

მაშასადამე, არასრულწლოვანთა დელინქენტურობაში ეფექტური პრევენციული ჩარევების შესაძლებლობების განსაზღვრა იმთავითვე ეფუძნება არასრულწლოვანთა დელინქენტობის რისკის და დამცავი ფაქტორების შესწავლას. მათი შესწავლა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც პრევენციაზე მიმართული ჩარევის მეთოდების შემუშავება სწორედ ამ სხვადასხვა სახის რისკისა და დამცავ ფაქტორებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს. ბავშვის ცხოვრებაში არასრულწლოვანის დელინქენტობის პრევენციამ შესაძლოა მნიშვნელოვანი სარგებელი მოიტანოს დანაშაულის მაჩვენებლების შემცირების თვალსაზრისით. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ბავშვის დახმარება დელინქენტური ქცევის შედეგების თავიდან აცილებაში, რაც კანონმორჩილი და პროდუქტიული ცხოვრების წესის შესაძლებლობების გაზრდით უნდა განხორციელდეს.

თავის მხრივ, არასრულწლოვანთა დელინქენტობის რისკისა და დაცვის ფაქტორების განსაზღვრა არ არის მარტივი პროცესი და მრავალი ასეთი ფაქტორის გამოვლენა რთული ამოცანაა. დელინქენტურობაში ეფექტური ინტერვენციის შესაბამისი პროგრამების შემუშავების სახარბიელო პერსპექტივიდან გამომდინარე, ბევრი მკვლევარი შეეცადა მიზნად დაესახა ყველაზე მეტად პრობლემური რისკ-ფაქტორებისა და ყველაზე მნიშვნელოვანი დამცავი ფაქტორების იდენტიფიკაცია. შედეგად, არსებობს რისკ-ფაქტორების სხვადასხვა სქემით კლასიფიკაციის დიდი რაოდენობა, მაგრამ გასათვალისწინებელია ის, რომ ბევრი იდენტიფიცირებული რისკ-ფაქტორი ხშირად არასრულწლოვანის კონტროლს მიღმაა (რასა, სქესი, სოციო-ეკონომიკური სტატუსი, სკოლა) და შესაბამისად, ინტერვენცია არ არის მარტივი. ამიტომ დიდი სიფრთხილით უნდა ჩატარდეს არამარტო (დელინქენტურობის) რისკ-ფაქტორების კვლევა, არამედ ასეთივე სიფრთხილით უნდა მოხდეს მისი ინტერპრეტაცია. აქამდე არსებულ არც ერთ კვლევას არ გაუცია გადაჭრით ნათელი პასუხი და არ განუსაზღვრავს კონკრეტული ფაქტორები, რომლებიც ინვევენ დელინქენტურობას ან ახდენენ მის პრევენციას. შესაბამისად, არ არსებობს რომელიმე ისეთი ფაქტორი, რომელიც აუცილებლობითა და გარდუვალად ინვევენ დელინქენტურობას ან ახდენდეს მის პრევენციას.<sup>19</sup> ამიტომ, საკითხში სიცხადის შესატანად ყურადღება უნდა მივაქციოთ ორ მომენტს: (1) მიუხედავად რისკ-ფაქტორებისა და დამცავი ფაქტორების გათვალისწინების არა აბსოლუტური სანდოობისა, ამ სფეროში ჩატარებული კვლევების უმრავლესობა შეიცავს ზოგად და მსგავს კატეგორიულ ჩარჩოს, რომლითაც იდენტიფიცირებულია ამგვარი ფაქტორები და (2) არასრულწლოვანთა დანაშაულის ეპიზოდურობას, ე.წ. ნორმალურობას და ყველგან გავრცელებულებას,<sup>20</sup> რაც საშუალებას იძლევა არასრულწლოვანთა დელინქენტურობის პრევენციის თვალსაზრისით ინტერვენციის საშუალებების შერჩევისას და განხორციელებისას აქცენტი გაკეთდეს მხოლოდ მაღალი რისკის შემცველ შემთხვევებზე.

მრავალფეროვანი რისკ-ფაქტორებიდან, რომლებიც ასოცირდება არასრულწლოვანთა დანაშაულთან, ფოკუსირება უნდა მოხდეს რამდენიმე ყველაზე მნიშვნელოვან და ზოგად ფაქტორზე, როგორცაა:

### **1) ინდივიდუალური, ანუ პერსონალური რისკ-ფაქტორები, მათ შორის:**

იმპულსურობა, ჰიპერაქტიურობა, აგრესიულობა, ცუდი კოგნიტური განვითარება და დაბალი ინტელექტუალური შესაძლებლობები, ასევე ბილოგიური და გენეტიკური ფაქტორები, როგორცაა რასა, ეთნიკურობა, სქესი და ასაკი.

### **2) სოციალური რისკ-ფაქტორები, როგორცაა: ოჯახი და თანატოლები.**

<sup>19</sup> Caeti, Tory J., and Eric J. Fritsch, "At-Risk Youth," Encyclopedia of Juvenile Justice, Ed., Thousand Oaks, CA: SAGE, 2002. 22-28. SAGE Reference Online. Web. 22 Feb. 2012.

<sup>20</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბ., ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, გვ. 16-18.

ოჯახურ ფაქტორთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია: შესუსტებული კავშირი მშობლებთან<sup>21</sup>, მშობლების ზედამხედველობის არარსებობა, ბავშვის აღზრდაზე უარი, ბავშვების მიმართ ცუდი მოპყრობა; საშუალო და ნაკლები სიძლიერის ოჯახური ფაქტორებია: განქორწინება, მშობლების კრიმინალურობა, აღზრდის დისციპლინის უქონლობა ან მშობლების არარსებობა.<sup>22</sup> ოჯახური ფაქტორები, რომლებიც ჩვეულებისამებრ შეისწავლება არასრულწლოვანთა დანაშაულის ასახვ-ნელად, ასევე მოიცავს ოჯახის სტრუქტურას (დანგრეული ოჯახი, მარტოხელა მშობლის ოჯახი, დიდი ოჯახი)<sup>23</sup> და ოჯახის ფუნქციონირებას (როგორ ექცევიან ოჯახის წევრები ერთმანეთს).<sup>24</sup>

თანატოლების საკითხთან მიმართებით მნიშვნელოვანია დევიაციური ქცევის მქონე თანატოლებთან ურთიერთობა, ვინაიდან დელინქვენტურობის პროგნოზირების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მაჩვენებელი ასოცირდება დელინქვენტი თანატოლების წრესთან. სათერლენდის 1947 წლის **დიფერენციალური კავშირის თეორიიდან** გამომდინარე, დელინქვენტური ხასიათის შესწავლა ხდება თანატოლებთან სოციალურ ურთიერთობებში. არასრულწლოვანები, რომლებიც დაკავშირებული არიან დელინქვენტ თანატოლებთან, სავარაუდოდ, დაარღვევენ კანონს, რადგან ისინი ისეთ შეხედულებებს სწავლობენ მათგან, რომელიც მისაღები და მოსაწონი იქნება მათი დელინქვენტი თანატოლების მიერ. აკერსის 1985 წლის **სოციალური სწავლების თეორია** უფრო განავრცობს და აფართოებს დიფერენციალური კავშირის თეორიას იმის მტკიცებით, რომ დელინქვენტურობის მიზეზები გამომდინარეობს არა მარტო ნასწავლი შეხედულებებიდან, არამედ, ასევე, დელინქვენტურ ქცევაზე იძულებითი ზეგავლენითაც, რომელშიც იგულისხმება ჯილდო ან დასჯა და რომელიც, ასევე ხორციელდება სხვისი საქციელის მოდელირებით ან იმიტაციით.<sup>25</sup>

ერთ-ერთი ლონგიტუდინალური (სიგრძივი) კვლევა გადმოსცემს, რომ ანტისოციალური ქცევის მიმდევარ თანატოლთა წრეში ჩართულობა ერთადერთი მაჩვენებელია, რომელსაც პირდაპირი და უფრო ძლიერი გავლენა აქვს მოზარდის შემდგომ დელინქვენტურ ქცევაზე, ვიდრე მის თავდაპირველ დევიანტობას. დელინქვენტი თანატოლების ყოლა, მათთან მიჯაჭვულობა ან ალიანსი, ერთად გატარებული დრო და თანატოლთა მხრიდან ზენოლა დევიანტურობაზე – ასოცირებულია მოზარდთა ანტისოციალურ ქცევასთან.<sup>26</sup> ბულინგის პრობლემაც სწორედ თანატოლების კუთხით წარმოდგენილ ფაქტორებს შორის უნდა იქნეს განხილული.

**3) საზოგადოებრივი რისკ-ფაქტორები**, რომელთაც შეიძლება მივაკუთვნოთ სოციალური კლასი, ეკოლოგიური გარემო და საგანმანათლებლო გარემო.

სოციალურ კლასთან, როგორც დელინქვენტურობასთან ასოცირებულ სავარაუდო ფაქტორთან მიმართებით, აშშ-ში ჩატარებულმა ერთ-ერთმა კვლევამ დაადგინა, რომ სტრუქტურულ პოზიციას, როგორც სოციალური კლასი და მაცხოვრებელთა საზოგადოებაა, მნიშვნელოვანი გავლენა აქვს დელინქვენტურობაზე. ბავშვები, რომლებიც უკიდურესად გაჭირვებული და მუდმივი სიღარიბის ქვეშ მყოფი ოჯახებიდან არიან, მეტად არიან ჩართული დელინქვენტურობაში, განსაკუთრებით კი სერიოზულ დელინქვენტურობაში. ასეთ გარემოში, ეკონომიკურ სიდუხჭირესა და სტრესული ცხოვრების მოვლენებს მივყავართ მშობლისა და შვილის ემოციური მიჯაჭვულო-

<sup>21</sup> Loeber R. and Stouthamer-Loeber M., Family Factors as Correlates and Predictors of Juvenile Conduct Problems and Delinquency, 1986, გვ. 29-149 in Crime and Justice: An annual review of research, Vol. 7, edited by Michael Tonry and Norval Morris, Chicago: University of Chicago Press;

<sup>22</sup> Caeti, Tory J., and Eric J. Fritsch, "At-Risk Youth," Encyclopedia of Juvenile Justice, Ed., Thousand Oaks, CA: SAGE, 2002. 22-28. SAGE Reference Online. Web. 22 Feb. 2012.

<sup>23</sup> <http://www.nap.edu/catalog/9747.html> , Juvenile Crimes, Juvenile Justice, Panel on Juvenile Crime: Prevention, Treatment, and Control, Committee on Law and Justice, and Board on Children, Youth, and Families, National Research Council, and Institute of Medicine, NATIONAL ACADEMY PRESS, Washington, DC, 2001, გვ. 75

<sup>24</sup> იქვე, გვ.78.

<sup>25</sup> John A. Winterdyk, Juvenile justice systems, international perspectives, published by Canadian Scholars' Press Inc., Toronto, Ontario, გვ.1997, გვ. 289-292.

<sup>26</sup> <http://www.nap.edu/catalog/9747.html> , Juvenile Crimes, Juvenile Justice, Panel on Juvenile Crime: Prevention, Treatment, and Control, Committee on Law and Justice, and Board on Children, Youth, and Families, National Research Council, and Institute of Medicine, NATIONAL ACADEMY PRESS, Washington, DC, 2001, გვ. 81.

ბის, მათი ჩართულობისა და არასრულწლოვანზე მშობელთა კონტროლის ნაკლებობამდე.<sup>27</sup>

ეკოლოგიურ გარემოში იგულისხმება არასრულწლოვანთათვის შესაძლებლობებსა და რესურსებზე ხელმისაწვდომობა მათი საცხოვრებელი ადგილიდან გამომდინარე. ბავშვებისთვის, რომლებიც იზრდებიან ისეთ სამეზობლოში, სადაც არის უმუშევრობის მაღალი ხარისხი, სიღარიბე და დანაშაული, – დანაშაულის ჩადენა შესაძლოა, იყოს მისაღები ალტერნატივა, რადგან სხვა შესაძლებლობის ნაკლებობაა. იმ ადგილებში, სადაც სიღარიბის დონე მაღალია, იარაღი და ნარკოტიკი ადვილად ხელმისაწვდომია, სრულწლოვანი მეზობლები ჩართული არიან დანაშაულში, და სოციალური ურთიერთობები დეორგანიზებულია, – დელინქენტურობის რისკი საკმაოდ მაღალია.<sup>28</sup>

საგანმანათლებლო გარემოში, ძირითადად სკოლა მოიაზრება. კერძოდ, სკოლის გაცდენის კოეფიციენტი, სკოლიდან გარიცხვა, აკადემიური წარუმატებლობა, სწავლის ნაკლები სურვილი, სუსტი კავშირი სკოლასთან – დელინქენტურობის მაჩვენებლებად არის მიჩნეული. ამასთან, სასკოლო დავალებების შესულების ხარისხი და მიღებული ნიშნები უკავშირდება როგორც დელინქენტურობის რისკ-ფაქტორს, ისე მისგან დამცავ ფაქტორს.<sup>29</sup>

გარდა სასკოლო დავალებების წარმატებით შესრულებისა, არასრულწლოვანთა შორის დამცავ ფაქტორებად მიჩნეულია: მშობლის ან მზრუნველი პირის არსებობა, მშობლის ჩართულობა მოზარდის განვითარებაში; თანატოლთა ისეთ ჯგუფში ჩართულობა, რომელიც აფასებს და ხელს უწყობს პროსოციალურ ქცევას და აკადემიურ წარმატებას; საქმიანობები, რომლებიც ხელს უწყობს გადამწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებასა და კრიტიკულ აზროვნებას.<sup>30</sup> დელინქენტურობის შემცირებაში წარმატების საუკეთესო მაჩვენებლებად პირობითად მიჩნეულია სტაბილური ოჯახი და მშობლების მხრიდან კარგი მონიტორინგის განხორციელება, პოზიტიური მოლოდინი მომავლისაგან და არადელინქენტი თანატოლები.

საკითხის საერთაშორისო აქტუალობის კვალდაკვალ არასრულწლოვანთა დანაშაულის რისკ-ფაქტორების კვლევას ჯეროვანი ყურადღება მიექცა ქართულ სივრცეშიც. 2015-2017 წლების არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმაში არასრულწლოვანთა დანაშაულის რისკ-ფაქტორების კვლევა სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზნად იქნა მითითებული შესაბამისი შედეგის მიღწევის გათვალისწინებითაც. დასახული მიზნის განსახორციელებლად 2015 წელს **არასრულწლოვანთა კანონსაწინააღმდეგო ქცევის ხელშემწყობი ფაქტორების თვისებრივი კვლევა** ჩატარდა თბილისის მასშტაბით. ამ **პილოტური კვლევის** მიზანი იყო არასრულწლოვანთა კანონსაწინააღმდეგო ქცევის ხელშემწყობი ფაქტორების იდენტიფიცირება საქართველოში. სხვა ძირითად საკითხებთან ერთად კვლევამ მოიცვა ისეთი გადაწყვეტი ფაქტორები, როგორიცაა:

- ოჯახის, სოციალური გარემოს, სკოლის ზეგავლენა მოზარდთა კანონსაწინააღმდეგო ქცევაზე;
- მოზარდთა ღირებულებებისა და ცხოვრების წესის ზეგავლენა არასრულწლოვანთა კანონსაწინააღმდეგო ქცევაზე.

კვლევის შედეგების საფუძვლიანი შესწავლა უჩვენებს, რომ საქართველოში ამ მიმართებით არსებული ვითარების შედეგები აღნიშნული საკითხების მიმართ ამერიკული და ევროპული კვლევების მიერ გაკეთებული დასკვნების მსგავსია და შესაბამეა კრიმინოლოგ მეცნიერთა ძირ-

<sup>27</sup> Hawkins, J., T. Herrenkohl, D. Farrington, D. Brewer, R. Catalano, T. Harachi, et al. 2000, Predictors of Youth Violence. Washington, DC: Office of Juvenile Justice and Delinquency Prevention.

<sup>28</sup> ხერხეულიძე ი., „არასრულწლოვანთა დანაშაული და მისი გამომწვევი მიზეზები იუვენალური იუსტიციის სისტემაში“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013, სამართლის ჟურნალი №2, 2012, გვ. 312-313.

<sup>29</sup> Caeti, Tory J., and Eric J. Fritsch, “At-Risk Youth,” Encyclopedia of Juvenile Justice. Ed., Thousand Oaks, CA: SAGE, 2002. 22-28. SAGE Reference Online. Web. 22 Feb. 2012.

<sup>30</sup> იაბ დე ვარდი, ჰოლანდიის იუსტიციის სამინისტროს უფროსი მრჩეველი პოლიტიკის საკითხებში, ევროკავშირის პროექტის ექსპერტი, პრეზენტაცია სემინარში „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკისა და დანაშაულის პრევენციის საკითხებზე“ ორგანიზებული ევროკავშირის პროექტის „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ მხარდაჭერით, თბ., 2014.



ითად ხედვებს.

საქართველოში (თბილისში) ჩატარებული კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ კანონსაწინააღმდეგო ქცევის ფაქტორებზე საუბრისას, კვლევის მონაწილე თითოეული სამიზნე ჯგუფი, მათ შორის კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდები და მათი ოჯახის წევრები, კანონსაწინააღმდეგო ქცევის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად **ოჯახურ გარემოს** ასახელებდნენ და პასუხისმგებლობის უდიდეს წილს სწორედ ოჯახს აკისრებდნენ. თავის მხრივ ოჯახური გარემოდან გამომდინარე, ნეგატიურ ასპექტებად გამოკვეთილია: **დისფუნქციური ოჯახი; ოჯახის წევრი სასჯელალსრულების დანესებულებაში; შვილების (განსაკუთრებით ბიჭების) აღზრდის პროცესში მამის როლი; ოჯახში ძალადობა; ოჯახის წევრების მხრიდან ალკოჰოლ და ნამალ დამოკიდებულება; ფსიქოლოგიური დაშორება მშობელსა და შვილს შორის; ფიზიკური დაშორება მშობელსა და შვილს შორის; შვილების მიმართ მშობლების დაბალანსებული ყურადღების საკითხი; აღზრდის არათანმიმდევრული მეთოდები; თავსმოხვეული ოჯახური სტერეოტიპები.**

გარდა ამის, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, კვლევის ფარგლებში გამოვლენილი კანონსაწინააღმდეგო ქცევის განმაპირობებელ დანარჩენ ფაქტორებად იდენტიფიცირებულ იქნა: **განათლების სისტემა და სკოლის გარემო; ინდივიდუალური ფაქტორები; მოზარდის უშუალო გარემოცვა.**<sup>31</sup>

საბოლოოდ, ამგვარი კვლევების შედეგების გათვალისწინება დანაშაულის პრევენციაზე მიმართული ინტერვენციების განსახორციელებლად ამოსავალ მსაზღვრელს უნდა წარმოადგენდეს.

### 3. რისკ-ფაქტორებზე დაფუძნებული ინტერვენციები და მათი ეფექტურობის შეფასება

საერთაშორისო დონეზე აღიარებული ე.წ. „რიადის წესების“ მე-5 ძირითადი პრინციპის (ე) ქვეკატეგორია, დანაშაულის პროგრესული პრევენციის პოლიტიკისა და შესაბამისი ღონისძიებების სისტემის შემუშავებისათვის საჭიროდ მიიჩნევა „იმის გათვალისწინებას, რომ ახალგაზრდული ქმედებები ან საქციელი, რომლებიც არ შეესაბამება ყველა სოციალურ ნორმას და ღირებულებას, ხშირად წარმოადგენს განვითარებისა და ზრდის პროცესის ნაწილს და სპონტანურად უჩინარდება უმეტეს პირებში ზრდასრული ასაკის მიღწევისას“.

ამდენად, ცხადია, რომ რისკ-ფაქტორებზე დაფუძნებული ინტერვენციების სახეების განსაზღვრისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ არასრულწლოვანთა დანაშაულისათვის დამახასიათებელი თავისებურებები, – დაკავშირებული მათ მასშტაბსა და ბუნებასთან. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ ეფექტური ჩარევები, რომლებიც მიმართულია რისკისა და დამცავ ფაქტორებზე, შესაძლებელია, განხორციელდეს პრევენციის სამივე დონეზე, გამომდინარე იქიდან, რომ არასრულწლოვანთა დელინქენტობა გარკვეულწილად სტაბილური ფაქტია და მხოლოდ მცირე რაოდენობის ახალგაზრდებში ფიქსირდება დანაშაულის განმეორებით ჩადენის მაჩვენებელი, – მორალური განგამის გამოცხადება საჭირო არ არის და ამდენად, აქცენტის გაკეთება მაღალი რისკის შემცველი ფაქტორების შემთხვევებში უფრო მეტად უნდა მოხდეს. კერძოდ, აქ იგულისხმება ის, რომ ინტერვენციები პირადი და სოციალური გარემოებებიდან გამომდინარე, მაღალი რისკის მატარებელ ახალგაზრდა სამართალდამრღვევებზეა მიმართული.<sup>32</sup>

<sup>31</sup> არასრულწლოვანთა კანონსაწინააღმდეგო ქცევის ხელშემწყობი ფაქტორების პილოტური კვლევა, ჩატარებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“, იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტისა და ევროკავშირის პროექტის „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ინიციატივით და ჩართულობით, ეისითი, 2015.

<sup>32</sup> იაპ დე ვარდი, ჰოლანდიის იუსტიციის სამინისტროს უფროსი მრჩეველი პოლიტიკის საკითხებში, ევროკავშირის პროექტის ექსპერტი, პრეზენტაცია სემინარში „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკისა და დანაშაულის პრევენციის საკითხებზე“ ორგანიზებული ევროკავშირის პროექტის „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ მხარდაჭერით, თბ., 2014.

ამ მიმართებით სწორი და პრაქტიკული პრევენციული პოლიტიკის გასატარებლად, უპრიანია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებით დაჯიქვით პირობითად დაჯიქვით ოპორტუნისტულ და დაჯიქვით დაჯიქვებად, სადაც პირველში ვიგულისხმებთ შემთხვევით, დანაშაულის ჩადენის „კარგი შესაძლებლობის“, შესაბამისი გარემოებიდან გამომდინარე, კანონდამრღვევ ახალგაზრდას, ხოლო მეორეში – ე.წ. „სერიულ დამნაშავეებს“, ანუ გამოუსწორებელ ახალგაზრდა სამართალდამრღვევებს. არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა უდიდესი ნაწილი, მათი ზემოაღნიშნული მახასიათებელი ნიშნებიდან გამომდინარე, ოპორტუნისტულ დამრღვევთა რიცხვს მიეკუთვნება და შესაბამისად, მათ მიმართ გასატარებელი პრევენციული ღონისძიებები პრევენციის შედარებით დაბალ დონეზე ტარდება (იგულისხმება მეორე დონე, მაგალითად, მას შემდეგ, რაც ბავშვმა ჩაიდინა ვანდალიზმი ან ჩაერთო ჩხუბში) ფორმალურ ინტერვენციებთან ერთად გაზრდილი ზედამხედველობისა და კონტროლის გამოყენებით, და ამასთან, უფრო მაღალი ეფექტური მაჩვენებლით ხასიათდება. შესაბამისად, მსგავსი ქცევა ძირითადად 14-18 წლის ახალგაზრდებს ახასიათებს და ზრდასრულობით გამოწვეული პასუხისმგებლობის გაჩენისთანავე ქრება.<sup>33</sup>

ამ პერსპექტივიდან დანაშაულის ჩადენის სანქსის ასაკი ერთ-ერთი ყურადსაღები კომპონენტია. მრავალმა კვლევამ, რომელიც აშშ-ში ჩატარდა, დაადასტურა, რომ, რაც უფრო ადრე იწყებს ახალგაზრდა სამართლის ნორმების დარღვევას, მით მეტია ალბათობა იმისა, რომ ის მომავალშიც გააგრძელებს ასეთ ქცევას. კვლევებმა ასევე აჩვენეს, რომ ერთ-ერთი ფაქტორთაგანი, რომელთა მეშვეობითაც, შესაძლოა, წინასწარ ვივარაუდოთ, ვინ იქნება „ქრონიკული დამნაშავე“, – არის დანაშაულის ადრეულ ასაკში ჩადენა. მარვინ ვოლფგანგმა, ტერენს სორნბერმ და რობერტ ფიგლიომ მაგალითად აიღეს ფილადელფიის კოჰორტული კვლევების 10 % 30 წლის ასაკის დამნაშავეებთან დაკავშირებით და აღმოაჩინეს, რომ დანაშაულების საშუალო რაოდენობა დანაშაულზე უარის თქმის ტენდენციასზე მიუთითებდა თითქმის ყველა მათგანის შემთხვევაში, რამდენადაც მათ მიერ დანაშაულის პირველად ჩადენის ასაკი მატულობდა. ალფრედ ბლუმსტეინმა, დევიდ ფარინგტონმა და სოუმიო მოიტრამ ასევე აჩვენეს, რომ ერთ-ერთი ფაქტორთაგანი, რომელთა მეშვეობითაც შესაძლოა წინასწარ ვივარაუდოთ, ვინ იქნება ქრონიკული დამნაშავე, – იყო დანაშაულის ადრეულ ასაკში ჩადენა. ფარინგტონმა შემდგომი კვლევებით ასევე აღმოაჩინა, რომ ისინი, რომლებიც დამნაშავეებად იქნენ ცნობილი 10-12 წლის ასაკში, განუწყვეტლივ სჩადიოდნენ დანაშაულს ძალიან მაღალი კოეფიციენტით და უფრო დიდი ხნის განმავლობაში, ვიდრე ისინი, რომელთაც პირველი დანაშაული უფრო დიდ ასაკში ჩაიდინეს.<sup>34</sup> აქედან გამომდინარე, კეთდება დასკვნა, რომ არსებობს სერიოზული და დაჯიქვითი დამრღვევების ძალიან პატარა ჯგუფი, რომლებიც სამართალდარღვევის ჩადენას ადრეულ ასაკში იწყებენ, სამართალდარღვევები თანდათანობით სულ უფრო სერიოზულ ხასიათს იღებს, მეორდება და ზრდასრულობის ასაკშიც გრძელდება. თუ დაჯიქვითი სამართალდარღვევად სისხლის სამართლის სისტემაში ხუთი ან მეტი დარღვევისათვის მოხვედრას ჩავთვლით, მაშინ ეს ჯგუფი არასრულწლოვან დამნაშავეთა 6-7% -ს შეადგენს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს ჯგუფი არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის მთელი მაჩვენებლის ნახევარზე მეტს სჩადის. შესაბამისად, პრევენციის პოლიტიკა სწორედ ამ სამართალდამრღვევებისკენ უნდა იყოს მიმართული.<sup>35</sup>

ეს ნიშნავს იმას, რომ ინტერვენციის განხორციელებისას ძირითადი ფოკუსი ე.წ. „ქრონიკულ დამნაშავეებზე“ უნდა გაკეთდეს, რომელთაც ახასიათებთ ისეთი ფაქტორების აკუმულირება, როგორცაა: პირადი მახასიათებლები არახელსაყრელ მდგომარეობასთან კომბინაციაში; სუსტი ვერბალური შესაძლებლობები; სკოლასთან ნაკლები კავშირი; თანატოლთა ჯგუფებში გაერთიანება; ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარება. ამასთან, დამამხედველი ფაქტორია ის, რომ ევროპული კვლევების მიხედვით არასრულწლოვან დელინქენტთა მხოლოდ 5%-ია მუდმივი დელინქენტი. ისინი მძიმე დანაშაულების მთელი რაოდენობის 33%-ს სჩადიან. სრულწლოვანების ასაკის მიღ-

<sup>33</sup> ვაიკუნდი უ., მართლმსაჯულება ბავშვებისათვის, გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), თბ., 2013, ლექცია მე-9.

<sup>34</sup> Bartollas Clemens, Miller Stuart J., Juvenile Justice in America, second edition, 1998, Prentice Hall, Inc., გვ. 77.

<sup>35</sup> ვაიკუნდი უ., მართლმსაჯულება ბავშვებისათვის, გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), თბ., 2013, ლექცია მე-9.

ევის შემდეგ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის მაჩვენებელი მცირდება.<sup>36</sup>

შესაბამისად, თეორიულად, მაღალი რისკის შემცველ ფაქტორებზე ფოკუსირება დანაშაულის პრევენციის მიზნით ეფექტური ჩარევის განხორციელების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალება უნდა იყოს, ვინაიდან აქ ყველაზე მეტადაა საჭირო ინტერვენცია, რამდენადაც პრევენციის მესამე დონესთან გვაქვს საქმე. თუმცა, პრაქტიკულად, სამწუხაროდ, ამ ახალგაზრდა სამართალდამრღვევთა ჯგუფის შემთხვევაში მართლმსაჯულების სისტემების მიერ გატარებული ინტერვენციები არცთუ ისე წარმატებულია. ჩვენ ვცდილობთ ისინი ახალგაზრდა სამართალდამრღვევთა დანესებულებაში გამოვასწოროთ, მაგრამ დანაშაულის განმეორებით ჩადენის მაჩვენებელი კვლავ მაღალი რჩება. ნამდვილად ეფექტიანი პროგრამები იშვიათია. როგორც ადრინდელ, ასევე მოგვიანებით ჩატარებულ კვლევებში კარგად ჩანს პროგრამების ნაკლებეფექტიანობა. ამ ახალგაზრდა სამართალდამრღვევების გამოსწორების წარუმატებლობა რამდენიმე მიზეზით აიხსნება. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ეფექტური მეთოდების არასრულყოფილი ცოდნაა. ბევრი ინტერვენცია „სალი აზრისა“ და კარგი განზრახვებით მოქმედების პრინციპს ეფუძნება და არა დამტკიცებულ ეფექტურობას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არის გარკვეული წინსვლა, რომელიც კოგნიტური ქცევის ტრენინგ-პროგრამების ეფექტურობაზე მიუთითებს. მეორე მიზეზი არის ის, რომ გამოსწორების პროგრამები დამრღვევთა ცხოვრების მხოლოდ მცირე პერიოდს ფარავს, რის შემდგომაც ისინი თავიანთ არახელსაყრელ სამეზობლოს, დელინქენტ თანატოლებს და „ჩვეულ ქმედებებს“ უბრუნდებიან. მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ინტერვენცია **ძალიან დაგვიანებულ ეტაპზე ხორციელდება** – მაშინ, როცა ახალგაზრდები დანაშაულებრივი ქმედებების პიკზე არიან, როცა დანაშაული მათი ცხოვრების წესი ხდება. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეთ ვითარებაში და ამ დონეზე განხორციელებული ინტერვენცია უსარგებლოა.<sup>37</sup> უფრო მეტიც, აქ ინტერვენციის განხორციელება აუცილებელი და გარდუვალიცაა. ამასთან, პრევენციული ჩარევისას მახვილის გაკეთება მაღალი რისკის ფაქტორების მომცველ შემთხვევებზე არ გულისხმობს, რომ ჩარევა ეფექტური არ იქნება პრევენციის შედარებით დაბალ დონეებზე.

პირიქით, კვლევები ცხადყოფს, რომ პატარა ბავშვებზე ზემოქმედება გაცილებით უფრო ეფექტურია, ვიდრე მოზრდილებზე, რადგან პატარები უფრო დამყოლნი არიან, მაშინ, როცა ასაკის მატებასთან ერთად ადამიანები უფრო ჯიუტები ხდებიან და ნაკლებად ემორჩილებიან ცვლილებებს.<sup>38</sup>

აქედან გამომდინარე, შეიძლება გავთვადეს ისეთი დასკვნაც, რომ ადრეული ჩარევა, თითქოს, ყველა შემთხვევაში უპირობოდ დადებითი ეფექტის მომტანი უნდა იყოს, მაგრამ ეს მხოლოდ საკითხის ზედაპირული ხედვით შეჯერებული სურათი იქნება, რამდენადაც ეფექტური ინტერვენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება ასევე ჩარევის დროულობის შეფასებაა. დროული ჩარევა კი წარმატებული ინტერვენციის საწინდარია.

ინტერვენციის დროულობის სწორად განსაზღვრა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, თავის მხრივ, დიდია ის საფრთხე, რომელიც ადრეულმა ჩარევამ შეიძლება გამოიწვიოს. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული კვლევების შეფასებები გვიჩვენებს, რომ ჩარევების შედეგად პრობლემური ქცევის მაჩვენებელი 15%-ით შემცირდა, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ეფექტი უამრავი სახის შეიძლება იყოს – ადრეულ ჩარევას ბავშვზე არა მხოლოდ დადებითი, არამედ უარყოფითი ზეგავლენის მოხდენაც შეუძლია. მაგალითად, თუ, ერთი მხრივ, ადრეული ჩარევის ეფექტი არის ის, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვების უმეტესობა, რომლებიც უკიდურესად პრობლემურ ქცევას ავლენენ, – ქრონიკული დელინქვენტური ქცევის მქონე მოზარდები ან ზრ-

<sup>36</sup> იაპ დე ვარდი, ჰოლანდიის იუსტიციის სამინისტროს უფროსი მრჩეველი პოლიტიკის საკითხებში, ევროკავშირის პროექტის ექსპერტი, პრეზენტაცია სემინარში „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკისა და დანაშაულის პრევენციის საკითხებზე“ ორგანიზებული ევროკავშირის პროექტის „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ მხარდაჭერით, თბ., 2014.

<sup>37</sup> ვაიკუნდი უ., მართლმსაჯულება ბავშვებისათვის, გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), თბ., 2013, ლექცია მე-9.

<sup>38</sup> იქვე, ლექცია მე-9.

დასრულები არ ხდებიან, მეორე მხრივ, ადრეულმა ჩარევამ შეიძლება ბავშვისათვის დანაშაულის იარღილის მინიჭება და შედეგად, მისი მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრა გამოიწვიოს.<sup>39</sup>

### I. ინტერვენცია პირველი დონის პრევენციისას

პირველი დონის პრევენციის შესაბამისი ინტერვენციის იდეაა, რომ, არასრულწლოვნის მართლმსაჯულების სისტემაში მყისიერად გადაცემის ნაცვლად, საზოგადოება თავადვე შეეცადოს საკუთარი პრობლემების მოგვარებას და მოახდინოს ჩარევა არასრულწლოვნის სასარგებლოდ. ისინი ორგანიზებას უკეთებენ სოციალურ და რეკრიაციულ პროგრამებს, რათა არასრულწლოვნებს ჰქონდეთ შესაძლებლობა ჩაერთონ კონსტრუქციულ აქტივობებში. შეიძლება ითქვას, ამგვარი მიდგომა შესაბამისობაშია და პირდაპირ გამომდინარეობს ე.წ. **რიადის წესებში** მოცემული მე-2 ძირითადი პრინციპიდან, რომელიც განმარტავს, რომ „არასრულწლოვანთა დანაშაულის წარმატებით აღკვეთა მოითხოვს მცდელობების განხორციელებას მთლიანად საზოგადოებისაგან, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მოზარდთა ჰარმონიული განვითარება, ბავშვობიდანვე მათში პიროვნების ჩამოყალიბების ხელშეწყობის გზით“. ადრეული ჩარევა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს დანაშაულის პრევენციის პირველ დონეზე, შეიძლება გამოიხატოს მრავალ პროგრამაში. მაგალითად, აშშ-ში არის ამ დონეზე განხორციელებადი დანაშაულის პრევენციის ბევრი პროგრამა, რომელიც შეიძლება დავაჯგუფოთ დაწყებული პრე-ნატალურ პერიოდში სახლში მედლის ვიზიტების პროგრამიდან, დამთავრებული ნინა სასკოლო განათლების პროგრამებით იმ ბავშვებისათვის, რომლებიც აკადემიური წარუმატებლობის რისკის ქვეშ არიან. ადრეული ინტერვენციის პროგრამები აბსოლუტურ სიახლეს არ წარმოადგენენ. მაგალითად, ჯერ კიდევ 1960 წელს აშშ-ში ვხვდებით „Head Start“-ის განვითარებას, რომელიც იყო კარგად დამკვიდრებული ნინასასკოლო პროგრამა არახელსაყრელ სამეზობლოში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის. თუმცა საგულისხმოა, რომ ასეთი პროგრამების იმპლემენტაცია ხდებოდა არა „დელინქენტურობის პრევენციის“ ერთიანი ქოლგის ქვეშ, არამედ აღნიშნული პროგრამა პრეზიდენტ ჯონსონის „სიღარიბესთან ბრძოლის“ პროგრამის ნაწილს წარმოადგენდა. დღესდღეობით ეს მიდგომა შეცვლილია და 1974 წლის ფედერალური იუვენალური იუსტიციისა და დელინქენტურობის პრევენციის აქტში განხორციელებული ცვლილებით დამკვიდრებულია „საზოგადოებრივი პრევენციის საგრანტო პროგრამები“, რომლებიც რისკისა და მისგან დამცავი ფაქტორების ცოდნის შეფასებაზეა დამყარებული. ასეთი პროექტები მიმართულია ახალგაზრდების დასაქმებისა და განათლების შესაძლებლობის ხელშეწყობისაკენ. მაგალითად, აშშ-ში პირველი დონის ადრეული ინტერვენციის პროგრამაა „საზოგადოება, რომელიც ზრუნავს“, რომელიც ახდენს რისკზე ფოკუსირებულ პრევენციაზე ხაზგასმას.<sup>40</sup>

ამ საკითხზე ევროპული გამოცდილების დასაყრდენად შეიძლება მაგალითად მოვიყვანოთ ნიდერლანდებში არსებული პროგრამა Halt, რომელიც მუშაობს როგორც მართლმსაჯულების ოფიციალური სისტემიდან არასრულწლოვანთა განრიდების მიმართულებით, ასევე არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის კუთხითაც და საკუთარ მოსახლობას შესაბამისი პრევენციული პროგრამებით უზრუნველყოფს.

Halt-ის პრევენციული ამოცანა პრევენციის **პირველ დონეზე** განხორციელებადი პროგრამის ფარგლებში მოიცავს: საგანმანათლებლო პროგრამებს ბავშვებისათვის, მათი მშობლებისა და მასწავლებლებისათვის. ესაა უსაფრთხო სკოლის პროგრამა. აქ მთავარ თემებად გვევლინება: დანაშაულებრივი ქცევა; ნორმები და ღირებულებები; ჯგუფის ქცევა. პრევენციის პირველ დონეზე Halt იძლევა ასევე მიზნობრივ რჩევებს ადგილობრივი ხელისუფლებისათვის, სკოლებისა

<sup>39</sup> იამ დე ვარდი, ჰოლანდიის იუსტიციის სამინისტროს უფროსი მრჩეველი პოლიტიკის საკითხებში, ევროკავშირის პროექტის ექსპერტი, პრეზენტაცია სემინარში „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკისა და დანაშაულის პრევენციის საკითხებზე“ ორგანიზებული ევროკავშირის პროექტის „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ მხარდაჭერით, თბ., 2014.

<sup>40</sup> Donna M. Bishop and Scott H. Decker ნიგნში Intrenational Handbook of Juvenile Justice, Josine Junger-Tas -ის და Scott H. Decker -ის რედაქტორობით Springer Netherlands, 2006, გვ. 22

და ყველა იმ სხვა ორგანიზაციისთვის, რომელიც თანამშრომლობს მასთან. ამგვარი რჩევების მცემისას Halt იყენებს რა ეროვნული ინფორმირების სისტემას, მიზნობრივ ინფორმაციას აწვდის ზემოაღნიშნულ წარმონაქმნებს გარშემო არსებული არასრულწლოვანთა დანაშაულს განვითარების შესახებ, რომელსაც ეს სტრუქტურები საკითხთან მიმართებით საკუთარი პოლიტიკის განსასაზღვრად გამოიყენებენ.

ზოგადი სახით პირველი დონის პრევენციის პროგრამათა ჩამონათვალი აქ შემდეგ აქტივობებს გვთავაზობს: პრო-სოციალური უნარ-ჩვევების პოპულარიზაცია; ტრენინგი თანატოლებთან ურთიერთობებში; სკოლის შემდგომი რეკრეაციული პროგრამები; სოციალური განვითარების პროგრამები; საოჯახო თერაპია; სკოლამდელი ასაკის ბავშვთა პროგრამები; სასკოლო გარემოს გაუმჯობესება.<sup>41</sup>

რაც შეეხება საქართველოს, პრევენციის საწყის საფეხურზე მნიშვნელოვანია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმდინარე რეფორმა, რომელმაც პრევენციისა და სკოლებში უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით მანდატურის სამსახურის როლი უფრო ეფექტური უნდა გახადოს.<sup>42</sup> უფრო კონკრეტულად კი, 2015-2017 წლების არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმაში, პრევენციის პირველ დონეზე გასატარებლად განერილია ისეთი აქტივობები, როგორიცაა:

- არასრულწლოვანთა უნარ-ჩვევებზე ორიენტირებული ტრენინგ-პროგრამების შემუშავება და დანერგვა სკოლებში, – რაც საშუალებას მისცემს მოზარდებს არა მხოლოდ ზოგადი განათლება შეიძინონ სკოლაში, არამედ ჩაერთონ მათთვის განკუთვნილ პროგრამებში, რითაც მეტად განიმტკიცებენ საკუთარ შესაძლებლობებს;
- სკოლის ფარგლებში თანატოლებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ხელშეწყობა და ამ მიზნით პროგრამების განვითარება, – რაც თავის მხრივ წარმოადგენს სასკოლო ბუღინგის მზარდი პრობლემის შემაკავებელ ერთ-ერთი ფაქტორს;
- არასრულწლოვანთათვის კულტურული და სოციალური აქტივობების განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია; სკოლის შემდგომი, რეკრეაციული აქტივობების განვითარება, რომელთა მიზანია თავისუფალი დროის შევსება და სწორი დაგეგმვა. ცხადია, ეს უკანასკნელი აქტივობები ქმედითი ინსტრუმენტი იქნება არასრულწლოვნის თავისუფალი დროის კონსტრუქციულად გატარებისა და დანაშაულებრივ საქმიანობაში შესაძლო ჩართულობის თავიდან აცილების თვალსაზრისით.

საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეფექტური ინტერვენციის განსახორციელებლად აქცენტი უნდა კეთდებოდეს, **ერთი მხრივ**, არსებული რისკის დონის შეფასებაზე, რაც თავის მხრივ კორელაციაშია პრევენციის ცალკეულ დონესთან და მაღალი რისკ-ფაქტორების არსებობისას ჩარევის გარდუვალობასაც გულისხმობს და **მეორე მხრივ**, ინტერვენციის განხორციელების დროულობის სწორად განსაზღვრის დიდ მნიშვნელობაზე, რომელიც სხვადასხვა მახასიათებელთან ერთობლიობაში უნდა შეფასდეს.

## II. ინტერვენცია მეორე დონის პრევენციისას

მეორე დონის პრევენცია გათვლილია იმ ახალგაზრდებზე, რომლებმაც უკვე გამოავლინეს პრობლემები ქცევაში, ანუ მიჩნეულ იქნენ დევიაციური ქცევის მოზარდებად. მაგალითად, გაირიცხნენ სკოლიდან ან პირველად არიან დაკავებული, როგორც წესი, წვრილმანი, არაძალადობრივი დანაშაულისათვის.

აშშ-ში მეორე დონის პრევენციის ცნობილ პროგრამებს წარმოადგენენ ახალგაზრდათა სასამართლოები (Teen Courts). ეს არის „არაოფიციალური სასამართლოები“, რომელთაც გადაეცემათ ახალგაზრდები მართლმსაჯულების ფორმალურ სისტემაში მოხვედრის ნაცვლად. ასეთ სასამართლოში გადასაცემ პირთა წრე შემოფარგლულია იმ არასრულწლოვნებით, რომელთაც

<sup>41</sup> [www.halt.nl/english](http://www.halt.nl/english)

<sup>42</sup> 2016 წლების არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის სტრატეგია.

პირველად ედებათ ბრალი ისეთი დევიაციური ქცევებისათვის, როგორცაა (ვანდალიზმი, ჯიბის ქურდობა, ალკოჰოლის მოხმარება). როგორც წესი, ასეთი სასამართლოები არასრულწლოვნებს აკისრებენ ზიანის ანაზღაურების მოვალეობას ან ბოდიშის მოხდას წერილობითი ფორმით. ემპირიული დაკვირვებით დადასტურებულია თინეიჯერთა სასამართლოების ეფექტურობის გრძელვადიანობა.<sup>43</sup>

ასევე ცნობილი პროგრამაა DARE, ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის პროგრამა, რომელსაც უძღვებიან პოლიციის ოფიცრები აშშ-ს სკოლებში. იგი გამიზნულია 11-12 წლის არასრულწლოვანთათვის. პროგრამის მიხედვით, პოლიციის ოფიცრები ვალდებული არიან აამაღლონ ბავშვების ცნობიერება იმ ზიანის შესახებ, რაც ასოცირებულია ნარკოტიკების გამოყენებასთან და დაეხმარონ ბავშვს ისეთი გამოცდილების მიღებაში, რაც საშუალებას მისცემს არასრულწლოვანს, რომ იგი წინ აღუდგეს სოციალური გარემოდან მომდინარე საწყის ზენოლას ნარკოტიკების პირველად მოხმარებასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამ პროგრამის ძალიან მცირე პოზიტიურ ზეგავლენისა, ის მაინც ძალიან პოპულარულია.<sup>44</sup> აშშ-ის მიერ განხორციელებული შემდგომი ძალისხმევა, რომელიც მიმართულია მეორეული პრევენციის განხორციელებისაკენ, ასევე შეიცავს „სამიში სიმართლის“ პროგრამის ბევრ ვარიაციას, რომელიც დაფუძნებულია დაშინების თეორიაზე. ეს პროგრამა ინიცირებული იყო Rahway-ის ნიუ-ჯერსის სახელმწიფო ციხეში გვიან, 1970-იან წლებში. ამ პროგრამის მიხედვით, არასრულწლოვნები მიჰყავთ ციხეში ერთი დღით და ხდება მათი დაპირისპირება პატიმრებთან, რომლებიც თავისი გამოცდილების გაზიარებით აფრთხილებენ მათ და უამბობენ ციხის ცხოვრების საშინელებაზე. მიუხედავად იმისა, რომ „სამიში სიმართლის“ პროგრამის მრავალრიცხოვანი შეფასება თანმიმდევრულად უჩვენებს, რომ ისინი, მეტწილად, რეციდივის გაზრდას უფრო იწვევენ, ვიდრე მის შემცირებას, მაინც პოპულარულია იმით, რომ სასჯელის მუქარა ეფექტური შემაკავებელი ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს მათ შემდგომში შეჩერებას.<sup>45</sup>

რაც შეეხება ევროპულ გამოცდილებას, ზევით მაგალითად მოყვანილი ნიდერლანდებში არსებული პროგრამა Halt, მეორე დონის პრევენციის განხორციელებისას ფოკუსირებას ახდენს არასრულწლოვნების სპეციფიკურ რისკ-ფაქტორებზე. ამ მიმართებით Halt უძღვება ადგილობრივი დანაშაულის პრევენციის პროექტებს და მთელს ადგილობრივ სამეზობლო ქსელთან და მართლმსაჯულებასთან ერთად მონაწილეობს პრევენციის საზოგადოებრივ პროექტებში, სადაც ასეთი კოლაბორაციის მთავარ ელემენტად სწორედ ორგანიზაციათაშორისი თანამშრომლობა გვევლინება. ასეთ თანამშრომლობაში შეიძლება, ასევე, ჩართული იყოს პოლიციის, პრობაციის, სახანძრო უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის სტრუქტურის წარმომადგენლები.<sup>46</sup> მეორე დონის პრევენციის ყველაზე წარმატებული პროექტებია: „თანატოლების მედიაცია“ და „უმართავი შვილების მშობლები“.<sup>47</sup>

ევროპის ქვეყნებში აპრობირებული მეორე დონის პრევენციის პროგრამებიდან ზოგადი სახით აღსანიშნავია: მენტორინგის პროგრამები; ბულინგის პრევენციის პროგრამები; კონფლიქტის მოგვარება; ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლის დამთავრების ნახალისება; პროფესიული ტრენინგები არაპრივილეგირებული მოზარდებისათვის.

საქართველოში განსახორციელებელი პრევენციის მეორე დონის შესაბამისი აქტივობები, პრევენციის ამ დონისათვის დადგენილი ზოგადი ჩარჩოს და საერთო პრინციპის გათვალისწინებით

<sup>43</sup> Donna M. Bishop and Scott H. Decker ნიგნში Intrenational Handbook of Juvenile Justice, Josine Junger-Tas - ის და Scott H. Decker - ის რედაქტორობით Springer Netherlands, 2006, გვ. 24-31.

<sup>44</sup> Bartollas Clemens, Miller Stuart J., Juvenile Justice in America, second edition, 1998, Prentice Hall, Inc., გვ.256.

<sup>45</sup> Donna M. Bishop and Scott H. Decker ნიგნში Intrenational Handbook of Juvenile Justice, Josine Junger-Tas - ის და Scott H. Decker - ის რედაქტორობით Springer Netherlands, 2006, გვ. 251.

<sup>46</sup> <http://www.halt.nl/en/crime-prevention/projects/>

<sup>47</sup> იაპ დე ვარდი, ჰოლანდიის იუსტიციის სამინისტროს უფროსი მრჩეველი პოლიტიკის საკითხებში, ევროკავშირის პროექტის ექსპერტი, პრეზენტაცია სემინარში „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკისა და დანაშაულის პრევენციის საკითხებზე“ ორგანიზებული ევროკავშირის პროექტის „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ მხარდაჭერით, თბ., 2014.

თანხვედრაშია აღნიშული საკითხის მიმართ ევროპულ მიდგომასთან და საქართველოს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს შესაბამისი სხვადასხვა ღონისძიების გატარებას, ესენია:

**ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პროგრამების/ღონისძიებების შემუშავება და დანერგვა სკოლებში**, მაგალითად, სისასტიკისა და დანაშაულის ნიშნების აღმოჩენა და სათანადო რეაგირება; ადექტიური და ანტისოციალური ქცევის მქონე არასრულწლოვანთათვის საჭირო პროგრამები; ემოციების მართვისა და სოციალური უნარების განვითარების ტრენინგები;

**საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება არასრულწლოვანთა დანაშაულისა და მისი მასშტაბების შესახებ**, მაგალითად, ვანდალიზმის, ბულინგის, ძალადობის, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის შესახებ საინფორმაციო კამპანიის წარმოება;

**რისკის ქვეშ მყოფ არასრულწლოვანთა ადრეული, სწრაფი და ეფექტური იდენტიფიცირების მექანიზმის შემუშავება და დანერგვა; რისკის ქვეშ მყოფ არასრულწლოვანთათვის საგანმანათლებლო და სამუშაო შესაძლებლობების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.**<sup>48</sup>

ამასთან, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ 2014 წელს დანაშაულის პრევენციის ცენტრში შეიქმნა ცალკე სამმართველო, რომელიც პასუხისმგებელია დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნებისთვის სპეციალიზებული პრევენციული პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაზე.<sup>49</sup>

### III. ინტერვენცია მესამე დონის პრევენციისას

განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მივუდგეთ პრევენციის კუთხით განსახორციელებულ ინტერვენციებს მესამე დონის პრევენციის შემთხვევაში, რადგან აქ უკვე საქმე გვაქვს დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვნებთან, რომელნიც რეციდივის რისკის ქვეშ არიან. ასეთ შემთხვევებში კიდევ უფრო ზუსტად შერჩეული საზომით უნდა შეფასდეს ჩარევის პროპორციულობა. ეს იმას გულისხმობს, რომ ნებისმერი სახის ჩარევის განხორციელებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფუძემდებლური პოსტულატი – პატიმრობის მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და მხოლოდ მძიმე დანაშაულებზე საპასუხოდ გამოყენების შესახებ და სისხლისსამართლებრივი, რეპრესიული ინტერვენციების ნაცვლად აღდგენითი მართლმსაჯულების და საზოგადოებრივი სანქციების უფრო ხშირად გამოყენების თაობაზე.

**ზოგადად, ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №10-ის** მიხედვით, იმ ბავშვებთან დაკავშირებით, რომლებმაც, სავარაუდოდ, დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედებათ მისი დარღვევა, ან აღიარებული არიან მის დამრღვევებად, მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ გამოიყენონ ორი სახის ინტერვენცია: *ზომები, რომლებიც არ გულისხმობს ფორმალური სამართლებრივი პროცედურების გავლას და ზომები, რომლებიც შეიძლება მიღებულ იქნეს სამართლებრივი პროცედურების კონტექსტში.*

აქ მკაფიოდ უნდა შეფასდეს ინტერვენციის (ჩარევების) მიზანი, რომელიც კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების რეაბილიტაციის ხელშეწყობას გულისხმობს. ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტი უზრუნველყოფს, რომ ყოველ ბავშვს, რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება მისი დარღვევა, ან აღიარებულია მის დამრღვევად, მოეპყრობიან ბავშვის რეინტეგრაციისა და საზოგადოებაში მის მიერ სასარგებლო როლის შესრულებისათვის ხელშეწყობის სასურველობის გათვალისწინებით. ამდენად, დამნაშავედ ცნობილ ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედების მიზანი უნდა იყოს ბავშვის რეინტეგრაცია.<sup>50</sup>

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, არასრულწლოვნებზე ორიენტირებული სისხლის

<sup>48</sup> 2015-2017 წლების არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა.

<sup>49</sup> 2016 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის სტრატეგია.

<sup>50</sup> ჰამილტონი ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ბავშვთა სამართლებრივი ცენტრი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი („იუნისეფი“), ბავშვთა დაცვის განყოფილება, ნიუ-იორკი, 2011, გვ. 44.

სამართლის მართლმსაჯულების ეფექტიანი ჩარევები დიდი სიფრთხილით შესაფასებელი საკითხია. ძალიან მნიშვნელოვანია ასეთ შემთხვევაში მხოლოდ იმ მეთოდების გამოყენება, რომელიც ამართლებს. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ იმ რეპრესიული, დაშინებისა და დასჯის ფილოსოფიაზე დაფუძნებული მეთოდების მაგალითი, რომელთაც ინტერვენციის შემთხვევაში საპირისპირო, ანუ უარყოფითი შედეგები გამოიწვიეს პრევენციის კუთხით.

ამგვარი ინტერვენციის უარყოფითი შედეგი განმეორებითი დანაშაულის ჩადენას გულისხმობს. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ინტერვენციის ისეთი პროგრამების არსებობა, როგორცაა საშიში სიმართლე (Scared Straight), შოკური პატიმრობა (Shock Incarceration), სანვრთნელი ბანაკი (Boot Camps). ამ საშუალებებს, ძირითადად, ამერიკის შეერთებული შტატები მიმართავენ. აშშ-ის მაგალითზე, ზევით უკვე აღნიშნული, დაშინების თეორიაზე დაფუძნებული პროგრამა „საშიში სიმართლე“, გამოიყენება მესამე დონის პრევენციისასაც,<sup>51</sup> მიუხედავად მისი აშკარა არაეფექტური და საპირისპირო შედეგისა. არაეფექტური ბიჰევიორისტული პროგრამებიდან აშშ-ში ასევე გამოიყენება გამოსასწორებელ „სანვრთნელ ბანაკებში“ მოთავსება. იგი გულისხმობს არასრულწლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ დანესებულებას, რომელიც მოქმედებს სამხედრო დისციპლინის წესებით. ამავე იდეის მატარებელია ე.წ. „შოკური პატიმრობა“, რომლის გამომაფხიზლებელი ეფექტის თაობაზე მიუთითებენ. ესაა „ხანმოკლე, მკაცრი შოკური სასჯელი“, რომელიც არის სწრაფი და მკაცრი.“ აღნიშნულ საშუალებებთან მიმართებით, აშშ-ის მიდგომა არის ის, რომ ასეთი ბანაკების არსებობით და ამგვარი მოპყრობით ხელისუფლება თავიდან იცილებს რეციდივის რისკს „საკარცერო შოკის“ მეშვეობით და ამასთანავე, განტვირთავს ციხეებს.<sup>52</sup> თუმცა, როგორც პრაქტიკამ უჩვენა, ასეთ ბანაკებს არ ჰქონიათ შედეგები რეციდივის შემცირების კუთხით და მის საპირისპირო შედეგებს იწვევდნენ.<sup>53</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულის საწინააღმდეგოდ, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული ეფექტური ინტერვენცია მოიცავს მხარდაჭერას ბავშვის აღზრდის პროცესში, კოგნიტიურ ბიჰევიორალურ თერაპიას, დასაქმებაში დახმარებას, მშობელთა ტრენინგსა და მენტორინგის პროგრამებს.<sup>54</sup>

მესამე დონის პრევენციაზე, მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ, სადაც ეს შესაძლებელია, გამოვიყენოთ მიდგომა „არავითარი ჩარევა“ და ცხადია, აქ, ასეთ ჩარევაში სისხლის სამართლის საქმის **სამართალწარმოების კონტექსტში განხორციელებული ინტერვენციები** იგულისხმება.

**არ უნდა მივმართოთ ინტერვენციას ფორმალური სამართლებრივი პროცედურების გატარებით** იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული არ არის მძიმე და თუ სათანადო და კონსტრუქციული რეაგირება უკვე მოახდინა ოჯახმა, სკოლამ თუ საზოგადოებრივი კონტროლის სხვა არაფორმალურმა ინსტიტუტმა ან, თუ, სავარაუდოდ, მოახდენენ ისინი ასეთს. ტოკიოს წესების 132 წესი 5(1) საგანგებოდ განსაზღვრავს: „სადაც შესაფერისია და შეთავსებადია სამართლებრივ სისტემასთან, პოლიციას, პროკურატურას ან სხვა უწყებებს, რომელთა საქმიანობა ეხება სისხლის სამართლის საქმეებს, უნდა მიეცეთ უფლება, დამნაშავეს მოუხსნან ბრალი (შენწყვიტონ საქმისწარმოება), თუ

<sup>51</sup> Bartollas Clemens, Miller Stuart J., *Juvenile Justice in America*, second edition, 1998, Prentice Hall, Inc., გვ.256.

<sup>52</sup> ანგლო-ამერიკულ ლიტერატურაში მნიშვნელოვანია: Morash M., Rucker L., “A critical look at the idea of boot camp as correctional reform,” *Crime and delinquency*, ტომი 36, №2 1990 წლის აპრილი, გვ. 204. “Boot camps”, *Corrections today*, 1991 წლის ოქტომბერი; Mathews R., “The boot camp program for offenders: does the shoe fit?”, დამნაშავეის თერაპიისა და შედარებითი კრიმინოლოგიის საერთაშორისო ჟურნალი, 1991, გვ. 322; Mackenzie D., Shaw J., Souryal C., “Characteristics associated with successful adjustment to supervision”, *Criminal Justice and behaviour*, ტომი, XIX, №4, 1992 წლის დეკემბერი, გვ. 437. Mackenzie D., Piquero, A., “The impact of shock incarceration programs, on prison crowding”, *crime and delinquency*, ტომი 40, №2, 1994 წლის აპრილი გვ. 222.

<sup>53</sup> ხერხეულიძე ი., „არასრულწლოვანთა სასჯელის გამოყენების შედეგებითი ანალიზი აშშ-სა და საქართველოში“, სტატიათა კრებულში: „არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებით ღონისძიებების შეფარდების პრობლემები“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011, გვ. 204-205.

<sup>54</sup> იაპ დე ვარდი, ჰოლანდიის იუსტიციის სამინისტროს უფროსი მრჩეველი პოლიტიკის საკითხებში, ევროკავშირის პროექტის ექსპერტი, პრეზენტაცია სემინარში „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკისა და დანაშაულის პრევენციის საკითხებზე“ ორგანიზებული ევროკავშირის პროექტის „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ მხარდაჭერით, თბ., 2014.



ისინი მიიჩნევენ, რომ საზოგადოების დაცვის უზრუნველყოფის, დანაშაულის პრევენციის, კანონის პატივისცემისა და მსხვერპლთა უფლებების დაცვის ხელშეწყობისათვის არ არის აუცილებელი საქმისწარმოების გაგრძელება“.<sup>55</sup>

საერთაშორისო დონეზე აღიარებული ამგვარი დამოკიდებულება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ ცალსახად გაიზიარა და დაამკვიდრა საქართველოს ამკ-ის მე-8 და მე-9 მუხლებმა, როდესაც, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, პრაქტიკულად, პრინციპის დონეზე დაანესა ერთ შემთხვევაში ყველაზე მსუბუქი საშუალებისა და ალტერნატიული ზომის პრიორიტეტულობა (მუხ. 8) და მეორე შემთხვევაში – პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება (მუხ. 9).

ამკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი იმპერატიულად ადგენს, რომ: „არასრულწლოვნის მიმართ, პირველ რიგში, განიხილება განრიდების ან აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა და ფასდება, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასა და სასჯელის გამოყენებაზე უკეთ უზრუნველყოფს თუ არა განრიდება ან ღონისძიება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.“

სასამართლოს გარეშე საქმეთა გადანყვეტის სასურველობას განსაკუთრებით პეკინის წესები უსვამს ხაზს (BR). წესების თანახმად, განრიდების გამოყენება პროცესის სხვადასხვა სტადიაზე უნდა შეიძლებოდეს და შესაბამისად, ამის უფლებამოსილება სხვადასხვა ორგანოსა თუ უწყებას უნდა ჰქონდეთ.<sup>56</sup>

ამ მიმართებით, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ამკ-ის 39-ე მუხლით, მიუხედავად იმისა, რომ „წინასასამართლო სხდომამდე განრიდების შესახებ გადანყვეტილებას იღებს პროკურორი, განრიდება შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე საქმის სასამართლოში წარმართვის შემდეგაც. აღნიშნული მუხლით: „სასამართლო უფლებამოსილია განრიდების გამოსაყენებლად საკუთარი ინიციატივით ან მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე საქმე დაუბრუნოს პროკურორს, რომელიც არასრულწლოვან ბრალდებულს განრიდებას შესთავაზებს და, მისი თანხმობის შემთხვევაში, მიიღებს გადანყვეტილებას განრიდების შესახებ.“ როგორც ვხედავთ, საქართველოს ამკ. ყველანაირ საფუძველს ქმნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისა და სასჯელის გამოყენების ალტერნატიული მექანიზმის, კერძოდ კი, განრიდების ინსტიტუტის გამოყენებისა და ფორმალურ მართლმსაჯულების სისტემასთან არასრულწლოვნის კონტაქტის ასაცილებლად.

ასეთი „განრიდება“, ფორმალური საქმისწარმოების გარდა, მიზნად ისახავს სისხლის სამართლის სამართალწარმოების ისეთი უარყოფითი ფაქტორების აცილებასაც, როგორცაა ნასამართლობისა და მსჯავრდებულის სამუდამო დამლა.<sup>57</sup>

გარდა განრიდების უპირატესი გამოყენების მყარი საკანონმდებლო გარანტიებისა, ამკ. ასახელებს პატიმრობას, როგორც უკიდურეს ღონისძიებას (*ultima ratio*), როდესაც საქმე არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი სასჯელის ისეთი სახეების გამოყენებას ეხება, როგორცაა თავისუფლების შეზღუდვა და თავისუფლების აღკვეთა. უფრო მეტიც, თავისუფლების აღკვეთის, როგორც სისხლისსამართლებრივი ხასიათის ყველაზე მკაცრი ინტერვენციის, კანონის ძალით შეზღუდვაზე პირდაპირ ჩანანერს აკეთებს ამკ-ის 73-ე მუხლის I ნაწილიც, რომლის მიხედვითაც: „არასრულწლოვანს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაენიშნოს, თუ მან მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა ან ის თავს არიდებს არასაპატიმრო სასჯელს ანდა მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი,“ რაც პრაქტიკულად გამორცხავს ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სასჯელის ამ სახის გამოყენებას.

<sup>55</sup> ჰამილტონი ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ბავშვთა სამართლებრივი ცენტრი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი („იუნისეფი“), ბავშვთა დაცვის განყოფილება, ნიუ-იორკი, 2011, გვ. 65.

<sup>56</sup> ვაიკუნდი უ., მართლმსაჯულება ბავშვებისათვის, გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), თბ., 2013, ლექცია 4.

<sup>57</sup> ვაიკუნდი უ., იქვე, ლექცია 2.

ამკ-ის ზემოთ მოყვანილი მუხლების ერთობლივი ხედვა აშკარად მიუთითებს სისხლისმართ-  
ლებრივი სასჯელის, როგორც ინტერვენციის ყველაზე ხისტი ინსტრუმენტის მაქსიმალურ შეზ-  
ღუდვასა და დიდი სიფრთხილით გამოყენებაზე.

მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა ქვეყანა მესამე დონის პრევენციის განხ-  
ორციელების შედარებით განსხვავებულ და ზოგ შემთხვევებში, ეფექტურ ხერხებს მიმართავს.  
მაგალითისთვის, ზემოაღნიშნული ნიდერლანდების არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების  
სფეროში მომუშავე პროგრამა Halt, **მესამე დონის** პრევენციის განხორციელებისას ფოკუსირებას,  
ძირითადად, ახდენს განრიდების ალტერნატივებზე, რითაც საშუალებას აძლევს 12-18 წლამდე  
არასრულწლოვანს თავი აარიდოს მართლმსაჯულების ფორმლურ სისტემასთან კონტაქტს ყველა  
ისეთ შემთხვევაში, სადაც კი ეს შესაძლებელია. ეს პროგრამა წარმატებულია მის მიერ განხორ-  
ციელებული განრიდების 90%-ში.<sup>58</sup>

დანაშაულის პრევენციასა და განრიდებას შორის კავშირს პირდაპირ და ცალსახად აღიარებს  
სერბეთის კანონმდებლობა, როდესაც ადგენს, რომ: „განრიდების შესახებ განკარგულების გამო-  
ცემის მიზანია არასრულწლოვნის მიმართ სისხლის სამართალწარმოების წამოწყების თავიდან  
აცილება ან საქმისწარმოების შეჩერება და/ან განრიდების განკარგულების გამოცემით არას-  
რულწლოვანის სათანადო განვითარებაზე გავლენის მოხდენა და მისი პირადი პასუხისმგებლობის  
გაძლიერება, რათა თავიდან ავიცილოთ მომავალში დანაშაულის განმეორებით ჩადენა.“<sup>59</sup>

აშშ-ის და ევროპული ქვეყნების გვერდით თუ განვიხილავთ საქართველოს არასრულწლოვან-  
თა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულ მესამე დონეზე  
განსახორციელებელ აქტივობებს, თვალშისაცემია, რომ დაგეგმილი ღონისძიებები და პროგრამე-  
ბი არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებზე (როგორცაა (არასრულწლოვნის საუკეთესო  
ინტერესების პრიორიტეტულობა, ამკ-ის მე-4 მუხლი) ორიენტირებული ეფექტური ინტერვენციის  
შემადგენელი ნაწილია, რამდენადაც ფოკუსირებულია კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწ-  
ლოვანთა აღზრდაზე, განათლებაზე, დახმარებასა და სოციალიზაციაზე.

აღნიშნული ქმედებების გატარების აუცილებლობა და უპირატესობა კანონთან კონფლიქტში  
მყოფ არასრულწლოვნებთან მიდგომის თვალსაზრისით, პირდაპირ აღიარა და იმპერატიულად  
დაადგინა ამკ-ის 65-ე მუხლმა, როდესაც მან სასჯელის მიზნებად „არასრულწლოვნის რესო-  
ციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება“ დაასახელა. ხოლო საქა-  
რთველოს სსკ-ის 39-ე მუხლში მოცემული სასჯელის უპირველესი მიზანი – სამართლიანობის  
აღდგენა – ამკ-ის შესაბამის ნორმაში ნახსენებიც კი არაა. ამით კანონმდებელს იმის თქმა სურდა,  
რომ არასრულწლოვნის დასჯა არ ემსახურება სამართლიანობის აღდგენას, არამედ უპირველეს  
მიზანს წარმოადგენს თავად არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია.<sup>60</sup> არასრულწ-  
ლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის განმარტებით ბარათში პირდაპირ მიეთითა, რომ „სისხ-  
ლის სამართლის მართლმსაჯულების ისეთი ტრადიციული მიზნები, როგორცაა სამართლიანო-  
ბის აღდგენა, უნდა ჩაანაცვლოს რეაბილიტაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების მიზნებმა“.

თავის მხრივ, საქართველოს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის  
განხორციელების სამოქმედო გეგმაში დეტალურად განწერილი ღონისძიებები პირდაპირ აისახა  
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში, რითაც მათი პრაქტიკული იმპლემენტაციის  
საკანონმდებლო გარანტია შეიქმნა. აღნიშნული გეგმით გათვალისწინებული სისხლისსამართ-  
ლებრივი დევნის ალტერნატივების განვრცობა და ამ გზით დანაშაულის ჩამდენ მოზარდთა რე-  
აბილიტაციისა და რესოციალიზაციის უზრუნველყოფა გულისხმობს განრიდებისა და მედიაციის

<sup>58</sup> <http://www.halt.nl/en/halt-programme/>

<sup>59</sup> ჰამილტონი ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები,  
ბავშვთა სამართლებრივი ცენტრი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი („იუნისეფი“), ბავშვთა  
დაცვის განყოფილება, ნიუ-იორკი, 2011, გვ. 49; წყარო: კანონი არასრულწლოვან დამნაშავეთა და არასრულწლო-  
ვანთა სისხლისსამართლებრივი დაცვის შესახებ, გამოქვეყნებული სერბეთის რესპუბლიკის ოფიციალური უწყებებში  
№85/05, 2005, მუხლი 6.

<sup>60</sup> ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, მე-2 გამოცემა, თბ.,  
2016, გვ. 684.

პროგრამების მრავალფეროვნებას, რომლებიც მითითებულია ამკ-ის 42-ე მუხლში.

დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმაში მოცემული ინდივიდუალური მიდგომების განვითარება არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულებისათვის პრაქტიკულადაა გატარებული ამკ-ის ნორმებში. აქ იგულისხმება მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა შეფასების ფორმისა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმების დახვეწა. მაგალითად, ამკ-ის მე-80 მუხლის (გ) ქვეპუნქტი პირდაპირ ეხება არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიერ სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის წესს, ხოლო (ზ) ქვეპუნქტი არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროცესის ორგანიზების წესს.

სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია ასევე ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ბრალდებულებისა და მსჯავრდებულებისათვის. ეს ხედვა მოიცავს არასრულწლოვანი მსჯავრდებულების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესით უზრუნველყოფას. იდეა ხორცხმესმულია ამკ-ის 84-ე მუხლში, რომელიც ადგენს არასრულწლოვანისათვის საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზების საკითხს. გეგმა ეხება სასჯელალსრულების დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებული არასრულწლოვანის აკრედიტებული პროფესიული კურსებით უზრუნველყოფის საკითხსაც.

პრევენციის მესამე დონეზე გასატარებელ ზომებს შორის სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა ასევე მოიაზრებს: კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა ბრახისა და სტრესის მართვის, აგრეთვე კომუნიკაციის უნარების ტრენინგებში ჩართულობის უზრუნველყოფას. მასში იგულისხმება: არასრულწლოვანთა პიროვნული უნარების განვითარება შემდგომი რესოციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, ფსიქოსოციალური სარეაბილიტაციო პროგრამებისა და თერაპიების განვითარება არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულებისათვის.

დოკუმენტში გათვალისწინებულია ასევე სასჯელის მოხდის შემდეგ არასრულწლოვანზე ზრუნვის საკითხები, როგორცაა არასრულწლოვანთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამების დანერგვა და განვითარება, ასევე ზოგადი და პროფესიული განათლების ან დასაქმების და სტაბილური საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფის ხელშეწყობა – რომელთა გამოძახილსაც წარმოადგენს ამკ-ის XIV თავით „არასრულწლოვანის გათავისუფლებისთვის მზადება, პირობითი მსჯავრისა და სასჯელის მოხდის შემდეგ არასრულწლოვანზე ზრუნვა და მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია“ გათვალისწინებული ღონისძიებები, მიმართული არასრულწლოვანის მხარდასაჭერად, ხელშეწყობისა და ზედამხედველობისაკენ.

ეფექტური ინტერვენციისათვის საჭირო კომპონენტების უმრავლესობის განხილვის დასასრულს, ასევე უნდა შევეხო ბოლო კომპონენტს, რომელიც **არის ინტერვენციის ხარისხიანობა**. ნებისმიერი სახის ინტერვენცია თუ სერვისი, მიმართული არასრულწლოვანის დანაშაულის პრევენციასა თუ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაზე, ასეთი ჩარევის ხარისხზე უნდა იყო ორიენტირებული.

ბუნებრივია, არასრულწლოვანთა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია განმსაზღვრელია განმეორებითი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად და ბავშვის სწორი განვითარების უზრუნველსაყოფად. ამ მხრივ, არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, რაც იმაში გამოიხატება, რომ სასჯელალსრულებასა და პრობაციაში დაინერგა და წარმატებით ხორციელდება „რისკების და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის“ მეთოდოლოგია. სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა ინდივიდუალური მოთხოვნებისა და საჭიროებების გათვალისწინებას და სასჯელის გეგმის შედგენას, რაც ემსახურება განმეორებითი დანაშაულის შემცირების, არასრულწლოვანის რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზანს. თავის მხრივ სასჯელის ინდივიდუალურ გეგმებში გათვალისწინებულია საგანმანათლებლო და სპორტული აქტივობები, პროფესიული უნარების განვითარების პროგრამები, პროცესში კი ჩართულია სხვადასხვა სპეციალისტი, მათ შორის ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი და სხვა პროფესიონალები, რომლებიც განსაზღვრავენ

არასრულწლოვანთა საჭიროებებს და მჭიდროდ მუშაობენ მათთან.<sup>61</sup>

ამ საკითხთან მიმართებით, აღსანიშნავია „კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანთათვის მომსახურების მიწოდების სტანდარტები“, რომელიც საქართველოში ჯერ კიდევ 2013 წელს სპეციალურად შემუშავდა იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მოქმედი სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრისა და UNICEF-ის (გაეროს ბავშვთა ფონდი) მიერ ინიცირებული პროექტის ფარგლებში, რომელიც განხორციელდა საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციასთან თანამშრომლობით და დამტკიცდა 2014 წელს. **სტანდარტებში განსაზღვრულია:** სტანდარტების სამიზნე მოზარდთა ჯგუფები; სტანდარტების სამიზნე დაწესებულებები და მომსახურებები; სტანდარტების სამიზნე მომსახურებების სფერო; სტანდარტების გავრცელების სფერო. ეფექტური ჩარევის უზრუნველყოფის თვალსაზრისით ასეთი სტანდარტების არსებობა მნიშვნელოვანია, რამდენადაც ინტერვენციის ხარისხი ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა ეფექტური ჩარევის განსახორციელებლად. ეფექტური ინტერვენცია გულისხმობს მაღალხარისხიან ჩარევას. შესაბამისად, ეს სტანდარტები გულისხმობს დანაშაულის პრევენციის მეორე და მესამე დონის შესაბამისი ფსიქოსოციალური სარეაბილიტაციო პროგრამების მაღალი სტანდარტით განხორციელებას, რომლებიც ვრცელდება კანონთან კონფლიქტში მყოფ იმ არასრულწლოვნებზე, რომელთაც სხვადასხვა ფორმით შეხება ჰქონდათ მართლმსაჯულებასთან, – იმყოფებიან პრობაციისა და განრიდების პროგრამაში, ან თუნდაც, მოთავსებულნი არიან არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში.

## დასკვნა

ბავშვთა უფლებებზე ორიენტირებული საერთაშორისო აქტები დანაშაულის თავიდან აცილების დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებენ. ამგვარი ინსტრუმენტები სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ, არასრულწლოვანთა დანაშაულის ეფექტური პრევენციისათვის მაქსიმალურად ადრე მოხდეს ისეთი პროგრამების განხორციელება, რომელიც ადრეულ ასაკში უყალიბებს პიროვნებას არადანაშაულებრივ დამოკიდებულებებს (ე.წ. „რიადის წესები“) და რეკომენდაციას აძლევს მონაწილე სახელმწიფოებს გამოიყენონ პოზიტიური ღონისძიებები იმისათვის, რომ გააძლიერონ არასრულწლოვნის ზოგადი მდგომარეობა და შესაბამისად, შეამცირონ სახელმწიფო ინტერვენციის საჭიროება (ე.წ. „პეკინის წესები“).<sup>62</sup> თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ინტერვენცია მხოლოდ პრევენციის პირველ დონეზე უნდა განხორციელდეს, ან მხოლოდ პირველ დონეზე განხორციელებული პროგრამები იქნება ეფექტური. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის განსახორციელებლად სახელმწიფომ პრევენციის სამივე დონეზე დიდი სიფრთხილითა და დაკვირვებით უნდა გადადგას ნაბიჯები და შეარჩიოს შესაბამისი აქტივობები.

ამასთან, თუ პოლიტიკოსებს არასრულწლოვანთა სერიოზული და დაჟინებული დანაშაულებრივი ქცევის აღკვეთა სურთ, რამდენიმე კითხვას წინასწარ უნდა გასცენ პასუხი. უპირველეს ყოვლისა, არსებობს თუ არა ზოგადი ნარმოდგენა და კონსენსუსი დანაშაულებრივი ქცევის გამომწვევი ფუნდამენტური მიზეზის შესახებ? მეორე, შესაძლებელია თუ არა გარკვეული დამაჯერებლობით დაჟინებული სამართალდამრღვევი ქცევის წინასწარმეტყველება? მესამე, თუ ამ კითხვებზე პასუხი დადებითია, არსებობს თუ არა პროგრამები, რომელთაც შეუძლია ეფექტურად გაუმკლავდეს დაჟინებულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებულ გარემოებებს და რომელიც, მოგვიანებით დანაშაულში ჩართვის კუთხით დადებით შედეგს გვიჩვენებს?<sup>63</sup>

ეს ის შეკითხვებია, რომლებზე პასუხის გაცემასაც ემსახურებოდა მიზნად წინამდებარე სტატია და რომელთა ნათელყოფამაც საშუალება მისცა მკითხველს ჩასწვდომოდა და შეეფასებინა

<sup>61</sup> 2016 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის სტრატეგია.

<sup>62</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბ., ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, გვ.70.

<sup>63</sup> ვაიკუნდი უ., მართლმსაჯულება ბავშვებისათვის, გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), თბ., 2013, ლექცია მე-9.

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციული პოლიტიკის ელაბორაციის საკითხი.

ზოგადი დასკვნა არის ის, რომ არასრულწლოვანთა დელინქვენტურობა გარკვეულწილად სტაბილური ფაქტია და ის ნორმალურ გამოვლინებად არის მიჩნეული მოზარდის ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური განვითარებიდან გამომდინარე. შესაბამისად, არასრულწლოვანთა დელინქვენტობის პრევენცია შეიძლება იყოს ეფექტური. ინტერვენცია მიმართული უნდა იყოს იმ ასპექტებზე, რომლებიც აფერხებენ დელინქვენტობას და ის უნდა შეესაბამებოდეს დელინქვენტის შესაძლებლობებს. მაშასადამე, დანაშაულის პრევენციის თვალსაზრისით, ეფექტური ინტერვენციის საფუძვლად გვევლინება: (1) პრევენციის დონის განსაზღვრა პრობლემის განვითარების სტადიის მიხედვით იდენტიფიცირებად სამიზნე ჯგუფთან მიმართებით; (2) დანაშაულის ჩადენის რისკ-ფაქტორებისა და დამცავი ფაქტორების საგულდაგულო შემოწმება; (3) შერჩეული ინტერვენციის დროულობა; (4) ფოკუსირება, რაც გულისხმობს იმაზე აქცენტის გაკეთებას, თუ რამდენად დიდია დელინქვენტობის რეციდივის რისკი სამიზნე ჯგუფში; (5) ხარისხიანი ინტერვენცია; (6) ინტერვენციის ცალკეული პროგრამების ადეკვატურობა და პროპორციულობა, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა წარმატებულ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და გამომდინარეობს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან. ამასთან, ჩარევის საშუალებების შერჩევისას უდავოდ მხედველობაში მისაღები ფაქტია ის, რომ მხოლოდ რეპრესიული ინტერვენციები უარყოფითი, ან უკეთეს შემთხვევაში მცირე შედეგის მომტანია. შესაბამისად, ძირითადი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს იქით, რომ მოვარიდოთ ბავშვები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ფორმალურ სისტემაში ყოფნას და მის ნაცვლად მაქსიმალურად გამოვიყენოთ ალტერნატიული მექანიზმები.

ამ მიმართებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე.წ. „რიადის წესებით“ (მე-10 წესი) გათვალისწინებული **სოციალიზაციის პროცესი**, რომელიც კავშირშია დანაშაულის აღმკვეთ ღონისძიებებთან, რომლებიც აადვილებს ყველა ბავშვისა და ახალგაზრდა პირის წარმატებულ სოციალიზაციასა და ინტეგრაციას, კერძოდ, ოჯახის, საზოგადოების, თანატოლთა ჯგუფების, სკოლების, პროფესიული მომზადების ცენტრებისა და სამსახურის, აგრეთვე ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მეშვეობით. შესაბამისი ყურადღება უნდა გამახვილდეს ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაფერის პიროვნულ განვითარებაზე და ისინი მიჩნეულ უნდა იქნენ სრულყოფილ და თანასწორ პარტნიორებად სოციალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესში.

ამდენად, აბსოლუტურად რელევანტურია საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის 2016-2020 წლების სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული, დანაშაულის პრევენციაზე მიმართული აქტივობების განსახორციელებლად გაფორმებული მემორანდუმები, – განათლებისა და მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის, შინაგან საქმეთა სამინისტროებთან და სოციალური მომსახურების სააგენტოსთან.

არასრულწლოვანთა დელინქვენტობის განვითარებისა და პრევენციის საკითხი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შესწავლილი მსოფლიოში. ამიტომ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია აღნიშნულ სტრატეგიაში, არის ის, რომ 2016 წლისათვის შექმნილია სამუშაო ჯგუფი პრევენციული პროგრამების შეფასების კრიტერიუმების შემუშავების მიზნით, რომელმაც ვალიდური პასუხი უნდა გასცეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში დანაშაულის ეფექტური პრევენციის მისამართით დასმულ შეკითხვებს, რომელ მიზანსაც ასევე ემსახურებოდა წინამდებარე სტატია მასში გაკეთებული შეფასებებითა და დასკვნებით.

**არასრულწლოვანი მსხვერპლის დაცვა და საერთაშორისო  
სტანდარტებით აღიარებული უფლებები, რომელთა გათვალისწინება  
აუცილებელია სამართალწარმოებისას  
(გაერთიანებული ერების სამოდელო კანონმდებლობის ანალიზის მიხედვით)**

**მარინა მესხი**

*სამართლის დოქტორი, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის მონვეული ლექტორი*

გაერთიანებული ერების მიერ დადგენილი ნორმები და სტანდარტები არასრულწლოვნის უფლებათა დაცვის შესახებ 1950 წლიდან მოქმედებს. ბავშვის უფლებათა დაცვის ერთ-ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი და ფუნდამენტური დოკუმენტია ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენცია (შემდგომში კონვენცია), რომლის მე-19 მუხლის თანახმად, „მონაწილე სახელმწიფოები ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს მიმართავენ, რათა ბავშვი დაცული იყოს მშობლის, კანონიერი წარმომადგენლების, ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყველა ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა და ბოროტმოქმედებისაგან, იმისაგან, რომ ბავშვი მოკლებული იყო ზრუნვას, ექცეოდნენ დაუდევრად, ეპყრობოდნენ უხეშად, უწევდნენ ექსპლუატაციას, აგრეთვე ადგილი ჰქონდა სექსუალურ ძალადობას.“<sup>1</sup>

ბავშვის დაცვა ეფექტური ზომების ჩამოყალიბებაში უნდა იქნეს გამოხატული, რაც მოიცავს როგორც სოციალურ პროგრამებს ბავშვთა მხარდაჭერის მიზნით, ისე ბავშვის მიმართ ნებისმიერი დანაშაულის გამოვლენას, ბავშვთა დაცვის მექანიზმების შექმნასა და დამნაშავეთა დასჯას.<sup>2</sup>

კონვენციის მიხედვით, ყველა ბავშვს 18 წლის ასაკამდე აქვს სპეციფიკური მოთხოვნები და საჭიროებები, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები ჩამოყალიბებულია შემდეგი მიმართულებების გათვალისწინებით:

- სრულწლოვანი ადამიანის მსგავსი და თანასწორი უფლებები ბავშვებისათვის;
- განვითარებადი შესაძლებლობების აღიარების უფლება ბავშვებისათვის, რაც, თავის მხრივ, შემდეგ ძირითად პრინციპებს ეყრდნობა:

- ა) დისკრიმინაციისაგან დაცულობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა;
- ბ) ბავშვის ინტერესები;
- გ) სიცოცხლის, გადარჩენისა და განვითარების უფლება;
- დ) ბავშვის აზრის გათვალისწინების უფლება.<sup>3</sup>

რაც შეეხება ძალადობას ბავშვის მიმართ, კონვენციის მიხედვით ასეა განმარტებული:

<sup>1</sup> ბავშვის უფლებათა კონვენცია, მ.19.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

„ბავშვის ღირსების შემლახავი და/ან სიცოცხლისა და განვითარების შემაფერხებელი ნებისმიერი მოპყრობა“.<sup>4</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, არასრულწლოვანი შესაძლოა სხვადასხვა ფორმის ძალადობისა და დანაშაულის მსხვერპლი გახდეს. დანაშაულის მსხვერპლი არასრულწლოვნის უფლებათა დაცვის თაობაზე მართლმსაჯულების თავისებურებათა გათვალისწინებით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია გაერთიანებული ერების ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის (UNODC) მხარდაჭერით შემუშავებული სამოდელო კანონმდებლობა, რომელიც უშუალოდ არასრულწლოვანი მსხვერპლის ინტერესების დაცვაზეა მიმართული.<sup>5</sup>

თავდაპირველად, მნიშვნელოვანია განვმარტოთ არასრულწლოვანი მსხვერპლის დეფინიცია, ხოლო შემდეგ დეტალურად გავნიხილოთ ის უფლებები, რომლითაც არასრულწლოვანმა მსხვერპლმა უნდა ისარგებლოს სამართალწარმოების ყველა ეტაპზე.

სამოდელო კანონმდებლობის მიხედვით, „არასრულწლოვანი მსხვერპლი/მოწმე“ არის „18 წლის ასაკს მიუღწეველი პირი, რომელიც არის დანაშაულის მსხვერპლი ან მოწმე, მიუხედავად დანაშაულის მიმართ მისი როლისა ან სავარაუდო დამნაშავეს მიმართ მისი დამოკიდებულებისა.“<sup>6</sup>

მნიშვნელოვანია ამ კონტექსტშივე განვიხილოთ დანაშაულის მსხვერპლი არასრულწლოვნის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა მის მიმართ ჩადენილი დანაშაულის შემდეგ, რაც შესაძლოა სისხლის სამართლის წესით (ან ადმინისტრაციული წესითაც) დასჯადი სხვადასხვა ქმედებით გამოვლინდეს, თუმცა ლიტერატურაში გამოყოფენ არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი დანაშაულის შემდეგი ფორმებით კლასიფიკაციას, როგორიცაა ფიზიკური, სექსუალური, ემოციური ძალადობა, უგულვებლყოფა და სხვა.<sup>7</sup> დანაშაულის მსხვერპლი თუ მოწმე არასრულწლოვნის მდგომარეობის შეფასება უაღრესად მნიშვნელოვანია მისი დაცვის შესაბამისი ზომების შერჩევისათვის, ასევე, მისი სრულფასოვანი რეაბილიტაციისათვის. სწორედ ამ მიზნით, მოკლედ მიმოვიხილოთ ზემოთ ჩამოთვლილი ფორმები და მათი გავლენა არასრულწლოვნის განვითარებასა და ქცევაზე.

**ფიზიკური ძალადობა** შეიძლება გამოხატული იყოს ცემით, ნამებით, ჯანმრთელობის დაზიანებით, დანვით, კბენით, ბნელ ადგილებში ჩაკეტვით, ფიზიკური ტკივილის ან ტანჯვის გამოწვევით ქმედებებით არასრულწლოვნის მიმართ.

ამგვარი ძალადობის ფორმით გამოწვეული შედეგები არასრულწლოვნებში სხვადასხვაგვარი ფორმით იჩენს თავს: ძალადობის დამალვა, სისხლჩაქცევები, დამწვრობის კვალი, კოპები, ნაკანრები, სხვადასხვა ჩალურჯება, შიში, შფოთვა, აგრესია, ქცევის უკიდურესობები, სისასტიკე ზოგადად და განსაკუთრებით ცხოველების მიმართ, სკოლის გაცდენები, გაქცევა და სხვა.<sup>8</sup>

**სექსუალური ძალადობა** არის არასრულწლოვანთან სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მისი უმწეობის გამოყენებით. სექსუალური ძალადობა მოიცავს როგორც სქესობრივ აქტს, ასევე შეხებას, ფერებას და სხვა ამგვარ მოქმედებას; სექსუალური მეტყველებით თუ შენიშვნებით დევნას, პორნოგრაფიული სურათებისა და ფილმების ჩვენებას, არასრულწლოვნისთვის პორნოგრაფიული ხასიათის ფოტოების გადაღებას.

ამგვარი ფორმით ჩადენილი ძალადობის შედეგები არასრულწლოვანზე გამოხატულია სასქესო ორგანოების ტრავმებით, ჰიპერსექსუალობით, მუცლის პერიოდული ტკივილით, კომპარებით, უძილობით, სისხლდენით, დეპრესიით, კვების დარღვევით. გოგონებში ხშირია ორსულობის შემთხვევები. ასევე, არასრულწლოვანი მის მიმართ სექსუალური ძალადობის შედეგად შესაძლებელია სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების მსხვერპლი გახდეს, ხშირია აგრეთვე სუიციდის მცდელობები.<sup>9</sup>

<sup>4</sup> ბავშვის უფლებათა კონვენცია, მ. 4.

<sup>5</sup> Justice in Matters involving Child Victims and Witnesses of Crime (Model Law and Related Commentary), UNDOC, 2009

<sup>6</sup> იქვე, მ.1. (ა).

<sup>7</sup> The National Child Traumatic Stress Network, ხელმისაწვდომია: <http://www.nctsn.org/content/children-and-violence>

<sup>8</sup> იქვე.

<sup>9</sup> იქვე.

ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელსაც ხშირად ემოციური ძალადობის სახელითაც იხსენიებენ, მოიცავს არასრულწლოვნის დაშინებას, კრიტიკას, მის მიმართ აგრესიულ დამოკიდებულებას, ემოციურ მანიპულაციას, უსამართლო დადანაშაულებასა და ბრალდებას, მომეტებულ კონტროლს, დაცინვას, ყვირილს, სისტემატურ შეურაცხყოფას.

ეს ფორმა საკმაოდ რთული გამოსაცნობია, გრძელვადიანი და გაცილებით მძიმე შედეგები მოაქვს, ვიდრე ფიზიკურ ძალადობას და საკმაოდ მძიმე შედეგებით აისახება არასრულწლოვანზე.

ვინაიდან ძალადობის ეს ფორმა გულისხმობს აკონტროლოს და მართოს არასრულწლოვნის მოქმედებები მისი დამორჩილების მიზნით, ვითარდება დაბალი თვითშეფასება, ძლიერდება თვითიზოლაცია, არასრულწლოვანი კარგავს დამოუკიდებლობის შეგრძნებას, ხშირად გამოსატყუარია მეტყველების შეფერხება, თავის ტკივილები, ენურეზი, დეპრესია, დესტრუქციული ან ნევროზული ქცევა, თვითდაზიანება. არცთუ იშვიათად არასრულწლოვნებში თავს იჩენს ალკოჰოლიზმი, ნარკომანია.<sup>10</sup>

**რაც შეეხება უგულბელებას,** ეს უფრო სპეციფიკური ფორმაა და ძირითადად გავრცელებულია ოჯახში ძალადობისას, მშობელთა ან მზრუნველთა მიერ არასრულწლოვნის ფიზიკური ან ემოციური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, შესაძლებლობის, ცოდნის, მომსახურების უგულბელებას. ამ ფორმით განხორციელებული ძალადობის შედეგები შემდეგი ფორმებით ვლინდება: ჰიგიენური ნორმების დაუცველობა, ქრონიკული დაავადებები, სიხარბე საკვების მიღების დროს, დაბალი თვითშეფასება და სხვა.<sup>11</sup>

არასრულწლოვანზე ძალადობის ჩამოთვლილი ფორმების და განხილვის შედეგად შესაძლებელია ზოგადადაც განსაზღვრულ იქნეს საზიანო შედეგები, რომელიც არასრულწლოვანზე ვლინდება. ასეთ ბავშვებში მაღალია შიშისა და დეპრესიის ხარისხი და დაბალია თვითშეფასების გრძნობა, ხდებიან აგრესიულები და ძალადობისკენ მიდრეკილი, გვხვდება პროსტიტუციის, ალკოჰოლიზმისა და დეპრესიის შემთხვევები.

სწორედ ამიტომაც აუცილებელი შეძლებისდაგვარად ზუსტად განისაზღვროს არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, შეფასდეს რომელ განხილულ ფორმას ეკუთვნის მის მიმართ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება და მაქსიმალურად ზუსტად დაიგეგმოს მისი დაცვისა და რეაბილიტაციის ღონისძიებები, ვინაიდან არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილ დანაშაულს გრძელვადიანი და დამანგრეველი შედეგები აქვს, შესაბამისად, სახელმწიფომ და საზოგადოებამ ერთად უნდა იზრუნოს პრობლემის აღმოფხვრისაკენ.<sup>12</sup> ამ მიმართებით, თუნდაც ეჭვის არსებობის შემთხვევაში, რომ არასრულწლოვნის მიმართ რაიმე ფორმით ძალადობა ჩადენილი, აუცილებელია შესაბამისი რეაგირება.

რაც შეეხება არასრულწლოვანი მსხვერპლის დაცვას, UNODC-ის ზემოაღნიშნული დოკუმენტი საკმაოდ საინტერესოა რამდენიმე მიმართულებით. იგი აყალიბებს იმ ძირითად აქცენტებს, რაც არასრულწლოვანი მსხვერპლის დაცვისა და დახმარებისათვის უნდა გაითვალისწინონ სახელმწიფოებმა (მიუხედავად მათი სამართლებრივი სისტემისა), რათა შეძლონ ბავშვის უფლებათა კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების სრულფასოვნად შესრულება.<sup>13</sup>

ამასთანავე, ქვეყნებმა თავიანთ კანონმდებლობებში მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინონ არასრულწლოვანი მსხვერპლისა და მოწმის შემთხვევებში სამართალწარმოების თავისებურებები<sup>14</sup> და კანონმდებლობის ფორმირებისას, ასევე, არასრულწლოვან მსხვერპლთა საქმეებზე

<sup>10</sup> დასახელებული ნაშრომი.

<sup>11</sup> საქართველოს კანონით ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, უგულბელებას ოჯახში ძალადობის ფორმადაა აღიარებული და შემდეგნაირადაა განმარტებული: „მშობლის ან/და კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, საფრთხისაგან დაუცველობა, დაბადების რეგისტრაციის, სამედიცინო თუ სხვა მომსახურებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, თუკი მშობელს ან/და კანონიერ წარმომადგენელს აქვს სათანადო ინფორმაცია და ხელი მიუწვდება შესაბამის მომსახურებაზე.“

<sup>12</sup> <http://www.qwelly.com/group/psychology/forum/topics/dzaladoba-bavshvebze>

<sup>13</sup> იქვე, გვ. iii

<sup>14</sup> იქვე



სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე გათვალისწინებულ უნდა იქნეს კონვენციით აღიარებული ფუნდამენტური უფლებები, რომლებსაც დეტალურად განვიხილავთ და რომელთა დაცვაც უაღრესად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით სისხლის სამართლის დანაშაულის მსხვერპლი არასრულწლოვნის საქმეების წარმოებისას.

ეს უფლებები შემდეგნაირად შეიძლება დავაჯგუფოთ:

### **ა) ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინება**

სახელმწიფოების მიერ კანონმდებლობის მოწყობისას და აღსრულების მექანიზმების ჩამოყალიბებისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უზრუნველყოფის დანერგვები, სასამართლოსა თუ ადმინისტრაციული საკანონმდებლო ორგანოების მიერ ბავშვის მიმართ ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას.<sup>15</sup> ამ დებულებით აქცენტი კეთდება ბავშვის ინტერესების უპირველეს აუცილებლობაზე. იგი არაა შეზღუდული ბავშვებთან პირდაპირ შეხებაში მყოფი ქმედებით, არამედ მოიცავს ყველაფერს მნიშვნელოვანს, რამაც შესაძლებელია პირდაპირ ან არაპირდაპირ გავლენა მოახდინოს ბავშვზე. ეს დებულება ეხება როგორც კერძო სექტორის, ისე სახელმწიფო სექტორში დასაქმებული პირის ვალდებულებას, ნებისმიერი ქმედების განხორციელებამდე გაითვალისწინოს ამ ქმედების შესაძლო გავლენა არასრულწლოვანზე.

კონვენციის აღნიშნული მუხლი მრავალ საერთაშორისო და რეგიონალურ დოკუმენტში იქნა ასახული, ასევე მრავალი ქვეყნის მიერ იქნა გათვალისწინებული.

სამოდერო კანონმდებლობის ჩანაწერის მიხედვით, ბავშვის საუკეთესო ინტერესის ეროვნულ კანონმდებლობაში შესაბამისი ინტერპრეტაცია და ასახვის ფარგლები სახელმწიფოს მიერ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული დეფინიციის მიხედვით.<sup>16</sup> რაც შეეხება საერთაშორისო სტანდარტს, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების უზრუნველყოფა პირველადი განხილვის მნიშვნელობის მქონე უნდა იყოს, განსაკუთრებით სისხლის სამართლის საქმეებზე.

### **ბ) დისკრიმინაციისაგან დაცულობის უფლება და არასრულწლოვნის სხვა უფლებები**

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, აკრძალულია დისკრიმინაციული დამოკიდებულება არასრულწლოვნის მიმართ და ჩამოყალიბებულია იმ საფუძვლების ჩამონათვალი, რომელთა მიხედვითაც დისკრიმინაცია დაუშვებელია. ესენია რასა, კანის ფერი, სქესი, ენა, რელიგია, პოლიტიკური და სხვა შეხედულებები, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური წარმოშობის მიხედვით, ქონებრივი მდგომარეობის, ქმედუუნარობის, დაბადების ადგილის ან ნებისმიერი სხვა სტატუსის მიხედვით.<sup>17</sup> შესაბამისად, არასრულწლოვანი, რომელიც გახდა რომელიმე ზემოაღნიშნული საფუძვლით ჩადენილი დისკრიმინაციის მსხვერპლი, სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მის მიმართ დაცვისა და დახმარების არსებული ყველა შესაძლო სერვისის მიწოდებით, მისი როგორც დარღვეული უფლების აღდგენის, ისე რეაბილიტაციის მიზნით.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოება რომ სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი დანაშაულის აღმოჩენის შემთხვევაში მისი დაუყოვნებლივ შეტყობინება სამართალდამცავი ორგანოებისათვის. ბევრი ქვეყნის კანონმდებლობით, ამგვარი ინფორმაციის შეუტყობინებლობა სისხლის სამართლის წესით დასჯადი დანაშაულია. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით ეს ვალდებულება კიდევ უფრო მკაცრად ეკისრებათ არასრულწლოვნებთან მომუშავე პროფესიონალებს, როგორებიცაა პედაგოგები, სოციალური მუშაკები, სამედიცინო დარგის მუშაკები, რომელთათვისაც პროფესიული საქმიანობის განხორციელების პერიოდში ცნობილი ხდება, რომ არასრულწლოვანი, რომელიც მათი მომსახურებით სარგებლობს,

<sup>15</sup> სქოლიო 1, მ.3.

<sup>16</sup> სქოლიო 5, მ.1, para 3.

<sup>17</sup> იქვე, მ.2.

დანაშაულის მსხვერპლია.

გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია არასრულწლოვნის დაცვა დამნაშავესთან კონტაქტი-საგან. ზოგი ქვეყნის მიერ სექსუალური დანაშაულების სპეციალური ჩამონათვალიც კი იქნა შემუშავებული იმ დანესებულებების დამსაქმებელთათვის, სადაც არასრულწლოვნები რაიმე ფორმის სერვისებით სარგებლობენ, შესაბამისად, ჩამონათვალში არსებული დანაშაულის ჩადე-ნაში ბრალდებულ პირებს ეზღუდებათ დასაქმება.<sup>18</sup> ამ რეგულაციით სახელმწიფოები ცდილობენ არასრულწლოვნის დაცვას სხვადასხვა დანაშაულში, განსაკუთრებით კი სექსუალურ დანაშაულში ბრალდებული პირებისგან.<sup>19</sup>

არაერთი სახელმწიფოს მიერ შექმნილ იქნა არასრულწლოვნის დაცვის სპეციალური მექა-ნიზმები როგორც სამართლებრივი, ისე ინსტიტუციური ფორმით. დიდ ბრიტანეთში საუნწყე-ბათაშორისო ინსტიტუციის შექმნამ უზრუნველყო არასრულწლოვნის დაცვისა და სერვისების მიწოდების ფართო შესაძლებლობა.<sup>20</sup> იგივე შეიძლება ითქვას ბელგიაზე.<sup>21</sup> თუმცა ქვეყნების დიდ ნაწილში ამ საქმიანობის უმეტესი წილი არასამთავრობო ორგანიზაციებზე მოდის.

დისკრიმინაციისგან დაცულობა აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციის<sup>22</sup> მე-14 მუხლის თანახმად, გარდა ამისა, საქართველოს კანონმდებლობით არაერთი ნორმატიული აქტი უზრუნვე-ლყოფს დისკრიმინაციისგან დაცულობას, განსაკუთრებით არასრულწლოვნის დაცვას ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციისაგან.

### **გ) ინფორმაციის მიღების უფლება**

საკუთარი უფლებების ცოდნა, ისევე როგორც პროცესუალური უფლებების გამოყენების შესაძლებლობა, ძალზე მნიშვნელოვანია არასრულწლოვნისთვის, განსაკუთრებით ყურადსაღებია ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნისათვის.

გარდა ამისა, ინფორმაციის მიღების უფლებებში განიხილება, ასევე, სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მიღების უფლება, ამავე კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის მიღების უფლების ნაწილია იმ გადამწყვეტილებების შესახებ ინფორმირება, რომელიც არასრულწლოვნის მიმართ იქნა მიღებული.<sup>23</sup>

### **დ) უფლება მისი აზრისა და შეხედულების გათვალისწინების შესახებ**

არანაკლებ მნიშვნელოვანია არასრულწლოვნისთვის, მით უმეტეს ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნისთვის საკუთარი შეხედულებების გამოხატვისა და საკუთარი აზრის გამოთქმით სარგებლობის უფლება. საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებულია არასრულწლოვნის მიერ აზრის გამოთქმა საკუთარი შეხედულებებისა და მსოფლმხედველობის შესაბამისად.<sup>24</sup>

### **ე) ეფექტური დაცვის უფლება**

ეფექტური დაცვის უფლება გულისხმობს როგორც არასრულწლოვნის სხვადასხვა ტიპის ძალადობისაგან დაცულობას, ასევე მისი სამართლებრივი დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფას. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი:

### **ძალადობის ყველა ფორმისგან დაცვა**

ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ არასრულწლოვანი დაცული უნდა იყოს ძალადობის ყველა ფორმისაგან როგორც მშობლების, კანონიერი მეურვეების, მასზე მზრუნველი ნებისმიერი

<sup>18</sup> სქოლიო 5, მ.4, para 1.

<sup>19</sup> იქვე, para 3

<sup>20</sup> იქვე.

<sup>21</sup> იქვე.

<sup>22</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მ.14.

<sup>23</sup> სქოლიო 1.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 7.

სხვა პირისგან როგორც ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, ისე შეურაცხყოფისა თუ ბოროტად გამოყენებისაგან, მზრუნველობის მოკლებისა თუ დაუდევარი მოპყრობისაგან, უხეში მოქცევისა თუ ექსპლუატაციისაგან, სექსუალური ძალადობის ჩათვლით.

CRC მიხედვით, სახელმწიფოებმა არასრულწლოვნის დასაცავად უნდა შექმნან ეფექტური პროცედურები სოციალური პროგრამების შემუშავების მიზნით, რათა უზრუნველყონ აუცილებელი დახმარება იმ ბავშვებისა და პირების მიმართ, ვინც მათზე მზრუნველობას ახორციელებს.

ამ მიუხლით დაცული უფლებების უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფოებმა ასევე ყველა ზომამ უნდა გაატარონ ბავშვის მიმართ სასტიკი დამოკიდებულების თავიდან აცილების მიზნით, ნებისმიერი ფორმით ძალადობის გამომჟღავნების, შეტყობინების, გამოძიების, დაცვისა და დახმარების პროცედურების ჩათვლით.

### **ექსპლუატაციისაგან დაცვა**

ძალზე მნიშვნელოვანია არასრულწლოვნის დაცვა ექსპლუატაციისაგან, განსაკუთრებით ეკონომიკური ექსპლუატაციისა და ნებისმიერი ისეთი სამუშაოს შესრულებისაგან, რაც მის ჯანმრთელობასა და განვითარებას, განათლებას, გონებრივ, მორალურ და სოციალურ განვითარებას ხელს უშლის.

ამ ჩანანერით დაცული უფლებების უზრუნველსაყოფად და იმის მისაღწევად, რომ არასრულწლოვანი არ გახდეს ეკონომიკური დანაშაულის მსხვერპლი, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ბავშვის დაცულობა მსგავსი ტიპის ქმედებებისაგან შემდეგი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად:

- სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკის დადგენით;
- სამუშაო დროის ხანგრძლივობის და შრომის პირობებთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების დადგენით;
- ამ მიუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების ეფექტურად განხორციელების მიზნით შესაბამისი სანქციების შემოღებით.<sup>25</sup>

### **ნარკოტიკული საშუალებებით სარგებლობისაგან დაცვა**

იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვნის ამგვარი დანაშაულის მსხვერპლად გახდომის შესაძლებლობა, სახელმწიფოთა მიერ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ბავშვის დაცვა ნარკოტიკული საშუალებებით სარგებლობისგან და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ხმარებისაგან, ისევე, როგორც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ყველა ზომის მიღება ამ ნივთიერებათა უკანონო წარმოებაში ან ვაჭრობაში მათ ჩართვისგან.

### **სექსუალური ექსპლუატაციისაგან და ექსპლუატაციის სხვა ფორმებისგან დაცვა**

სექსუალური ექსპლუატაციისაგან არასრულწლოვნის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ბავშვის დაცვა არა მხოლოდ სექსუალური ექსპლუატაციის, არამედ სექსუალური ცდუნების ყველა ფორმისაგან. ამ მიუხლით დაცული უფლების უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფომ ყველა აუცილებელი ზომა უნდა განახორციელოს იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული:

- ბავშვის დაყოლიება ნებისმიერ უკანონო სექსუალურ ქმედებაზე ან ბავშვის იძულება, მონაწილეობა მიიღოს ასეთ ქმედებაში;
- ექსპლუატაციის მიზნით ბავშვის გამოყენება პროსტიტუციაში ან სხვა უკანონო სექსუალურ პრაქტიკაში;
- ექსპლუატაციის მიზნით ბავშვის გამოყენება პორნოგრაფიასა და პორნოგრაფიულ მასალებში.

<sup>25</sup> ამ მიუხლით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და დარღვევების შესახებ ეკონომიკური ექსპლუატაციის, შრომითი თუ სექსუალური ექსპლუატაციის შესახებ უფრო დანვრილებით ქვემოთ განვიხილავთ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არასრულწლოვანი დაცული უნდა იყოს ექსპლუატაციის ყველა სხვა ფორმისგან, რაც ზიანს აყენებს მისი კეთილდღეობის ნებისმიერ ასპექტს.

გარდა ამისა, ეფექტური დაცვის უფლების ქვეშ განხილულ უნდა იქნეს ისეთი უფლებებიც, როგორცაა არასრულწლოვნის (ცხადია, ეს ჩანანერი ვრცელდება დანაშაულის მსხვერპლი არასრულწლოვნის მიმართაც) ჯანმრთელობისა და სამართლებრივი დაცვა.

### **ჯანმრთელობის დაცვა და სერვისებზე ხელმისაწვდომობა**

ნებისმიერი ტიპის დანაშაულის მსხვერპლი არასრულწლოვნისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ჯანმრთელობისა და ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, შესაბამისად, სახელმწიფოების მიერ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ბავშვის ჯანმრთელობის უფლება და ყველა სერვისზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა, დაავადებათა მკურნალობა, ჯანმრთელობის აღდგენის ხელმისაწვდომობა.

ასევე, სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ ყველა ღონისძიება იმისათვის, რომ აღმოფხვრან ყველა შესაძლო მავნე პრაქტიკა, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ბავშვის ჯანმრთელობაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არასრულწლოვანი მსხვერპლის მიმართებაში ამ მუხლით დაცული უფლებებით სარგებლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა საგანგაშოა და თითქმის ყველა ქვეყანაში დგას დანაშაულის მსხვერპლი არასრულწლოვნის ჯანმრთელობის ეფექტურად დაცვის პრობლემა.

თუ ამ მიმართებით ეროვნულ კანონმდებლობას განვიხილავთ, აღსანიშნავია ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი: ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები<sup>26</sup> და ბავშვთა რეფერირების დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, განათლების მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.<sup>27</sup>

პირველ დოკუმენტში ბავშვზე ზრუნვის 6 ჯგუფად ჩამოყალიბებული 15 სტანდარტიდან, არასრულწლოვანი მსხვერპლის დაცვის კუთხით, ძალზე მნიშვნელოვანია მე-11 და მე-12 სტანდარტები, რომელიც ეხება არასრულწლოვნის ძალადობისგან დაცვას.<sup>28</sup>

რაც შეეხება მეორე დოკუმენტს, იგი რამდენიმე ეტაპს გულისხმობს:

- ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენა;
- ბავშვის მდგომარეობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში ბავშვის განთავსება მომსახურებაში ან მომსახურებებში, სადაც იგი უსაფრთხოდ იქნება და შესაძლებელი იქნება მისი რეაბილიტაცია;
- შემთხვევებზე ზედამხედველობა.<sup>29</sup>

პირველი ეტაპი, რომელიც შეეხება ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენას, შეიძლება პირობითად ორი საფუძვლით: გადაუდებელი მდგომარეობითა და საფუძვლიანი ეჭვით.

გადაუდებელი მდგომარეობისას აუცილებელია სასწრაფო დახმარებისა და პოლიციის ჩართვა, ან შესაძლოა, პირიქით, შემთხვევა სწორედ მათ მიერ იქნეს აღმოჩენილი.

საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში, ეჭვის წყარო შესაძლოა სხვადასხვა იყოს: ბავშვის სხეულზე დაზიანებები; ბავშვის საეჭვო ქცევა; ბავშვის განცხადება მასზე განხორციელებული ძალადობის შესახებ; მონმის განცხადება განხორციელებული ძალადობის შესახებ, რომელსაც შეესწრო; ბავშვის სხეულის დაზიანება და მშობლის არაადეკვატური ქცევა. დოკუმენტის თანახმად, რეფერი-

<sup>26</sup> ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-59/6, 2012 წლის 30 აგვისტო, ქ. თბილისი.

<sup>27</sup> ბავშვთა რეფერირების დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, განათლების მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანება №152/6-№496-№45/6, 2010 წლის 31 მაისი, ქ. თბილისი.

<sup>28</sup> სქოლიო 26.

<sup>29</sup> სქოლიო 27.

რების სისტემაში ჯანდაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და განათლების სამინისტროების გარდა, ერთვება ბავშვთან მომუშავე ორგანიზაციები, ადგილობრივი თვითმმართველობა, სასამართლო.<sup>30</sup>

### **კონფიდენციალურობის უფლება და ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცვა**

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ზოგადად აღიარებული პრინციპია არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცვა, მათ შორის მიმონერისა და ოჯახური ცხოვრების დაცვა. როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, არასრულწლოვანი მსხვერპლის შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული უფლებებით სრულყოფილად სარგებლობა, რაც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ეროვნული კანონმდებლობითაც.

არასრულწლოვანი მსხვერპლისათვის ძალზე მნიშვნელოვანია მისი პირადი ცხოვრება და მისი საიდენტიფიკაციო მონაცემების კონფიდენციალურობა დაცული იყოს. ასევე, იკრძალება მიმონერისა და ოჯახური ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი დანაშაულის დროულად გამოძიებისა და ამ მიმართულებით საქმიანობისათვის საჭიროებისა.<sup>31</sup>

### **თ) რეაბილიტაცია**

ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნის რეაბილიტაციას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მიზნით სახელმწიფომ ყველა ზომა უნდა გაატაროს იმ ბავშვთა ფსიქოლოგიური გაჯანსაღებისა და რეინტეგრაციის მიზნით, რომლებიც ნებისმიერი სახის უგულვებელყოფის, ექსპლუატაციის ან ბოროტად გამოყენების, წამების, სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის, სასჯელის თუ სხვა ტიპის დანაშაულის მსხვერპლია.

საქართველოს კანონმდებლობით, მართალია, დასახვეწია, თუმცა შექმნილია ინსტიტუციები ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნის რეაბილიტაციისათვის. ძალადობის მსხვერპლს, მათ შორის არასრულწლოვან მსხვერპლს შეუძლია ისარგებლოს სხვადასხვა სერვისითა და სარეაბილიტაციო პროგრამებით.<sup>32</sup>

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონში სპეციალური ყურადღება ეთმობა არასრულწლოვანი მსხვერპლის დაცვის ღონისძიებებს. არასრულწლოვანს შეუძლია ისარგებლოს უფასო სამართლებრივი, სამედიცინო, ფსიქოლოგიური სერვისებით თავშესაფრით, სარეაბილიტაციო პროგრამებით.<sup>33</sup>

## **დასკვნა**

წინამდებარე სტატიაში მოკლედ იქნა მიმოხილული ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვანი და მასზე ძალადობის მავნე შედეგები, საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული არასრულწლოვნის უფლებები და ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნის დასაცავად სახელმწიფოს მიმართ კანონმდებლობის მოწყობის მოთხოვნები.

სტატიაში ეროვნული კანონმდებლობა დაწვრილებით შეგნებულად არ განგვიხილავს, თუმცა კი აუცილებლად აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობით, არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი დანაშაული დამამძიმებელ გარემოებად ითვლება. ამასთანავე, ეროვნული კანონმდებლობა მხოლოდ იმ ნაწილში იქნა გახილული, რაც კონკრეტულად არასრულწლოვანი

<sup>30</sup> დასახელებული ნაშრომი.

<sup>31</sup> იქვე.

<sup>32</sup> სქოლიო 11, მ. 9.

<sup>33</sup> იქვე, მ.16.

მსხვერპლის დაცვას ეხება.

რაც შეეხება საჭიროებებს, რომელსაც სტატიაში კონკრეტულად არ შევეხეთ, შემდეგნაირად უნდა ჩამოვაცალიბოთ:

დაცვისა და რეაბილიტაციის სრულყოფილად განხორციელებისათვის აუცილებელია, პირველ რიგში, ცნობიერების ამაღლება, განსაკუთრებით აუცილებელია ამ მიმართულებით რეგიონებში მუშაობის გაძლიერება. ასევე, ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის მიზნით ინფორმირება, განსაკუთრებით არასრულწლოვანთა ინფორმირება იმ ინსტიტუციებისა და მექანიზმების შესახებ, ვის უნდა მიმართონ ამგვარი შემთხვევების იდენტიფიცირებისას. გარდა ამისა, რეფერირების ინსტიტუტების გაძლიერება და სერვისების დახვეწა და სხვა.

რაც შეეხება ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნის დაცვის მექანიზმებსა და პრობლემებს ამ მიმართებით არსებულ სისტემაში ყველაზე სუსტ რგოლად პოლიცია და სკოლა გამოიყურება. პოლიცია, რომელიც ვერ ახერხებს არასრულწლოვანზე ძალადობის შემთხვევების სრულფასოვნად აღკვეთას კვალიფიციური კადრების სიმცირის გამო, ხოლო სკოლის პედაგოგებისა და მანდატურების ცოდნის ხარისხი საგრძნობლად დაბალია ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნის იდენტიფიცირებისა და დახმარების მიმართებით.

გაცილებით სერიოზული პრობლემაა სოციალური მუშაკების ჩართულობა არასრულწლოვანი მსხვერპლის კონკრეტულ საქმეებში. რესურსის სიმწირე მნიშვნელოვნად აბრკოლებს სოციალურ მუშაკთა ჩართულობას. შესაბამისად, რეფერირების მექანიზმი სერიოზულ გადახედვასა და დახვეწას საჭიროებს.

გარდა ამისა, ძალზე მნიშვნელოვანი და პროგრესული იქნებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროში შექმნილიყო ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ცალკე სტრუქტურული ერთეული, სადაც ასევე მოიაზრება ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვანი. ეს იქნებოდა ამ საკითხის პრიორიტეტულობის ხაზგასმა, რომ არაფერი ითქვას ამ ერთეულის შექმნის მიზანზე.

ყოველივე ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ ეროვნული კანონმდებლობა არასრულწლოვანი მსხვერპლის დაცვის ნაწილში ვითარდება და კანონმდებლობისა და მექანიზმების დახვეწის მიზნით მუშაობა სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობს, რაც აუცილებელია არასრულწლოვანი მსხვერპლის დაცვის და დახმარების ინტიტუტების გაძლიერებისათვის და კანონმდებლობის მონყოფისათვის საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული უფლებების შესაბამისად.

## შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში — ისტორიული, სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება

*ქეთევან მჭედლიშვილი - ჰედრიხი  
საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის მონვეული ლექტორი*

### სახლიდან გასვლის აკრძალვა, როგორც აღზრდის მეთოდი ოჯახში

სახლიდან გასვლის აკრძალვა, რომლის დროსაც ბავშვს მხოლოდ სკოლაში სიარულის უფლება აქვს და სხვა ღონისძიებისათვის ბინის დატოვება ეკრძალება, გამოიყენება როგორც პრევენციული ღონისძიება არა სახელმწიფოს, არამედ ოჯახის სრულწლოვანი წევრის მიერ ოჯახის არასრულწლოვანი წევრის მიმართ, როგორც აღზრდის მეთოდი. ამგვარი სახის „შინაპატიმრობისას“ არასრულწლოვანს ხშირად ელექტრონული მედიით (კომპიუტერი, ტელევიზორი) სარგებლობასაც უკრძალავენ.

სახლიდან გასვლის აკრძალვა აღზრდის მეტად მკაცრი სახეა. მისი გამოყენების სფერო ამიტომაც შეზღუდული უნდა იყოს. იგი მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, მცირე დროით და მართოდენ არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებისათვის უნდა გამოიყენებოდეს, ანუ მაშინ, როდესაც არასრულწლოვანს რაიმე საფრთხე ემუქრება ან მისგან რაიმე საფრთხეა მოსალოდნელი. როდესაც „ოჯახური შინაპატიმრობა“ სისტემატური ხასიათისაა, არასრულწლოვანის უფლებებს უხეშად ხელყოფს და მას სულიერ ზიანს აყენებს, იგი ოჯახური ძალადობის ფორმას იღებს და შესაძლებელია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველიც კი გახდეს ოჯახური ძალადობის გამო (სსკ 126<sup>1</sup>-ე მუხლი).

### შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა და მისი მიზნები

შინაპატიმრობა საპატიმრო სასჯელის ჰუმანური და როგორც მსჯავრდებულის, ასევე სახელმწიფოსათვის უფრო მისაღები ალტერნატივაა. სასჯელის ამ სახის გამოყენებისას პირი მუშაობას ან სწავლას აგრძელებს და მატერიალურ სიკეთეს ან თავისი მომავალი ნაყოფიერი ცხოვრებისათვის ცოდნის ბაზისს ქმნის. ამგვარად, თავიდან იქნება აცილებული „კრიმინალური დასნებოვნება“.

ამკარა ასევე შინაპატიმრობის, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივის ეკონომიური უპირატესობაც. შინაპატიმრობისას პირი სახელმწიფოს (გადასახადის გადამხდელს) არ აწევს ტვირთად<sup>1</sup> და ხშირად მსჯავრდებულის ოჯახსაც შედარებით ნაკლები მატერიალური და-

<sup>1</sup> აშშ-ში ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენების უმნიშვნელოვანეს მიზნად სწორედ ეს ეკონომიური მიზანი სახელდება და არა ჰუმანური. იხ. *Lindenberg, Überwindung der Mauer: das elektronische Halsband, München, 1992, S. 69f*; დადებით კრიმინოლოგიურ ასპექტებზე ყურადღებას ამახვილებენ დიდი ბრიტანეთის სისხლის სამართალში. *Illert, Aspekte einer Implementierung des elektronisch überwachten Hausarrestes in das deutsche Recht, Band 1, Göttingen 2005, S.*

ნახარჯები წარმოექმნება.<sup>2</sup> გარდა ამისა, ივარაუდება, რომ შინაპატიმრობას კიდევ სხვა, მეტად მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული დადებითი ეფექტიც, თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივის გამოყენებით გადაჭედილი ციხეების განტვირთვა მოჰყვება და შესაბამისად სხვა თავისუფლებააღკვეთილთათვის ციხის პირობებიც გაუმჯობესდება.<sup>3</sup>

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში შინაპატიმრობის მიზანს არასრულწლოვანზე საპატიმრო სასჯელის უარყოფითი ფსიქიკური ზემოქმედებისა და სტიგმატიზაციის თავიდან აცილება, სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესება, არასრულწლოვანის ადგილსამყოფელის შემონახვით მის მიერ კრიმინალურად დატვირთული ადგილების მონახულების თავიდან აცილება და სკოლაში რეგულარულად სიარულის კონტროლი წარმოადგენს. გადატვირთული ციხეების განტვირთვა და სახელმწიფო სახსრების დაზოგვა არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის მიზანიცაა.<sup>4</sup>

შინაპატიმრობის მხარდამჭერი კრიმინოლოგიური და ეკონომიური არგუმენტების გვერდით მნიშვნელოვანია სასჯელის ამ სახის სამართლებრივი შინაარსის განხილვა. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რამდენად და როდის აქვს მას პუნიტიური, დამსჯელი და გამასწორებელი (რესოციალიზაცია) ხასიათი და რამდენად შეუძლია მას საზოგადოების განმეორებითი დანაშაულისაგან დაცვა, ანუ რამდენად ვარგისიანია სასჯელის ეს სახე არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში და რამდენად შეუძლია ელექტრონულად კონტროლირებად შინაპატიმრობას პირის სტიგმატიზაციის თავიდან აცილება. ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად უნდა განვიხილოთ შინაპატიმრობის კონსტრუირების შესაძლო ვარიანტები და სამართალშედარებაზე დაყრდნობით მოვძებნოთ ელექტრონულად კონტროლირებადი შინაპატიმრობისათვის „გამოსადეგი მიზნობრივი ჯგუფი,“ ანუ სოციოლოგიურ ჟარგონს თუ ვიხმართ, შინაპატიმრობის „კლიენტურა“ არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში.

## შინაპატიმრობისა და მისი ელექტრონული ზედამხედველობის მოკლე ისტორია

შინაპატიმრობა, როგორც სასჯელი, XX საუკუნის პირმშო არაა. შინაპატიმრობით ჯერ კიდევ 1600 წელს დასაჯეს *გალილეო გალილეი*. სასჯელის ამ სახის მასობრივი გამოყენება XX საუკუნის ბოლო ათწლეულებში, ტექნიკისა და შესაბამისად ელექტრონული ზედამხედველობის შესაძლებლობის განვითარებას დაუკავშირდა. ექსპერიმენტები ადამიანის ელექტრონულ ზედამხედველობაზე ჯერ კიდევ 1964 წლიდან ტარდებოდა ჰარვარდის უნივერსიტეტში. პირველი განაჩენი ელექტრონულად კონტროლირებადი შინაპატიმრობით ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში 1983 წელს იქნა გამოტანილი.<sup>5</sup> 1998 წლისთვის კი შტატებში უკვე 95 ათასი ელექტრონულად კონტროლირებული შინაპატიმარი იყო.<sup>6</sup>

მოსაზრება ელექტრონულად კონტროლირებადი შინაპატიმრობის გამოყენების შესახებ ამე-

152-153.

<sup>2</sup> Lockhart-Mirams/ Pickles/Crowhurst, Cutting Crime, The role of tagging in offender management, september 2015, p. 6; [http://www.reform.uk/wp-content/uploads/2015/09/Tagging-report\\_AW\\_WEB.pdf](http://www.reform.uk/wp-content/uploads/2015/09/Tagging-report_AW_WEB.pdf) (17.09.2015).

<sup>3</sup> Lockhart-Mirams/ Pickles/Crowhurst, Cutting Crime, The role of tagging in offender management, september 2015, p. 6; [http://www.reform.uk/wp-content/uploads/2015/09/Tagging-report\\_AW\\_WEB.pdf](http://www.reform.uk/wp-content/uploads/2015/09/Tagging-report_AW_WEB.pdf) (17.09.2015). ეს შედეგი (გადატვირთული ციხეების განტვირთვა ელექტრონულად კონტროლირებული შინაპატიმრობით) ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში დღეისათვის ჯერ მიღწეული არაა. იხ. Illert, Aspekte einer Implementierung des elektronisch überwachten Hausarrestes in das deutsche Recht, Band 1, Göttingen 2005, S. 150.

<sup>4</sup> ავტორთა ნაწილი ამ სასჯელის დადებით ეკონომიურ ასპექტებს წამოსწევს. Unger-Tas, Alternatives to prison sentences, experiences and developments, p. 31, [https://english.wodc.nl/binaries/ov-1994-01-full-text\\_tcm29-77924.pdf](https://english.wodc.nl/binaries/ov-1994-01-full-text_tcm29-77924.pdf) (08.03.2017). ავტორთა მეორე ნაწილი კი ელექტრონულად კონტროლირებული შინაპატიმრობის სოციალურ და ეკონომიურ ასპექტებს თანაბარ ყურადღებას უთმობს. Illert, Aspekte einer Implementierung des elektronisch überwachten Hausarrestes in das deutsche Recht, Band 1, Göttingen 2005, S. 158-159.

<sup>5</sup> ხერხეულიძე, ი. პრობაციის ინსტიტუტი – არასრულწლოვან დამნაშავეთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფის ინსტიტუტი (საქართველოსა და აშშ-ის სისხლისსამართლებრივი მიდგომის ანალიზი), მზია ლეკვიძეილი 85, საიუბილეო სტატიათა კრებული, თბ., 2014, გვ. 198.

<sup>6</sup> [http://www.slate.com/articles/news\\_and\\_politics/explainer/2009/01/youre\\_grounded.html](http://www.slate.com/articles/news_and_politics/explainer/2009/01/youre_grounded.html) (09.03.2017).



რიკის შეერთებული შტატების არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში 1971 წელს გამოითქვა. შინაპატიმრობის ამ სახის განვითარებას გასული საუკუნის 80-იანი წლებში ხელი შეუწყო ქვეყანაში არსებულმა განსაკუთრებულმა კრიმინოგენულმა მდგომარეობამ. ამ პერიოდისათვის ამერიკის შეერთებული შტატების არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების, გამასწორებელ დაწესებულებებსა და უსახლკარო არასრულწლოვანთა თავშესაფრებში 51.000, ზრდასრულთა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში კი 500 000 არასრულწლოვანი იყო მოთავსებული. გადატვირთულ ციხეებში თვითგადარჩენის მიზნით არასრულწლოვნები ბანდებს ქმნიდნენ და მათი რესოციალიზაცია ამიტომაც შეუძლებელი ხდებოდა. მაღალი იყო ზრდასრულთა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოთავსებულ არასრულწლოვანთა სიკვდილიანობისა და თვითმკვლელობის მაჩვენებელი. ზრდასრულთა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოთავსებულ არასრულწლოვანთა 60% კვდებოდა, არასრულწლოვანთა თვითმკვლელობის მაჩვენებელი რვაჯერ მეტი იყო, ვიდრე არასრულწლოვანთა სპეციალურ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.<sup>7</sup> ამ საგანგაშო მდგომარეობის გამო გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ნახევრიდან ამერიკის შეერთებული შტატების არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში სხვა ალტერნატიულ სასჯელებს ელექტრონული ზედამხედველობით განხორციელებული შინაპატიმრობაც დაემატა. ევროპაში კი ელექტრონულად კონტროლირებული შინაპატიმრობა არასრულწლოვნებში პირველად დიდ ბრიტანეთში 1989 წელს დაინერგა.

### შინაპატიმრობის სახეები და მისი გამოყენების ალტერნატივები

შინაპატიმრობა შესაძლებელია კანონმდებლობაში გათვალისწინებულ იქნეს როგორც ელექტრონული კონტროლით, ასევე მის გარეშე.<sup>8</sup> შინაპატიმრობა ელექტრონული კონტროლის გარეშე პიროვნულ ზედამხედველობასთანა დაკავშირებული. პირი ამ დროს მონმდება ან არარეგულარული სატელეფონო საუბრებით ან პირადი ვიზიტებით. თანამედროვე პერიოდში ამგვარი არარეგულარული პიროვნული კონტაქტით განხორციელებულ შინაპატიმრობას უმრავლეს შემთხვევაში ელექტრონული ზედამხედველობით განხორციელებული შინაპატიმრობა ცვლის.<sup>9</sup>

ელექტრონულად კონტროლირებადი შინაპატიმრობის („Electronic Monitored Home Confinement“) სამშობლოში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, შინაპატიმრობის სამ სხვადასხვა სახეს იყენებენ:

1. კომენდანტის საათი („Curfew“) პირს ღამის საათებსა და შაბათ-კვირას სახლიდან გაუსვლელობას ავალდებულებს. შინაპატიმრობის ეს სახე სასჯელის შედარებით მსუბუქი ფორმაა.
2. პირველი სახის შინაპატიმრობასთან შედარებით სასჯელის უფრო მკაცრი სახეა „Home Detention“, რომელიც პირს მუდმივად სახლში ყოფნის ვალდებულებას აკისრებს და უფლებას აძლევს, საცხოვრებელი მხოლოდ განსაზღვრული მიზნებისათვის დატოვოს.
3. შინაპატიმრობის ყველაზე მკაცრი ფორმაა სახლიდან გასვლისა და სტუმრის მიღების აბსოლუტური აკრძალვა, „Home Incarceration“.<sup>10</sup>

<sup>7</sup> Illert, Aspekte einer Implementierung des elektronisch überwachten Hausarrestes in das deutsche Recht, Band 1, Göttingen 2005, S. 146.

<sup>8</sup> ელექტრონული ზედამხედველობა შეიძლება დაუკავშირდეს როგორც შინაპატიმრობას, ასევე მხოლოდ პირის ადგილსამყოფელის შემონმებას. მაგ., გერმანიაში პედოფილიისათვის სასჯელმთხდის პრევენციისათვის შეიძლება აკრძალოს სკოლასთან, საბავშვო ბაღთან ან ბავშვთა თავშესაფრის სხვა ადგილებთან მიახლოება და ეს აკრძალვა ელექტრონული სამაჯურით შემონმდება. გერმანიის სისხლის სამართლის პრქტიკა აჩვენებს, რომ ამგვარი ელექტრონული ზედამხედველობა პრევენციისათვის გამოუსადეგარია.

<sup>9</sup> Junger-Tas, Alternatives to prison sentences, experiences and developments, p. 31, [https://english.wodc.nl/binaries/ov-1994-01-full-text\\_tcm29-77924.pdf](https://english.wodc.nl/binaries/ov-1994-01-full-text_tcm29-77924.pdf) (08.03.2017); Illert, Aspekte einer Implementierung des elektronisch überwachten Hausarrestes in das deutsche Recht, Band 1, Göttingen 2005, S. 146.

<sup>10</sup> Önel, Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel“, in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1, 2012, S.3.

მსოფლიოში ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენების მრავალი სხვადასხვა სახე ზოგადად ორ ჯგუფად უნდა დაიყოს: ციხის კარამდელი („Frontdoor System“) და ციხის შემდგომი თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა („Backdoor System“). ციხის კარამდელი ალტერნატივა პირს საპატიმრო სასჯელს სრულად აცილებს თავიდან. ელექტრონული ზედამხედველობა ამ დროს გამოიყენება წინასწარი პატიმრობის ან მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად. ციხის შემდგომი სისტემა („Backdoor System“) კი საპატიმრო სასჯელის ნაწილობრივი მოხდის შემდეგ, პირობით ვადამდე გათავისუფლებისას გამოიყენება.

ევროპაში 90-იანი წლების ბოლომდე ყველაზე გავრცელებული იყო „Frontdoor System“ მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთისა და წინასწარი პატიმრობის თავიდან ასაცილებლად. დღეისათვის გაცილებით უფრო ხშირად იყენებენ თავისუფლების აღკვეთის დარჩენილი ნაწილის შეცვლას ელექტრონული ზედამხედველობით, ანუ ციხის შემდგომ შინაპატიმრობას („Backdoor System“). დასავლეთ ევროპაში არასრულწლოვანი დამნაშავეებისათვის ელექტრონულ ზედამხედველობას 2012 წლის მონაცემებით იყენებდა ინგლისი, უელსი და გერმანიაში -- ჰესენის მხარე. არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში ჰესენის მხარე ამ ღონისძიებას არასრულწლოვანთა საპატიმრო სასჯელის სრულ დასრულებამდე „თავისუფლებისათვის მოსამზადებლად“ იყენებს და არა მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის ან წინასწარი პატიმრობის ალტერნატივად.<sup>11</sup>

## ელექტრონული ზედამხედველობის ტექნიკური მხარე

ერთმანეთისაგან განასხვავებენ შინაპატიმრობის ელექტრონული კონტროლის აქტიურ და პასიურ ფორმას. შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობისას აქტიური ფორმისას პირი მუდმივი ზედამხედველობის ქვეშაა. პირი ამ დროს ელექტრონულ სამაჯურს ატარებს ხელზე ან ფეხის კოჭზე და მისი ადგილსამყოფელი GPS მონიტორინგით მონმდება. პასიური ფორმის ზედამხედველობისას შემონმების რამდენიმე ვარიანტი არსებობს:

1. პირს ტელეფონით უკავშირდებიან და მისი სახლში ყოფნა პირის კიდურზე მიმაგრებული კოდის განმშიფრავის, ტელეფონთან შეერთებული დამადასტურებელი ყუთისა (Verifying Box) და ტელეფონის კონტაქტით კონტროლდება.
2. პირს ტელეფონით უკავშირდებიან, ამის შემდეგ იგი თავად რეკავს და კომპიუტერში დაპროგრამებულ წინადადებებს იმეორებს. ხმის იდენტიფიკაცია პირის იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა.
3. პირის იდენტიფიკაციისათვის ვიდეოფონი გამოიყენება.

ელექტრონული ზედამხედველობის პასიური სისტემა უფრო იაფ და საიმედო ტექნიკურ ზედამხედველობად ითვლება, ვიდრე აქტიური.<sup>12</sup>

## ელექტრონულად კონტროლირებული შინაპატიმრობა არასრულწლოვნებში

გერმანიაში ელექტრონულ კონტროლს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მხოლოდ ჰესენის მხარე მიმართავს.<sup>13</sup> აქ, როგორც წესი, ელექტრონული მონიტორინგი გამოიყენება პრევენციული პატიმრობიდან გათავისუფლებულ იმ ზრდასრული, უმძიმესი დანაშაულის ჩამდენ პირთა

<sup>11</sup> ჰესენის მიწის არასრულწლოვანთა სასჯელალსრულების კიდექის §16 III.

<sup>12</sup> Fünfsinn, Elektronische Fußfessel und Prävention – ein Widerspruch? S. 4, <http://www.praeventionstag.de/dokumentation/download.cms?id=554>; (1.03.2017); Illert, Aspekte einer Implementierung des elektronisch überwachten Hausarrestes in das deutsche Recht, Band 1, Göttingen 2005, S. 7; Unger-Tas, Alternatives to prison sentences, experiences and developments, p. 31, [https://english.wodc.nl/binaries/ov-1994-01-full-text\\_tcm29-77924.pdf](https://english.wodc.nl/binaries/ov-1994-01-full-text_tcm29-77924.pdf) (08.03.2017).

<sup>13</sup> იხ. ჰესენის მიწის არასრულწლოვანთა სასჯელალსრულების კიდექის §16 III. [https://justizministerium.hessen.de/sites/default/files/HMdJIE/hessisches\\_jugendstrafvollzugsgesetz\\_-\\_hessjstvollzg.pdf](https://justizministerium.hessen.de/sites/default/files/HMdJIE/hessisches_jugendstrafvollzugsgesetz_-_hessjstvollzg.pdf) (12.01.2017).

მიმართ, რომელთაგანაც, სპეციალისტთა დასკვნით, რეციდივია მოსალოდნელი და რომლებიც პრევენციული პატიმრობიდან<sup>14</sup> ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ 2009 წლის გადაწყვეტილებით გათავისუფლდნენ.<sup>15</sup>

2012 წლის მონაცემებით, არასრულწლოვანი დამნაშავეებისათვის ელექტრონული სამაჯური ინგლისსა და უელსში გამოიყენებოდა.<sup>16</sup> სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დიდ ბრიტანეთში 10 წლის ასაკიდან იწყება, ამიტომაც თეორიულად ელექტრონულად კონტროლირებადი შინაპატიმრობაც ამ ასაკიდან არის შესაძლებელი, თუმცა არ გამოიყენება.<sup>17</sup> არასრულწლოვანთა საპილოტო პროექტებში მონაწილეთა ასაკი აშშ-ში 14-17 წლამდე (1986-1988 წლები), დიდ ბრიტანეთში კი 14-15 წლამდე (1998-2000 წლები) მერყეობდა.

ელექტრონულად კონტროლირებადი შინაპატიმრობის წარმატებულად განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია სასჯელის ამ სახის მიზნობრივი ჯგუფის განსაზღვრა. ელექტრონული სამაჯურის გამოყენების ყველაზე დიდი საფრთხე მისი არასწორი ადრესატის მიმართ გამოყენება, ე.ი. ელექტრონულად კონტროლირებადი შინაპატიმრობით იმ პირის დასჯაა, რომელსაც თავისუფლების უცილობელი აღკვეთა არ ემუქრება. სისხლის სამართალში სწორად მიუთითებენ, რომ შინაპატიმრობა ელექტრონული ზედამხედველობით *ultima ratio*, უკანასკნელი საშუალება უნდა იყოს და მხოლოდ მაშინ უნდა გამოიყენებოდეს, როდესაც თავისუფლების აღკვეთის პირობითი მსჯავრით შეცვლა შეუძლებელია.<sup>18</sup> წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება სახელმწიფო კონტროლის დაუსაბუთებელ გაფართოებას (*net widening*).<sup>19</sup>

შინაპატიმრობისათვის „კლიენტურის“, ანუ სამართალდამრღვევთაგან იმ პირთა შერჩევა, რომელთა მიმართაც ელექტრონულად კონტროლირებადი შინაპატიმრობა სასურველ შედეგს (პრევენცია, რესოციალიზაცია, სასჯელის პუნიტიური ფუნქციის შესრულება) გამოიღებს და კონტრაპროდუქტიული არ იქნება, მეტად რთულია. ეს საკითხი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად წყდება.

გერმანიაში ჰესენის მხარე ელექტრონულ კონტროლს მიმართავს იმ არასრულწლოვანთა მიმართ, რომლებსაც გათავისუფლებამდე 6 თვე დარჩათ და თავისუფალი ცხოვრებისათვის მისამზადებლად ვადამდე ადრე თავისუფლდებიან.<sup>20</sup>

აშშ-ში სხვადასხვა მრავალი შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის პროექტი ხორციელდება. აშშ-ის პროგრამათა ის ნაწილი, რომელიც ლიტერატურაშია გაანალიზებული, მიზნობრივ ჯგუფში აერთიანებს იმ პირებს, რომელთა მიმართაც დერივაცია გამოიყენება, ანდა მათ, რომლებიც ამ სასჯელის გარეშე წინასწარ პატიმრობაში იქნებოდნენ აყვანილი,<sup>21</sup> ესე იგი, ლიტერატურაში განხილული აშშ-ის პროგრამებით, ხდება ციხის კარამდელი ელექტრონული ზედამხედველობით განხორციელებული შინაპატიმრობის გათვალისწინება.

<sup>14</sup> Brauneisen, Die elektronische Überwachung des Aufenthaltsorts als neues Instrument der Führungsaufsicht, StV 5, 2011, S. 311.

<sup>15</sup> ბერლინის 19.12.2016 ტერაქტის შემდეგ შემუშავდა კანონპროექტი, რომელიც ე.წ. „საფრთხის შემქმნელთა“ მიმართ პრევენციულად ელექტრონული სამაჯურის გამოყენებას ითვალისწინებს. <https://www.bundesregierung.de/Content/DE/Artikel/2017/02/2017-02-07-elektronische-fussfessel.html> (19.03.2017).

<sup>16</sup> Önel, Verfassungsmäßigkeit und Effektivität der „Elektronischen Fußfessel“, in: Jahrbuch des Kriminalwissenschaftlichen Institutes der Leibniz Universität Hannover, B. 1, 2012, S. 12.

<sup>17</sup> Illert, Aspekte einer Implementierung des elektronisch überwachten Hausarrestes in das deutsche Recht, Band 1, Göttingen 2005, S. 151.

<sup>18</sup> Fromel, Alternative Strafen und alternativen zum Freiheitsentzug, Neue Kriminalpolitik 1999, 3. S. 12.

<sup>19</sup> მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ნიგნში: სისხლის სამართლის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თოდუა (რედ.), თბილისი 2016, გვ. 701; Mayer, Modelprojekt elektronische Fußfessel, S.25-26. <http://www.markus-mayer-info.de/Forschungaktuell23.pdf> (09.09.2015).

<sup>20</sup> ჰესენის მინის არასრულწლოვანთა სასჯელსრულების კიდექსის §16 III. [https://justizministerium.hessen.de/sites/default/files/HMdJIE/hessisches\\_jugendstrafvollzugsgesetz-hessjstvllzg.pdf](https://justizministerium.hessen.de/sites/default/files/HMdJIE/hessisches_jugendstrafvollzugsgesetz-hessjstvllzg.pdf) (12.01.2017).

<sup>21</sup> Illert, Aspekte einer Implementierung des elektronisch überwachten Hausarrestes in das deutsche Recht, Band 1, Göttingen 2005, S. 17 f.

## შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის ზემოქმედება მსჯავრდებულზე და მისი ეფექტურობა

ცალსახაა, რომ ელექტრონული ზედამხედველობით განხორციელებული შინაპატიმრობა სასჯელის გაცილებით უფრო მსუბუქი ფორმაა, ვიდრე თავისუფლების აღკვეთა, თუმცა უარყოფით ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ შედეგს სასჯელის ეს სახეც იწვევს.

გერმანიაში ერთ-ერთი საპილოტო პროექტის გამოსაცდელ პირთა 27% ელექტრონული სა-  
მაჯურის ტარებისას ფიზიკური ჩივილები, კუნთის დასიება, კანის გადაყვლეფა და ტკივილები  
აღენიშნებოდა.<sup>22</sup> ელექტრონული სამაჯურის ტარებისას შეუძლებელია იმ ფეხსაცმლის ჩაცმა,  
რომელიც პირს კოჭამდე სწვდება. თუ მისი პროფესია სპეციალური ფეხსაცმლის ტარებას მოით-  
ხოვს, მის მიერ ამ სამუშაოს შესრულება შეუძლებელი იქნება.<sup>23</sup>

დიდ ბრიტანეთში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ, მართალია, ელექტრონულად გა-  
კონტროლებული შინაპატიმრობა ბავშვის აკადემიურ მოსწრებაზე ზეგავლენას არ ახდენს, მაგრამ  
შეზღუდულია ჯგუფური სპორტული აქტივობა, რადგან ელსამაჯურის ხილვადობა მოზარდში  
უხერხულობის შეგრძნებას იწვევს. დელინქენტი მოზარდები მიუთითებდნენ, რომ ისინი ამი-  
ტომაც უფრო მეტ დროს სახლში ატარებდნენ კომპიუტერთან და ტელევიზორთან და უფრო  
დიდხანს ეძინათ.<sup>24</sup> ჯგუფური სპორტული თამაშები გუნდურ სულისკვეთებას აყალიბებს და უაღ-  
რესად დიდ როლს თამაშობს არასრულწლოვნის ჯანსაღ ფიზიკურ და ფსიქიკურ განვითარებაში.  
შესაბამისად, ამგვარი სპორტული აქტივობის შესაძლებლობის გამორიცხვა სასჯელის ამ სახის  
ნეგატიურ მაჩვენებელს წარმოადგენს.

სამედიცინო-ფსიქოლოგიური კვლევების მიხედვით, ელექტრონული ზედამხედველობით გან-  
ხორციელებული შინაპატიმრობისას, სასჯელის აღსრულების დაწყებიდან ექვსი თვის შემდეგ,  
სრულწლოვან და ფსიქიკურად მდგრად პირებს ფსიქიკური გადახრები აღენიშნებათ. ამერიკის  
შეერთებულ შტატებში 1986-1988 წლებში განხორციელებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ელექტრო-  
ნული ზედამხედველობით განხორციელებული შინაპატიმრობა არასრულწლოვნებში გაცილებით  
უფრო სწრაფად იწვევს სახლში იძულებით დარჩენასთან დაკავშირებულ ფსიქიკურ გადახრას  
(Hauskoller) და ამ გადახრით დეტერმინირებულ ძალადობას ოჯახის წევრთა მიმართ, ამიტომაც  
პასუხისმგებელი პირების გადაწყვეტილებით არასრულწლოვანთა შინაპატიმრობის ხისტი წესე-  
ბისაგან რეგულარულად გამონაკლისს უშვებდნენ.<sup>25</sup>

ამერიკის შეერთებულ შტატებში შინაპატიმრობის სასჯელალსრულებაზე დაკვირვებამ აჩვენა,  
რომ განსაკუთრებით დიდი ფსიქიკური პრობლემები წარმოიშობოდა მაშინ, როდესაც არასრულ-  
წლოვანი 24 საათს სახლში მარტო ატარებდა (მაგ., არდადეგების დროს). მოწყენილობის გამო  
არასრულწლოვანს ქცევითი პრობლემები უჩნდებოდა განსაკუთრებით მაშინ, თუ ზრდასრული  
პირი ამ პერიოდში მასზე არ ზრუნავდა. არასრულწლოვანთა ერთი ნაწილი კი ამგვარ სასჯელს  
მეტად მსუბუქად და შესაბამისად, სერიოზულად არ აღიქვამდა.<sup>26</sup> მოცემული კვლევა ცხადყოფს,  
რომ არასრულწლოვანთა ნაწილის მიმართ სასჯელის ეს სახე კონტრაპროდუქტიულია და მასზე  
დაკისრებულ პუნქტიურ ფუნქციას ვერ შეასრულებს. შესაბამისად, აუცილებელია ადამიანური

<sup>22</sup> Bräuchle/Kinzing, Die elektronische Aufenthaltsüberwachung im Rahmen der Führungsaufsicht, S. 14, [https://www.bmjv.de/SharedDocs/Downloads/DE/PDF/BereichMinisterium/Kurzbericht\\_elektronische\\_Aufenthaltsueberwachung\\_im\\_Rahmen\\_der\\_Fuehrungsaufsicht.pdf?\\_\\_blob=publicationFile&v=1](https://www.bmjv.de/SharedDocs/Downloads/DE/PDF/BereichMinisterium/Kurzbericht_elektronische_Aufenthaltsueberwachung_im_Rahmen_der_Fuehrungsaufsicht.pdf?__blob=publicationFile&v=1) (19.03.2017).

<sup>23</sup> Bräuchle/Kinzing, Die elektronische Aufenthaltsüberwachung im Rahmen der Führungsaufsicht, S. 14, [https://www.bmjv.de/SharedDocs/Downloads/DE/PDF/BereichMinisterium/Kurzbericht\\_elektronische\\_Aufenthaltsueberwachung\\_im\\_Rahmen\\_der\\_Fuehrungsaufsicht.pdf?\\_\\_blob=publicationFile&v=1](https://www.bmjv.de/SharedDocs/Downloads/DE/PDF/BereichMinisterium/Kurzbericht_elektronische_Aufenthaltsueberwachung_im_Rahmen_der_Fuehrungsaufsicht.pdf?__blob=publicationFile&v=1) (19.03.2017).

<sup>24</sup> იქვე, Illert, Aspekte einer Implementierung des elektronisch überwachten Hausarrestes in das deutsche Recht, Band 1, Göttingen 2005, S. 153.

<sup>25</sup> Illert, Aspekte einer Implementierung des elektronisch überwachten Hausarrestes in das deutsche Recht, Band 1, Göttingen 2005, S. 148.

<sup>26</sup> Illert, Aspekte einer Implementierung des elektronisch überwachten Hausarrestes in das deutsche Recht, Band 1, Göttingen 2005, S. 149.

კონტროლიც, რათა არასრულწლოვანმა ჩადენილი ქმედების არსი გაისიგრძეგანოს.

ამ უარყოფითი მაჩვენებლების გამო საფრანგეთმა ელექტრონული მონიტორინგის საპილოტო პროექტში ელექტრონული სამაჯურის გამოყენება ზრდასრულ პირთა მიმართ ექვსი თვით შეზღუდა.<sup>27</sup> აშშ-ის ერთ საპილოტო პროექტში ელექტრონული ზედამხედველობის ხანგრძლივობა 16-დან 90 დღეს შეადგენდა, დიდი ბრიტანეთში ელექტრონული ზედამხედველობის ხანგრძლივობა 10-დან 15 წლამდე ასაკის დელინქენტებისათვის კანონითაა განსაზღვრული და სამ თვეს არ უნდა აღემატებოდეს.<sup>28</sup> გერმანიაში, ჰესენის მიწაზე არასრულწლოვანთა მიმართ ელექტრონული ზედამხედველობა შეიძლება მხოლოდ 6 თვემდე დაინიშნოს.<sup>29</sup>

მიუხედავად ამ პრობლემებისა, არასრულწლოვანთა დასჯა ელექტრონულად გაკონტროლებული შინაპატიმრობით ამერიკის შეერთებული შტატების დასახლებული პროექტის კვლევისას დადებითად შეფასდა. იმ შემთხვევაში, როდესაც შინაპატიმრობა წინასწარი პატიმრობის მაგიერ იქნა გამოყენებული, არასრულწლოვანთა მიერ სასჯელალსრულების დაწესებულებაში ყოფნის დღეები და შესაბამისად, კრიმინალური დასწებოვნების საშიშროება შემცირდა. ამასთანავე, მოსამართლეს საშუალება მიეცა, გაეკეთებინა დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად იყო სასჯელის ეს სახე გამოსადეგი იმ არასრულწლოვანთათვის, რომელთა მიმართაც წინასწარი პატიმრობის მაგიერ შინაპატიმრობა იქნა გამოყენებული.<sup>30</sup>

კვლევის შედეგად დადებითად შეფასდა ასევე (გარდა იმ უპირატესობებისა, რომლებიც სტატისტიკის დასაწყისში იყო ჩამოთვლილი) ის ფაქტიც, რომ შინაპატიმრობამ მშობლებსა და არასრულწლოვანს შორის კომუნიკაციას შეუნყო ხელი, ასევე შესაძლებელი გახდა შესაბამისი ორგანოების მიერ მშობლებთან კონტაქტის დამყარება და მშობლებსა და შვილებს შორის არსებული იმ პრობლემის აღმოფხვრა, რომელიც შესაძლოა, არასრულწლოვანის დევიანტური ქცევის მიზეზი იყო.<sup>31</sup> იგივე შედეგები აჩვენა დიდ ბრიტანეთში ჩატარებულმა კვლევამ.<sup>32</sup>

ელექტრონულად კონტროლირებული შინაპატიმრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომხრე არგუმენტად გადატვირთული **ციხეების განტვირთვა** მოჰყავთ. 2005 წლის მონაცემებით ამერიკის შეერთებულ შტატებში ემპირიული კვლევები არასრულწლოვანთა სასჯელალსრულების დაწესებულებებში არსებულ სიტუაციასა და ელექტრონულად კონტროლირებად შინაპატიმრობას შორის არ არსებობს. შესაბამისად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ დაუდგენელია, თუ რამდენად **ეფექტურია** სასჯელის ეს სახე და რამდენად მიიღწევა ეს მიზანი არასრულწლოვანთა მიმართებით. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ელექტრონულად კონტროლირებულმა შინაპატიმრობამ ზრდასრულთა ციხეებში არსებული გადატვირთულობის პრობლემა ვერ მოხსნა,<sup>33</sup> სავარაუდოა, რომ არასრულწლოვანთა სასჯელალსრულების დაწესებულებებთან მიმართებაშიც იმავე ეფექტს ჰქონდეს ადგილი. დიდ ბრიტანეთში განხორციელებულმა კვლევამ ცალსახად აჩვენა, რომ არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებულმა ელექტრონულად კონტროლირებულმა შინაპატიმრობამ გადატვირთული სასჯელალსრულების ორგანოები ვერ გამოათავისუფლა. მიუხედავად ამისა, ივარაუდება, რომ სასჯელის ამ სახის გამოყენებით სახელმწიფო სახსრებს დაზოგავს.<sup>34</sup>

<sup>27</sup> იხ. [https://de.wikipedia.org/wiki/Elektronische\\_Fu%C3%9Ffessel](https://de.wikipedia.org/wiki/Elektronische_Fu%C3%9Ffessel) (15.06.2015).

<sup>28</sup> Illert, Aspekte einer Implementierung des elektronisch überwachten Hausarrestes in das deutsche Recht, Band 1, Göttingen 2005, S. 150-152.

<sup>29</sup> ჰესენის მიწის (გერმანია) არასრულწლოვანთა სასჯელალსრულების კოდექსის §16 III.

<sup>30</sup> იქვე, Illert, Aspekte einer Implementierung des elektronisch überwachten Hausarrestes in das deutsche Recht, Band 1, Göttingen 2005, S. 149.

<sup>31</sup> იქვე, Illert, Aspekte einer Implementierung des elektronisch überwachten Hausarrestes in das deutsche Recht, Band 1, Göttingen 2005, S. 150.

<sup>32</sup> იქვე, Illert, Aspekte einer Implementierung des elektronisch überwachten Hausarrestes in das deutsche Recht, Band 1, Göttingen 2005, S. 153.

<sup>33</sup> Trapp, Rechtswirklichkeit von Auflagen und Weisungen bei Strafaussetzung auf Bewährung, Dissertation, Tübingen 2003, S. 26, [https://publikationen.uni-tuebingen.de/xmlui/bitstream/handle/10900/43695/pdf/Dissertation\\_Trapp\\_Endversion\\_23-07.pdf?sequence=1](https://publikationen.uni-tuebingen.de/xmlui/bitstream/handle/10900/43695/pdf/Dissertation_Trapp_Endversion_23-07.pdf?sequence=1) (12.03.2017).

<sup>34</sup> იქვე, Illert, Aspekte einer Implementierung des elektronisch überwachten Hausarrestes in das deutsche Recht, Band 1, Göttingen 2005, S. 153-154.

ელექტრონულ სამაჯურს, გავრცელებული მოსაზრების თანახმად, დანაშაულის პრევენცია არ შეუძლია,<sup>35</sup> ამიტომაც არასრულწლოვანთა სისხლის სამართალში რაიმე სხვა შედეგს არ უნდა ველოდეთ.

## ელექტრონულად გაკონტროლებული შინაპატიმრობის პერსპექტივები საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა, საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 68-ე მუხლშია გათვალისწინებული. მისი ტექნიკური უზრუნველყოფა ელექტრონულ ზედამხედველობას უკავშირდება (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილი). ამ ნორმის მიხედვით, შინაპატიმრობა დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში არასრულწლოვანისათვის მის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულების დაკისრებას გულისხმობს. კანონმდებელი აქვე მიუთითებს, რომ სასჯელის ამ სახემ ანაზღაურებად სამუშაოს ან სწავლას ხელი არ უნდა შეუშალოს. როგორც ვხედავთ, კანონი არასრულწლოვანს საცხოვრებლის განსაზღვრული მიზნებისათვის დატოვების უფლებას აძლევს, ანუ ქართველმა კანონმდებელმა არასრულწლოვანთა მიმართ ელექტრონულად კონტროლირებადი შინაპატიმრობის მსუბუქი სახე „Home Detention“ ამოარჩია.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 68-ე მუხლის მე-3 ნაწილით, შინაპატიმრობა ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში ინიშნება, ანუ ქართველი კანონმდებელი „ციხისკარამდელ შინაპატიმრობას“ იყენებს. სისხლის სამართლის პრაქტიკაში ყურადღება უნდა მიექცეს ელექტრონული ზედამხედველობით განხორციელებული შინაპატიმრობის ეკონომიურ გამოყენებას. ელსამაჯურის გამოყენება მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად მხოლოდ უაღრესად გამონაკლის შემთხვევებში უნდა იყოს დაშვებული, ანუ მაშინ, როდესაც თავისუფლების აღკვეთა პირს უცილობლად ემუქრება. მხოლოდ ამგვარად იქნება თავიდან აცილებული სოციალური კონტროლის დაუშვებელი გაფართოების საფრთხე net widening, ანუ სისხლის სამართლის ექსპანსია.<sup>36</sup>

ქართულ სინამდვილეში ელექტრონული ზედამხედველობით კონტროლირებული შინაპატიმრობის გამოყენება კარგ შედეგს მოიტანს არასრულწლოვანთა პირობით ვადადმე გათავისუფლებისას და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლისას შინაპატიმრობით და მისი ელექტრონული კონტროლით, ანუ ელსამაჯური „ციხის კარის შემდეგ“. კარგი იქნებოდა ასევე, თუ ელექტრონულად კონტროლირებული შინაპატიმრობა უცილობელი წინასწარი პატიმრობისასაც იქნებოდა გამოყენებული.

მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით, **სასურველია** საქართველოში არა მხოლოდ არასრულწლოვანის შინაპატიმრობის ელექტრონული კონტროლი, არამედ ამ კონტროლის ზეგავლენის მეცნიერული კვლევაც არასრულწლოვანის ჩამოუყალიბებელ ფსიქიკაზე. თუ დადგინდება, რომ ელექტრონულმა კონტროლმა არასრულწლოვანზე ნეგატიური ფსიქიკური ზეგავლენა მოახდინა, შესაძლებელი უნდა იყოს სასჯელის ამ ზომის სხვა ალტერნატიული სასჯელით შეცვლა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ამ მიმართულებით შესაბამის რეგულაციას უნდა ითვალისწინებდეს. 2017 წლის აპრილის თვის მონაცემებით სასჯელის სახედ შინაპატიმრობა ელექტრონული სამაჯურით საქართველოში 20 არასრულწლოვანის მიმართ დაინიშნა. აქედან სამი არასრულწლოვანი სასჯელის ამ სახეს ვერ შეეგუა და ელექტრონული კონტროლი თვით-

<sup>35</sup> მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ნიგნში: სისხლის სამართლის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თოდუა (რედ.), თბ., 2016, გვ. 700; Bräuchle/Kinzing, Die elektronische Aufenthaltsüberwachung im Rahmen der Führungsaufsicht, S. 16, [https://www.bmjv.de/SharedDocs/Downloads/DE/PDF/BereichMinisterium/Kurzbericht\\_elektronische\\_Aufenthaltsueberwachung\\_im\\_Rahmen\\_der\\_Fuehrungsaufsicht.pdf?\\_\\_blob=publicationFile&v=1](https://www.bmjv.de/SharedDocs/Downloads/DE/PDF/BereichMinisterium/Kurzbericht_elektronische_Aufenthaltsueberwachung_im_Rahmen_der_Fuehrungsaufsicht.pdf?__blob=publicationFile&v=1) (19.03.2017).

<sup>36</sup> აშშ-ში ელექტრონულ ბორკილს ხშირად იყენებენ იმ პირთა მიმართაც, რომელთა მიმართ საპატიმრო სასჯელის აუცილებლობა არ არსებობს. Kubik, Strafen und ihre Alternativen im Zeitlichen Wandel, Berlin 2001, S. 618.

ნებურად შეწყვიტა. საინტერესო იქნება ამ არასრულწლოვანთა გამოკითხვა სასჯელის ამ სახის ეფექტურობის დასადგენად და შესაძლო ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

უცხოურ სისხლის სამართლის პრაქტიკაში დადგინდა, რომ ელექტრონული ზედამხედველობა **რეციდივის საფრთხეს** თავიდან ვერ გვაცილებს და არარეგულარული ადამიანური კონტროლის გარეშე განხორციელებისას **პრევენციისათვის** ნაკლებად გამოდგება.<sup>37</sup> ამიტომაც საქართველოში ელექტრონული ზედამხედველობით განხორციელებული შინაპატიმრობა მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს სხვა სოციალურ ღონისძიებებს. შინაპატიმრობისას ადამიანის ფაქტორი არ უნდა იყოს გამორიცხული და სახელმწიფოს ზემოქმედება არასრულწლოვან დამნაშავეზე მხოლოდ ვირტუალურ საზღვრებში მოქცევით არ უნდა დასრულდეს. მარტოოდენ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელება სასჯელის მიზნებს ვერ შეასრულებს. ამიტომაც აუცილებელია რისკ-ჯგუფებზე მორგებული სოციალ-ფსიქოლოგიური და სასწავლო ტრენინგების შემოღება და ვალდებულებების დაკისრება (მაგ., დეტოქსიკაციის ვალდებულება).

ყურადღება უნდა მიექცეს ასევე დაზარალებულის ინტერესებსაც. ქონებრივი დანაშაული-სათვის ელსამაჯურის ტარების ვალდებულებასთან ერთად ზარალის ანაზღაურებისა და დაზარალებულთან ურთიერთობის დაბალანსების ვალდებულების დაკისრება საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დამკვიდრების საწინდარი იქნება.

ცნობილია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ელექტრონული ზედამხედველობის ხარჯის ნაწილს მსჯავრდებული ანაზღაურებს.<sup>38</sup> ავსტრიაში ეს თანხა ყოველდღიურად 22 ევროს შეადგენს. თანადაფინანსების ვალდებულების არსებობა სოციალურად დაუცველი პირის მიმართ სასჯელის ამ სახის გამოყენების შეუძლებლობამდე და შესაბამისად, მის დისკრიმინაციამდე მიგვიყვანს.

ამასთანავე, ყურადღება უნდა მიექცეს არასრულწლოვანთა პირადი ცხოვრების დაცვასაც. არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ინფორმაცია არასრულწლოვნის ნასამართლობის შესახებ საჯარო არაა. ასევე დაუშვებელია არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების რაიმე სახით გამჟღავნება. ელექტრონული სამაჯური კი ყველასათვის ხილვადია და არასრულწლოვნის ნასამართლობას ასაჯაროებს, შესაბამისად, ხდება მისი **იზოლაცია, სტიგმატიზაცია და მარგინალიზაცია**. ამასთანავე, შინაპატიმრობის ხისტი კვირის გეგმა სოციალური კონტაქტების დაკარგვას იწვევს, ამიტომაც შინაპატიმრობის გეგმა გამონაკლის შემთხვევებში სხვა სოციალური კონტაქტებისათვის (დაბადების დღე, დღესასწაული) ადგილს უნდა ტოვებდეს.<sup>39</sup>

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ასევე ელექტრონული ზედამხედველობით განხორციელებული შინაპატიმრობის დასრულების შემდეგ ყველა მოპოვებული ინფორმაციის განადგურების ვალდებულება, რაც არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცვის საწინდარი იქნება.<sup>40</sup>

## დასკვნა

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 68-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნის მიმართ ელექტრონულად კონტროლირებადი შინაპატიმრობის გამოყენება არაპროპორციულად მძიმე სასჯელია და მან შეიძლება მრავალი უარყოფითი შედეგი გამოიწვიოს. უკეთესი იქნება, თუ სასჯელის ეს სახე არა ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნის მიმართ, არამედ არასრულწლოვნის პირობით ვადამდე გათავისუფლებისას, ანუ მხოლოდ „ციხის კარის შემდეგ“ და უცილობელი წინასწარი პატიმრობისას იქნებოდა გამოყენებული.

<sup>37</sup> <http://www.faz.net/aktuell/politik/inland/salafist-reist-trotz-elektronischer-fussfessel-nach-syrien-13207421.html> (09.09.2015).

<sup>38</sup> Strafvollzug in Österreich, S. 35, [https://www.justiz.gv.at/web2013/file/2c94848b47af5e070148aba8bc8c1661.de.0/strafvollzug\\_download.pdf](https://www.justiz.gv.at/web2013/file/2c94848b47af5e070148aba8bc8c1661.de.0/strafvollzug_download.pdf) (15.06.2015).

<sup>39</sup> Mayer, Modelprojekt elektronische Fußfessel, S.23. <http://www.markus-mayer-info.de/Forschungaktuell23.pdf> (09.09.2015).

<sup>40</sup> სახელმწიფოს ამგვარი ვალდებულება განსაზღვრული ჰესენის მიწის არასრულწლოვანთა სასჯელსრულების კოდექსის §65 II.

# არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში

იოსებ ვარძელაშვილი

სამართლის დოქტორი,

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულების მონვეული ლექტორი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის სამმართველოს უფროსი

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპი, სიახლეა ქართულ სისხლის სამართალში. 2015 წლის 12 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომლის ძირითადი ნაწილი ამოქმედდა 2016 წლის 1 იანვრიდან. სწორედ აღნიშნული კოდექსით პირველად იქნა გათვალისწინებული არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა. 2016 წლის 1 იანვრამდე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელი ნორმები გათვალისწინებული იყო საქართველოს მატერიალური სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით. აღნიშნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობას, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ერთ-ერთ პრინციპს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა პირველ ადგილზე დააყენა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები.

არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესები განმარტებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილით, რომლის თანახმადაც, **არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები** არის არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება. როგორც ვხედავთ, კანონმდებელი ამომწურავად არ ჩამოთვლის თუ რა იგულისხმება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებში (სხვა ინტერესები..) და მის განმარტებას სამართალმემფარდებელს ანდობს.

მიუხედავად იმისა, რომ „საუკეთესო ინტერესები“ არ არის ზუსტად განსაზღვრული, ბავშვის უფლებათა კომიტეტი №10 ზოგად კომენტარში განმარტავს: „მაგალითისათვის, ბავშვის ყველაზე საუკეთესო ინტერესების დაცვა ნიშნავს იმას, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ისეთი ტრადიციული მიზნები, როგორიცაა დამნაშავეს დასჯა, დანაშაულის ჩამდენი ბავშვებისათვის უნდა შეიცვალოს რეაბილიტაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების მიზნებით. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე ყურადღების გამახვილების პარალელურად.“<sup>1</sup>

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, არასრულწლო-

<sup>1</sup> ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №10 (2007), პუნქტი 10.



ვანთა მართლმსაჯულების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. რას ნიშნავს, უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები?! არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-2 თავში გათვალისწინებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგადი პრინციპები: არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა, დისკრიმინაციის აკრძალვა, თანაზომიერება, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის გაჭიანურების დაუშვებლობა და ა.შ. ამდენად, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობასთან ერთად, კანონმდებლობით გათვალისწინებულია სხვა პრინციპებიც, რომელთა გათვალისწინებაც სავალდებულოა. ჩემი აზრით, ამკ-ის მე-4 მუხლში მითითებული „უპირველეს ყოვლისა“ გულისხმობს იმას, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს პრიორიტეტი ენიჭება სხვა პრინციპებთან შედარებით.

იურიდიულ ლიტერატურაში მითითებულია, რომ სისხლის სამართლის სხვა აღიარებულ პრინციპებთან შედარებით და უფრო მეტიც, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სხვა პრინციპებთან შედარებითაც კი, უპირატესობა ენიჭება არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების პრინციპს. შესაბამისად, სხვა პრინციპი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მხოლოდ მაშინ უნდა გამოვიყენოთ, თუ იგი არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს.<sup>2</sup>

ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის მიზანია მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა. შემდეგ მოსდევს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მონმის უფლებათა დაცვა და ა.შ. როგორც ვხედავთ, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა არის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უპირველესი მიზანი. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა ნითელ ზოლად გასდევს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსს.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება სავალდებულოა არა მხოლოდ არასრულწლოვანი ბრალდებულის, არამედ არასრულწლოვანი დაზარალებულისა და მონმის მიმართაც. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ძირითად აქცენტს აკეთებს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე. ასე მაგალითად:

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 75-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არასრულწლოვნისთვის სასჯელის დანიშვნისას მოსამართლე, პირველ რიგში, ითვალისწინებს მის **საუკეთესო ინტერესებს** და **ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს**. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, მოსამართლე არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნისას ორ ძირითად კრიტერიუმს უნდა დაეყრდნოს. ესენია: 1) არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები და 2) ინდივიდუალური შეფასების ანგარიში.

როგორც ვხედავთ, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს სხვადასხვა დატვირთვა გააჩნია: 1) არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანესი **პრინციპია**; 2) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ერთ-ერთი **მიზანი** არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვაა; 3) არასრულწლოვნის მიმართ **სასჯელის დანიშვნისას** არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.<sup>3</sup>

<sup>2</sup> სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი, რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, 2016, გვ. 625.

<sup>3</sup> ბავშვის უფლებათა კონვენცია.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირებისას ყველა გადაწყვეტილების მიღებაში უპირატესობა უნდა ენიჭებოდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს. არასრულწლოვნები სრულწლოვნებისგან განსხვავდებიან თავიანთი ფიზიკური და გონებრივი განვითარების დონით, ემოციური მდგომარეობითა და განათლების საჭიროებებით. სწორედ ეს განსხვავებები წარმოადგენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განსხვავებული სისტემის შექმნის საფუძველს და მოითხოვს არასრულწლოვანთა მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას.<sup>4</sup>

ბავშვის უფლებათა კომიტეტმა განაცხადა, რომ ბავშვების, როგორც ჯგუფის, ინტერესების განხილვისას, ბავშვის უფლებათა კონვენცია და „სტანდარტები და ნორმები“ ერთად: „მოგვინო-დებენ, დავამკვიდროთ ბავშვზე ორიენტირებული სისტემა, რომელიც აღიარებს ბავშვს ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების მქონე სუბიექტად და ყურადღებას გაამახვილებს იმის აუცილებლობაზე, რომ ბავშვებთან დაკავშირებით განხორციელებული ნებისმიერი ქმედება ნაკარნახევი უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, ბავშვის საუკეთესო ინტერესით“.<sup>5</sup>

„საუკეთესო ინტერესების“ ტესტი მოითხოვს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემამ არ უნდა გამოიყენოს დამსჯელობითი ღონისძიებები და ამის ნაცვლად ხელი შეუწყოს დანაშაულის ჩამდენი ბავშვების რეინტეგრაციას.<sup>6</sup>

„საუკეთესო ინტერესის ტესტი“ ასევე გულისხმობს მოსამართლის მხრიდან იმის გათვალისწინებას, თუ რა შედეგი შეიძლება მოახდინოს სასჯელმა არასრულწლოვანზე და შესაბამისად, შეუფარდოს პროპორციული, არასრულწლოვნის კეთილდღეობასა და განვითარებაზე ნაკლები გავლენის მქონე სასჯელი. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრა უნდა მოხდეს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში და წარმოადგენდეს მნიშვნელოვან პროცესს.<sup>7</sup>

ბავშვის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისას გადაწყვეტილების მიმღებებმა უნდა გაითვალისწინონ მისი პიროვნება, სურვილები, ვითარება, ოჯახური მდგომარეობა, სავარაუდო შედეგი, რომელსაც განაჩენი მოახდენს მის განვითარებასა და კეთილდღეობაზე და სხვა შესაბამისი საკითხები.<sup>8</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნისას ხაზი გაუსვას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობას. ამ მხრივ საინტერესოა ერთ-ერთი საქმე სასამართლო პრაქტიკიდან:

თბილისის სააპელაციო სასამართლომ არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილ განაჩენში მიუთითა შემდეგი: „სასჯელის დანიშვნის დროს პალატამ გაითვალისწინა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი და ინდივიდუალური შეფასების ანგარიში. კერძოდ, დანაშაულის ჩადენის დროს ზ. ყ. იყო არასრულწლოვანი – 16 წლის, ცხოვრობს დედასთან ერთად, ნაქირავებ ბინაში. ამასთან, დედა მუშაობს სხვა ქალაქში და მათ ყოველდღიური ურთიერთობა არ გააჩნიათ. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ზ. ყ. მოტივირებული ახალგაზრდაა, გასათვალისწინებელია ასევე მისი ოჯახის ქონებრივი მდგომარეობა. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მას სურს უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება, ემზადება ინგლისურში.“<sup>9</sup>

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების მნიშვნელობაზე საუბარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთ განაჩენშიც. სასამართლო არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილ განაჩენში მიუთითებს შემდეგს: „მართალია, ბრალდებულის ამჟამინდელი ასაკი შეადგენს 16 წელს, თუმცა, განსახილველ შემთხვევაში, სასამართლო არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესისა და

<sup>4</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“ პროექტზე.

<sup>5</sup> ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ბავშვის უფლებათა კომიტეტის მოხსენება, მეცხრე სესია (1995), გაეროს დოკ. CRC/C/43, გვ. 64.

<sup>6</sup> ჰამილტონი, ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ნიუ-იორკი, 2011, გვ. 34.

<sup>7</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“ პროექტზე.

<sup>8</sup> ჰამილტონი, ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, ნიუ-იორკი, 2011, გვ. 35.

<sup>9</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 23 მარტის განაჩენი, საქმე №1/ბ-165-16.

მისი პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, მხედველობაში იღებს სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას, რომლის თანახმადაც, რ. ბ-ს ბიოლოგიური ასაკი, დღეისათვის, თავისი ფიზიკური განვითარებით, შეესაბამება დაახლოებით 15 წლის პიროვნებას, რის გამოც, სასამართლო რ. ბ-ს დადგენილ ასაკად, სწორედ – 15 წელს მიიჩნევს<sup>10</sup>. აღნიშნული საქმე საინტერესოა ასევე სასჯელის კონკრეტული სახისა და ზომის გამოყენების თვალსაზრისითაც. სასამართლომ განაჩენში საკმაოდ კარგად დაასაბუთა არასრულწლოვნის მიმართ არასაპატიმრო სასჯელთა გამოყენების მიზანშეუწონლობა. კერძოდ, სასამართლომ განაჩენში განმარტა, რომ არასრულწლოვანს ჯარიმას ვერ დაუნიშნავდა, ვინაიდან მას არ გააჩნდა დამოუკიდებელი შემოსავალი. სასამართლომ მიზანშეუწონლად მიიჩნია ასევე საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, შინაპატიმრობისა და პირობითი მსჯავრის დანიშვნა, ვინაიდან აღნიშნულ სასჯელთა აღსრულებისათვის ერთ-ერთი უმთავრესი გარემოება არის საცხოვრებელი ადგილის სტაბილურობა და კონკრეტული პირის არსებობა, რომელიც არასრულწლოვანს სასჯელის მოხდის პერიოდში შესაბამის ყურადღებას მიაქცევს. განსახილველ შემთხვევაში, არასრულწლოვან რ. ბ-ს არ ჰყავდა ოჯახი, მისი საცხოვრებელი ადგილი მუდმივად იცვლებოდა, იგი ქუჩაში ვაჭრობით იყო დაკავებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ არასრულწლოვნის მიმართ არასაპატიმრო სასჯელის გამოყენება არ იქნებოდა ეფექტური, რის გამოც მიზანშეწონილად მიიჩნია მის მიმართ თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა. ამასთან, სასამართლომ განაჩენში მიუთითა, რომ არასრულწლოვანი რ. ბ წარსულში არ ყოფილა ნასამართლევია, მან დაკავებისთანავე აღიარა ჩადენილი დანაშაული, რითაც ხელი შეუწყო გამოძიებას, რის გამოც მას განუსაზღვრა კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე ნაკლები სასჯელი (6 თვით თავისუფლების აღკვეთა).

მიმაჩნია, რომ არასრულწლოვნის მიმართ საქმის განხილვისას და განაჩენის დადგენისას ამოსავლი წერტილი უნდა იყოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. რაც მთავარია, არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნა უნდა მოხდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. სასამართლომ არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილ განაჩენში უნდა დაასაბუთოს კონკრეტული სასჯელის სახისა და ზომის გამოყენება. ამასთან, მიმაჩნია, რომ, როდესაც სასამართლო არასრულწლოვანს უნიშნავს თავისუფლების აღკვეთას, მან უნდა დაასაბუთოს აღნიშნული სასჯელის გამოყენება და არასაპატიმრო სასჯელთა დანიშვნის მიზანშეუწონლობა.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილ განაჩენებში მოსამართლეები ზოგჯერ ზოგადად უთითებენ კონკრეტულ ნორმას და არ ასაბუთებენ მის გამოყენებას. ასე მაგალითად:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 8 იანვრის განაჩენში მითითებულია: „სასამართლო სასჯელის დანიშვნისას ითვალისწინებს დანაშაულის ჩადენის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, ასევე არასრულწლოვანი ბრალდებულის პიროვნებას, ცხოვრების, აღზრდის, განვითარების პირობებს, ოჯახურ ვითარებას.“<sup>11</sup> როგორც ვხედავთ, სასამართლომ განაჩენში მიუთითა სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული გარემოებები და არ განმარტა სათითაოდ რაში გამოიხატებოდა თითოეული მათგანი. მაგალითად, განაჩენში არ არის მითითებული და ნამსჯელი არასრულწლოვანი ბრალდებულის პიროვნების შესახებ, აგრეთვე მისი ცხოვრების, აღზრდისა და ოჯახური მდგომარეობის თაობაზე და ა.შ.

მიმაჩნია, რომ მოსამართლე არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილ განაჩენში არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ კონკრეტული ნორმის ციტირებით. სასამართლო ვალდებულია სასჯელის დანიშვნისას დაასაბუთოს თითოეული შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოება. ამასთან,

<sup>10</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 14 ივნისის განაჩენი, საქმე №1/2469-16.

<sup>11</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 8 იანვრის განაჩენი, საქმე №1/3950-15.

განაჩენში არ არის მითითება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის შესახებ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შესაბამისად, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება სასჯელის დანიშვნისას სავალდებულოა.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობასთან დაკავშირებით, საინტერესოა ერთ-ერთი საქმე სასამართლო პრაქტიკიდან.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 9 სექტემბრის განაჩენით, კ. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის საფუძველზე შეუმცირდა ერთი მეოთხედით და შეეფარდა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩათვალა პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით. აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 17 თებერვლის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ, გასაჩივრებული განაჩენიდან ამოირიცხა მითითება კ. მ-ს დანიშნული სასჯელის პირობით ჩათვლის შესახებ. კ. მ ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის საფუძველზე შეუმცირდა 1/4-ით და საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.<sup>12</sup>

საქმის მასალების თანახმად, კ. მ-მ დანაშაული ჩაიდინა არასრულწლოვნობის პერიოდში, ხოლო განაჩენის გამოტანის დროს იგი უკვე იყო სრულწლოვანი. 2016 წლის 1 იანვრამდე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, არასრულწლოვნის მიმართ პირობითი მსჯავრის დანიშვნა შესაძლებელი იყო იმ შემთხვევაში, თუ მას განაჩენის გამოტანის მომენტისათვის არ ჰქონდა შესრულებული 18 წელი. კანონმდებლობა აქცენტს აკეთებდა განაჩენის გამოტანის დროზე და დანაშაულის ჩადენის დროს მნიშვნელობას არ ანიჭებდა. საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, კ. მ-ს მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენება დაუშვებელი იყო. თუმცა, საკასაციო ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული ნორმის დანაწესი ეწინააღმდეგებოდა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს, რის გამოც კ. მ-ს დაუნიშნა პირობითი მსჯავრი. როგორც ვხედავთ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენში, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებულია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. მიმაჩნია, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სამართლიანი გადანყვეტილება მიიღო, რაც, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი პრეცედენტია სასამართლო პრაქტიკისთვის.

თავისუფლების აღკვეთა, როგორც სასჯელის ერთ-ერთი სახე, არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული, უნდა იქნას უკიდურეს შემთხვევაში. ამ მხრივ საინტერესოა ერთ-ერთი საქმე სასამართლო პრაქტიკიდან:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 2 თებერვლის განაჩენით არასრულწლოვან ა.მ-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა შინაპატიმრობა 6 (ექვსი) თვის ვადით.<sup>13</sup> ა.მ-ს დაეკისრა საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულება 24:00 საათიდან 07:00 საათამდე პერიოდში. 2016 წლის 11 თებერვალს, ა. მ-მა დანიშნული სასჯელის აღსრულების შეწყვეტის მიზნით განზრახ დააზიანა გადამცემის სამაგრისი (კლიფსი) და მარჯვენა ქვედა კიდურიდან მოიხსნა გადამცემი (სამაჯური). შემონმების შედეგად დაზიანებული სამაგრისი აღმოჩნდა მსჯავრდებულის საცხოვრებელ მისამართზე. პრობაციის ბიუროს უფროსის შუამდგომლობის საფუძველზე, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის განჩინებით ა.მ-ს მიმართ დანიშნული სასჯელი შინაპატიმრობა 6 თვის ვადით შეიცვალა თავისუფლების აღკვეთით 6 თვის ვადით, რაც ჩათვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა 1 წელი.<sup>14</sup>

<sup>12</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის განაჩენი, საქმე №2კ-265აპ-15.

<sup>13</sup> რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 2 თებერვლის განაჩენი, საქმე №1/10-16.

<sup>14</sup> რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის განჩინება, საქმე №6გ-03-16

მიმაჩნია, რომ სასამართლომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც შინაპატიმრობის ნაცვლად დანიშნა პირობითი მსჯავრი, ვინაიდან თავისუფლების აღკვეთა უნდა დაინიშნოს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში გვხვდება ისეთი ნორმები, რომლებიც მოსამართლეთა მხრიდან განმარტებას საჭიროებს. ასე მაგალითად:

არასრულწლოვნისათვის კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნის ერთ-ერთი წინაპირობაა ის, რომ არასრულწლოვნის მიმართ წარსულში არ უნდა იყოს გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი. **რას ნიშნავს წარსულში არ უნდა იყოს გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი?!** ეს ნიშნავს იმას, რომ საერთოდ არ უნდა იყოს გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, თუ შესაძლებელია, არასრულწლოვნის მიმართ წარსულში გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი, თუმცა მას ნასამართლობა გაუქარწყლდა. მიმაჩნია, რომ, თუ არასრულწლოვნის მიმართ წარსულში გამოტანილი იყო გამამტყუნებელი განაჩენი და მას ნასამართლობა გაქარწყლებული აქვს, შესაძლებელია მის მიმართ კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა. ვინაიდან მოხსნილი ან გაქარწყლებული ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება, დაუშვებელია არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნისას გაქარწყლებული ნასამართლობის მხედველობაში მიღება. მიმაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ნორმის არასრულწლოვნის საზიანოდ განმარტება დაუშვებელია, ვინაიდან ნორმის განმარტებისას ყურადღება უნდა იქნეს გადატანილი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობაზე.

არასრულწლოვნის მიმართ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის ერთ-ერთი წინაპირობა არის წარსულში მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის არსებობა. არასრულწლოვნის მიმართ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა შესაძლებელია მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში. ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არასრულწლოვანი თავს არიდებს არასაპატიმრო სასჯელს ან წარსულში მის მიმართ გამოტანილი იყო გამამტყუნებელი განაჩენი. **მაგალითად**, არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი. ნასამართლობის გაქარწყლების შემდეგ ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული. შესაძლებელია თუ არა არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის სახით გამოყენებულ იქნეს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა?! თუ ამკ-ის 73-ე მუხლის პირველ ნაწილს სიტყვასიტყვით განვმარტავთ, შესაძლებელია, ვინაიდან არასრულწლოვნის მიმართ წარსულში გამოტანილი იყო გამამტყუნებელი განაჩენი. ვფიქრობ, აღნიშნული განმარტება არ შეესაბამება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს. ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ოქტომბრის განაჩენში მითითებულია: „თუ არასრულწლოვანი ნასამართლობის არმქონეა (მას მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს ნასამართლობა), მის მიმართ წარსულში გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული“<sup>15</sup>. ვფიქრობ, რომ საკასაციო ინსტანციის სასამართლომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, სწორად განმარტა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის დანაშაული.

არასრულწლოვნის მიმართ პირობითი მსჯავრის დანიშვნის ერთ-ერთი წინაპირობაა ის, რომ იგი წარსულში განზრახი დანაშაულისათვის მსჯავრდებული არ უნდა იყოს. რას ნიშნავს წარსულში განზრახი დანაშაულისათვის მსჯავრდებული არ უნდა იყოს?! აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ იგი საერთოდ არ ყოფილა მსჯავრდებული, თუ შესაძლებელია, იგი მსჯავრდებული იყო განზრახი დანაშაულისათვის, თუმცა აღნიშნული დანაშაულისთვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს? **მაგალითად**, 17 წლის არასრულწლოვანმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული. იგი ადრე მსჯავრდებულ იქნა განზრახი დანაშაულისათვის, თუმცა ამ დანაშაული-

<sup>15</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ოქტომბრის განაჩენი, საქმე №172აგ-16.

სათვის მას ნასამართლობა გაუქარწყლდა. შესაძლებელია თუ არა ამ კონკრეტულ შემთხვევაში პირობითი მსჯავრის გამოყენება?! თუ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 74-ე მუხლს სიტყვა-სიტყვით განვმარტავთ, პირობითი მსჯავრის დანიშვნა დაუშვებელია, ვინაიდან არასრულწლოვანი წარსულში მსჯავრდებული იყო განზრახი დანაშაულისათვის. თუმცა მიმაჩნია, რომ ასეთი განმარტება არასწორია. მართალია, ზემოაღნიშნულ ნორმაში არ არის მითითებული „ნასამართლესი არ ყოფილა“, მითითებულია „მსჯავრდებული არ ყოფილა“, თუმცა ვფიქრობ, რომ „მსჯავრდებული არ ყოფილა“ მასში უნდა მოვიაზროთ არა მხოლოდ ის შემთხვევა, როდესაც არასრულწლოვანი საერთოდ არ ყოფილა მსჯავრდებული, არამედ ისეთი შემთხვევაც, როდესაც იგი ადრე მსჯავრდებული იყო, თუმცა ამ დანაშაულისთვის მას ნასამართლობა გაუქარწყლდა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, მოხსნილი ან გაქარწყლებული ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება. სწორედ ამ კუთხით უნდა მივუდგეთ ზემოაღნიშნულ საკითხსაც, რათა არასრულწლოვანი მსჯავრდებულის უფლებები და კანონიერი ინტერესები არ იქნეს დარღვეული. მიმაჩნია, რომ ნორმის არასრულწლოვნის სანააღმდეგოდ განმარტება დაუშვებელია, ვინაიდან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ორიენტირებულია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე, ანუ პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

მიმაჩნია, რომ, როდესაც კანონმდებლობაში არსებობს ხარვეზი ან ბუნდოვანება, სამართალ-შემფარდებელმა უნდა იმოქმედოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის დაცვით და ნორმა უნდა განმარტოს არასრულწლოვნის სასარგებლოდ.

# ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

თამარ მახარობლიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,  
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედების  
დეპარტამენტის საჯარო და სისხლის სამართლის სამმართველოს მრჩეველი

## შესავალი

მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში არასრულწლოვანთა ქვეყნარტი ინტერესებისა და მათი უფლებების სათანადო დაცვის მიზნით პრიორიტეტულია სათანადო მექანიზმების შექმნა. მოზარდთა მიმართ აუცილებელია ბავშვის უფლებებზე ორიენტირებული სისხლის სამართლის პოლიტიკის შემუშავება, რომელიც, პირველ რიგში, გამოსწორებაზე და არა დასჯაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების მაგალითი იქნება. იუვენალურ იუსტიციაში ერთ-ერთი ასეთი ყველაზე მნიშვნელოვანი მექანიზმია არასრულწლოვანთა ინდივიდუალური შეფასების დანერგვა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 12 ივნისს მიიღო, ითვალისწინებს **ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის** ინსტიტუტს. მსგავსი მოდელის ამოქმედების რეკომენდაცია ნევრ სახელმწიფოებს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა ჯერ კიდევ 2010 წლის 20 იანვარს მიღებული რეკომენდაციით მისცა – „პრობაციის ორგანოების მუშაობა უნდა მოიცავდეს ასევე ინფორმაციისა და რჩევების მიწოდებას სასამართლო ორგანოებისთვის, რათა დაეხმაროს ინფორმირებული და სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებას სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების ან სასჯელის, ან სხვა ღონისძიებების შეფასების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში, პრობაციის ორგანოები რეგულარულად უნდა უკავშირდებოდნენ სასამართლო ხელისუფლების ორგანოებს, სადაც ასეთი ანგარიში შესაძლებელია საჭირო იყოს. სასჯელის შეფარდებაზე მომზადებული ანგარიშები უნდა ეფუძნებოდეს პირველწყაროს და რამდენადაც ეს შესაძლებელია, იყოს გადამოწმებული“.<sup>1</sup> საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, არასრულწლოვანთა სამართალწარმოების დროს მასთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არასრულწლოვნის კეთილდღეობის უზრუნველყოფა, მისი ასაკი, განაჩენის სიმძიმე კი განსაზღვრულ იქნეს იმგვარად, რომ შემდგომში ხელი შეუწყოს არასრულწლოვნის საზოგადოებაში დაბრუნებას და არ იყოს მიმართული არასრულწლოვნის დასჯისკენ.<sup>2</sup>

ინდივიდუალური შეფასების ანგარიში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლეა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში. ამ ინსტიტუტის განვითარება და პრაქტიკაში გამოყენება კი, სათანადო უწყებების ერთ-ერთ პრიორიტეტული ამოცანაა. ნაშრომში მიმოვიხილავ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს ქართულ სისხლის სამართალში, მის მნიშვნელობას იუვენალურ იუსტიციაში და გამოყენებას სასჯელის დანიშვნის დროს.

<sup>1</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)1 ნევრ სახელმწიფოებსადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2010 წლის 20 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 1075-ე სხდომაზე), პუნქტი 42-43.

<sup>2</sup> ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია, 1989, მუხლი 37(ბ); გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №10 მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ, 2007, პუნქტი 28.

## 1. ინდივიდუალური შეფასების ანგარიში ქართულ სისხლის სამართალში

ინდივიდუალური შეფასების ანგარიში სრულიად ახალი ინსტიტუტია ქართულ სისხლის სამართალში. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში პრინციპის დონეზეა განერილი სრულწლოვნების ასაკს მიუღწეველი პირისადმი ინდივიდუალური მიდგომა, კერძოდ, კოდექსის მე-14 მუხლით, არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინება მისი ინდივიდუალური მახასიათებლები: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული ინდივიდუალური მახასიათებლები გაითვალისწინება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საფუძველზე. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში აისახება არასრულწლოვნის განსაკუთრებული საჭიროებები, დანაშაულის/ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის რისკი და, შესაბამისად, არასრულწლოვნის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის რეკომენდებული ღონისძიებები. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება და გათვალისწინება სავალდებულოა სისხლის სამართლის პროცესის ხუთ სტადიაზე: განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას, სასჯელის დანიშვნისას, საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას, არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას და პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს ამზადებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, ხოლო საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას და პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას – პენიტენციური დეპარტამენტი.

ჩამოთვლილ სტადიებზე ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია, წესი და სტანდარტი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრების 2016 წლის 15 მარტის №132/№95/№23 ერთობლივი ბრძანებით. ბრძანების №1 დანართი განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიას, წესსა და სტანდარტს ეხება. აღნიშნული დანართის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით ანგარიშის მომზადებას უზრუნველყოფს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო მისი სტრუქტურული ერთეულის – სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს სოციალური მუშაკის მეშვეობით, ხოლო პრობაციის ეროვნული სააგენტოს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს იმ სამოქმედო ტერიტორიაზე, სადაც არ ხორციელდება სოციალური მუშაკის მომსახურება, სპეციალურად გადამზადებული პრობაციის ოფიცრის მეშვეობით, პროკურორის წერილობითი მიმართვის საფუძველზე. ამავე მუხლის მე-7 პუნქტით, სოციალური მუშაკი არასრულწლოვნის ინდივიდუალურ შეფასებას, შეფასების საფუძველზე დასკვნასა და ხელშეკრულების სარეკომენდაციო პირობებს საქმისწარმოებაში მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში აწვდის პროკურორს. ვერ დავეთანხმები აღნიშნულ ნორმას. პრაქტიკაში რთულია ასეთი მცირე ხნის განმავლობაში სოციალურმა მუშაკმა ჯეროვნად მოიძიოს და დაამუშაოს ყველას ის ინფორმაცია, რაც ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში უნდა იყოს ასახული. დროის სიმცირის გამო, შესაძლებელია, ვერ მოხერხდეს ხსენებული დოკუმენტების სათანადოდ მომზადება, რაც ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს. მიზანშეწონილია, მეტი დრო განესაზღვროს უფლებამოსილ პირს აღნიშნული ანგარიშის შესადგენად. მისასაღმებელია ის, რომ ამ ფაქტის თავიდან ასაცილებლად კანონი ითვალისწინებს, ნორმას, რომლის მიხედვითაც ობიექტური მიზეზის არსებობისას, 10-დღიანი ვადა შესაძლებელია



გაგრძელდეს პროკურორის გადაწყვეტილებით ხელის შემშლელი გარემოების აღმოფხვრამდე, თუმცა, მიზანშეწონილი იქნებოდა, თავიდანვე ამ ნორმაში განისაზღვროს ანგარიშის მომზადების მხოლოდ მინიმუმი დრო. ასევე, ამავე პუნქტით განერილია სოციალური მუშაკისა და არასრულწლოვნის შეხვედრების რაოდენობა, კერძოდ, 10-დღიანი პერიოდი მოიცავს არასრულწლოვანსა და მის ოჯახთან არანაკლებად ერთ და არა უმეტეს 3 შეხვედრას, რაც არ არის მართებული. ამ შემთხვევაშიც სამართალშემოქმედმა მხოლოდ მინიმალური შეხვედრების რაოდენობაზე უნდა გააკეთოს მინიშნება და მაქსიმალური შეხვედრების რაოდენობის განსაზღვრა სოციალურ მუშაკს უნდა მიანდოს საქმის სირთულიდან და საჭიროებიდან გამომდინარე.

ბრძანების №2 დანართი ეხება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს სასჯელის დანიშვნისას. სასჯელის დანიშვნისას კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის შედგენა მიზნად ისახავს არასრულწლოვნის სოციალური გარემოს, მისი უნარებისა და ინდივიდუალური საჭიროებების შესწავლას, რაც ხელს უწყობს მოსამართლეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული ობიექტური სასჯელის შეფარდებაში. ანგარიშის მომზადებას უზრუნველყოფს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო მისი სტრუქტურული ერთეულის – სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს სოციალური მუშაკის მეშვეობით, მოსამართლის წერილობითი მიმართვის, ხოლო საპროცესო შეთანხმების შემთხვევაში – პროკურორის წერილობითი მიმართვის საფუძველზე. მიმართვის გაგზავნა შესაძლებელია, ასევე, ელექტრონული ფორმით. აღნიშნული ანგარიშის შესახებ უფრო დანვრილებით ვისაუბრებ შემდეგ თავში.

ბრძანების №3 დანართი ეხება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას, რომელიც განსაზღვრავს არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მუშაობის პროცესს სასჯელის მოხდის პერიოდში, რომლის მიზანია განმეორებით დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული ინდივიდუალური რისკისა და საჭიროების შეფასება, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე არასრულწლოვნის განვითარების შესაბამისი გარემოს შექმნა და შესაბამის სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვა, მომავალში დანაშაულის ჩადენის ალბათობის შესამცირებლად სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შედგენა და მისი განხორციელება. სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მიზნით, დანესებულების დირექტორის ბრძანებით დანესებულებაში იქმნება მულტიდისციპლინური ჯგუფი. აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფს ხელმძღვანელობს სოციალური მუშაკი ე.წ. კოორდინატორი, რომელიც მსჯავრდებულთან ერთად აყალიბებს ინდივიდუალურ გეგმას. კოორდინატორი თანამშრომლობს სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან და სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრთან. ასევე, საჭიროებიდან გამომდინარე, სხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ინდივიდუალური გეგმის განხორციელების ვადაა არა უმეტეს 12 თვე. მასში მითითებული აქტივობები უნდა ეფუძნებოდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებსა და გამოვლენილ საჭიროებებს. აქტივობების შერჩევისას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იმ აქტივობას, რომელიც მიმართულია დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის ალბათობის შემცირებისა და ინდივიდისთვის ჯანსაღი გარემოს შექმნისაკენ. ამ ანგარიშის შედგენისას ყურადღება გამახვილებულია მსჯავრდებულის თანხმობაზე. ინდივიდუალურ გეგმას მსჯავრდებულს აცნობს კოორდინატორი და მისი თანხმობის შემთხვევაში მასზე ხელს აწერენ მსჯავრდებული და კოორდინატორი. იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული არ ეთანხმება ინდივიდუალურ გეგმას, ამის შესახებ აღინიშნება ოქმში და ეცნობება დირექტორს. ამ მუხლიდან არ იკვეთება, რა შედეგები მოსდევს იმ შემთხვევას, როდესაც არასრულწლოვანი არ ეთანხმება ინდივიდუალურ გეგმას.

ბრძანების №4 დანართი ეხება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს არასაპატიმრო სასჯელ-

ლის აღსრულებისას. აღნიშნული გეგმის შედგენის მიზანია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ არასრულწლოვან პირობით ვადამდე გათავისუფლებულ და პირობით მსჯავრდებულთა რისკის შეფასება, სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, მისი საზოგადოებაში ინტეგრაცია. არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რისკის შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენისას დაცული უნდა იყოს შემდეგი პრინციპები: პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვა, კანონის წინაშე თანასწორობა და მულტიდისციპლინური გუნდის დამოუკიდებლობა. ანგარიშის შედგენისას განისაზღვრება ზიანის რისკის დონე, დანართით განსაზღვრულია სამივე დონეზე განსახორციელებელი პროცედურები. სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმა თანხმდება არასრულწლოვან მსჯავრდებულთან და მის კანონიერ წარმომადგენელთან, რაც დასტურდება გეგმაზე არასრულწლოვანი მსჯავრდებულის და კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერით. იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ან კანონიერი წარმომადგენელი უარს აცხადებს გეგმის ხელმოწერაზე, დოკუმენტში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზის აღნიშვნით. გეგმის ხელმოწერაზე უარი არ აფერხებს გეგმის აღსრულებას. წინა დანართისგან განსხვავებით, აქ პირდაპირ არის მითითებული, რომ მსჯავრდებულის თანხმობასა თუ უარს არანაირი შედეგი არ მოაქვს, მაშინ გაუგებარია ამ ნორმის არსებობა დანართში.

ბრძანების №5 დანართი ეხება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას. ამ საკითხის განხილვისას, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება მიზნად ისახავს სასჯელის მოხდის პერიოდში არასრულწლოვანის ქცევის და სარეაბილიტაციო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის თავმოყრას საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს მიერ გადამწყვეტილების მიღების მიზნით. ანგარიშის მომზადებას უზრუნველყოფს სამინისტროს პენიტენციური დაწესებულება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით. ანგარიშის მომზადება ხდება არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებითა და ობიექტურობის პრინციპზე დაყრდნობით. დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის მომზადებისას, კანონით დადგენილი ვადის ფაქტობრივად მოხდამდე 3 თვით ადრე წერილობით მიმართოს სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს, დაწესებულების გარეთ ამ მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შეფასების თაობაზე. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს დაწესებულებაში ამზადებენ დაწესებულების სპეციალური აღრიცხვის, სამართლებრივი რეჟიმისა და სოციალური განყოფილებები.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებისა და გათვალისწინების სავალდებულობა დაემატოს სისხლის სამართლის პროცესის კიდევ ერთი სტადიის, აღკვეთის ღონისძიების შეცვლის დროს, რადგან ამ დროს აღნიშნული ანგარიში ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სასჯელის დანიშვნის დროს. აღსანიშნავია, რომ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-5 მუხლის მესამე პუნქტის ერთმნიშვნელოვან მოთხოვნად მიიჩნია პატიმრობის შეფარდებისას ბრალდებულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინების აუცილებლობა.<sup>3</sup> შესაბამისად, მნიშვნელოვანია აღნიშნული ანგარიში

<sup>3</sup> ხაინდრავა ნ., ბოხაშვილი ბ., ხიდაშელი თ., წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სასამართლოს ანალიზი., 2010, გვ. 67; იხ. შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, 2016წ., გვ. 27. <http://www.dgstz.de/wp-content/uploads/2016/08/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98.pdf>

გამოიყენებოდა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის დროს, განსაკუთრებით, მაშინ, როცა საქმე პატიმრობასთან გვაქვს.

გარდა ამისა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 27-ე მუხლის მე-5 ნაწილით, პროკურორის დადგენილებით ინდივიდუალური შეფასების ანგარიში შესაძლებელია მომზადდეს და გათვალისწინებულ იქნეს სხვა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შესახებ გადანყვეტილების მიღების სტადიაზეც, თუ სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობა და ვადები ამის შესაძლებლობას იძლევა. საინტერესოა, ამ დროს როგორ ხდება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება. თუ ასეთ შემთხვევას ითვალისწინებს კანონი, აუცილებელია მსგავსად სხვა სტადიებისა, არსებობდეს ამ სტადიის დროს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია, წესი და სტანდარტი. გარდა ამისა, აღნიშნული ჩანაწერის შინაარსი უნდა იყოს ბრალდების მხარისთვის სავალდებულო და კანონი არ უნდა აძლევდეს პროკურორს დისკრეციას, მისი სურვილის შესაბამისად გადანყვიტოს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოყენების საკითხი. ბრალდების მხარის დისკრეციული უფლებამოსილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და შეწყვეტაა. აღნიშნული გადანყვეტილებების მიღების დროს, განსაკუთრებით, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის დროს, მიზანშეწონილია, რომ პროკურორმა გამოიყენოს ინდივიდუალური შეფასების ანგარიში. აღნიშნული შემთხვევაში, რომ მნიშვნელოვანია ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოყენება, ამას კანონმდებელიც ადასტურებს იმით, რომ მუხლში ცალკე ნაწილად აქვს ჩამოყალიბებული შემდეგი შინაარსის ნორმა – კოდექსის 27-ე მუხლის მე-8 ნაწილით, „ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, საჭიროებისამებრ, გაითვალისწინება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. სისხლის სამართლის პროცესის ყოველ მომდევნო სტადიაზე ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებისას მხედველობაში მიიღება წინა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში არსებული ინფორმაცია“. ამ ნაწილში იგულისხმება პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებით განხორციელებული სტადიებიც.

## 2. ინდივიდუალური შეფასების ანგარიში სასჯელის დანიშვნისას

სასჯელის მოძღვრებაში სასჯელის შეფარდება ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. მისი სწორად შეფარდება პირდაპირ კავშირშია მსჯავრდებულის უფლებების დაცვასთან. შეფარდებული სასჯელის სამართლიანობა დამოკიდებულია როგორც კანონმდებელზე, ასევე მოსამართლეზე.<sup>4</sup> სასჯელის ინდივიდუალიზაციის პროცესში სამართლიანი სასჯელის უზრუნველსაყოფად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სასჯელის სწორად შერჩევის პრინციპს, რაც სამართლიანობის პრინციპის ცხოვრებაში გატარების უმნიშვნელოვანესი გარანტიაა.<sup>5</sup> სასჯელის სახისა და ზომის სწორად შესარჩევად კი, მნიშვნელოვანია, სასჯელის დანიშვნისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოყენება.

საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრების 2016 წლის 15 მარტის №132/№95/№23 ერთობლივი ბრძანებით, სასჯელის დანიშვნისას ანგარიშის მომზადებას უზრუნველყოფს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო მისი სტრუქტურული ერთეულის – სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს სოციალური მუშაკის მეშვეობით, მოსამართლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე. ანგარიშის მომზადება

<sup>4</sup> ცქიტვილი თ., „სასჯელის შეფარდების საკითხისთვის“, გურამ ნაჭყებია - 75 საიუბილეო კრებული, თბ., 2016, გვ. 122.

<sup>5</sup> ლეკვეიშვილი მ., „სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები“, შ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(43), თბ., 2011, გვ. 22.

ხორციელდება არასრულწლოვანთან, მისი ოჯახის წევრებთან და მასთან დაკავშირებული სოციალური გარემოს სხვა წარმომადგენლებთან. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 75-ე მუხლის პირველი ნაწილით არასრულწლოვნისთვის სასჯელის დანიშვნისას მოსამართლე, პირველ რიგში, ითვალისწინებს მის საუკეთესო ინტერესებს და ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის დასკვნითი დებულების, 102-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, კოდექსის 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რომელიც ეხება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებისა და მისი გათვალისწინების ვალდებულებას სასჯელის დანიშვნისას, ამოქმედდა 2016 წლის 1 მარტიდან, მაშინ, როდესაც კოდექსი ამოქმედდა 2016 წლის 1 იანვრიდან, ხოლო სასჯელის ერთ-ერთი სახე, შინაპატიმრობა, უფრო ადრე, 2015 წლის 1 სექტემბრიდან. რა ედო საფუძვლად აღნიშნულ ნორმას, რატომ არ აძლევდა კანონი მოსამართლეს უფლებამოსილებას 2016 წლის 1 მარტამდე გამოიყენებინა ინდივიდუალური შეფასების ანგარიში სასჯელის დანიშვნისას, გაუგებარია. სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მართებული შეხედულების თანახმად, სანქციის არჩევა და განსაზღვრა სამართლებრივად შეუძლებელი გადანაცვლებია.<sup>6</sup> „იმის მიხედვით, თუ რამდენად იძლევა ამის შესაძლებლობას ეროვნული სამართლებრივი სისტემა, პრობაციის ორგანოებს შეუძლიათ მოამზადონ ანგარიში ცალკეული ბრალდებული პირის შესახებ, რათა, საჭიროებისამებრ, დაეხმარონ სასამართლო ხელისუფლების ორგანოების გადანაცვლებების მიღებაში სისხლის სამართლებრივი დევნის წარმოების ან შესაბამისი სასჯელის ან სხვა ღონისძიების შეფარდების თაობაზე...“<sup>7</sup> აქამდე არსებულ სასამართლო პრაქტიკაში პიროვნების დახასიათება ხშირად ამოინურებოდა მისი სამსახურიდან, მეზობლებიდან მიღებული მოკლე დახასიათებით, რაც ხშირ შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებდა.<sup>8</sup> ამჟამად არსებული კანონმდებლობა არასრულწლოვნისთვის იძლევა იმის საშუალებას, რომ მომზადდეს ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, რაც სასამართლოს დაეხმარება სწორი სასჯელის განსაზღვრაში, ამიტომ იგი აუცილებლად უნდა გამოიყენებოდეს. მოსამართლემ უნდა იცოდეს არასრულწლოვნის შესახებ ყველა ის ინფორმაცია, რაც ინდივიდუალური შეფასების ანგარიშშია ასახული, კერძოდ, მისი განვითარების დონე, ცხოვრებისა და აღზრდის პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც მისი ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. ამ ინფორმაციის გარეშე ყოვლად წარმოუდგენელია არასრულწლოვნისთვის სწორი სასჯელის შეფარდება, მათ შორის, სასჯელის ახალი სახის – შინაპატიმრობის შეფარდება. აღსანიშნავია, რომ შინაპატიმრობის აღსრულების მექანიზმი ელექტრონული მონიტორინგია, რომლის დანესებისას გასათვალისწინებელია მისი გავლენა იმ ოჯახებისა და მე-სამე მხარის უფლებებსა თუ ინტერესებზე, ვისთანაც დაკავშირებულია დამნაშავე.<sup>9</sup> ე.წ. „პეკინის წესების“ მიხედვით, ყველა შემთხვევაში, ნაკლებად მძიმე სამართალდარღვევის გამოკლებით, განაჩენის გამოტანამდე უნდა მომზადდეს სოციალური მოკვლევის ანგარიში,<sup>10</sup> რადგან განაჩენის დადგენისას აუცილებლად იქნეს გამოყენებული. მოსამართლე რაც შეიძლება ზედმინევით უნდა ერკვეოდეს არასრულწლოვანთან დაკავშირებით ყველა აღნიშნულ საკითხში, რათა ეფექტური

<sup>6</sup> Jescheck H.-H., Weigend Th., Lehrbuch des Strafrechts Allgemeiner Teil, 5. Aufl., Berlin, S. 871; იხ. ცქიტიშვილი თ., „სასჯელის შეფარდების საკითხისთვის“, გურამ ნაჭყებია - 75 საიუბილეო კრებული, თბ., 2016, გვ. 123.

<sup>7</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)1 ნეკრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2010 წლის 20 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 1075-ე სხდომაზე), პუნქტი 42.

<sup>8</sup> ლეკვეიშვილი მ., „სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი“, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016, გვ. 196.

<sup>9</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია No. R(2014)4 ნეკრი სახელმწიფოების მიმართ ელექტრონული მონიტორინგის შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2014 წლის 19 თებერვალს, მინისტრთა მოადგილეების 1192-ე შეხვედრაზე), პუნქტი 6.

<sup>10</sup> გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინის წესები), 1985, წესი 16.

სასჯელი შეუფარდოს. მოსამართლემ ხომ უნდა იცოდეს რა პირობებში ცხოვრობს არასრულწლოვანი? იქნებ ისეთ მშობლებთან იზრდება, ისეთ სკოლაში სწავლობს, რომ ის გარემო, პირიქით, უარესია მისთვის? არასრულწლოვანთა რესოციალიზაციისთვის მნიშვნელოვანია მათ იქონიონ ხშირი კონტაქტი ოჯახთან და ახლობლებთან, მათ შორის, თანატოლებთან, მაგრამ ამის აუცილებელი წინაპირობა ის არის, რომ ისინი ნეგატიურ გავლენას არ ახდენენ მასზე. ოჯახურ მდგომარეობას ხშირად მჭიდრო კავშირი აქვს დანაშაულთან. არსებობს მთელი რიგი რისკ-ფაქტორები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც არასრულწლოვანმა შესაძლოა ჩაიდინოს დანაშაული. ესენი შეიძლება იყოს: ინდივიდუალური რისკ-ფაქტორები, ოჯახური რისკ-ფაქტორები და ა.შ., რაც გულისხმობს დაბალ ინტელექტსა და მიღწევებს, იმპულსურობას, დამნაშავე და ანტისაზოგადოებრივ, უყურადღებო და მოძალადე მშობლებსა და სხვ.<sup>11</sup> კანონთან კონფლიქტში მყოფი უამრავი ბავშვი სოციალურ-ეკონომიკური სიღუბნის მსხვერპლია, რის გამოც მათ არ აქვთ განათლების, ჯანმრთელობის, თავშესაფრის, ზრუნვისა და დაცვის უფლების განხორციელების შესაძლებლობა. ზოგი არასრულწლოვანი სახლიდან გარბის, ვინაიდან ქუჩაში ცხოვრება ურჩევნია ოჯახში ძალადობის პირობებში ცხოვრებას. ზოგს აიძულებენ ქუჩაში გასვლას და იქ ცხოვრებას გადარჩენის იმედით<sup>12</sup> და ა.შ. სწორედ ასეთი არასრულწლოვნები ხდებიან დამნაშავეები. ეს არის დღევანდელი მსოფლიოს რეალობა, ამიტომ ეს საკითხი მეტად ყურადსაღებია.

არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა მიმართ გამოყენებული სასჯელები და ზომები ყოველთვის ინდივიდუალიზებული და კონსტრუქციული უნდა იყოს და გათვალისწინებულ უნდა იქნეს თანაზომიერების პრინციპი, ბავშვის ასაკი, მისი ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა, განვითარების დონე და საქმის კონკრეტული გარემოებები. გარანტირებული უნდა იყოს განათლების, დასაქმების, რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის უფლებები.<sup>13</sup> სავსებით სამართლიანია სასჯელის მიმართ იმ მეცნიერთა მიდგომა, რომლებიც სასჯელში გულისხმობენ დამნაშავეობის კონტროლირების ოპტიმალური დონის მიღწევას. სასჯელმა უნდა შეაკავოს ზიანის მომტანი ქმედება იმაზე მეტი ზიანის გამონევის გარეშე, რის პრევენციასაც ის თავად ახდენს.<sup>14</sup> სასჯელის სახისა და ზომის შერჩევა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვისი მისამართით ხორციელდება იგი. სასჯელის ინდივიდუალიზაციის არსს წარმოადგენს სასჯელის პიროვნებაზე ზუსტი მორგება, როგორც მისი მომავლის საფუძველი, მისი რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიღწევის შესაძლებლობის აღიარება. სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის განხორციელება სასჯელის შერჩევისას დამნაშავე პირის ყოველმხრივ შესწავლას ეფუძნება. სასჯელის ინდივიდუალიზაციის განსასაზღვრად სასამართლო უნდა ფლობდეს პიროვნების უამრავ მახასიათებლებს, როგორც დადებითს, ისე უარყოფითს. მოსამართლეთათვის სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გამოყენება არა მარტო რეკომენდაცია, არამედ მისი ვალდებულებაა, რისგანაც მას თავის არიდება არ შეუძლია. სასამართლომ დამნაშავე არ უნდა განიხილოს, როგორც აბსტრაქტული დანაშაულის სუბიექტი, რომელიც ყველა ფორმალური პირობების გათვალისწინებით პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით, არამედ ცოცხალი ადამიანი თავისი ინდივიდუალური ნიშნებით.<sup>15</sup>

არასრულწლოვნებზე ყველაზე დიდ ზემოქმედებას ახდენს მიკროგარემო, ანუ ოჯახი, მეგობრები, ნაცნობები. მათი ზემოქმედებით ყალიბდებიან დადებით ან უარყოფით პიროვნებებად. თუ მიკროგარემო მოიცავს დადებით ხასიათის მატარებელ ადამიანებს, მაშინ მათი ზემოქმედე-

<sup>11</sup> Mague M., Morgan R. and Reiner R., *The Oxford Handbook of Criminology*, NY, 2007, P. 608-613.

<sup>12</sup> შაპოვიჩი ნ. ვ., დოევი ი. ე., ცერმატენი ჟ., ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში, ბავშვის უფლებები მოკლედ და კონტექსტში: ყველაფერი ბავშვთა უფლებების შესახებ, 2015, გვ. 349.

<sup>13</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო დირექტივები ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების თაობაზე (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2010 წლის 17 ნოემბერს, მინისტრთა მოადგილეების 1098-ე შეხვედრაზე), პუნქტი 82.

<sup>14</sup> ლეკვეიშვილი მ., „სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები“, ჟ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(43), ქ. თბილისი, 2011, გვ. 21.

<sup>15</sup> ლეკვეიშვილი მ., „სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი“, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, ქ. თბილისი, 2016, გვ. 196-230.

ბა არასრულწლოვნებზე დადებით ასახვას პოულობს და მათი ფორმირებაც სასურველი მიმართულებით მიდის და პირიქით, თუ მიკროგარემო კრიმინოგენურია, მაშინ არასრულწლოვანთა ფორმირება კრიმინალური ხაზით პოულობს განვითარებას. არასრულწლოვნის პიროვნების ჩამოყალიბებაში წამყვანი როლი ეკუთვნის ოჯახს, ვინაიდან მისი გავლენა ხანგრძლივია და ხორციელდება ადრეული ბავშვობიდან, ამდენად, ქცევის სტერეოტიპები, ურთიერთობის ნორმები, ოჯახურ გარემოში მიღებული ფასეულობათა სისტემა და ა.შ. ძალიან მყარად აითვისება. ბევრ ოჯახში სკანდალი, შვილებისადმი გულგრილი დამოკიდებულება, ლოთობა, აღმზრდელითი ფუნქციების შეუსრულებლობა და სხვ., რა თქმა უნდა, კრიმინოგენურ მნიშვნელობას იძენს და საზიანოა არასრულწლოვნისთვის.<sup>16</sup> ცნობილია, რომ მოვლენათა შორის მიზეზობრივი კავშირის არსის შეცნობას საფუძვლად უდევს მატერიალისტური გაგება, რომლის თანახმად, მიზეზობრიობა არის ობიექტური კავშირი ორ მოვლენას შორის, რომელთაგან ერთი (მიზეზი), გარკვეული პირობების შემთხვევაში, წარმოშობს მეორეს (შედეგს).<sup>17</sup> შესაბამისად, არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი ქმედებები პირდაპირ კავშირშია მის ოჯახურ ცხოვრებასთან. იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანს ოჯახში აქვს არახელსაყრელი პირობები იგი უნდა აუმხედრდეს ან შეეგუოს არსებულ სიტუაციას. თუ არასრულწლოვანი ირჩევს ამბოხებას, იგი ძირითად შემთხვევაში ტოვებს საკუთარ ოჯახს, არჩევს ხეტიალს და არღვევს სამართალს.<sup>18</sup>

დღევანდელ მსოფლიოში ძალიან გავრცელებულია „Battered child syndrome“ (შერყეული ბავშვის სინდრომი), რომლის მიხედვითაც ბავშვთა ძალადობა არ აისახება მარტო სისხლჩაქცევებსა და სხვა ფიზიკურ დაზიანებებზე, არამედ ბავშვის პიროვნებასა და ცხოვრებაზე. ეს არის ერთგვარი გამოძახილი იმისა, რომ ბავშვი ჩამოყალიბდეს კრიმინალად. ძალადობა შობს ძალადობას.<sup>19</sup> სასამართლო დაინტერესებული უნდა იყოს იმით, რომ მისი შესაძლებლობების ფარგლებში არასრულწლოვან დამნაშავეს ჯანსაღ გარემოში ყოფნას შეუწყოს ხელი. კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი არ უნდა დაბრუნდეს იმ გარემოში, რომლის გამოც ჩაიდინა დანაშაული. არასრულწლოვანი არ უნდა დაშორდეს თავის მშობლებს მისი სურვილის სანინააღმდეგოდ, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ამგვარი დაშორება ემსახურება მის საუკეთესო ინტერესებს, სასამართლომ აუცილებლად უნდა მიიღოს ამგვარი გადაწყვეტილება.<sup>20</sup> სწორედ აქ იკვეთება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის განსაკუთრებული მნიშვნელობა სასჯელის დანიშვნისას. აღნიშნული ანგარიშის გარეშე დანიშნული სასჯელი ქმნის იმის საფრთხეს, რომ სასჯელმა ვერ შეასრულოს თავისი მიზნები. თავისუფლების აღკვეთის, როგორც უკიდურესი ზომის, მინიმალური ჩარევისა და ინდივიდუალიზაციის პრინციპები უნდა იყოს გამოყენებული სასჯელის დანიშვნის დროს. აუცილებელია სასამართლოს მიერ არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის განსაზღვრისას არასრულწლოვნის სრულფასოვანი შეფასებისა და შესაბამისი რეკომენდაციების გამოყენების უზრუნველყოფა.<sup>21</sup> სასჯელის შეფარდებისას მეტად მნიშვნელოვანია ის, თუ რა სისტემით ხდება სასჯელის შეფარდება და რა კრიტერიუმები მიიღება მხედველობაში სასჯელის შეფარდების დროს, აგრეთვე, რა ეტაპებს მოიცავს სანქციის შეფარდება.<sup>22</sup> არასწორად გამოყენებულმა სასჯელის სახემ შეიძლება ძალიან ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანოს. სასჯელის შეფარდებისას კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოყენება ისეთი სპეციალური წესია, რომლითაც მოსამართლემ აუცილებლად უნდა იხელმძღვანელოს არასრულწლოვნის სასჯელის

<sup>16</sup> წულაია ზ., კრიმინოლოგია (ზოგადი და კერძო ნაწილი), თბ., 2005, გვ. 295-296.

<sup>17</sup> გაბუნია მ., შესავალი კრიმინოლოგიაში, თბ., 2011, გვ. 41.

<sup>18</sup> ნაცვლიშვილი შ., მოსწავლეთა სამართალდარღვევების მიზეზები და მათი პროფილაქტიკა, თბ., 1988, გვ. 7.

<sup>19</sup> MCGILLIVRAY A., 'Governing Childhood', Dartmouth, USA, 1997, P. 18-19.

<sup>20</sup> ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია, 1989, მუხლი 9(1).

<sup>21</sup> გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინის წესები), 1985, წესი 17, 19; თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ გაეროს წესები, 1990, წესი 27-30.

<sup>22</sup> ცქიტიშვილი თ., „სასჯელის შეფარდების საკითხისთვის“, იხ. გურამ ნაჭყებია - 75 საიუბილეო კრებული, ქ. თბილისი, 2016, გვ. 122.

დანიშნისას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაუშვებელია აღნიშნული ანგარიშის გარეშე სასჯელის შეფარდება და გაუგებარია, რატომ არ იყო აღნიშნული დადგენილი 2016 წლის 1 მარტამდე. საბედნიეროდ, ამ არასწორ დათქმას მძიმე შედეგებამდე დიდი ალბათობით არ მოვეყვანივართ, რადგან 2016 წლის 1 მარტამდე შინაპატიმრობის გამოყენების პრაქტიკა სულ რამდენიმე განაჩენს ითვლის, თუმცა, ნორმა ცალსახად არასწორია, რადგან კანონმდებელმა ცუდი შედეგის დადგომის საფრთხე შექმნა.

გარდა ამისა, სასჯელის დანიშვნის ეტაპზე ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის ბრძანების №2 დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით, სოციალური მუშაკი ამზადებს მოსამართლის/პროკურორის მიერ მიმართვაში მითითებულ ვადაში. ამ შემთხვევაში, გაუგებარია, რატომ არის ვადა დამოკიდებული მოსამართლე/პროკურორზე, როცა ანგარიშს ამზადებს სოციალური მუშაკი და მან უკეთ იცის რა სირთულისაა და რა ვადაში შეძლებს მის მომზადებას. ამ შემთხვევაშიც, სასურველია, მინიმალური ვადა გაიწეროს ამ დანართით, მაქსიმალური კი სოციალურმა მუშაკმა განსაზღვროს, რათა ანგარიში საფუძვლიანად და ჯეროვნად მოამზადოს.

## დასკვნა

ინდივიდუალური შეფასების ანგარიში მიზნად ისახავს არასრულწლოვნის სოციალური გარემოს, მისი უნარების, ინდივიდუალური საჭიროებებისა და სხვა გარემოებების შესწავლას, რაც ხელს უწყობს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე, რომელიც ასეთი მნიშვნელოვანია იუვენალურ იუსტიციაში, დაფუძნებული გადანყვეტილების მიღებას. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში აისახება არასრულწლოვნის განსაკუთრებული საჭიროებები, დანაშაულის/სამართალდარღვევის ჩადენის რისკი, შესაბამისად, მისი განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის რეკომენდებული ღონისძიებები. შეფასების პროცესში შესაბამისი ორგანო შეისწავლის არასრულწლოვნის განვითარების დონეს, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობებს, განათლებას, ჯანმრთელობის მდგომარეობას, ოჯახურ ვითარებას და სხვა გარემოებებს, რაც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასებისა და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. კონკრეტული საქმისადმი ინდივიდუალური მიდგომა – ეს ის პრინციპია, რომელსაც თამამად შეიძლება ვუნოდოთ რევოლუციური. სისხლის სამართლის პოლიტიკის რეფორმის ფარგლებში პრიორიტეტულია სასჯელის დანიშნისას სამართლოს როლის გაზრდა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის მაღალი ხარისხის მიღწევა, ამის მისაღწევად კი აუცილებელია ინდივიდუალური შეფასების ანგარიში.

საპატიმრო სასჯელის დაგეგმვისას ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოყენებით სისტემა სრულად გადადის მსჯავრდებულთა ქცევაზე დაფუძნებული რისკების შეფასებისა და მათი კლასიფიკაციის მიხედვით სასჯელალსრულების სხვადასხვა რისკის დაწესებულებებში გადანაწილების პრაქტიკაზე. აღნიშნული საშუალებას იძლევა, რომ სულ უფრო დიდი აქცენტი გავაკეთოთ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციასა და დანაშაულის რეციდივის პრევენციაზე, რაც სრულიად შეცვლის აქამდე არსებულ, პოსტსაბჭოთა სივრცისათვის დამახასიათებელ მიდგომებს, რომლის მიხედვითაც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება მხოლოდ სასჯელის მოხდის ადგილად აღიქმება. ასევე, მიზანშეწონილია, ერთობლივი ბრძანებით განისაზღვროს რა შედეგები მოჰყვება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების დროს მსჯავრდებულის უარს.

გარდა ამისა, ჩამოთვლილ სტადიებს მიზანშეწონილია დაემატოს აღნიშნული ანგარიშის გამოყენების ვალდებულება აღკვეთის ღონისძიების შეცვლის დროს, რადგან სისხლის სამართლის პროცესის ეს სტადია არანაკლებ მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა პატიმრობას ეხება საქმე. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით პატიმრობა გამოიყენება, როგორც უკიდურესი ღონისძიება.

**ინდივიდუალური შეფასების ანგარიში** ინდივიდუალური მიდგომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოხატულებაა, ამიტომ აუცილებელია კანონმდებელმა თავისი წილი პასუხისმგებლობა აიღოს აღნიშნული ანგარიშის საკანონმდებლო სრულყოფისთვის, რათა ამით ხელი შეუწყოს ამ ინსტიტუტის პრაქტიკაში აქტიურ და ჯეროვან გამოყენებას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.



# იუვენალური იუსტიციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოდელები და ქართული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი პრობლემატური საკითხი ამ მოდელთა ქრილში

მაკა გორგოძე

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს  
სისხლის სამართლის პალატის მოსამართლე,  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის დოქტორანტი

**„აღდგენითი მართლმსაჯულება კომპასია, რუკა არ არის“.**

ჰოვარდ ზეჰრი

## შესავალი

აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკა ტრადიციულ საზოგადოებებში საუკუნეების განმავლობაში გვხვდება.<sup>1</sup> ამ მიდგომის ფარგლებში შესაძლებელია სხვადასხვა პროგრამის გამოყენება. ყველაზე გავრცელებულია მსხვერპლისა და დამნაშავეს შერიგება, საზოგადოებისა და ოჯახის ჯგუფის კონფერენცია, სამშვიდობო წრეები და მიყენებული ზიანის ანაზღაურება ან აღდგენა. აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამები ბავშვებისაგან, რომელთა მიმართ გამოყენებულია განრიდება, მოითხოვს დანაშაულის ჩადენის გამო საკუთარი პასუხისმგებლობის აღიარებას და მსხვერპლისათვის, დაზარალებულისათვის დანაშაულის შედეგის გააზრებას; დანაშაულთან დაკავშირებით ემოციის (თუნდაც სინანულის) გამოხატვას; მსხვერპლისათვის, დაზარალებულისათვის ან საკუთარი თავისთვის თუ ოჯახისთვის მიყენებული ზიანის გამოსასწორებლად დახმარებით სარგებლობას; ზარალის კომპენსირებას ან მიყენებული ზიანის აღდგენას, ანაზღაურებას; მსხვერპლისათვის, დაზარალებულისათვის ბოდიშის მოხდას; თუ შესაძლებელია, მსხვერპლთან და დაზარალებულთან დანაშაულის ჩადენამდე არსებული ურთიერთობის აღდგენას; პროგრამის დასრულების მიღწევას.<sup>2</sup>

მიუხედავად იმისა, რომ აღდგენითი მიდგომები განსაკუთრებით სასარგებლოა სასამართლომდე განრიდების კონტექსტში, მათი გამოყენება შეიძლება მას შემდეგაც, რაც ბავშვს დამნაშავედ ცნობენ, მაგალითად, სასჯელის ამა თუ იმ ტიპის შერჩევისთვის. ასეთ შემთხვევაში კი უმნიშვნელოვანესია ისეთი სასჯელის სახის შერჩევა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტური იქნება იუვენალური მართლმსაჯულების მიზნებისათვის. საქართველოში განხორციელებული რეფორმის შედეგად მიღებული „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“ უცილობლად წინ გადადგმული ნაბიჯია იუვენალური იუსტიციის მიმართულებით. თუმცა გასათვალისწინებ-

<sup>1</sup> უაიტკამპი, ე.გ.მ. (Weitekamp, E.G.M.) „აღდგენითი მართლმსაჯულების ისტორია“, ჯონსტონი გ.ა. (Johnstone G. A.), „აღდგენითი მართლმსაჯულების კრებული: ტექსტები, წყაროები, კონტექსტი“, 2003წ., გვ. 111.

<sup>2</sup> ეკონომიკური და სოციალური საბჭო, რეზოლუცია 2002/12: სისხლის სამართლის საქმეებზე აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების გამოყენების ძირითადი პრინციპები, 24 ივლისი, 2002, 2002/12, პუნქტი 2.2.

ლია მოხდეს კანონის ნორმებისა და დანაწესების ზუსტი მისადაგება არასრულწლოვანთა საქმეების წარმოებისას ამა თუ იმ გარემოებებზე.

პატიმრობა შეძლებისდაგვარად უნდა იქნეს თავიდან აცილებული და განხილულ უნდა იქნეს სხვა ისეთი ალტერნატიული ზომების გამოყენების შესაძლებლობა, როგორცაა მუდმივი ზედამხედველობა, აქტიური აღმზრდელობითი სამუშაოები ანდა ოჯახში თუ აღმზრდელობით/საგანმანათლებლო დანესებულებაში ან საცხოვრებელში მოთავსება.<sup>3</sup> ასეთ ალტერნატიულ ღონისძიებათა შორის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სასჯელის ისეთი სახე, როგორც შინაპატიმრობაა. წინამდებარე ნაშრომში მისი გამოყენებისა და ეფექტურობის თვალსაზრისით გარკვეული პრობლემაა წამოჭრილი და მისი გადაჭრის გზაა შემოთავაზებული.

## I. იუვენალური იუსტიციის არსი და მნიშვნელობა ისტორიული წინამძღვრების გათვალისწინებით

ტერმინი „აღდგენითი იუვენალური იუსტიცია“ დამკვიდრდა გ. ბეიზმორის მიერ, რომლის ნაშრომშიც მოცემულია პროექტი იუვენალური იუსტიციის შესახებ სახელწოდებით „ახალი თაობა“, სადაც ყურადღება გამახვილებულია კლასიკური მოდელის არასაკმარისობის შესახებ, ასევე ამ არასაკმარისობაზე არსებულ საშიშ რეაქციაზე, რომელიც დამსჯელობით პარადიგმაზე დაბრუნებას გულისხმობს.<sup>4</sup>

ახალი პარადიგმა კი ფორმირებულია იმ საშუალების ბაზაზე, რომელიც აღდგენით იუვენალურ იუსტიციას ითვალისწინებს და შესაძლებლობას ქმნის სამუშაო წარიმართოს არა მხოლოდ კანონდამრღვევთან, არამედ რთული ცხოვრებისეული სიტუაციების მქონე ბავშვების ფართო წრესთან. „იუვენალური იუსტიცია“ საკუთარი განსაკუთრებული შინაარსით ხასიათდება. რაც შეეხება იუვენალური იუსტიციის კონკრეტულ ორგანიზაციულ-სამართლებრივ მოდელს, მსოფლიოში საკმარისი ნაირსახეობა არსებობს.<sup>5</sup> თუმცა, თუკი მოხდება გამოცალკეება სპეციფიკური შინაარსის მიხედვით, შესაძლებელია დასკვნის გაკეთება იმის შესახებ, რომ იუვენალური იუსტიცია, ეს აღმზრდელობითი იუსტიციაა.

იუვენალური იუსტიციის კლასიკური მოდელი XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ სამართალდარღვევებზე დამსჯელობითი ხასიათის რეაგირების საპირისპიროდ. ისტორიული თვალსაზრისით ამ მიმართულების გათვალისწინებით, შესაძლებელია კანონმდებლობის განვითარება შემდეგ სახეობად დაიყოს: 1) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სრულწლოვნებისაგან განსხვავებულად; 2) ასაკობრივი შეურაცხადობა (რაც ბავშვის პასუხისმგებლობის ასაკობრივ ზღვარს გულისხმობს); 3) პირობითი შერაცხადობა; 4) სასჯელის შემსუბუქება; 5) გამოსწორება კეთილმყოფელ გარემოში (მათ შორის სპეციალიზებულ დანესებულებებში მოთავსება); 6) გამოსწორება სასჯელის მაგიერ; 7) არასრულწლოვანთა დანაშაულის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა და პროფილაქტიკა.

როგორც ისტორიული კვლევები ადასტურებს, ჯერ კიდევ რომის სამართალში არსებობდა სწავლება არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის შესახებ. თუმცა მოგვიანებით, ინკვიზიციურ მართლმსაჯულებაში არასრულწლოვანთა მდგომარეობა სრულწლოვანთა მდგომარეობას გაუთანაბრდა და ბავშვების მიმართ გამოიყენებოდა როგორც წამება, ასევე უფროსებისათვის განკუთვნილი სხვა სასჯელებიც, მათ შორის სიკვდილით დასჯაც კი.<sup>6</sup> არასრულწლოვნების პასუხ-

<sup>3</sup> პეკინის წესების 13.1 და 13.2 მუხლები.

<sup>4</sup> Бэйзмор Г. Три парадигмы ювенальной юстиции // Правосудие по делам несовершеннолетних: Перспективы развития. Вып. I. М.: МОО Центр `Судебно-правовая реформа~, 1999. С.67–99

<sup>5</sup> Мельникова Э.Б. Ювенальная юстиция: Проблемы уголовного права, уголовного процесса и криминологии: Учебное пособие. М.: Дело, 2000

<sup>6</sup> Чарыхов Х.М. Отношение действующего уголовно-процессуального законодательства к малолетним и несовершеннолетним. С.23–24; М.Н.Гернета. М. М.: Книгоиздательство `В.И.Знаменский и К°~, 1912.

ისმგებლობის შემსუბუქება და არასრულწლოვანთა აღზრდა-გამოსწორებისათვის სპეციალური დაწესებულებების შექმნის პერიოდი მიიჩნევა იუვენალური მართლმსაჯულების წინაისტორიულ ეტაპად.

სისხლისსამართლებრივ წარმოებაში იუვენალური მართლმსაჯულების მიმართ ინტერესი XIX საუკუნეში ახალი ძალით წარმოიშვა და შემდეგ პერიოდში კიდევ უფრო ფართო განვითარება პოვა. XX საუკუნე ინდუსტრიალიზაციისა და „ბობოქარი კაპიტალიზმის“ განვითარების ეპოქად მიიჩნევა. სწორედ ამ სწრაფი და უკონტროლო განვითარების პირობებში არასრულწლოვნების დიდი ნაწილი არასახარბიელო გარემოში აღმოჩნდა. ზოგიერთმა მათგანმა „ქუჩას“ შეაფარა თავი. ამან არასრულწლოვანთა მხრიდან ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებების რიცხვი ერთიორად გაზარდა. ბავშვთა შრომის გამოყენება, უქონლობა, შიმშილი, საშინელი საცხოვრებელი პირობები, ალკოჰოლიზმი, მანანწალობა, მათხოვრობა პროსტიტუცია – საფუძველი გახდა იმისა, რომ საზოგადოებას ბავშვთა პრობლემების მიმართ განსაკუთრებული ყურადღება გამოეჩინა. ამ პერიოდისათვის დანაშაულებრივი ქმედების ცოდვით ახსნილი პოსტულატები სოციოლოგიური კონცეფციებით იცვლება. ამან კი დასაბამი დაუდო იმას, რომ დანაშაულზე რეაგირების ფოკუსი პროფილაქტიკის მიმართულებით გასწორდა.

სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმოშობისა და განვითარების შემდეგ, მუშავდება სპეციალური პროგრამები დაუცველი ბავშვებისათვის, იხსნება თავშესაფრები, სკოლები, საავადმყოფოები, აღმზრდელი დაწესებულებები, სადაც არასრულწლოვნებისათვის შესაბამისი პირობები შექმნილი. ასეთი საზოგადოებრივი გაერთიანებები იუვენალური მართლმსაჯულების განუყოფელი ნაწილი გახდა.

წარსულში ბავშვი აღიქმებოდა, როგორ „შემცირებული უფროსი ადამინი“, მხოლოდ XIX საუკუნეში დაიწყო საუბარი ბავშვის სრულფასოვან ცხოვრებაზე, ბავშვის პიროვნებაზე, აღზრდის მნიშვნელობაზე. ფილოსოფოსები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, სულ უფრო ფართოდ გამოთქვამდნენ მოსაზრებებს პედაგოგიური კონცეფციების შესახებ. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან უკვე არსებობს მეცნიერების ისეთი დარგები, როგორცაა ბავშვთა და პედაგოგიური ფსიქოლოგია, (ბერძ. pais {paidos} – ბავშვი და აგო – ვუძღვები, ვზრდი, ფსიქოლოგია სამედიცინო ფსიქოლოგიის დარგი, რომელიც შეისწავლის სწავლებისა და აღზრდის ფსიქოლოგიურ პრობლემებს. ხოლო მოგვიანებით უკვე ცალკე დარგად გამოიყო პედოლოგია (pais (paidos) და ლოგოს „ბავშვი“ და „მოძღვრება“) მეცნიერება აღზრდის შესახებ;<sup>7</sup> კომპლექსური სწავლება ბავშვის შესახებ ბავშვთა განვითარებისათვის გადამწყვეტად მიიჩნევა მემკვიდრეობის გავლენას და რაღაც უცვლელი სოციალური გარემოს ზემოქმედებას.<sup>8</sup>

დანაშაულის ჩამდენთა მიმართ მკაცრი სასჯელის გამოყენებიდან ყურადღება გადადის ამ პირების გამოსწორების იდეაზე. ახალმა მოსაზრებამ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა მას შემდეგ, როდესაც ცხადი გახდა, რომ ციხის პირობებში არასრულწლოვნებისათვის სასჯელის მოხდა კიდევ უფრო რყვნიდა თავისუფლებააღკვეთილ ბავშვებს და უბიძგებდა რეციდიული დანაშაულებისაკენ. სწორედ ამიტომ დღის წესრიგში დადგა მართლმსაჯულებაში აღმზრდელი როლის გაძლიერების აუცილებლობა.

იუვენალური იუსტიციის წარმოშობის საფუძველი შეიძლება ჩანდეს როგორც შემწყნარებლობა და ჰუმანური მიდგომა არასრულწლოვნებისა და სუსტების მიმართ, თუმცა ეს მიდგომა იგივეა, რაც ბავშვის „არასრულფასოვან უფროსად“ აღქმა, როცა დამსჯელობითი იუსტიცია ხდება გარკვეულწილად უფრო პასიური კანონსაწინააღმდეგო ქმედებისათვის. თუმცა იუვენალური იუსტიცია სულაც არ არის პასიური, ის არათუ იგნორირებას ახდენს, არამედ მიმართულია ბავშვის ისეთ ქმედებებზე, რომელიც უფროსებისათვის არ წარმოადგენს დანაშაულს (აზარტული თამაშები, სკოლის გაცდენა, ალკოჰოლური სასმელების მიღება და ა.შ.).

<sup>7</sup> Chrisman, Oscar. Paidology; the science of the child. The historical child. — Boston: R.G. Badger, 1920.

<sup>8</sup> Woods Ph., Ashley M., Woods G. 1.5. Findings from the survey and case studies— Bristol: University of the West of England, 2005. - 206 p.

*„თეორეტიკოსები ქადაგებენ და კანონმდებლები ისწრაფვიან დაადგინონ მჭიდრო კავშირი დანაშაულსა და სასჯელს შორის, თუმცა მოქმედი დამსჯელობითი პრაქტიკა ადგენს სხვაგვარ კავშირს და შლის ახალ გზას სასჯელიდან დანაშაულისაკენ.“<sup>9</sup>*

იუვენალური იუსტიციის სანჯის წერტილად მიიჩნევა არასრულწლოვანთა სასამართლოს შექმნა ჩიკაგოში 1899 წელს ილინოისის შტატის კანონის საფუძველზე. ამ ფაქტის შემდეგ სასამართლომ თავის თავზე აიღო მანამდე მისთვის უცხო უფლებამოსილება, პედაგოგიური, აღმზრდელობითი და რესოციალიზაციის მიმართულებით, იმ ბავშვებთან დაკავშირებით, რომლებმაც ჩაიდინეს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება, ასევე მათ მიმართ, რომლებიც მიტოვებული იყვნენ მშობლების მიერ რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციაში, მანანალობდნენ და მათხოვრობდნენ. ახალი მიდგომებით, ჩადენილი ქმედება არასრულწლოვანისათვის გახდა არა მხოლოდ მისი ბრალდების საფუძველი, არამედ განიხილება როგორც ბავშვის უბედურება. საზოგადოებამ და სახელმწიფომ თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა არასრულწლოვანთა მხრიდან ჩადენილ ქმედებებზე, რადგანაც ვერ უზრუნველყვეს ბავშვისათვის შესაბამისი პირობები სოციალიზაციისათვის. არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი სასამართლოს უფლებამოსილება არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვითაა მოცული და აღმზრდელობითი ზომები არსებობს არა სადღაც სისხლისსამართლებრივ სანქციათა პერიფერიაზე, არამედ მისი მნიშვნელობა პირველ პლანზეა წამოწეული. სრულიად შეიცვალა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა, მისი მიზნები, პრინციპები, სასამართლო განხილვის პროცედურები, მისაღები ზომები, მოსამართლეთა პროფესიონალიზმი.

იუვენალური იუსტიცია დამყარებულია შემდეგ ფაქტორებზე: 1. ბავშვობა – ესაა განვითარების სტადია, ბავშვში ჯერ კიდევ არაა დამყარებული ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები; 2. საზოგადოებისა და მისი ინსტიტუტების ამოცანაა ბავშვისათვის კეთილდღეობისა და სოციალიზაციისათვის შესაფერისი პირობების შექმნა. 3. მკაცრი სასჯელის ზომა აძლიერებს დესოციალიზაციასა და სოციალურ დეზადაპტაციას. 4. მოსამართლის ვალდებულებაა ისეთი ზომის გამოყენება, რომელიც აღმზრდელობითი ხასიათისაა და არასრულწლოვნის რეინტეგრაციას ემსახურება.

როგორც აღინიშნა, იუვენალურმა მართლმსაჯულებამ სწრაფი განვითარება ჰპოვა მე-20 საუკუნის 10-15-იან წლებში როგორც ამერიკაში, ასევე ევროპაში. მან საფუძველი დაუდო კლასიკურ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას. წლების განმავლობაში, რა თქმა უნდა, ამ ინსტიტუტმა სახეცვლილებები განიცადა, თუმცა საბაზისო დახასიათება იგივე დარჩა, იუვენალური იუსტიცია – ესაა აღმზრდელობითი იუსტიცია.

სამართლის ფილოსოფოსი კონრად ბრანკი<sup>10</sup> ამტკიცებდა, რომ „თეორიულ და ფილოსოფიურ დონეზე დასჯა და აღდგენა არ არის სრულიად ერთმანეთის საპირისპირო, როგორც ამას ხშირად ჩვენ ვგულისხმობთ.“<sup>11</sup> სინამდვილეში, მათ მრავალი საერთო აქვთ. ორივესათვის, დასჯისა და აღდგენის თეორიისათვის უპირველესი მიზანია დაიცვას და დაეხმაროს გაზიარებისა და უსამართლობის გამოსწორების მეშვეობით. განსხვავება მათ შორის ისაა, რომ ისინი განიხილეს მისაღწევად სხვადასხვა გზას მიიჩნევენ ეფექტურად.

რეალურ ცხოვრებაში მთლიანად მართლმსაჯულება შეიძლება განხილულ იქნეს როგორც კონტინუუმი,<sup>12</sup> რომლის ერთ ბოლოში არის სამართლებრივი, ანუ სისხლის სამართლის სისტემის მოდელი (მისი ძლიერი მხარე, როგორიცაა ადამიანის უფლებების მხარდაჭერა – არსებითია. თუმცა მას აქვს ზოგი მკაფიოდ გამოხატული სუსტი მხარეც) და მეორე ბოლოში არის აღდგენითი

<sup>9</sup> Трайнин А. Общие выводы // Дети-преступники / Под ред. М.Н.Гернета. С.546.

<sup>10</sup> Conrad Brunk is a religious studies professor at University of Victoria located in Victoria, British Columbia.

<sup>11</sup> Conrad Brunk, “Restorative Justice and the Philosophical Theories of Criminal Punishment” in *The Spiritual Roots of Restorative Justice*, Michael L. Hadley, editor. (Albany, NY: State University of New York Press, 2001), 31-56.

<sup>12</sup> L. Continuum -”uwyveti” movlenebis, procesebis uwyvetoba, erToblioba. <<http://www.npl.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=20579>>

ალტერნატივა (მასაც აქვს მნიშვნელოვანი ძლიერი მახასიათებლები გარკვეული ლიმიტებით).<sup>13</sup> აღდგენითი მართლმსაჯულების ინსტიტუტს ახასიათებს სხვადასხვა, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული მიდგომები და მეთოდები. რომელთა მთლიანობაც ამ სახის მართლმსაჯულების პოპულარობას განაპირობებს. დღეს არსებული მიდგომები ასახავს იმას, რომ სხვადასხვა სახისაა ის იდიომები, რომლებიც სხვადასხვა ადამიანთა მოსაზრებებს მოიცავს.

პირობითად, მართლმსაჯულება შეიძლება დაიყოს დამსჯელობით, სარეაბილიტაციო და აღდგენით მართლმსაჯულებებად.<sup>14</sup> აღდგენითი მართლმსაჯულების უპირატესობა განსაკუთრებით თვალშისაცემია არასრულწლოვნებთან მიმართებაში. პრობლემის ნაწილი დაკავშირებულია ტერმინთან „დასჯა“ – „სასჯელი“, ეს ტერმინი გამოიყენება დამსჯელობითი მართლმსაჯულების შესადარებლად აღდგენით მართლმსაჯულებასთან. დამსჯელობითი მართლმსაჯულება მიმართულია უკვე ჩადენილი ქმედების სამაგალითოდ დასასჯელად და მომავალში ასეთი ქმედებების თავიდან ასაცილებლად. სასჯელის გასასამართლებლად და რეტრიბუტივიზმთან მიმართებაში რამდენიმე მოსაზრება არსებობს.<sup>15</sup> კერძოდ კი, „პოზიტიური“ რეტრიბუტივიზმი (დამნაშავე აუცილებლად უნდა დაისაჯოს და სასჯელი უნდა იყოს იმდენად მკაცრი, რამდენადაც ის დანაშაულის ჩამდენმა დაიმსახურა) და „ნეგატიური“ რეტრიბუტივიზმი (მხოლოდ დამნაშავე უნდა იყოს დასჯილი, და სასჯელი არ უნდა იყოს იმაზე უფრო მკაცრი, ვიდრე მან დაიმსახურა). კონსიკვენტალიზმის (ლათ. consequens – „გამოძიება, დასკვნა, რეზულტატი“)<sup>16</sup> მიმდევრები განმარტავენ, რომ სასჯელის გამოყენება დაკავშირებულია მისი დანიშნის აუცილებლობასთან განსაკუთრებულ, ცალკეულ შემთხვევებში.<sup>17</sup> ვარაუდობენ, რომ თავისუფლების აღკვეთა (პენიტენციურ დაწესებულებებში სასჯელის მოხდა) ეს „მთავარი“ დასჯის სახეა კანონდამრღვევთათვის.<sup>18</sup> ასეთ მოსაზრებას მხარს არ უჭერს ბევრი გამოჩენილი რეტრიბუტივისტიც კი. მაგალითად ფონ ჰირშის მიხედვით „ნორმალური საზოგადოება ვალდებულია ისწრაფოდეს სპეციალურად დანიშნული სანქციის სიმძიმის მინიმუმისაკენ.“ აღდგენითი მართლმსაჯულების მომხრეები კი „დამსჯელობითი“ სანქციების სრულად „აღმზრდელობითი ღონისძიებებით“ შეცვლის მოთხოვნით გამოდიან.<sup>19</sup>

ინიციატივები და პოლიტიკური გამოწვევები აღდგენითი-იუვენალური მართლმსაჯულების თანამდეროვე ფორმების ჩამოყალიბების გზაზე 70-იანი წლების დასაწყისში, მსოფლიოს მასშტაბით, შეიქმნა მრავალი პროგრამა, რომლებიც დღეს თავისუფლად შეიძლება იწოდებოდეს აღდგენითი მართლმსაჯულებისათვის განკუთვნილად. თავდაპირველად ყურადღება კონცენტრირებული იყო სამართალდამრღვევისა და მსხვერპლის შეხვედრებსა და შერიგებაზე. ეს გამოცდილება მთლიანად იქნა ადაპტირებული და გაზიარებული მოგვიანებით განვითარებულ საშუამავლო-მომრიგებლობით მოდელებში. უფრო გვიან ასეთ შეხვედრებში მონაწილეობას იღებდნენ ორივე მხარის ოჯახის წევრები და მეგობრებიც, ასევე პროფესიონალი იურისტები და სხვა საზოგადოებაში გაველენის მქონე ადამიანები.<sup>20</sup>

საინტერესოა აღწერილ იქნეს აღდგენითი ინიციატივებისა და პოლიტიკური გამოწვევების ძირითადი სახეები, რომლებმაც აღდგენითი-იუვენალური მართლმსაჯულებას დღევანდელი შინაარსი შესძინეს.

„Prisoners Rights and Alternatives to Prisons“, – მსჯავრდებულთა უფლება ალტერნატიულ ციხეზე. ამ ინიციატივის მხარდამჭერები და პრაქტიკოსები სამართალდამრღვევში, უპირველეს ყოვლისა, სოციალური გულგრილობის, რასობრივი და გენდერული დისკრიმინაციის მსხვერპლს

<sup>13</sup> ჰოვარდ ზეჰრი „აღდგენითი მართლმსაჯულების პატარა წიგნი“ გვ. 63 მთარგმნელი, რედაქტორი – ირმა რევიშვილი.

<sup>14</sup> Bazemore, 1996; Walgrave, 1995; Zehr, 1990

<sup>15</sup> Duff and Garland, 1994, P. 7

<sup>16</sup> მორალური თეორიების ჯგუფი, სადაც მორალური შეფასების კრიტერიუმად მიჩნეულია რეზულტატი - კონსიკვენტი. Darwall Stephen Consequentialism. — Oxford: Blackwell, 2002.

<sup>17</sup> იქვე Dუფფ ანდ ჩარლანდ, 1994, წ.6

<sup>18</sup> Bazemore, 1996, p. 50

<sup>19</sup> Baker B., Consequentialism, Punishment and Autonomy // Retributivism and Its Critics / ed. Cragg. W. Stuttgart, 1992.

<sup>20</sup> Bentham J. The Principles of Morals and Legislation. N.Y., 1948.5:12. Bianchi H. Justice as Sanctuary: Toward a New System of Crime Control-Bloomington, 1994.

ხედავდნენ და შესაბამისად, მიზნად ისახავდნენ ციხის პირობებში სასჯელის მოხდის მინიმალიზებას, ასევე თავისუფლების აღკვეთის სრულიად გაუქმებას უჭერდნენ მხარს. ამ იდეის ხორცშესხმისათვის ფეი ჰონი კნოპი და სხვები ოცნებობდნენ „მზრუნველი საზოგადოების“ აშენებაზე, რომელიც მსხვერპლსა და სამართალდამრღვევზე ერთნაირად იზრუნებდა. 80-იან წლებში აშშ-ს ციხეებში მსჯავრდებულთა რიცხვი მკვეთრად გაიზარდა, მოიმატა შუალედური სასჯელების პოპულარობამაც.<sup>21</sup> თუმცა არც მაშინ და არც დღეს შუალედური სასჯელების შესახებ არსებულ ლიტერატურაში მსხვერპლისა და სამართალდამრღვევის შერიგება ან აღდგენითი მართლმსაჯულება მოხსენიებული არ არის.

„Conflict Resolution“ – კონფლიქტის გადაწყვეტა-მოგვარება. წინა საუკუნის 70-იან წლებში საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაფართოებამ, სამეზობლო ერთობების ცენტრებმა და მოქალაქეთა გააქტიურებამ კიდევ უფრო გაზარდა მართლმსაჯულებაში ჩართულობისაკენ სწრაფვა. ამ იდეის მიმდევრები ცდილობდნენ მართლმსაჯულება წარმართულიყო მოქალაქეთა უფრო ფართო მონაწილეობით, რაც ჩაანაცვლებდა ფორმალურ პროცესს. მონინააღმდეგე მხარეებს შორის დავის ასეთი გზით გადაწყვეტის საშუალებები დღესაც ფართოდაა გავცელებული აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და კანადაში.<sup>22</sup>

„Victim-Offender Reconciliation Programs (VORPs)“ – ეს პროგრამა პირველად 1974 წელს შეიქმნა კანადაში, ხოლო 1977 წელს უკვე აშშ-ში არსებობდა. იდეა მიზნად ისახავს მსხვერპლის (დაზარალებულის) და სამართალდამრღვევის შეხვედრებს, რომლებიც, როგორც წესი განაჩენის გამოტანამდე ეწყობოდა ნეიტრალური მესამე მხარის მონაწილეობით. პროგრამის მთავარ ამოცანას „სწორი ურთიერთდამოკიდებულების“ აღდგენა წარმოადგენდა.<sup>23</sup> VORP-ის მიმდევრების შრომები მჭიდროდ იყო დაკავშირებული რელიგიურ პრინციპებთან და ინსტიტუტებთან.<sup>24</sup>

„Victim-Offender Mediation (VOM)“ – 70-იანი წლების ბოლოს დაზარალებულები და მათი დამცველები უპირატესობას ანიჭებდნენ ტერმინებს „შუამავლობა კონფლიქტის გადაწყვეტისათვის“ (Mediation) და „შერიგება“ (Reconciliation) – რაც დაზარალებულისა და სამართალდამრღვევის შეხვედრების პროგრამას გულისხმობს. ეს პროგრამა ძალიან ჰგავს უკვე განხილულ VORP-ის პროგრამას, თუმცა VOM-ი საშუალებას აძლევდა სხვა პირებსაც ჩართულიყვნენ მედიაციის პროცესში, განსაკუთრებით კი განმაურებულ საქმეებში. თავდაპირველად ამ პროგრამამ გავრცელება ჰპოვა დიდი ბრიტანეთისა და სკანდინავიის ქვეყნებში, მოგვიანებით კი დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში იუვენალური მართლმსაჯულების განვითარების ფარგლებში.

„Victim Advocacy“ – დაზარალებულთა (მსხვერპლთა) დაცვის პროგრამა, ამ პროგრამის მიმდევრები შეწუხებული იყვნენ რა სისხლის სამართალწარმოებაში დაზარალებულის არასაკმარისი როლით, ცდილობდნენ მათი უფლებების დაცვას. ამ იდეამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა 1982 წელს, როცა პრეზიდენტ რეიგანის ადმინისტრაციამ გამოაქვეყნა კვლევის ანგარიში დანაშაულის მსხვერპლთა შესახებ. სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულებისა და „Victim Advocacy“-ს მომხრეებს შორის მჭიდრო კავშირი 1990 წლიდან დამყარდა. მას შემდეგ მსხვერპლთა დაცვის ამერიკის ბიურო ვალდებულია გამოიჩინოს ინტერესი და განახორციელოს შესაბამისი ქმედებები დაზარალებულისა და სამართალდამრღვევის შესარიგებლად.

„Family Group Conferences (FGC)“ – საოჯახო კონფერენციები. ახალ ზელანდიაში წინა საუკუნის 80-იანი წლებიდან მიმდინარეობდა ვაიტანგის<sup>25</sup>, ანუ კონსტიტუციური დოკუმენტის გადა-

<sup>21</sup> Morris and Tonry, 1990, DiMaskio, 1997

<sup>22</sup> Pavlich, 1996, p.161

<sup>23</sup> Zehr, 1990

<sup>24</sup> Immarigeon, 1984

<sup>25</sup> 1840 წელს დიდმა ბრიტანეთმა და მაორის ტომთა ბელადებმა მიაღწიეს შეთანხმებას და ხელი მოაწერეს წერილობით ხელშეკრულებას, რომელმაც მიიღო სახელი „ვაიტანგის ხელშეკრულება“, რომლის პუნქტების თანახმად, მაორები გადასცემდნენ ახალ ზელანდიას დიდ ბრიტანეთს სამეთვალყურეოდ, მაგრამ ინარჩუნებდნენ თავის ქონებრივ უფლებას, ხოლო დიდმა ბრიტანეთმა მაორისგან მიიღო მინის ნაკვეთების შესყიდვის განსაკუთრებული უფლება. ამ პერიოდში ხდებოდა აქტიური ორმხრივი სოციალური ინტეგრაცია, რომელიც ზრდიდა ევროპელი გადმოსახლებულებისა და მაორების რაოდენობას. ვაჭრობის ობიექტი ძირითადად რჩებოდა მაორების კუთვნილი მინა, მაგრამ აღმოცენება

ფასების პროცესი, რომელიც პატენასა (თეთრკანიანები) და მაორის შორის ხელშეკრულებას გულისხმობდა. ამ პროცესის შედეგად მაორის მიმართ სახელმწიფო პოლიტიკა შეიცვალა და 1989 წლიდან დადგენილ იქნა ახალი სტანდარტები იუვენალური მართლმსაჯულების შესახებ, ასევე ოჯახების სოციალური დაცვისათვის. FGC-ს საქმიანობა VOM-ისა და VORP-ისაგან იმით განსხვავდება, რომ განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს სამართალდამრღვევთა ოჯახების მიმართ.<sup>26</sup> ამ პროგრამის ფარგლებში ავსტრალიაში შეიქმნა ე.წ. „ვაგას მოდელი“, როგორც პოლიციის ინიციატივათა ნაწილი.

„Sentencing Circles“ – მართლმსაჯულების წრეები. პროგრამის ეს სახე კანადაში წარმოიშვა ინდიელთა თემების მიმართ ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებების გამო. სამართალდამრღვევისა და დაზარალებულთა „ჭარბონიისა“ და „განკურნებისათვის“ აუცილებელი გახდა მხარეთა შორის, ასევე მთლიანად ადგილობრივ საზოგადოებაში კონსენსუსის მიღწევა. იდეის მიზანს წარმოადგენს უღირს ქმედებაზე რეაგირება და შესაბამისი სანქციების გამოყენება მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით.<sup>27</sup> პროგრამა ეფექტურად გამოიყენა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მინესოტას შტატში აფროამერიკელების მიმართ.

## II. შინაპატიმრობა – ქართული იუვენალური მართლმსაჯულების, როგორც „დამსჯელობითი“ და „აღმზრდელობითი“ იუსტიციის შერეული მოდელის პროდუქტი

მსოფლიოში ყველა სახელმწიფოს აქვს სისხლის სამართლის საკუთარი სისტემა, თუმცა კანონები ერთმანეთისაგან ფორმით განსხვავდება. ზოგ სახელმწიფოს, განსაკუთრებით კი კონტინენტური სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებს, ჩვეულებრივ, აქვთ სისხლის სამართლის კოდექსი ან/და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ზოგ სახელმწიფოში კი, კერძოდ, საერთო სამართლის ქვეყნებში, არსებობს მთელი რიგი ცალკეული სტატუტების (აქტების ან კანონების) გამოყენების ტენდენცია. ორივე სისტემაში აღნიშნული კოდექსებისა და სტატუტების საფუძველზე შექმნილია დიდი რაოდენობით კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროს სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებულ ნესებსაც შეიცავს.<sup>28</sup>

იუვენალური მართლმსაჯულება უმეტესწილად აღიქმება როგორც პროცედურა სამართალდამრღვევის სასჯელისაგან განთავისუფლების შესახებ. თუმცა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აბსოლუტურ ამოცანას სასჯელისაგან განთავისუფლება არ წარმოადგენს. დიდ მნიშვნელობას იძენს აღდგენითი მართლმსაჯულების სამუშაოებში არასრულწლოვანთა მიმართ ისეთი ღონისძიებების გატარება, რომელიც სრულწლოვნებისათვის არ გამოიყენება.

იუვენალური მართლმსაჯულება უმეტეს წილად აღიქმება როგორც პროცედურა სამართალდამრღვევის სასჯელისაგან განთავისუფლების შესახებ. თუმცა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აბსოლუტურ ამოცანას სასჯელისაგან განთავისუფლება არ წარმოადგენს. დიდ მნიშვნელობას იძენს აღდგენითი მართლმსაჯულების სამუშაოებში არასრულწლოვანთა მიმართ ისეთი ღონისძიებების გამოყენება, რომელიც სრულწლოვნებისათვის არ გამოიყენება.

მოქმედი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (2015 წლის 12 ივნისის კანონი) საშუალებას იძლევა და არ კრძალავს სისხლის სამართლის საქმის წარმოებას, ასევე დანაშაულის არსებობის შემთხვევაში კანონდამრღვევის მიმართ დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რომელიც სასჯელით მთავრდება.

აღდგენითი მართლმსაჯულების მიხედვით დანაშაული აიხსნება, პირველ რიგში, როგორც

და განვითარება დაიწყო მაორების საკუთარმა საქმიანმა წამოწყებებმა. <<http://wikivisually.com/lang-ka/wiki/>>

<sup>26</sup> GABRIELE M. Maxwell and ALISSON Morris, Family victims end culture: 1993. P255; Umbreit and Zehr, 1995-96 P10;

<sup>27</sup> Griffiths, 1996, P. 201

<sup>28</sup> ქეროლინ ჰამილტონი. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები. ქართული თარგმანი, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2013, გვ 15.

ქმედება, რომელმაც ზიანი მიაყენა კონკრეტულ პირს ან პირთა ჯგუფს და არა მთელ საზოგადოებას. აქედან კი წარმოიშობა ვალდებულება მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, ასევე ბოდიშის მოხდის ვალდებულება, დარღვეული უფლების აღდგენა და ბრალეულობის გაცნობიერება. **შესაბამისად, ხდება სისხლისსამართლებრივი სასჯელის მიზნების განხორციელება – სოციალური სამართლიანობის აღდგენა.**<sup>29</sup>

არაფორმალურ იურიდიულ სინამდვილეში თვლიან, რომ სასჯელი ემსახურება დარღვეული უფლების აღდგენის საშუალებას, ხოლო აღდგენითობა – „ადამიანური“ კატეგორია.<sup>30</sup> აღდგენითი მართლმსაჯულება მოიცავს სისხლის სამართალწარმოებასთან მჭიდროდ დაკავშირებულ მოდელს, რომელიც საშუალებას იძლევა აქცენტები შეიცვალოს სამართალდამრღვევთა პასუხისმგებლობის მიმართ სახელმწიფოებრივი იძულებით, ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნებისათვის, რათა პირმა რეალურად აგოს პასუხი ჩადენილი დანაშაულისათვის.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ჩასანაცვლებლად ე.წ. „ალტერნატიულ“ სასჯელებს იყენებს. სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული სახის შედარებით მსუბუქი სასჯელებია დანესებული. მათ შორის კუთვნილ ადგილს იკავებს სასჯელის ისეთი სახე, როგორცაა შინაპატიმრობა.<sup>31</sup>

შინაპატიმრობა – როგორც ასეთი, ჯერ კიდევ რომის სამართალში, კერძოდ კი რომის რესპუბლიკის პერიოდში წარმოიშვა. ბრალდებულსა და მსჯავრდებულს თავისუფლების გარკვეულწილად შეზღუდვის ფონზე, შენარჩუნებული ჰქონდათ უფლება ყოფილიყვნენ განკუთვნილ საცხოვრებელ ადგილას, მიეღოთ მეგობრები სტუმრად, ესარგებლათ საკუთარი საკვებითა და ა.შ. სისხლისსამართლებრივ წარმოებაში სწორედ ამ პერიოდიდან ჩნდება ეს ტერმინიც.

შინაპატიმრობა თავისი ბუნებით წარმოადგენს სასჯელის ისეთ ნაირსახეობას, რომელიც დაკავშირებულია თავისუფლების აღკვეთასთან, თუმცა გამოიყენება როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა. მისი ასეთი გამოყენების რეკომენდაციას იძლევა გაეროს მინიმალური ნესები სასჯელთან მიმართებაში, რომლებიც არ არის დაკავშირებული საპატიმრო სასჯელებთან (ტოკიოს ნესები)1990 წელი (მე-8 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი).

სისხლის სამართლის სასჯელის სახით შინაპატიმრობა, არცთუ ისე ბევრი ქვეყნის კანონმდებლობაშია გათვალისწინებული, ასეთ ქვეყნებს მიეკუთვნება ანდორა, არგენტინა, დიდი ბრიტანეთი, ჰონდურასი, ესპანეთი, ბოლივია, სან-მარინო, აშშ, თურქეთი, კოლუმბია, მაროკო, პანამა, პარაგვაი, ტაილანდი, ფილიპინები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ესპანეთსა და ანდორაში შინაპატიმრობა სასჯელის დამოუკიდებელ სახეს წარმოადგენს, სან-მარინოსა და ფილიპინებში ის წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდის რეჟიმს, ხოლო ტაილანდში თავისუფლების შეზღუდვის მოხდის ერთ-ერთი რეჟიმია. მაროკოში უსაფრთხოების ზომას, ხოლო ლათინური ამერიკის ქვეყნებში ის წარმოადგენს სუბსტიტუციურ სასჯელს და ინიშნება მხოლოდ სხვა სასჯელის უფრო მსუბუქით შეცვლის შემთხვევაში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სასჯელის ამ სახეს ლათინური ამერიკის ქვეყნები იყენებენ ქალი და არასრულწლოვანი დამნაშავეების მიმართ, ასევე 70 წელს გადაცილებული პირების ან მძიმე ავადმყოფების შემთხვევაში (valetudinaries). აშშ-ს კანონმდებლობაში ასეთი სასჯელი გათვალისწინებულია ქრონიკული დაავადების მქონე ბავშვებში, მოხუცებულებისათვის 79 წელს ზევით, ფეხმძიმე ქალების მიმართ. დიდ ბრიტანეთში კი ის შეიძლება დაენიშნოს ნებისმიერ 16 წელს მიღწეულ პირს. საერთო არსით კი ეს სასჯელი ყველა ქვეყანაში დამნაშავე პირის დროის გარკვეულ პერიოდში საცხოვრებელ სახლში ყოფნას გულისხმობს.<sup>32</sup>

აღსანიშნავია, რომ ამ სასჯელთან ერთად მოსამართლეებს შეუძლიათ დანიშნონ სხვა სახის

<sup>29</sup> Есаков Г. А. Основы сравнительного уголовного права: Монография. М., 2007. С 124

<sup>30</sup> Карнозова Л. На пути к новой парадигме уголовной юстиции (краткий очерк о восстановительном правосудии) Евроремент Гулага. М., 2003, № 18 (23). С. 168–180.

<sup>31</sup> Левченко В.Н. Совершенствование альтернативных видов уголовных наказаний // Actualscience. – 2015. – Т. 1. – № 1. – С. 132-134.

<sup>32</sup> Малиновский А. А. Сравнительное уголовное право. Учебник. М., Юрлитинформ, 2014. 234 С



ვალდებულებები მსჯავრდებულთა აღზრდა-გამოსწორებისათვის, ასე მაგალითად, სან-მარინოს სისხლის სამართლის კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე გასცემს განკარგულებას იმის შესახებ, რომ მსჯავრდებულმა შეასრულოს ოჯახური ვალდებულებები, ისწავლოს, იშრომოს შესაძლებლობის ფარგლებში, სადღესასწაულო დღეებში განახორციელოს აუცილებელი მოქმედებები. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ყველა ამ ქვეყანაში შინაპატიმრობა სხვადასხვაგვარად აღსრულდება, იქნება ეს ელექტრონული მონიტორინგი, სატელეფონო კონტროლი თუ პრობაციის თანამშრომლის ზედამხედველობა, თუმცა მთავარი არის ის, რომ სასჯელის ამ სახით დანიშვნა არც ერთ ჩამოთვლილ ქვეყანაში 6 თვეს არ სცდება.<sup>33</sup>

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ საფუძველზე 2016 წლის სექტემბრიდან ძალაში შევიდა არასაპატიმრო სასჯელის ახალი სახე – შინაპატიმრობა, რომელიც პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ ელექტრონული მონიტორინგის საშუალებების გამოყენებით უნდა აღსრულოს. სასჯელის მოხდის ალტერნატიული ფორმის დანერგვა სისხლის სამართლის სისტემის ლიბერალიზაციას ემსახურება. ციხის ალტერნატიული სანქციების გამოყენება, ის, რომ ციხე იყოს სასჯელის უკიდურესი ფორმა, მსოფლიო პრაქტიკაში მიღებულია, არასრულწლოვნების შემთხვევაში კი ეს მოთხოვნა უფრო მკაცრად არის დაყენებული. როდესაც სასამართლოში განიხილება არასრულწლოვნის საქმე, თუ არ არის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ფაქტები, სასამართლო მაქსიმალურად ცდილობს, სასჯელის მოხდის ადგილად სასჯელალსრულების დაწესებულება არ გამოიყენოს. ახალი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის საფუძველზე ეტაპობრივად დაინერგა და აღსრულდა ის პუნქტები, რაც არის კანონის მოთხოვნა იუვენალური მართლმსაჯულების ფარგლებში.

რაც შეეხება შინაპატიმრობის რეჟიმს, მისი განსაზღვრა სასამართლოს პრეროგატივაა, ამ გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ მოსამართლე, რომელსაც შეუძლია, გამოიყენოს ეს სანქცია, როგორც სხვა ქვეყნების პრაქტიკაში, თუ საქმე არ ეხება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს. ამავე კოდექსში ერთ-ერთი მთავარი დათქმაა, რომ გათვალისწინებული იყოს მსჯავრდებულის საუკეთესო ინტერესი, რაც მოიცავს იმას, რომ სასჯელის მიზანი იყოს არა მისი დასჯა, არამედ მისი გამოსწორება.

მთავარი მიზანია არასრულწლოვანი მაქსიმალურად იყოს არიდებული სასჯელალსრულების დაწესებულებას. კანონმდებლის აზრით, შინაპატიმრობა ალტერნატიული სასჯელის ფორმაა, რაც თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ შინაპატიმრობაში მყოფი პირი 24 საათის განმავლობაში უნდა იყოს სახლის პირობებში. მოსამართლე, გამომდინარე არასრულწლოვნის ყოველდღიური ცხოვრებიდან, განუსაზღვრავს მას იმ საათებს, რა პერიოდშიც ის უნდა იყოს სახლში. დანარჩენ დროს არასრულწლოვანი თავისუფალია იმისთვის, რომ მან იაროს სპორტზე, სკოლაში, ჰქონდეს ურთიერთობა სოციალურ და მაქსიმალურად შეეწყოს ხელი, რომ არ დაუმვას ის შეცდომა, რის გამოც არის ბრალდებული. რაც შეეხება სასჯელის აღსრულებას, ეს დაევალა პრობაციის ეროვნულ სააგენტოს.

კანონის მიხედვით, აღსრულების პროცესში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ელექტრონული ზედამხედველობის მექანიზმი, ეგრეთ წოდებული სამაჯურები. ეს მთელ მსოფლიოში დანერგილი პრაქტიკაა, თუმცა კანონში არსებობს ასეთი ჩანაწერიც: იმ შემთხვევებში, სადაც ფიზიკურად არ არის ტექნოლოგიის გამოყენების საშუალება, პრობაციის სამსახური ვალდებულია, გარკვეული პერიოდულობით გადაამოწმოს მსჯავრდებულის სახლში ყოფნა, არღვევს თუ არა ის შინაპატიმრობის წესებს.<sup>34</sup>

არასაპატიმრო სასჯელის სახე – შინაპატიმრობა არ შეეხება მათ, ვინც უკვე იხდის სასჯელს. სასამართლომ მათ მიმართ უკვე გამოიჩინა გადაწყვეტილება, მაგრამ, თუ მოხდა საქმის გადახედვა და ერთი სასჯელის შეცვლა მეორე სასჯელით, მოსამართლეს აქვს უფლება, გამოიყენოს სასჯელის ახალი ფორმა – შინაპატიმრობა.

<sup>33</sup> Додонов В. Н. Сравнительное уголовное право. Общая часть. — М.: Юрлитинформ, 2009. - 448 с.

<sup>34</sup> არსოშვილი გ, მიქანაძე გ., შალიკაშვილი მ., პრობაციის სამართალი. თბ., 2015, გვ.150-154.

ზოგადად არსებული პრაქტიკით, ელექტრონული მონიტორინგის საშუალებების გამოყენება ხდება სხვადასხვა დანიშნულებით: არის აპარატურა, რომლითაც ხდება ადამიანის კონტროლი, თუ როგორ მოძრაობს, სად გადაადგილდება; კონკრეტული აპარატურა კი შინაპატიმრობისთვის გამოიყენება.

სამაჯურს აქვს ინფრასტრუქტურა, რაც გულისხმობს სერვერს, რომელზეც იქნება განთავსებული სრული ინფორმაცია თითოეულ მონყობილობაზე. პროგრამული უზრუნველყოფა იძლევა საშუალებას განისაზღვროს, რომელი სამაჯური სად, ვისთან, ვის მიერ არის დამონტაჟებული. დაცულია ინფორმაციული მიმოცვლა პროგრამასა და სამაჯურს შორის. მონყობილობა მონტაჟდება პირის სახლში მითითებული რადიუსი, რომელსაც არ უნდა გასცდეს კონკრეტულ დროს შინაპატიმრობაში მყოფი ადამიანი. რადიუსი სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვაა და დამოკიდებულია იმ ტერიტორიაზე, რომელიც არის პირის საცხოვრებელი ადგილი. რეგიონში ეს ტერიტორია შესაძლოა მოიცავდეს ეზოს, მიმდებარე ტერიტორიას. აპარატურას აქვს მანძილის გაზომვის რამდენიმე რეჟიმი. შინაპატიმრობაში მყოფ პირებს სამაჯური დაუმაგრდებათ ფეხზე, ფეხიდან სამაჯურის მოძრობა, ხელისგან განსხვავებით, გახსნის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია; ამას გარდა, ხელზე მიმაგრებული სამაჯური უფრო ჩანს და რომ არ მოხდეს მსჯავრდებულის არასრულწლოვანის უფლებების შელახვა და მისი ერთგვარი დისკრედიტაცია.

სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომ პირი გარკვეულ დროს სახლში უნდა ატარებდეს, ითვლება დარღვეულად, თუ პირი დატოვებს სახლს. პრობაციის ბიურო ინფორმაციით მიმართავს სასამართლოს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას, რომ შესაძლოა, ის შანსი, რომელიც მან მისცა არასრულწლოვანს და მან არ გამოიყენა, შეცვალოს სასჯელის სხვა ფორმით.

როგორც აღინიშნა, შინაპატიმრობა ალტერნატიული სასჯელის ფორმად განიხილება და მისი დანიშნვისას სასამართლო არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებს ითვალისწინებს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 69-ე მუხლი აწესებს იმ ნორმებს, რომლის ფარგლებში და განსაკუთრებული გარემოებების დროსაა შესაძლებელი მისი დანიშვნა.

## **სასჯელის სახის – შინაპატიმრობისა და არასრულწლოვანისათვის მოვალეობის დაკისრების კონკურენცია, ქართული იუვენალური მართლმსაჯულების ჭრილში**

ესა თუ ის სასჯელი, როგორც წესი, ინდივიდუალური სახისაა და მისი განსაზღვრებით, ნიშან-თვისებებით, შინაარსითა და აღსრულების წესებით აუცილებლად არ უნდა იმეორებდეს მეორეს. ზოგადად, სისხლის სამართალში და მით უფრო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მოსამართლის უფლებამოსილებით ისეთი მოვალეობის დაკისრებას, რომელიც დამნაშავე პირის აღზრდა-გამოსწორებას ემსახურება და ფრიად მნიშვნელოვანია როგორც სასჯელის მიზნების უკეთ განხორციელებისათვის, ასევე აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპების შესასრულებლად. მართალია, კლასიკური გაგებით აღდგენითი მართლმსაჯულება სასამართლო წარმოებას სრულიად ეწინააღმდეგება, თუმცა თანამედროვე არსითა და დამკვიდრებული პრაქტიკით ეს ორი მიმართულება პარალელური სულაც არ არის და ხშირ შემთხვევაში იკვეთება კიდევ, თუმცა მათ, რა თქმა უნდა, ცალ-ცალკე ამოცანები აქვთ შესასრულებელი.

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 75-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, არასრულწლოვანისათვის არასაპატიმრო სასჯელის დანიშნვისას მოსამართლე უფლებამოსილია არასაპატიმრო სასჯელთან ერთად მას დააკისროს იმავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული 1 ან რამდენიმე მოვალეობა. ამ შემთხვევაში დაუშვებელია ისეთი მოვალეობის დაკისრება, რომელიც დიდი ალბათობით არ შესრულდება ან რომლის შესრულება არასრულწლოვანის გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობებს აღემატება. ამ დანაწესიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 45-ე მუხლის 1 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც არასრულწლოვანს შეიძლება აეკრძალოს

დროის განსაზღვრულ მონაკვეთში სახლიდან გასვლა.

კონკრეტული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოსამართლე უფლებამოსილია ნებისმიერ შემთხვევაში, ალტერნატიული სასჯელის გამოყენებისას დამატებით მიმართოს არასრულწლოვანისათვის მოვალეობის დაკისრებას და დააკისროს ისეთი მოვალეობა, რომელიც თავისი შინაარსით და გამოხატულებით სრულიად იდენტური იყოს სასჯელის ისეთი სახისა, როგორცაა შინაპატიმრობა, რადგანაც სისხლის სამართლის კოდექსის 69-ე მუხლის თანახმად, შინაპატიმრობა ხომ არასრულწლოვანისათვის დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულების დაკისრებას ნიშნავს.

თუკი ამ ლოგიკურ ჯაჭვს გავეყვებით, შესაძლებელია არასრულწლოვნის მიმართ სასამართლოს მიერ განისაზღვროს ძირითადი სასჯელის სახედ, მაგალითად, ჯარიმა, ხოლო აუცილებელ შემთხვევებში მოვალეობად კი აეკრძალოს დროის გარკვეულ მონაკვეთში, საღამოს 19 საათიდან დილის 10 საათამდე შინიდან გასვლა 6 თვის განმავლობაში. საყურადღებოა მეორე ვარიანტიც, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 67-ე და 68-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვანს ძირითად სასჯელის სახედ დაენიშნოს ჯარიმა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით შინაპატიმრობა 6 თვის ვადით. სრულიად ნათელია, რომ ასეთ შემთხვევაში სასჯელისა და მოვალეობის შესრულების ვალდებულების შინაარსი და გამოხატულება ერთი და იგივეა.

მართალია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი არ ითვალისწინებს ელექტრონული მონიტორინგის აუცილებელ პირობას ვალდებულების შესრულების დაკისრებისათვის, თუმცა გარკვეული დროის განმავლობაში შინიდან გაუსვლელობაზე ზედამხედველობა, ზუსტად ელექტრონული მონიტორინგის საშუალებითაა შესაძლებელი.

ამ პრობლემატური საკითხის განხილვისას უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განსხვავებით შინაპატიმრობისაგან, რომლის აღსრულებისას არასრულწლოვნისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის პოზიციას მნიშვნელობა არა აქვს, 75-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სხვა არასაპატიმრო სასჯელების აღსრულებისას არასრულწლოვნისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ელექტრონული მონიტორინგი. განსაკუთრებული ყურადღება გასამახვილებელი იმაზე, რომ ხსენებულ დანაწესშიც საუბარია მხოლოდ და მხოლოდ სასჯელების აღსრულებაზე და არა დაკისრებული მოვალეობის აღსრულების წესზე. უფრო მეტიც, არასრულწლოვანისათვის სასჯელის დანიშვნისას სასჯელთან მიმართებაში უპირატესი პრივილეგიით შეიძლება ისარგებლოს იმ ნორმის შინაარსმა, რომელიც დამატებითი ვალდებულების დაკისრებას გულისხმობს.

არასრულწლოვანს შინაპატიმრობა ენიშნება 6 თვიდან 1 წლამდე ვადით, მას შინაპატიმრობა შეიძლება დაენიშნოს ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. არასრულწლოვანისათვის მოვალეობის დაკისრებისას კი კანონი არ აწესებს დროის განსაზღვრულ მონაკვეთში შინიდან გასვლის აკრძალვის ვადას, შესაბამისად, სრულიად შესაძლებელია ეს ვადა იყოს იმაზე უფრო მეტი, ვიდრე შინაპატიმრობისათვის განსაზღვრული ვადა. ასევე არაა განსაზღვრული როგორი სიმძიმის დანაშაულისათვის შეიძლება იქნეს გამოყენებული არასრულწლოვანთა კოდექსის 45-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.

**რეკომენდაცია:** აუცილებელია მოხდეს არასრულწლოვანთა კოდექსის 45-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის ტრანსფორმაცია ისე, რომ განისაზღვროს აკრძალვისათვის გარკვეული ვადა, დაწესდეს მისი გამოყენების ისეთი ფარგლები, რომელიც მას სასჯელის სახე – შინაპატიმრობისაგან უფრო მკვეთრი კონტურებით გამოაცალკევებს.

## დასკვნა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა განხილულ უნდა იქნეს მხოლოდ როგორც სისტემური რეფორმის ძირითადი ნაწილი. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოებს მკაფ-

იო წარმოდგენა ჰქონდეთ იმ ცვლილებების ღირებულებაზე, რომლებსაც ამ სფეროში დასაქმებული პირები გაუწევენ რეკომენდაციას. იმისათვის, რომ კანონმდებლობა ეფექტიანი იყოს, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოებმა საკუთარ თავზე უნდა აიღონ წარმატებული განხორციელებისათვის აუცილებელი ინსტიტუტებისა და პროგრამების ჩამოყალიბების, გაძლიერების ან გაფართოების ვალდებულება. კანონმდებლობა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, მაინც შეიცავს გარკვეულ ხარვეზებს და თუ არ მოხდება მისი აღმოფხვრა და გამოსწორება, გარკვეული თვალსაზრისით მართლმსაჯულების დანიშნულება შეიძლება კონტრპროდუქტიულიც კი აღმოჩნდეს.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ შეაგროვოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრაქტიკისა და ადმინისტრირების შესახებ ზუსტი, დეტალიზებული მონაცემები და აკონტროლოს ისინი. ეს საშუალებას მისცემს სახელმწიფოს, გამოავლინოს არასრულწლოვანთა დანაშაულის ტენდენციები და განსაზღვროს საპასუხო ზომებისა და პროგრამების ქმედითობა. ეფექტიანი მონიტორინგი და შეფასება სახელმწიფოს აძლევს შესაძლებლობას, დაგეგმოს რესურსების მიზნობრივი გამოყოფა სამეცნიერო თუ პრაქტიკული წრეების მიერ შეთავაზებული ინიციატივების გათვალისწინებით.

მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა შეიცავდეს ისეთ თავებს ან მუხლებს, რომლებიც მკაფიოდ იქნება ჩამოყალიბებული, დამნაშავედ ცნობილ ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედების მიზანი უნდა იყოს ბავშვის რეინტეგრაცია, თუმცა აუცილებელია, რომ ეს მიზნები რეალიზებულ იქნეს ისეთი საკანონმდებლო წესების გამოყენებით, რომლებიც ცალსახად განსაზღვრავენ ამა თუ იმ ქცევის წესს და არ არსებობს ორგანოვანი გაგების რისკი.

ჰავანის წესების მე-2 წესი აცხადებს რომ „არასრულწლოვანთათვის თავისუფლების აღკვეთა [...] გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.“ აღნიშნული დებულებებიდან გამომდინარე, მოსამართლეებს და სამართალდამცავი ორგანოების სხვა თანამდებობის პირებს აკისრიათ ვალდებულება, ბავშვებს თავისუფლების აღკვეთა შეუფარდონ მხოლოდ გამონაკლისის სახით და მხოლოდ ზემოაღნიშნული პირობების არსებობის შემთხვევაში. ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელების საკითხში მოსამართლეებისა და სამართალდამცავი ორგანოების სხვა თანამშრომლების დახმარებისათვის აუცილებელია განვითარდეს პატიმრობის ალტერნატიული ზომების გამოყენების საშუალებები ისე, რომ ისინი არ ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს.

# არასრულწლოვნის პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი)

თათია ქვრივიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს  
თავმჯდომარის ბიუროს კონსულტანტი

## შესავალი

თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება პირველხარისხოვანი მნიშვნელობისაა დემოკრატიულ საზოგადოებაში კონვენციის გამომხატველობის ფარგლებში.<sup>1</sup> მისი საკვანძო მიზანი თვითნებობისა და თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის პრევენციაა.<sup>2</sup>

პიროვნებისთვის თავისუფლების აღკვეთით იზღუდება არა მხოლოდ პიროვნების გადაადგილების თავისუფლება, არამედ ასევე მისი თავისუფალი ნება, აწარმოოს და განავითაროს ურთიერთობები ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან. აშკარაა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების ან გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე პირისთვის თავისუფლების აღკვეთა ავტომატურად ზღუდავს პატიმრობაში მყოფი ადამიანის კავშირს გარე სამყაროსთან.<sup>3</sup>

საერთაშორისო სამართალში არაინსტიტუციურ მიდგომებს ინსტიტუციურ მიდგომებთან შედარებით უპირატესობა ენიჭება, რაც გულისხმობს, რომ ბავშვებისთვის თავისუფლების აღკვეთა აკრძალული არ არის, თუმცა ეჭვგარეშეა, რომ უკიდურეს ღონისძიებად გამოიყენება.<sup>4</sup> ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით, არც ერთ ბავშვს არ უნდა აღეკვეთოს თავისუფლება უკანონოდ ან თვითნებურად. ბავშვის დაპატიმრება, დაკავება ან ციხეში მოთავსება ხორციელდება კანონის თანახმად და განიხილება, როგორც მხოლოდ უკიდურესი ზომა, რაც შეიძლება ნაკლები პერიოდის განმავლობაში. ეს უმნიშვნელოვანესი ნორმა-პრინციპი – არასრულწლოვნის პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება, მრავალ საერთაშორისო აქტშია განმტკიცებული; როგორცაა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლება აღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (ე.წ. „პეკინის წესები“), გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №10 მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ და სხვ.

ანალოგიურ მიდგომას ითვალისწინებს საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯუ-

<sup>1</sup> Winterwerp v. the Netherlands, ECHR, 24 October 1979, § 37, Series A no. 33

<sup>2</sup> McKay v. the United Kingdom [GD], ECHR, no. 543/03, § 30.

<sup>3</sup> საქართველოს მოქალაქეები — დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება, 1/2/458, 10.06.2009, პარ. II-7.

<sup>4</sup> შაპოვიჩი, ნ.ვ./დოეკი, ი.ე./ცერმატენი, ჟ., 2012. გვ. 177. იხ. შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), 2016, გვ. 83.

ლების კოდექსის მე-9 მუხლიც, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია არასრულწლოვნისთვის თავისუფლების შეზღუდვა, თუ კანონით განსაზღვრული მიზნის მიღწევა უფრო მსუბუქი ზომის გამოყენებით არის შესაძლებელი. ამასთან, არასრულწლოვნის დაკავება და დაპატიმრება, მისთვის თავისუფლების შეზღუდვა და თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ როგორც უკიდურესი ღონისძიება, რომელიც შეძლებისდაგვარად მოკლე ვადით და რეგულარული გადასინჯვის პირობით უნდა იქნეს გამოყენებული.

მართალია, კანონმდებელმა ნორმის სათაურად შეარჩია „პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება“, მაგრამ აქ პატიმრობა ფართო გაგებითაა გამოყენებული, რაც გულისხმობს სისხლის სამართალწარმოებისას თავისუფლების შემზღუდველ ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა დაკავება, პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიების სახე, თავისუფლების აღკვეთისა და თავისუფლების შეზღუდვის სასჯელები.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილული იქნება არასრულწლოვანთათვის პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხი საქართველოს სასამართლოებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში, რა სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით იღებს სასამართლო განჩინებას არასრულწლოვნისთვის პატიმრობის შეფარდების თაობაზე და რამდენად ხშირად ხდება მისი ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიებებით ჩანაცვლება.

## **I. არასრულწლოვნის პატიმრობის გამოყენების წინაპირობები საერთაშორისო აქტებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით**

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი შეეხება თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებას. აღნიშნული მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავსუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად: დ) არასრულწლოვნის დაპატიმრება კანონიერი ბრძანების საფუძველზე მასზე აღმზრდელობითი ზედამხედველობისათვის ან მისი კანონიერი დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პეკინის წესების მე-17 პუნქტი ჩამოთვლის 4 ძირითად კრიტერიუმს, რომელთა ერთობლიობის შემთხვევაში შესაძლებელია არასრულწლოვანს შეეფარდოს პატიმრობა. ესენია:

ა) ზემოქმედების ზომა ყოველთვის უნდა იყოს არა მარტო სამართალდარღვევის სიმძიმისა და გარემოებების პროპორციული, არამედ, ასევე არასრულწლოვნის მდგომარეობისა და მოთხოვნების, საზოგადოების მოთხოვნების პროპორციული;

ბ) არასრულწლოვნის პირადი თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ დეტალურად განხილვის შემდეგ და უნდა შემოიფარგლოს შესაძლო მინიმუმით;

გ) პირადი თავისუფლების შეზღუდვა არ გამოიყენება, თუ არასრულწლოვანს არ ასამართლებენ სერიოზული ქმედებისათვის სხვა პირის მიმართ ძალადობის ან სხვა სერიოზული სამართალდარღვევების არაერთგვარადი ჩადენისათვის და თუ არ არსებობს სხვა შესაბამისი ზემოქმედების ღონისძიება.

დ) არასრულწლოვნის კეთილდღეობა გადამწყვეტი ფაქტორია მისი საქმის განხილვისას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლებათა აღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად განსაზღვრავს, რომ პატიმრობაში ან წინასწარ პატიმრობაში მყოფი („ჯერ გაუსამართლებელი“) არასრულწლოვნები ითვლებიან უდანაშაულოებად. არასრულწლოვნის დაკავება სასამართლომდე მაქსიმალურად უნდა იქნეს თავიდან არიდებული და გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. შესაბამისად, მაქსიმალური ძალისხმევა უნდა იქნეს გამოყენებული, რათა შეფარდებულ იქნეს ალტერნატიული ღონისძიება.

ზოგადად, როდესაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განიხილავს არასრულწლოვანთა საქმეებს, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან ერთად იყენებს ბავშვის უფლებათა შესახებ კონვენციას და სხვა ზემოთ ჩამოთვლილ საერთაშორისო აქტებს, რომლებიც არასრულწლოვნებს შეეხება.

არასრულწლოვნის პატიმრობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან რამდენიმე საინტერესო საქმის მოყვანა შეიძლება მაგალითად, რომლებშიც სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქ/პ დარღვევა. ერთ-ერთი ასეთი საქმეა მუბილანზილა მაიეკა და კანიკი მიტუნგა ბელგიის წინააღმდეგ.<sup>5</sup> საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, არასრულწლოვანი კანიკი მიტუნგა, რომელიც იყო წარმოშობით კონგოდან, ბრიუსელის აეროპორტში დაკავებულ იქნა დოკუმენტების არქონის გამო, ხოლო შემდგომ მოხდა მისი დეპორტაცია კონგოში სოციალურ მუშაკთან ერთად. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევა, შემდეგ გარემოებებზე დაყრდნობით: 1. კანიკი მიტუნგა დაკავების შემდეგ მოთავსებულ იქნა დახურულ ცენტრში იმავე პირობებში, როგორშიც იყვნენ არალეგალი უცხოელი სრულწლოვნები. 2. არასრულწლოვნის დეპორტაცია მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ გასაჩივრების 24-საათიანი პერიოდი ჯერ კიდევ არ იყო გასული. გარდა ამისა, აღნიშნულ საქმეში სასამართლო განმარტავს, რომ „კონვენციის მე-5 მუხლის §1 „დ“ პუნქტი იმგვარად არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს მხოლოდ ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაძლებელი არასრულწლოვნის დაკავება, იგი შეიცავს სპეციფიკურ, მაგრამ არა ამომწურავ ჩამონათვალს.“

არასრულწლოვნისთვის პატიმრობის შეფარდებისას გათვალისწინებული უნდა იყოს კონკრეტული და არა აბსტრაქტული გარემოებები. საქმეში – *Boicenco v Moldova*, (11/07/2006, §143) ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ საფუძველი არ შეიძლება იყოს „ზოგადი და აბსტრაქტული“. ბრალდების სიმძიმე და მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის ან შეთქმულების ჰიპოთეტური საშიშროება არ შეესაბამება ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებს.<sup>6</sup>

ერთ-ერთი ბოლო საქმე, არასრულწლოვნის პატიმრობის საკითხთან მიმართებით, რომელზეც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევა, იყო გრაბოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ.<sup>7</sup> ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, არასრულწლოვანი განმცხადებელი დაკავებულ იქნა კრაკოვში ყაჩაღობის რამდენიმე ფაქტზე ბრალდებით. კრაკოვის რაიონულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების სახედ გამოეყენებინა ბრალდებულის არასრულწლოვანთა თავშესაფრში 3 თვის ვადით განთავსება, ვინაიდან არსებობდა იმის რისკი, რომ იგი მიიმალებოდა ან ზემოქმედებას მოახდენდა მონქებზე. პატიმრობის 3-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ არასრულწლოვნის ადვოკატმა მიმართა სასამართლოს, რომ დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინათ მისი დაცვის ქვეშ მყოფი პატიმრობიდან, ვინაიდან არ არსებობდა სასამართლოს გადაწყვეტილება პატიმრობის ვადის გაგრძელების თაობაზე. სასამართლოს კანცელარიაში ადვოკატს განუმარტეს, რომ დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ვინაიდან არასრულწლოვანს ბრალი ედებოდა მძიმე დანაშაულის ჩადენაში, არ არსებობდა კანონმდებლობით აღკვეთის ღონისძიების გაუქმების ან მისი შეცვლის საფუძველი, სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას არ მიიღებდა სასამართლო. რამდენიმე თვის შემდეგ კრაკოვის რაიონულმა სასამართლომ მიიღო საბოლოო განაჩენი, რომლის მიხედვითაც არასრულწლოვანი ცნობილ იქნა დამნაშავედ, სასჯელის სახედ შეეფარდა გამოსასწორებელ დაწესებულებაში მოთავსება, რომელიც შეჩერდა 2 წლის გამოსაცდელი ვადით, ამასთან, კვლავ დაენიშნა სასამართლო მეურვის ზედამხედველობა იმავე პერიოდით. რაც შეეხება აღკვეთის ღონისძიებას, იგი გაუქმდა და

<sup>5</sup> *Mubilanzila Mayeka and Kaniki Mitunga v. Belgium*, ECHR, no. 13178/03, 12.10.2006.

<sup>6</sup> საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ სტანდარტებთან, მჭედლიძე ნ., 2017, გვ.55.

<sup>7</sup> *Grabowski v. Poland*, ECHR, no. 57722/12, 30.09.2015.

არასრულწლოვანი გათავისუფლდა დარბაზიდან. განმცხადებელი დავობდა სასამართლოს გად-  
ანყვეტილების გარეშე უკანონო პატიმრობასთან დაკავშირებით.

სასამართლო გადანყვეტილებაში აღნიშნავს: „კონვენციის მე-5 მუხლის §1 ამომწურავად განსაზღვრავს გამონაკლისს და მხოლოდ ვინრო ინტერპრეტაციაა თავსებადი ამ დებულების მიზნებთან, ე.ი. უზრუნველყოფილი უნდა იქნას, რომ არავის შეეზღუდოს თავისუფლება თვით-  
ნებურად. სასამართლომ მიიჩნია, რომ, პირველ რიგში, პოლონეთის არასრულწლოვანთა კანონი, რომელიც ზუსტად არ განსაზღვრავდა სასამართლოს ბრძანების მიღების ვალდებულებას გაე-  
გრძელებინა აღკვეთის ღონისძიება არასრულწლოვანთა თავშესაფარში განთავსების თაობაზე, მაშინ, როცა გასული იყო მისი მოქმედების ვადა, არ აკმაყოფილებდა „კანონის ხარისხიანობის“  
ტესტს კონვენციის მე-5 §1 მუხლის მიზნებისთვის. არასრულწლოვანთა კანონის არასაკმარისმა  
დებულებებმა საშუალება მისცა ისეთი პრაქტიკის განვითარებას, სადაც შესაძლებელი იყო თავ-  
შესაფარში მოთავსების გახანგრძლივება არასრულწლოვანთათვის სასამართლოს სპეციალური  
გადანყვეტილების გარეშე. მეორე მხრივ, სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს კანონი თავის მხრივ  
ენინააღმდეგებოდა კანონის განსაზღვრულობის პრინციპსაც, რომელიც ნაგულისხმევია კონვენ-  
ციაში და რომელიც ადგენს კანონის უზენაესობის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს.“ შესაბამისად,  
სასამართლომ დაადგინა, რომ არასრულწლოვნის პატიმრობა არ იყო „სამართლიანი“ კონვენციის  
მე-5 §1 მუხლთან მიმართებით და დაადგინა აღნიშნული მუხლის დარღვევა.

## II. არასრულწლოვნის პატიმრობის გამოყენების წინაპირობები საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსისა და საქართველოს სასამართლოების პრაქტიკის მიხედვით

„აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანი არ არის პირის ბრალეულობის მტკიცება, იგი  
წარმოადგენს მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების ხელშემშლის პრევენციის საშუალებ-  
ას.“<sup>8</sup>

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-9 თავი შეეხება აღკვეთის ღონისძიე-  
ბებს და განსაზღვრავს, თუ რომელი აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებაა შესაძლებელი არას-  
რულწლოვანი ბრალდებულის მიმართ. ესენია: მეთვალყურეობაში გადაცემა, შეთანხმება გაუსვ-  
ლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, გირაო, პატიმრობა. მათ შორის  
ყველაზე მკაცრი ღონისძიებაა პატიმრობა.

კანონი არ ადგენს ცალ-ცალკე მიზნებს დაპატიმრების, გირაოს და ა.შ. გამოყენებისთვის, ეს  
მიზნები ერთი და იგივეა აღკვეთის ღონისძიების ყველა სახის გამოყენებისათვის. განსხვავება  
მხოლოდ იმაშია, თუ რა ხარისხისაა ვარაუდი (ალბათობის რამდენად მაღალი ვარაუდი არსებობს)  
ბრალდებულის მიერ ამ ქმედებათა ჩადენისა და ამ საშიშროების აღსაკვეთად რა სახის აღკვეთის  
ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა არსებობს. რაც უფრო მაღალი ხარისხისაა ვარაუდი,  
რომ ბრალდებული ჩაიდენს იმ ქმედებებს, რომელთა აღსაკვეთადაც გამოიყენება აღკვეთის  
ღონისძიება, მით უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული და – პირიქით.<sup>9</sup>

როდესაც სასამართლო მსჯელობს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, სახეზე  
უნდა იყოს როგორც ფაქტობრივი, ისე ფორმალური საფუძვლები.

ფაქტობრივ საფუძველში იგულისხმება ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომე-  
ლიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა  
ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა, ე.ი.  
დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, რომელიც დადგენილია აღკვეთის ღონისძიების შეფარ-

<sup>8</sup> საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი №3/5/646, II-40, 26.06.2015.

<sup>9</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განჩინება, №1გ/1805-16, 29.11.2016.



დებისათვის.

რაც შეეხება ალკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალურ საფუძველს, აქ უკვე მოსამართლემ უნდა იმსჯელოს ბრალდებულთან მიმართებაში არსებულ საფრთხეებსა და კონკრეტული ალკვეთის ღონისძიების შეფარდების მიზანშეწონილობაზე და გადანყვიტოს, თუ რომელი ალკვეთის ღონისძიება უფრო უკეთ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას გამოძიებისა და საქმის სასამართლოში განხილვის სტადიებზე.

ზოგადად, ალკვეთის ღონისძიების მიზნები გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლით, რომელიც უკლებლივ ყველა ღონისძიებაზე ვრცელდება. აღნიშნულის მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ალკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, ალკვეთის მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება. როგორც ზემოთ აღინიშნა, „მართლმსაჯულების განხორციელებისათვის საფრთხის შემცველი თითოეული მიზნის in abstracto გამოყენება ალკვეთის ღონისძიების დასაბუთებისათვის დაუშვებელია და უნდა ემყარებოდეს კონკრეტულ ფაქტობრივ საფუძველს. აღნიშნული საფუძველი არ შეიძლება იყოს „ზოგადი და აბსტრაქტული“. ბრალდების სიმძიმე და მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის ან შეთქმულების ჰიპოთეტური საშიშროება არ შეესაბამება კონვენციის მოთხოვნებს.<sup>10</sup> „იგი უნდა ეფუძნებოდეს ინდივიდუალიზებულ შეფასებას იმისა, თუ რა იქნება გონივრული და საჭირო არსებულ პირობებში გაქცევის, მტკიცებულებებზე ზემოქმედების ან ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად.“<sup>11</sup>

პატიმრობის გამოყენების თაობაზე გადანყვიტულების მიღებისას უნდა მოხდეს ბრალდებულის პიროვნების, მისი განვითარების დონის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციის ხარისხის, ოჯახური მდგომარეობისა და სოციალურ-ეკონომიკური პირობების სიღრმისეული შესწავლა-გაანალიზება.

აღსანიშნავია, რომ სრულწლოვანი ბრალდებულებისაგან განსხვავებით, არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენების საფუძველად დამატებითი გარემოებებია გათვალისწინებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 64-ე მუხლით. ესენია:

ა) სავარაუდოდ, ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა;

ბ) პატიმრობა ერთადერთი საშუალებაა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმალვა, მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ან მტკიცებულებების მოპოვებისათვის ხელის შეშლა ან ახალი დანაშაულის ჩადენა;

გ) მიზანი, რომელსაც არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობა ემსახურება, აღემატება მისი თავისუფლების ინტერესს.

პატიმრობა არ უნდა გაიგივდეს სასჯელის ფაქტორის მიზანთან, არასრულწლოვანი ბრალდებულის იმიტომ მოექცა ამ განსაკუთრებული საპროცესო მიზნების მიღწევის ლიბერალურ რეჟიმში, რომ ის სწორედ არასრულწლოვანია და სხვაგვარად აღიქვამს იმ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას/გარემოებას, ვიდრე სრულწლოვანი, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქმესა და ბრალდებულთან დაკავშირებით არსებული კონკრეტული და ინდივიდუალური მახასიათებლები, რამაც უნდა შექმნას ან გამორიცხოს პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობა. დაპატიმრება გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ საგამონაკლისო ღონისძიების სახით, ის არ უნდა იყოს სავალდებულო ხასიათის და არ უნდა იქნას მიმართული დასჯის მიზნებისათვის. სასამართლოს აქვს ვალდებულება, ალკვეთის ღონისძიება გამოიყენოს მხოლოდ მკაცრად განერილი საფუძველების

<sup>10</sup> Boicenco v. Moldova, ECtHR, 11.07.20016, §143; Patsuria v. Georgia, ECtHR, 06.11.2007, §67. იხ. ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზერიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015, გვ. 558.

<sup>11</sup> Eligio Cedeno v. Venezuela, UNHRC, 29.10.2012, § 7. 10; Torobekov v. Kyrgyzstan UNHRC, 27.11.2011, § 6.3., იხ. იგივე, გვ. 591.

არსებობისას, ხოლო პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება, უნდა გამოიყენოს მხოლოდ სათანადო დასაბუთების შემთხვევაში და აუცილებლობისას. ამასთან, გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახე უნდა იყოს ჩადენილი ქმედების პროპორციული.<sup>12</sup>

თბილისის სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ „აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვა ყოველთვის მოქცეული უნდა იყოს პრეზუმფციაში, რომ ბრალდებული უნდა იყოს თავისუფალი სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე, აღნიშნული კი როგორც პროკურორს, ისე სასამართლოს ავალდებულებს, მხოლოდ ზემოთ მითითებული საფრთხეების განსაკუთრებული ხარისხით არსებობისას განიხილოს პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობა. ამასთან, დაბეჯითებით მტკიცება იმისა, რომ ესა თუ ის ბრალდებული ჩადენს ახალ დანაშაულს ან ხელს შეუშლის გამოძიებას მტკიცებულებათა მოპოვებაში, შეუძლებელია, თუმცა საპროცესო კანონმდებლობა არ ითხოვს ბრალდების მხარისაგან უტყუარი მტკიცებულებების წარდგენას, აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისა და დასაბუთებისათვის საკმარისია დასაბუთებული ვარაუდის არსებობა.“<sup>13</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, არასრულწლოვანი ბრალდებულისათვის პატიმრობის გამოყენების საფუძველს იძლევა კუმულაციური მოცემულობა იმ გარემოებებისა, რომელიც გათვალისწინებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 64-ე მუხლით. განვიხილოთ თითოეული პუნქტი დეტალურად:

„ა“ პუნქტის მიხედვით, პატიმრობის გამოყენების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს გარემოება, თუკი, სავარაუდოდ, ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის სახით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მუხლების უმეტესობა სანქციის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, მათ შორის ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებზეც. ვიზიარებ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ უმჯობესი იქნებოდა „არა ყველა დანაშაულზე იყოს პატიმრობა გამოყენებული, რომლებზეც თავისუფლების აღკვეთა არის გათვალისწინებული, არამედ მხოლოდ მათზე, რომლებიც მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიაში ხვდებიან.“<sup>14</sup> თუმცა, ვფიქრობ, რომ აქვე უნდა იყოს დათქმა, რომ არასრულწლოვანი, რომელიც რამდენჯერმეა ნასამართლევ, თუნდაც ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენისათვის და მის მიმართ გამოყენებული სხვა ალტერნატიული, არათავისუფლების შემზღუდველი ღონისძიებები, არ აღმოჩნდა შემაფერხებელი ფაქტორი მისი შემდგომი დანაშაულებრივი ქმედებებისა, აღნიშნული შესაძლოა გახდეს მისთვის პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საფუძველი.

აღნიშნული საკითხის განხილვისას საყურადღებოა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მიერ განხილული ერთ-ერთი საქმე არასრულწლოვნის პატიმრობის თაობაზე. არასრულწლოვანს ბრალი ედებოდა ძარცვისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და იმის მიერ, ვინც ორჯერ იყო ნასამართლევ სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის. ბრალდების მხარის აზრით, საკმაოდ მაღალი იყო ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე, რადგან ბოლო 2 წლის განმავლობაში ბრალდებული არაერთხელ იყო გასამართლებული სხვისი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის, იმყოფებოდა პირობითი მსჯავრის ქვეშ. მის მიმართ სასამართლოში განიხილებოდა სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე ეპიზოდში ქურდობის ფაქტზე და იმ საქმეზე შეფარდებული ჰქონდა არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება. მან დაარღვია პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადა, ასევე დაარღვია სხვა საქმეზე გამოყენებული გირაოს პირობები. ასევე მაღალი იყო მიმალვის საფრთხე, ვინაიდან არასრულწლოვანი ბოლო 1 თვის განმავლობაში არ ცხადდებოდა პრობაციის ბიუროში, არც სასამართლოში საქმის განხილვაზე და ბოლო ერთი კვირის განმავლობაში არც საცხოვრებელ სახლში მისულა. მიუხედავად ბრალდების მხარის მიერ ზემოთ მოყვანილი არგუმენტებისა პა-

<sup>12</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განჩინება, №1გ/1742-16, 15.11.2016.

<sup>13</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განჩინება №1გ/1921, 22.12.2016.

<sup>14</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), 2016, გვ. 185.

ტიმრობის გამოყენების საფუძვლიანობის შესახებ, სასამართლო დაეყრდნო არასრულწლოვანთა ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებას, რომლითაც არასრულწლოვანი განთავისუფლდა პირობით ვადამდე, ვინაიდან იგი აქტიურად მონაწილეობდა სპორტულ აქტივობებში, სხვადასხვა სასწავლო-საგანმანათლებლო ღონისძიებაში, სარგებლობდა ბიბლიოთეკით. აგრეთვე, სასამართლომ გაითვალისწინა პედაგოგის დახასიათებაც, რომელიც ბრალდებულს აქტიურ და ნიჭიერ მოსწავლედ აფასებდა. აგრეთვე წარმოდგენილი იყო ფსიქოლოგის შეხედულებები ბრალდებულის პიროვნული თვისებების შესახებ, რომელიც მიუთითებდა, რომ არასრულწლოვანი არ იყო კონფლიქტური და არ ავლენდა ანტისოციალურ ქცევებს. „ამგვარი ფსიქოლოგიის არასრულწლოვნის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული საფრთხეები საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისა, გამოყენებულ უნდა იქნეს არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება, მით უმეტეს, რომ მისი კანონიერი წარმომადგენელი – დედა მზადაა ახალი ენერჯით შეეცადოს 16 წლის შვილის ნორმალურ გზაზე დაყენებას.“<sup>15</sup>

შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო პრაქტიკაში 2016 წლიდან მოყოლებული, არასრულწლოვნისთვის პატიმრობის შეფარდება მართლაც უკიდურეს ღონისძიებად განიხილება. 2016 წლის 9 თვის სტატისტიკური მონაცემებით, მთელი საქართველოს მასშტაბით, არასრულწლოვანი ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების თაობაზე სულ განხილულ იქნა 73 საქმე, აქედან 16 საქმეში მოხდა არასრულწლოვნისთვის პატიმრობის შეფარდება, 42 საქმეზე – გირაოს, დანარჩენი სხვა აღკვეთის ღონისძიებებზე ნაწილდება. ამასთან, საინტერესოა, რომ გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობა შეეფარდა არასრულწლოვანს ერთ საქმეზე. ვფიქრობ, აღნიშნული შემთხვევა პრობლემურია, რასაც ქვემოთ განვიხილავ.

„ბ“ პუნქტი – *პატიმრობა ერთადერთი საშუალებაა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმალვა, მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ან მტკიცებულებების მოპოვებისათვის ხელის შეშლა ან ახალი დანაშაულის ჩადენა;*

ბრალდებულის თავისუფლების უფლება გამომდინარეობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული პრეზუმფციიდან: „პირი უნდა იყოს თავისუფალი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დადასტურდა მისი დაპატიმრების აუცილებლობა“. „თავისუფლების პრეზუმფცია გულისხმობს თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევებისა და ხანგრძლივობის მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის და მინიმალური ხანგრძლივობით გამოყენებას, საჯარო ინტერესის არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უდანაშაულობის პრეზუმფციის მიუხედავად, შეუძლია გადაწონოს პიროვნების თავისუფლების მოთხოვნა.“<sup>16</sup> ასეთ გარემოებად მიიჩნევა მიმალვის, მტკიცებულების განადგურების, მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის, საზოგადოებისათვის აშკარა და მნიშვნელოვანი საფრთხე, რომლის განეიტრალება სხვაგვარად შეუძლებელია.<sup>17</sup>

ბრალდების მხარე მიმალვის საფრთხეს ხშირად ასაბუთებს იმ ფაქტორით, რომ, ვინაიდან არასრულწლოვანს ბრალი ედება განსაკუთრებით მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩადენაში, ეს რელევანტური საფუძველია მისი მიმალვისა. თუმცა, პირველი ინსტანციის სასამართლოც და თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაც, განმარტავენ, რომ „მიმალვის საფრთხის დასაბუთებისას წარმოდგენილი არგუმენტაცია არ შეიძლება იყოს აბსტრაქტული და იგი უნდა გამომდინარეობდეს მოცემული სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან.“<sup>18</sup>

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ 2015 წლის 31

<sup>15</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განჩინება 1გ/1516. 28.09.2016.

<sup>16</sup> 8 J.G. v Poland, ECtHR, 06.04.2004, §50,56; Labita v Italy, 06.04.2000, §152. იხ. ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზერიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015, გვ. 57.

<sup>17</sup> ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., კვაჭანტირაძე დ., ლიპარტელიანი ლ., დადეშქელიანი გ., გუნცაძე შ., მეზერიშვილი ნ., თოლორაია ლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015, გვ. 58.

<sup>18</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განჩინება 1გ/1695, 7.11.2016.

დეკემბერს განიხილა შუამდგომლობა არასრულწლოვანი ბრალდებულისათვის პატიმრობის გამოყენების თაობაზე. ბრალდების მხარის მტკიცებით, არასრულწლოვანმა საცხოვრებელი ადგილის შეცვლის თაობაზე პოლიციას არ მიანოდა ინფორმაცია, იგი თავს არიდებდა საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას, ხოლო პატიმრობის გამოყენებლობის შემთხვევაში, ვერ იქნებოდა თავიდან აცილებული ბრალდებულის სასამართლოში გამოუცხადებლობის, მონმეებზე ზემოქმედების და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე. სასამართლომ ჩათვალა, რომ „ბრალდებულის მიერ მისამართის შეცვლა ვერ ჩაითვლება მიმალვად, ხოლო სახელმწიფო საზღვრის კვეთის შესახებ ინფორმაცია საქმეში არ დევს.“ შესაბამისად, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არ არსებობდა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალური საფუძველი.

ერთ-ერთ საქმეში არასრულწლოვანს, რომელსაც ბრალი ედებოდა სსკ-ის 179-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, ბრალდების მხარის საჩივრის მიხედვით, არასრულწლოვნის მიმართ პატიმრობის შეფარდების მოთხოვნის ერთ-ერთი საფუძველი სასჯელის სიმკაცრის შიშით მიმალვის აღბათობა იყო. სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჩივარი და განმარტა: „აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ ბრალდებული არასრულწლოვანია, არის 17 წლის, რაც ნიშნავს, რომ იგი მყარად არის დამოკიდებული ოჯახზე როგორც ფინანსურად, ისე ემოციურად და მიმალვა პასუხისმგებლობის არიდების პარალელურად ნიშნავს, რომ არასრულწლოვანმა დატოვოს დედა, მამა, სახლი და განერიდოს ოჯახურ პირობებს და სიყვარულს, რაც არ არის ადვილი არც ემოციურად და არც ფიზიკურად. შესაბამისად, მხოლოდ მკაცრი სასჯელი, ასეთ მოცემულობაში არ შეიძლება იყოს მიმალვის საფრთხის შესაფასებლად საკმარისი გარემოება“.<sup>19</sup>

„გ“ პუნქტი – მიზანი, რომელსაც არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობა ემსახურება, აღემატება მისი თავისუფლების ინტერესს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ „კანონმდებელმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა არასრულწლოვნის თავისუფლების ინტერესებს, აღნიშნული არ გულისხმობს მის თავისუფლად გადაადგილებას ქუჩაში და სასწავლო დაწესებულებებში, აქ იგულისხმება მისი ცნობიერების საბოლოო ჩამოყალიბება თავისუფლების პირობებში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი ინტეგრაცია, განათლების მიღების შესაძლებლობა და ა.შ. სწორედ ამ ყველაფერს უნდა აღემატებოდეს ის მიზანი, რისთვისაც ხდება არასრულწლოვანი ბრალდებულის დაპატიმრება. ამ პროცესში განსაკუთრებული როლი აქვს სახელმწიფოსაც. ბრალდებულის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოთავსება ვერ უზრუნველყოფს სასურველი შედეგის მიღებას ბავშვის ფსიქოლოგიის ნორმალურ განვითარებაზე.“<sup>20</sup>

არასრულწლოვნისათვის პატიმრობის შეფარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მოხდეს, „თუ მის გარეშე შეუძლებელი იქნება მიღწეულ იქნეს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნები და რომელიც ბავშვის საუკეთესო ინტერესების მიუხედავად, აშკარად გადანონის პიროვნების ინდივიდუალური თავისუფლების უფლებას, ხოლო საქმეში არსებული რელევანტური და საკმარისი მტკიცებულებებით უდავოდ იქნება დადასტურებული პირის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობა და გარდუვალობა.“<sup>21</sup>

აღემატება თუ არა თავისუფლების ინტერესს არასრულწლოვნისათვის პატიმრობის შეფარდების მიზანი, აღნიშნული გაგება შესაძლოა მოხდეს ორი მიმართულებით: „1. თანაფარდობის პრინციპის შესაბამისად უნდა დადგინდეს, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობა მოცემულ მომენტში უფრო დიდი უპირატესობით სარგებლობს თავად ბრალდებულისთვის, ვიდრე თავისუფლებაში მისი დარჩენა.“<sup>22</sup> ამ პრინციპთან მიმართებით საინტერესოა 2017 წლის 24 თებერვლის თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის განჩინება, რომლის თანახმადაც, არასრულწლოვანს, რომელსაც წარდგენილი ჰქონდა

<sup>19</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განჩინება, 1გ/1635-16, 25.10.2016.  
<sup>20</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განჩინება, 1გ/1635-16, 25.10.2016.  
<sup>21</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განჩინება, 1გ/1479-16, 15.09.2016.  
<sup>22</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), 2016, გვ. 187.

ბრალდება სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის, შეეფარდა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა. აღნიშნული განჩინება დაცვის მხარის მიერ გასაჩივრებულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვების შესახებ თხოვნით. თბილისის სააპელაციო სასამართლო განჩინებაში განმარტავს: „არასრულწლოვანი ბრალდებულისათვის პატიმრობის შეფარდება ძალზედ სენსიტიური საკითხია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მის საუკეთესო ინტერესებს ყველა შემთხვევაში უნდა მიენიჭოს უპირატესობა სხვა სიკეთეებთან მიმართებაში“.<sup>23</sup> ვინაიდან არასრულწლოვანი დიდ დროს ატარებდა ქუჩაში არაკეთილსაიმედო თანატოლებთან ერთად, სასამართლომ ჩათვალა, რომ აღნიშნული ფაქტი ერთიორად ზრდიდა ახალი დანაშაულის ჩადენის რისკებს, რაც შესაბამის რეაგირებას საჭიროებდა. არასრულწლოვნის თავისუფლებაში დატოვებით მისი მხრიდან სხვათა ქონებრივი უფლებების მორიგი ხელყოფა გარდუვალი იქნებოდა. შესაბამისად, არასრულწლოვანი პატიმრობაში დარჩა.

მე-2 მიმართულებაა ის გარემოება, რომ „პატიმრობამ არ უნდა გამოიწვიოს იმაზე მეტი ზიანი, რასაც შეეძლო მისთვის თავისუფლებაში ყოფნას გამოენჯია. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ პატიმრობა მოზარდისათვის არის ისეთი შოკის მომგვრელი და თავზარდამცემი, რომ ყოველთვის მძიმე შედეგებს იწვევს მოზარდის ფსიქიკაზე. მოზარდები მძიმედ განიცდიან მათთვის სანდო, ნაცნობი სოციალური გარემოსაგან მოწყვეტას.“<sup>24</sup>

სასამართლომ და სამართალდამცავმა ორგანოებმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინონ, რომ არასრულწლოვანი საზოგადოების ჯგუფის წევრს წარმოადგენს, მისი განვითარება დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ, კულტურულ, საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე და მათი ზეგავლენის ერთგვარი შედეგია, ხოლო თავად არასრულწლოვანი ძალიან მგრძობიარეა მის გარშემო არსებული ემოციური კლიმატისა და მიმდინარე მოვლენების მიმართ. ზოგადად, არასრულწლოვან დამნაშავეებს, გამონაკლისის გარდა, სრულწლოვან დამნაშავეთაგან განსხვავებით, არ შეუძლიათ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და ხარისხის მთლიანად სრულყოფილად გაცნობიერება, რაც ზოგიერთი მოზარდის მცირე ასაკის (არასრულწლოვნის აღქმისა და გაგების უნართან) ან არასაკმაო ინტელექტუალურ მომზადებასა და/ან გამოუცდელობასთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ (სასამართლომ, სამართალდამცავმა ორგანოებმა) პოზიტიური როლი ითამაშოს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი დამნაშავე პირების ხელახალი აღზრდისათვის ხელის შეწყობისა და მათი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნით. ამიტომ, უნდა აღინიშნოს, რომ დაკავება და დაპატიმრება, მართალია, სავსებით კანონიერი ქმედებაა იმ არასრულწლოვანთა მიმართ, რომელთაც მიაღწიეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს და არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ჩაიდინეს დანაშაული, მაგრამ ეს ფორმა (მით უმეტეს აღკვეთის ღონისძიების შერჩევის ეტაპზე) გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ როგორც უკიდურესი ზომა.<sup>25</sup>

### III. არასრულწლოვნისათვის პატიმრობის შეფარდება გირაოს გამოყენების უზრუნველსაყოფად

საინტერესოა საკითხი, თუ რამდენად შეიძლება არასრულწლოვანს გირაოს გამოყენების უზრუნველსაყოფად შეეფარდოს პატიმრობა სსკ-ს მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად. აღნიშნული საკითხი არ არის რეგულირებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით, თუმცა ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, არასრულწლოვანთა მართლმსა-

<sup>23</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განჩინება 1გ/346-17, 10.03.2017.

<sup>24</sup> Diemer, H./Schatz, H, A./Sonnen, B-R., 2011. S.562. იხ. შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), 2016, გვ. 187.

<sup>25</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განჩინება 1გ/1479-16, 15.09.2016.

ჯულების პროცესში გამოიყენება საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების დებულებებიც, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება ამ კოდექსს ან/და არასრულწლოვნისთვის შეღავათს ითვალისწინებს.

მიუხედავად იმისა, რომ სსსკ-ს ზემოაღნიშნული მუხლი არ ითვალისწინებს შეღავათს არასრულწლოვნისათვის და ამასთან, ეწინააღმდეგება ამკ-ს უმნიშვნელოვანეს პრინციპს, რომ არასრულწლოვნის პატიმრობა გამოყენებულ იქნეს, როგორც უკიდურესი ღონისძიება, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ 2016 წლის 23 სექტემბრის განჩინებით, არასრულწლოვან ლ.ბ.-ს, რომელსაც ბრალი ედებოდა 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, შეუფარდა გირაო საპატიმრო უზრუნველყოფით. აღნიშნული განჩინება გასაჩივრდა ზემდგომ ინსტანციაში. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ განმარტა, რომ „გირაოს უზრუნველყოფის მიზნით აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობა სპეციფიკური უფლებამოსილებაა, რომელიც ზუსტად უნდა იქნეს განსაზღვრული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში. ამ მოსაზრებას ამდაფრებს ის გარემოებაც, რომ არასრულწლოვანს საკუთარი შემოსავლები არ გააჩნია და გირაოდ გადახდის პროცესში ის ყოველთვის შეზღუდულია მშობლების თუ სხვა ნათესავების შესაძლებლობებით, რაც მაღალი ალბათობით მისთვის პატიმრობის შეფარდების ტოლფასია. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის გამოყენებას არ მიიჩნევს კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევად, მხოლოდ კარგი დასაბუთების პირობებში, ასეთ მოცემულობაში კი, როდესაც სპეციალური კანონი არ ითვალისწინებს ამგვარ შესაძლებლობას, ამის დასაბუთება შეუძლებელი იქნება.“<sup>26</sup> აღნიშნულ საქმეში თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ არასრულწლოვანი ბრალდებულისათვის შეფარდებული გირაო უცვლელად დატოვა, ხოლო მის უზრუნველსაყოფად შეფარდებული პატიმრობა გააუქმა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, დაუშვებელია არასრულწლოვან ბრალდებულზე გავრცელდეს სსსკ-ს მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის დანაწესი და მას შეეფარდოს პატიმრობა გირაოს გამოყენების უზრუნველსაყოფად.

#### IV. არასრულწლოვანთა პატიმრობის ვადები

სრულწლოვნებისაგან განსხვავებით, ამკ-ს 64-ე მუხლის მე-2-მე-4 ნაწილები არასრულწლოვანი ბრალდებულებისათვის პატიმრობის განსხვავებულ ვადებს ადგენს. კერძოდ, თუ არასრულწლოვანი ბრალდებული პატიმარია, წინასასამართლო სხდომამდე მისი პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს მისი დაკავებიდან 40 დღეს. ამასთან, არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

ხანგრძლივ სამართალწარმოებას შეუძლია მნიშვნელოვანი წნეხის ქვეშ მოაქციოს ბრალდებულები და გაამძაფროს ბუნდოვან მომავალთან, მსჯავრდების შიშსა და სასჯელის გაურკვეველ სიმძიმესთან დაკავშირებული განცდები. ეროვნულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული მით უმეტეს, უფრო მკაფიოა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საქმეებზე.<sup>27</sup>

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს გაატარონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ ბავშვების რაც შეიძლება დროული გათავისუფლება წინასწარი პატიმრობიდან და თუ საჭირო გახდა, ამისთვის სპეციალური პირობებიც კი დაანესონ.

<sup>26</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განჩინება 1გ/1516. 28.09.2016.

<sup>27</sup> Stögmüller v. Austria, ECHR, 10.11.1969, პუნქტი 5; Petrenko v. Russia, 20.01.2011, პუნქტი 47. იხ. საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ სტანდარტებთან, მჭედლიძე ნ., 2017, გვ. 130.

გარდა ამისა, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა, 2003 წლის 24 სექტემბერს, წევრი სახელმწიფოების მიმართ მიიღო რეკომენდაცია Rec (2003)20 „არასრულწლოვანთა დამნაშავეობასთან მიმართებაში ახალი მეთოდების გამოყენებასა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების დანიშნულებაზე“. რეკომენდაციის მიღების მიზანი იყო ის, რომ შესაძლოა, მხოლოდ ტრადიციული სისხლის სამართლის სისტემები აღარ იძლეოდეს არასრულწლოვან დამნაშავეებთან მიმართებაში ადეკვატური გადაწყვეტილების გზებს (იხ. რეკომენდაციის პრეამბულა). რეკომენდაცია, *inter alia*, სახელმწიფოებისგან მოითხოვს, რომ სამართალწარმოების თითოეული ეტაპი მაქსიმალურად შემჭიდროებული იყოს და შეძლებისდაგვარად უსწრაფეს ვადებში ჩატარდეს. მართლმსაჯულების დაჩქარების და ეფექტიანობის გაზრდის ღონისძიებები თანაბარზომიერ წონასწორობაში უნდა იყოს სამართლიანი სასამართლო პროცესის მოთხოვნებთან (რეკომენდაციის მე-14 პუნქტი). ანალოგიური მოთხოვნებია გათვალისწინებული „ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სახელმძღვანელო პრინციპებში“, რომლებიც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2010 წლის 17 ნოემბერს იქნა მიღებული.

პატიმრობის ვადის გაგრძელების ნებისმიერი პერიოდი, განურჩევლად მისი ხანგრძლივობისა, მოითხოვს უფლებამოსილი ეროვნული ხელისუფლების სათანადო მოტივაციას, რომელიც ვალდებულია, გამოამჟღავნოს „განსაკუთრებული გულისხმიერება“ ამ პროცედურების განხორციელებისას.<sup>28</sup>

ასევე, საინტერესოა ბავშვის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაცია სასამართლო პროცესებთან დაკავშირებული დაყოვნებების თაობაზე, რომელიც მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოებს მიიღონ სამართლებრივი ზომები, რომლის მიხედვითაც სასამართლოს/არასრულწლოვანთა მოსამართლე ან სხვა კომპეტენტური ორგანო ვალდებული იქნება, მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება ბავშვისთვის ნაყენებული ბრალდების შესახებ საქმის წარდგენიდან არა უგვიანეს 6 თვის განმავლობაში. სწორედ აღნიშნული რეკომენდაციაა ასახული საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსშიც.

## დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მსგავსად, ეროვნული სასამართლოების პრაქტიკის იმგვარად განვითარებას, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ძალაში შესვლიდან დღემდე, პატიმრობის შეფარდება მხოლოდ საგამონაკლისო ღონისძიების სახით ხდება. მართალია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინება არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესები, მაგრამ, როგორც „პეკინის წესების“ მე-17 პუნქტის „ა“ ქ/პ-შია აღნიშნული, ზემოქმედების ზომის შერჩევას არასრულწლოვანის მოთხოვნებთან ერთად, საზოგადოების მოთხოვნებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული. პატიმრობის გამოყენების მართლზომიერების შეფასებისას აუცილებელია, მხედველობაში იქნას მიღებული საქმესა და ბრალდებულთან დაკავშირებით არსებული კონკრეტული და ინდივიდუალური მახასიათებლები.

ამასთან, ვფიქრობ, დაუშვებელია არასრულწლოვანის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას გავრცელდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის შეფარდებას. აღნიშნული ეწინააღმდეგება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ დანაწესს. არასრულწლოვანისათვის პატიმრობის შეფარდება

<sup>28</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 25 ივნისის განჩინება, საქმე №1/70-13. იხ., საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ სტანდარტებთან, მჭედლიძე ნ., 2017, გვ.56.

დროებითი ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების უზრუნველსაყოფად არაა გათვალისწინებული არც ამკ-ს დებულებებით და არც არასრულწლოვნისათვის შეღავათს არ ითვალისწინებს სსსკ-ს მე-200 მუხლის მე-6 ნაწილი. შესაბამისად, დაუშვებელია არასრულწლოვანს გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით შეეფარდოს პატიმრობა.

მისასაღმებელია ის ფაქტი, რომ მას შემდეგ, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ძალაში შევიდა, არასრულწლოვანთა საქმეების განხილვისას, ეროვნული სასამართლოს განჩინებებში უფრო და უფრო ხშირად გვხვდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საერთაშორისო აქტების ციტირებები.

დაბოლოს, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება უნდა ითვლებოდეს თითოეული სახელმწიფოს ეროვნული განვითარების განუყოფელ ნაწილად და იყოს ყველა არასრულწლოვნისათვის სოციალური მართლმსაჯულების ყოვლისმომცველ ჩარჩოში, რაც ერთდროულად ხელს შეუწყობს ახალგაზრდების დაცვას და საზოგადოებაში მართლწესრიგის შენარჩუნებას.“<sup>29</sup>

<sup>29</sup> გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ („პეკინური წესები“), მიღებულია გენერალური ასამბლეის მიერ 1985 წლის 29 ნოემბრის 40/33 რეზოლუციით, ნაწილი პირველი, 1.4.



# ადვოკატის თვალთ დანახული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი

იოსებ გაბარაევი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,  
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მონვეული სპეციალისტი,  
სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი

## შესავალი

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (შემდეგში – ამკ), რომელიც 2015 წლის 12 ივნისს მესამე მოსმენით იქნა მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ და 2016 წლის 01 იანვრიდან ამოქმედდა, საქართველოში განხორციელებული და მიმდინარე სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის მნიშვნელოვანი ნაწილია.

მთავარი, რაც ამკ-ს მოქმედი შიდა კანონმდებლობისაგან განასხვავებს, არის ის, რომ ის ეფუძნება ჰუმანიზმის, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას, რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პრინციპებს, ამკვიდრებს ნოვაციებს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისთვის.

2015 წლის აპრილში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კრიმინოლოგიის ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ, სადაც ამკ-ს ჯერ კიდევ პროექტი იქნა განხილული და გაანალიზებული. აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობით, შესაძლებლობა მომეცა წარმედგინა ადვოკატის თვალთ დანახული ამკ-ს პროექტი, ჩემი, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატის მოსაზრებები და შენიშვნები კოდექსის ცალკეულ დებულებებთან მიმართებაში.

წარმოდგენილ სტატიაში დამატებით გაანალიზებულია ასევე ის პრობლემები, მოსაზრებები და შენიშვნები, რომელიც კოდექსის ცალკეულ დებულებებთან მიმართებაში გამოითქვა მულტიდისციპლინარული უწყებათშორისი ჯგუფების შეხვედრებისას მონაწილეთა მხრიდან, დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელების გზების შემუშავებაზე მსჯელობისას. საკითხები განხილულია თანმიმდევრულად, ამკ-ს სტრუქტურული შემადგენლობის გათვალისწინებით.

პირველი, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა პრინციპის დონეზე შემოგვთავაზა, ესაა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების ცნება. „ბავშვის საუკეთესო ინტერესები“ არის ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპი, რომლის განსაზღვრა უნდა მოხდეს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან პროცესს.<sup>1</sup>

ბავშვის საუკეთესო ინტერესები განიმარტება როგორც მისი უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომელთა განსაზღვრა უნდა მოხდეს საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათ-

<sup>1</sup> იხ. დაწვრილებით: Handbook for Professionals and Policymakers on Justice Matters involving Child Victims and Witnesses of Crime, (UNODC) and (UNICEF), Criminal Justice Handbook Series (United Nations: New York, 2009), pg.5-8.

ვალისწინებით.<sup>2</sup> ყოველი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, „ბავშვის საუკეთესო ინტერესი“ უნდა შეფასდეს, განისაზღვროს ცალკეული ბავშვის კონკრეტულ გარემოებებზე დაყრდნობით და ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა მოერგოს ბავშვის კონკრეტულ სიტუაციურ საჭიროებებს. ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება დაადგინონ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები და შეიმუშაონ საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისი კანონები.<sup>3</sup>

სწორედ აღნიშნულმა და მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვანთა მონაწილეობის მარეგულირებელი ნორმების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის საჭიროებამ განაპირობა ახალი კოდექსის მიღება. მთელ ამ პროცესს კი საფუძვლად დაედო არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დასაცავად საჭირო საკანონმდებლო გარანტიების არარსებობა, არასრულწლოვნის განსაკუთრებულ ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობასთან შესაბამისად, არაეფექტური სამართლებრივი სისტემა, რომელიც შედეგზე არ იყო ორიენტირებული. არსებული კანონმდებლობა არ უთმობდა საკმარის ყურადღებას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს, არ ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ზომების უპირატესობას, არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის დაცვის სათანადო მექანიზმებს და სხვა სახელმწიფოთა<sup>4</sup> პრაქტიკისგან განსხვავებით საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელი სპეციალური ნორმატიული აქტი, რომელიც გააერთიანებდა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის მონაწილეობის შესახებ არსებულ სპეციფიკურ წესებს და გაამარტივებდა მათ აღქმას.

არასრულწლოვნების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულების აუცილებლობა აღიარებულ იქნა ჯერ კიდევ 1924 წელს, ბავშვის უფლებების შესახებ ჟენევის დეკლარაციით, არასრულწლოვნების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულების საკითხს ეხება მრავალი მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელთა დებულებებსაც დაეყრდნო წინამდებარე კოდექსი, მათ შორის: ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს გენერალური ასამბლეის დეკლარაცია (1959), ბავშვის უფლებათა კონვენცია (1989) და მისი დამატებითი ოქმი (2000), არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები (პეკინის წესები) (1985), არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის მართლმსაჯულების სახელმძღვანელო პრინციპები (2005), თავისუფლებაღკვეთილი არასრულწლოვნების დაცვის გაეროს წესები (ჰავანას წესები) (1990), არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების პრევენციის გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები (ერ-რიადის წესები) (1990), სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წესდებები და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები. მართალია, მანამდე არსებული კანონმდებლობა ნაწილობრივ უკვე ითვალისწინებდა სპეციფიკურ მიდგომას არასრულწლოვნების მიმართ, თუმცა საერთაშორისო სტანდარტები გაცილებით მაღალია და მათთან შესაბამისობისთვის აუცილებელი გახდა ერთიანი სპეციალური საკანონმდებლო აქტის ჩამოყალიბება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შემუშავებული აქვს ორი მოდელური კანონი – „მართლმსაჯულება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების საქმეებზე“<sup>5</sup> (არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონი) და „სისხლის სამართლის მართლმსაჯულება არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის მონაწილეობით“<sup>6</sup> (არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის მოდელური კანონი) – იმ მიზნით, რომ დაეხმაროს წევრ სახელმწიფოებს საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისი ამკ-ს მიღებაში.

<sup>2</sup> იხ. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტზე

<sup>3</sup> კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ - (CRC), მუხლი 4.

<sup>4</sup> გერმანია, სერბეთი, ჰოლანდია, იტალია, და ა.შ.

<sup>5</sup> Justice in Matters Involving Children in Conflict with the Law, Model Law on Juvenile Justice and Related Commentary, United Nations: New York, 2013. < [https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Justice\\_Matters\\_Involving-Web\\_version.pdf](https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Justice_Matters_Involving-Web_version.pdf) > [11.04.2017].

<sup>6</sup> Justice in Matters involving Child Victims and Witnesses of Crime, Model Law on Justice in Matters involving Child Victims and Witnesses of Crime, United Nations: New York, 2009. <[http://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Justice\\_in\\_matters...pdf](http://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Justice_in_matters...pdf)>[11.04.2017].

კოდექსი პროცესის მწარმოებელს ავალდებულებს გადანყვეტილების მიღებისას მაქსიმალური ეფექტურობით, უპირატესად გაითვალისწინოს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესები და ის ინდივიდუალური მიდგომები, რომელიც მიმართულია არასრულწლოვანი ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული ზომების გამოყენებასთან. კოდექსი მოსამართლეს ანიჭებს ფართო უფლებამოსილებას გადანყვეტილების მიღებისას. სასამართლო პროცესში მონაწილე არასრულწლოვანი ბრალდებულისთვის უზრუნველყოფილია მისი მშობლების და სხვა ახლო ნათესავების მონაწილეობა, შეთავაზებულია ასევე პატიმრობის გაუმჯობესებული პირობები. არასრულწლოვანის განსაკუთრებული ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით კოდექსი აყალიბებს სპეციფიკურ მიდგომას მის მიმართ და ორიენტირებულია მის საუკეთესო ინტერესებზე. შესაბამისად, ყველა შესაძლო შემთხვევაში ხაზგასმულია, რომ, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში მიიღება არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესები. ამ მიდგომის ერთ-ერთი მიზეზი ასევე არის არასრულწლოვანის შემდგომი რესოციალიზაციის სიმარტივე მსუბუქი ზომების გამოყენებით, რამდენადაც არასრულწლოვანს არ აქვს განვითარება დასრულებული და მისი ფსიქიკა ჯერ ისევე ჩამოყალიბების პროცესშია. სწორედ ამიტომ, მისივე გამოსწორებისთვის, უმჯობესია, სასამართლოში საქმისწარმოების სანაცვლოდ გამოყენებულ იქნეს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი.

ამკ გამოიყენება ყველა იმ შემთხვევაში, როცა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი, არასრულწლოვანი მოწმე ან/და დაზარალებული. თუმცა, მთავარი სიახლე, რასაც ახალი კოდექსი გვთავაზობს, არის ის, რომ კოდექსი გამოიყენება მაშინაც, როცა დანაშაულის ჩადენა ხდება 18-დან 21 წლამდე პირების მიერ. არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონის კომენტარების თანახმად,<sup>7</sup> ნეირო-მეცნიერული კვლევებითა და ადამიანის თავის ტვინის განვითარების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ რეალურად ძალიან რთულია დადგინდეს განსხვავება მოზრდილი ბავშვისა („older child“) და ახალგაზრდა ზრდასრულის („young adult“) თავის ტვინებს შორის, რის გამოც ევროპული სახელმწიფოების უმეტესობა უკვე ავრცელებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას 18-დან 21 წლამდე ასაკის პირებზე. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მოსაზრებით, იმის გათვალისწინებით, რომ გარდამავალი პერიოდი ბავშვობიდან ზრდასრულობაში საკმაოდ ხანგრძლივია, გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელი უნდა იყოს 18-დან 21 წლამდე ასაკის ახალგაზრდა ზრდასრულებზე იმავე წესების გავრცელება, რაც გათვალისწინებულია არასრულწლოვნებისთვის.<sup>8</sup> არასრულწლოვანი ბრალდებულის, მოწმის ან დაზარალებულის მონაწილეობით წარმართული პროცესი ინარჩუნებს უპირველესად ამკ-ით დადგენილი წესების შესაბამისად. თუმცა ასევე შესაძლებელია არასრულწლოვანის ქვემარტივი ინტერესების დაცვით, გამოყენებულ იქნეს სხვა შიდასახელმწიფოებრივი ნორმებიც, თუ ისინი არ მოვლენ წინააღმდეგობაში ამკ-სთან.

## 1. არასრულწლოვანის საპროცესო უფლება უფასო იურიდიულ დახმარებაზე

ამკ-ის მე-15 მუხლი, სისხლის სამართლის საქმის სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე, ბრალდებული და დაზარალებული არასრულწლოვანისთვის ითვალისწინებს უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლებას. ამ უფლებით შეზღუდული სარგებლობის დანაწესია შემოთავაზებული არასრულწლოვანი მოწმის შემთხვევაში, რაც არასრულწლოვანი მოწმის გადახდისუნარიანობაში ვლინდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ასეთი უფლებით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ გადახდისუნარო არასრულწლოვან მოწმეს, ისიც მისი თანხმობის შემთხვევაში, ვინაიდან მე-15 მუხლში საუბარია უფლებით სარგებლობაზე და ეს ჩანანერი არ არის იმპერ-

<sup>7</sup> იხ. სქოლიო 5.

<sup>8</sup> Explanatory memorandum on Recommendation CM/Rec (2003) 20 of the Committee of Ministers to member States concerning new ways of dealing with juvenile delinquency and the role of juvenile justice, Paragraph 11, pg18-19. <[www.legislationline.org/documents/id/8024](http://www.legislationline.org/documents/id/8024)> [04.02.3017]

ატიული ხასიათის. არასრულწლოვნის მიერ იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა გადახდისუნარიანობის კრიტერიუმით, შეიცავს დისკრიმინაციის ელემენტებს და სხვა არაფერია, თუ არა განსხვავებული მოპყრობა გადახდისუნარო და გადახდისუნარიანი არასრულწლოვნების მიმართ. საკითხის გადანყვეტისას უნდა ისარგებლოს თუ არა არასრულწლოვანმა მონმემ უფასო იურიდიული დახმარების უფლებით, ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ბავშვის არასრულწლოვნება და არა მისი ქონებრივი შესაძლებლობა.

გარდა ამისა, მე-15 მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადება ეწინააღმდეგება ამავე კანონის 29-ე მუხლის მეორე ნაწილს, საიდანაც ვკითხულობთ, რომ „არასრულწლოვნის მიმართ ჩატარებულ ნებისმიერ საპროცესო მოქმედებას ესწრება მისი ადვოკატი.“ არასრულწლოვანში კი ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კანონის მიზნებისთვის იგულისხმება თვრამეტ წლამდე მონმეც გადახდისუნარიანობის მიუხედავად.

არსებული ფორმით ამკ-ის მე-15 მუხლის ჩანაწერი არ ემსახურება არასრულწლოვნის ქეშმარიტ ინტერესს და შესაძლოა, დროთა განმავლობაში ძველი პრაქტიკის მანკიერი მხარის წამახალისებელ გარემოებად იქცეს; ვინაიდან, სრულიად შესაძლებელია გადახდისუნარიანი არასრულწლოვანი მონმის სახით გამოკითხვის შემდგომ მოხდეს მისი დაკავება, რის შემდგომაც, მისთვის როგორც უკვე ბრალდებულისთვის, დამცველის დანიშვნამ შესაძლოა მნიშვნელობა დაკარგოს და გამოუსწორებელი ზიანის მომტანი იყოს ბავშვის ქეშმარიტი ინტერესებისთვის. თუ არასრულწლოვანი მონმე (ზოგ შემთხვევაში პოტენციური ბრალდებული) იქნება გადახდისუნარიანი და არ მოინვევს დამცველს შეთანხმებით, გამოდის, რომ მისი გამოკითხვა და სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებაში (მაგ: ამოცნობა, საგამოძიებო ექსპერიმენტი და ა.შ.) მონაწილეობა შესაძლებელი იქნება დამცველის სავალდებულო მონაწილეობის გარეშე, რაც გაზრდის ბრალდების მხარის სასარგებლო ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობას. არასრულწლოვანი მონმის მონაწილეობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებში მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა, ვერ უზრუნველყოფს მას სამართლებრივი დახმარებით, ვინაიდან მის მონაწილეობას მხოლოდ ემოციური სტაბილურობის გარანტის მნიშვნელობა აქვს.<sup>9</sup> პირველადი (მონმის სახით) ინფორმაციის მიცემისას კი შესაძლებელია ხელყოფილ იქნეს არასრულწლოვანის ქეშმარიტი ინტერესი, თუკი მისი გამოკითხვა მოხდება დამცველის მონაწილეობის გარეშე, რაც, პირველ რიგში, ეწინააღმდეგება ამ კოდექსის მე-5 მუხლს და ბავშვის ქეშმარიტ ინტერესს.

სასურველია, არასრულწლოვან მონმეს, მიუხედავად გადახდისუნარიანობისა, მიეცეს დამცველის მომსახურებით სარგებლობის უფლება, რათა მონმე დაცული იყოს კანონით. გადახდისუნარიანი არასრულწლოვანი მონმე, რომელიც ვერ ისარგებლებს ადვოკატით როგორც მონმე, ბრალდებულად ცნობის შემთხვევაში მაინც სახელმწიფოს ხარჯზე დაცვას დაექვემდებარება. უწყებათაშორისი მულტიდისციპლინარული ჯგუფის შეხვედრისას<sup>10</sup> ანალოგიურად გადაწყდა ხსენებული საკითხი და გაიცა რეკომენდაცია, რომ საკითხის კანონმდებლობით დარეგულირებასთან დაკავშირებული საკითხის მიუხედავად, მაშინ, როცა არასრულწლოვან მონმეს სასამართლოს შეხედულებით აშკარად ესაჭიროება სამართლებრივი დაცვა და იგი აცხადებს, რომ ამის საშუალება არ გააჩნია. დაცვის უფლება გარანტირებულია კონსტიტუციით და სასამართლო ვინროდ, მხოლოდ გადახდისუნარობის კრიტერიუმის ფარგლებში ვერ განმარტავს ამ უფლებას. თუმცა აღნიშნული მიდგომა მთლად ვერ აგვარებს პრობლემას გამოძების ეტაპზე და ზემოაღნიშნული ჩანაწერი შედავების საფუძველს უსპობს დაცვის მხარეს.

<sup>9</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, თბ., ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, გვ 89.

<sup>10</sup> 2016 წლიდან გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ორგანიზებით, ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში პერიოდულად იმართება უწყებათაშორისი (სასამართლო, პროკურატურა, შსს, იურიდიული დახმარების სამსახური, პრობაციის ეროვნული სააგენტო, დანაშაულის პრევენციის ცენტრი და ა.შ.) მულტიდისციპლინური შეხვედრები, რომლის მთავარი მიზანი ამკ-ს პრაქტიკაში გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება და ამკ-ს უკეთ დანერგვის ხელშეწყობაა.

## 2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი პირების სპეციალიზაცია

ახალი კოდექსის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე პირების სავალდებულო სპეციალიზაცია. აღნიშნული ასახულია ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში მოქმედ არაერთ საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმაში, მათ შორის არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ მოდელურ კანონსა და ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგად კომენტარ №10-ში, რომელიც რეკომენდაციას უწევს სახელმწიფოებს, რომ არასრულწლოვნებისთვის შექმნან ცალკე სასამართლოები, ხოლო, სადაც ეს შეუძლებელია, უნდა უზრუნველყონ არასრულწლოვანთა საქმეების განსახილველად სპეციალიზებული მოსამართლეების დანიშვნა. არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონი ცალსახად უთითებს, რომ არასრულწლოვანთან მომუშავე სპეციალისტს (პირს, რომელსაც თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში შეხება აქვს არასრულწლოვანთან) გავლილი უნდა ჰქონდეს შესაბამისი სპეციალიზაციის კურსი. კანონი მოითხოვს, რომ არასრულწლოვანთა საქმეები უნდა აწარმოონ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულმა პროკურორებმა, პოლიციელებმა და ადვოკატებმა, წინააღმდეგ შემთხვევაში არაუფლებამოსილი პირის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები და მიღებული შედეგები დაუშვებელ მტკიცებულებად ჩაითვლება. ასევე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული უნდა იყოს სოციალური მუშაკი, მედიატორი, პრობაციის ოფიცერი, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებისა და პატიმრობის შესაბამისი დაწესებულების პერსონალი.

მიუხედავად საკითხის ამგვარად გადანყვეტისა, არსებობს არაერთგვაროვანი პრაქტიკა სპეციალიზაციის კუთხით, როცა საკითხი ეხება 18-21 წლამდე პირებს. სასამართლოები ზოგ შემთხვევაში უნიშნავენ სპეციალიზებულ ადვოკატს, ზოგ შემთხვევაში სხვაგვარად განმარტავენ და უთითებენ ამკ-ს მე-2 მუხლის შინაარსზე, სადაც კონკრეტულად აღწერილია ის მუხლები (15 (1) და 38-48-ე მუხლები), რომლებიც ვრცელდება ამ ასაკობრივ კატეგორიაზე. უწყებების უმრავლესობა და მათ შორის საერთაშორისო ექსპერტიც<sup>11</sup> თვლის, რომ ამ ასაკობრივ ზღვარზე არ უნდა გავრცელდეს მონაწილე პირთა, მათ შორის ადვოკატის სავალდებულო სპეციალიზაცია.

ზოგადად, არასრულწლოვნის (დაზარალებული, მონმე, ბრალდებული) გამოკითხვას ან დაკითხვას ვერ მოახდენს არასპეციალიზებული ადვოკატი. ამ საკითხზეც მოიძებნა გამოსავალი და სასამართლოს მიერ დადგინდა სწორი სამართლებრივი პრაქტიკა, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში: ამკ-ს თანახმად, დაზარალებული ბავშვის ადვოკატი აუცილებლად უნდა იყოს სპეციალიზებული. მონმე ბავშვს შეიძლება ჰყავდეს ადვოკატი, თუ გადახდისუუნაროა და ისიც სპეციალიზებული. თუ ზრდასრულ ბრალდებულს არ ჰყავს სპეციალიზებული ადვოკატი ისეთ საქმეზე, სადაც ასევე მონაწილეობას იღებს არასრულწლოვანი დაზარალებული/მონმე, ის ვერ დაჰკითხავს დაზარალებულ ბავშვს. ამიტომ ბრალდებულის ინტერესია ყავდეს ან დამატებით აიყვანოს სპეციალიზებული ადვოკატი (ან სასამართლო დაუნიშნავს), რომელიც არასპეციალიზებულ ადვოკატთან დასასმელი საკითხების შესახებ გაივლის კონსულტაციას და დაჰკითხავს დაზარალებულ ან მონმე ბავშვს. ამის შემდეგ, სპეციალიზებული ადვოკატი შეიძლება ჩამოსცილდეს საქმეს, ან ბრალდებულის სურვილით ბოლომდე მიჰყვეს მას ძირითად ადვოკატთან ერთად.

თუმცა პრაქტიკას ახსოვს შემთხვევები, როცა საქმეზე, სადაც ფიგურირებდა არასრულწლოვანი დაზარალებული ან მონმე, სასამართლოს მიერ მოხდა სრულწლოვანი ბრალდებულის არასპეციალიზებული ადვოკატის ჩამოცილება მთლიანი საქმის განხილვის პროცესიდან, რაც

<sup>11</sup> მოსამართლე რენატა ვინტერი, საქართველოში ევროკავშირის პროექტის „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ხელმძღვანელი; გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტის წევრი, ვიცე-პრეზიდენტი.

წარმოადგენს დაცვის უფლების ხელყოფას<sup>12</sup> და ბრალდებულის უფლების შეზღუდვას, მოიწვიოს დამცველი საკუთარი სურვილის შესაბამისად; ან პირიქით, ყოფილა შემთხვევა, როცა არასრულწლოვანი დაზარალებულისთვის დანიშნული სპეციალიზებული დამცველისთვის სასამართლოს სავალდებულო წესით დაუვალდებულებია ყველა სხდომაზე დასწრება, მიუხედავად იმისა იყო თუ არა ამგვარი გადაწყვეტილება არასრულწლოვანი მოწმის ან დაზარალებულის პროცესში მონაწილეობით განპირობებული; ან კიდევ, ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ სრულწლოვანი ბრალდებულის მონაწილეობით, მის მიმართ საპროცესო შეთანხმების შესახებ შუამდგომლობის განხილვის სხდომაზე უნდა ესწრებოდეს არასრულწლოვანი დაზარალებულის დამცველი ან/და კანონიერი წარმომადგენელი, მიუხედავად მათ მიერ საპროცესო შეთანხმებასთან მიმართებაში წინასწარ დადებითი პოზიციის წერილობით დაფიქსირებისა, რაც უდავოდ წარმოადგენს სახელმწიფო რესურსის არადანიშნულებისამებრ ხარჯვას და ამგვარი გადაწყვეტილებები არაა ნაკარნახევი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვით. მაშინ, როცა საპროცესო შეთანხმება წარმოადგენს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველყოფის საშუალებას და დაზარალებულის პოზიციის გათვალისწინებით, უკვე არსებობს საპროცესო შეთანხმება ბრალდებულსა და ბრალმდებელს<sup>13</sup> შორის, სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების შესახებ შუამდგომლობის განხილვის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, არასრულწლოვანი დაზარალებულის კანონიერი წარმომადგენლის ან/და მისი სპეციალიზებული ადვოკატის სავალდებულო ჩართვა ფორმალურ ხასიათს ატარებს, არ ემსახურება არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვას და სასამართლოს დროის რესურსის არადანიშნულებისამებრ ხარჯვის გზით აფერხებს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს.

სპეციალიზებული დამცველის დანიშვნასთან დაკავშირებით პრობლემაურია 18-21 წლამდე ბრალდებულისთვის დამცველის დანიშვნა. არსებული საკანონმდებლო რეგულაციის გათვალისწინებით, საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად სავალდებულოა 18-21 წლამდე ბრალდებულს ჰყავდეს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე, დამოკიდებულია ბრალდებულის სურვილზე, რომლის წერილობითი გამოხატულება თან უნდა ერთვოდეს გამოძიების პროცესის მწარმოებელი გამოძიებლის, პროკურორის გადაწყვეტილებას ადვოკატის სახელმწიფოს ხარჯზე დანიშვნის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში 18-21 წლამდე ბრალდებულს ადვოკატი იურიდიული დახმარების სამსახურის შესაბამისი ტერიტორიული ერთეულიდან არ დაენიშნება. სასამართლოს მიერ დამცველის დანიშვნისას კი საკმარისია 18-21 წლამდე ბრალდებულის სასამართლოში გაცხადებული სურვილი, ისარგებლოს სახელმწიფოს ხარჯზე დამცველის მომსახურებით.

ამასთან, არაა სავალდებულო, რომ 18-21 წლამდე ბრალდებულს დაენიშნოს სპეციალიზებული ადვოკატი (მათ შორის განრიდების გამოყენების საკითხის განხილვისას), თუმცა მოსამართლეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამით იკარგება ამკ-ს ის ძირითადი საკანონმდებლო ნოვატორული იდეა და კანონმდებლის სულისკვეთება, რაც თავის დროზე საფუძლად დაედო როგორც ამ კოდექსის მიღებას, ისე ამკ-ით გათვალისწინებულ შემთხვევებში კოდექსის ცალკეული ნორმების გავრცელებას მოცემულ ასაკობრივ ჯგუფზე.

საინტერესოა ამკ-ს რეგულაცია 18 წელს გადაცილებული მოზარდისთვის სპეციალიზებული ადვოკატის დანიშვნასთან დაკავშირებით. ამკ-ს მე-20 მუხლის თანახმად, არასრულწლოვანის საქმეს აწარმოებს მხოლოდ მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატი; ამკ-ს მეორე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, ამკ 18-21 წლამდე პირებზე ვრცელდება მე-15 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში თუ ის ბრალდებულია, რაც გულისხმობს უფასო იურიდიული დახმარების უფლებით სარგებლობას. შესაბამისად, კანონი არ ითხოვს პროცესის მწარმოებლისაგან და სავალდებულო არ არის 18-21 წლამდე პირის დაცვა განხორციელოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულმა ადვოკატმა.

<sup>12</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 6, 3/ც.

<sup>13</sup> განსკუთრებით საყურადღებოა კანონით გათვალისწინებული ის საგამონაკლისო შემთხვევები, როცა, კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით საპროცესო შეთანხმების დადება საჭიროებს მთავარი პროკურორის ან მისი მოადგილის თანხმობას.

საკითხი სხვაგვარად უნდა გადაწყდეს მაშინ, როცა საქმე ეხება 18-21 წლამდე ასაკის პირის მიმართ განრიდების გამოყენების საკითხის განხილვას. ამკ-ს მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 38-48-ე მუხლებით დადგენილი ნორმების მოქმედება ვრცელდება აგრეთვე 18-21 წლამდე ასაკის პირზე, თუ განრიდების გამოყენების წინაპირობებთან ერთად არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული, რაც თავისთავად გულისხმობს მის (18-21 წლამდე ასაკის პირის) უფლებრივ გათანაბრებას არასრულწლოვანთან განრიდების გამოყენების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის დროს, მით უმეტეს, რომ განრიდების ზოგად წესებს ადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 1681-1682-ე მუხლები. სხვაგვარი განმარტებით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში აღნიშნული საკანონმდებლო ნოვაციის დანერგვა აზრს დაკავავს, თუ მხოლოდ ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებით და საკითხისადმი ფორმალური მიდგომით მოხდება ამკ-ს დებულებების გარველება 18-21 წლამდე ასაკის პირთა მიმართ.<sup>14</sup>

18-21 წლამდე ასაკის პირების უფლებრივი გათანაბრება არასრულწლოვნებთან ნიშნავს იმას, რომ განრიდების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის დროს ისინი უნდა სარგებლობდნენ იმავე მიდგომებით, როგორც არასრულწლოვნები. განრიდების საკითხის განხილვა და გადაწყვეტა უნდა მოხდეს მათი საუკეთესო ინტერესების, მათ შორის ამკ-ს 27-ე მუხლის თანახმად მომზადებული ინდივიდუალური ანგარიშის სავალდებულო გათვალისწინებით.<sup>15</sup>

ამკ-ს მე-3 მუხლის მეექვსე ნაწილის და ამ კოდექსის მესამე თავის თანახმად, კანონის იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენს 18-21 წლამდე პირების მიმართ განრიდების საკითხის განხილვა-გადაწყვეტისას სპეციალიზებული პირების სავალდებულო მონაწილეობა, თვით ასეთი პირების საუკეთესო ინტერესებიდან და ამ კოდექსის 38-48-ე მუხლების მიზნებიდან გამომდინარე. ვინაიდან 18-21 წლამდე პირები განსაკუთრებულად საჭიროებენ მათი განვითარების შესაბამის დაცვას, სწორედ ამიტომ არ შეიძლება მათ ისევე მოეპყრან როგორც ზრდასრულებს. როცა ისინი ხვდებიან მართლმსაჯულების სისტემაში, აუცილებელია პროცესის მწარმოებელმა პირებმა გააცნობიერონ, რომ ისინი განსხვავდებიან ზრდასრული ადამიანებისაგან და მართლმსაჯულების განხორციელების ყველა ეტაპზე, ყველა მონაწილის პრიორიტეტი უნდა იყოს ასეთი პირების საუკეთესო/ჭეშმარიტი ინტერესების დაცვა, რომელიც გულისხმობს საკითხის განხილვას როგორც ამკ-ს კოდექსის მოთხოვნების ფარგლებში, ისე მისი ფარგლების მიღმა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროკურორის პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას და საექსპერტო მომზადებას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში, იმდენად, რამდენადაც, საქართველოს შემთხვევაში, განრიდების გამოყენების შესაძლებლობის განხილვა და გადაწყვეტა როგორც არასრულწლოვნებისთვის, ისე 18-21 წლამდე პირებისთვის, სწორედ პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. „დისკრეციული უფლებამოსილების განმხორციელებელ პირებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი კვალიფიკაცია..., რათა მათ გამოიყენონ დისკრეციული უფლებამოსილება კეთილგონივრულად მათი ფუნქციებისა და მანდატის გათვალისწინებით.“<sup>16</sup>

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როცა 18-21 წლამდე პირების მიმართ განრიდების გამოყენების ან გამოყენებაზე უარის თქმის პროცესში მონაწილეობს არასპეციალიზებული პროკურორი, რაც წარმოადგენს როგორც ამკ-ს, ისე ზემოაღნიშნული სხვადასხვა საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების მოთხოვნათა უპირობო დაღვევას; თუ არ იქნა პროკურორის, როგორც დისკრეციული უფლებამოსილების განმხორციელებელი პირის სათანადო სპეციალიზაცია და პროფესიონალიზმი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში, ვერ იქნება დაცული ბალანსი დისკრეციული უფლებამოსილებით ბოროტად სარგებლობასა და ახალგაზრდა/მოზარდი სამართალდამრღვევის საუკეთესო ინტერესების დაცვას შორის.

<sup>14</sup> გორის რაიონული სასამართლოს განჩიება, 09.03.2016, საქმე №1/83-16.

<sup>15</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 38, ნაწილი 3.

<sup>16</sup> „არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ“ გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები (ე.წ. „პეკინური წესები“), ნაწილი პირველი, მუხლი 6.3.

### 3. ინდივიდუალური ანგარიში

იმისათვის, რომ არასრულწლოვანთა მონაწილეობით სამართალწარმოების პროცესი იყოს ბავშვზე ორიენტირებული და მარეაბილიტირებელი დანიშნულების, კანონი აყალიბებს სპეციალურ მიდგომებს და პროცესის მწარმოებელს ავალდებულებს, სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა სტადიაზე მიმართოს და მოიპოვოს ინდივიდუალური ანგარიში, შესაბამისი ორგანოს მიერ არასრულწლოვნის განვითარების დონის, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობების, განათლების, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ოჯახური ვითარების და სხვა გარემოებების, შესწავლის საფუძველზე. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში უნდა აისახოს ასევე არასრულწლოვნის განსაკუთრებული საჭიროებები, დანაშაულის, სამართალდარღვევის ჩადენის რისკი და შესაბამისად, მისი განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის რეკომენდებული ღონისძიებები. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი მოითხოვს, რომ მის მიმართ მიღებული ყველა გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს და ეფუძნებოდეს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს. შესაბამისად, ანგარიში უნდა მომზადდეს ყველა იმ საქმის ადრეულ ეტაპზე, რომელიც განრიდების გამოყენების (მათ შორის 18-21 წლამდე პირებზე) ფორმალურ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. განრიდების წინაპირობების არარსებობის შემთხვევაში, აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვისას, ინდივიდუალური ანგარიშის არ არსებობა შესაძლებელია ჩანაცვლდეს ადვოკატის მიერ ნებისმიერი ისეთი ინფორმაციის სასამართლოში წერილობითი წარდგენის გზით, რაც დაეხმარება სასამართლოს არასრულწლოვნის ინტერესებზე მორგებული გადაწყვეტილების მიღებაში.

მიუხედავად იმისა, რომ დაცვის მხარე არაა უფლებამოსილი უშუალოდ მიმართოს და მოიპოვოს კომპეტენტური ორგანოებისაგან ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, ადვოკატს უფლება აქვს და ვალდებულიცაა ეფექტური დაცვის განსახორციელებლად, ითანამშრომლოს ინდივიდუალური ანგარიშის შემდგენ პირებთან და მიაწოდოს ნებისმიერი ინფორმაცია არასრულწლოვნის პიროვნების, ცხოვრებისა და აღზრდის პირობების შესახებ. ეს ინფორმაცია დაეხმარება შესაბამის სოციალურ მუშაკს სრულყოფილი ანგარიშის შედგენისათვის რელევანტური ინფორმაციის შეგროვებაში. იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალურ ანგარიშში ადვოკატი აღმოაჩენს რაიმე უზუსტობას არასრულწლოვნის მახასიათებლების შესახებ, იგი უფლებამოსილია ამ უზუსტობის აღმოფხვრის მიზნით, მიიღოს ყველა ზომა და გამოძიების მწარმოებელს ან სასამართლოს წარუდგინოს შესაბამისი ინფორმაცია.

### 4. არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული მექანიზმები

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ლიბერალიზაციის გამოვლინებას წარმოადგენს არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდება-მედიაცია შესაბამისი პროგრამების გამოყენების გზით. განრიდება და მედიაცია მთლიანად ეყრდნობა აღდგენითი მართლმსაჯულების კონცეფციას, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს როგორც სსკ-ის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩამდენი არასრულწლოვნის, ისე დაზარალებულის ინტერესებს და ტრადიციული მართლმსაჯულებისაგან განსხვავებით, რომელიც ძირითადად დანაშაულის დადგენასა და დასჯაზეა ორიენტირებული, მიმართულია, პირველ რიგში, პრობლემის მოგვარებისკენ, დიალოგისა და მოლაპარაკების გზით ზიანის ანაზღაურებისა და მხარეების შერიგებისკენ.<sup>17</sup> სწორედ ამიტომ, არასრულწლოვნის მიმართ, პირველ რიგში, განიხილება მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდების, განრიდების და მედიაციის ან აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა და ფასდება, უკეთ

<sup>17</sup> შალიკაშვილი მ., 2013, გვ. 8; თუმანიშვილი, გ., 2013, გვ. 255



მოემსახურება თუ არა განრიდება ან ასეთი ღონისძიება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნებს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასა და სასჯელის გამოყენებასთან შედარებით.

არასრულწლოვანთა სტიგმატიზაციის თავიდან აცილების მიზნით, არასრულწლოვანთა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის განსაკუთრებულ, ეფექტურ საშუალებად მიჩნეულია სამართალწარმოების შეწყვეტა ცალკეული კატეგორიის დანაშაულების ჩამდენი სამართალდამრღვევი პირების მიმართ, რომელიც უნდა განხორციელდეს არასრულწლოვნის უფლებებში მინიმალური ჩარევის პრინციპის დაცვით. ითვლება, რომ არასრულწლოვანთა დაცვა და განრიდება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემისაგან, მაღალი ალბათობით შეამცირებს დანაშაულებრივ საქმიანობაში მათი შემდგომი მონაწილეობის ინტენსივობასა და ხელახალ ჩართულობას.<sup>18</sup>

არასრულწლოვნის განრიდებაზე უარი უნდა დასაბუთდეს. გადაწყვეტილებაში უპირველეს ყოვლისა, უნდა მიეთითოს თუ რატომ ვერ იქნება მიღწეული რესოციალიზაციის და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზანი განრიდების ღონისძიების გამოყენებით.<sup>19</sup>

დაცვის უფლების განხორციელების დაწყების პირველივე წუთებიდანვე, ადვოკატი უნდა დაინტერესდეს თუ რა საფუძვლით ეთქვა უარი მის დაცვის ქვეშ მყოფს განრიდების მექანიზმის გამოყენებაზე. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე საქმის მასალებში უნდა მოიპოვებოდეს პროკურორის დასაბუთებული, მოტივირებული დადგენილება განრიდების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში დაცვის მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს იმავე მოთხოვნით; განსხვავებით სრულწლოვნისაგან, არასრულწლოვნის მიმართ განრიდება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სასამართლოში საქმის წარმართვის შემდგომაც, რაც გარკვეულწილად დამატებითი ბერკეტი დაცვის მხარისთვის, პროკურორის მიერ განრიდების გამოყენებაზე უსაფუძვლო უარის თქმის შემდგომ კვლავ მოითხოვოს სასამართლოს წინაშე განრიდების საფუძვლით საქმის დაბრუნება პროკურორისთვის; თუ საქმე ეხება პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვანი ბრალდებულის განრიდებას, განრიდების საფუძვლით პროკურორისთვის საქმის დაბრუნების მოთხოვნამდე (პატიმრობა არ გამოიცილება განრიდების გამოყენების შესაძლებლობას), უმჯობესია, სასამართლოს წინაშე დაცვის მხარის მიერ ჯერ მოთხოვნილ იქნეს შეფარდებული მკაცრი აღკვეთი ღონისძიების შეცვლა უფრო მსუბუქი აღკვეთი ღონისძიებით ან საერთოდ პატიმრობის გაუქმება. სასამართლო უფლებამოსილია განრიდების გამოყენების მიზნით, მხარის დასაბუთებული შუამდგომლობით, ასევე საკუთარი ინიციატივით, არასრულწლოვნის საქმე დაუბრუნოს პროკურორს განრიდებისთვის.

განრიდებისა და მედიაციისთვის მიღებული და მოქმედი ლიბერალური სამართლებრივი ნორმების ხარვეზი, შესაძლოა გახდეს ამ ინსტრუმენტის არადანიშნულებისამებრ, შესაბამისი კანონისმიერი საფუძვლის არარსებობის პირობებში გამოყენების ხელშემწყობი. ვგულისხმობ, ამკის მე-15 მუხლის მეორე ნაწილში მოცემულ იმ საპროცესო უფლებების არასრულწლოვან ჩამონათვალს, რითაც სარგებლობს არასრულწლოვანი სისხლის სამართლის საქმისწარმოების ნებისმიერ სტადიაზე.

დასაბუთებული ვარაუდის არსებობის პირობებში განრიდების, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის გამოყენებისას, არასრულწლოვან მოწმეს გადახდის-უნარიანობის მიუხედავად, არ აქვს უფლება გაეცნოს საქმის მასალებს.<sup>20</sup> იმ პირობებში, როცა

<sup>18</sup> Commentary on the United Nations Standard Minimum Rules for Non-custodial Measures (The Tokyo Rules), United Nations, New York, 1993, pg. 15. <<https://www.ncjrs.gov/pdffiles1/Digitization/147416NCJRS.pdf>> [12.01.2017]

<sup>19</sup> არასაპატიმრო ზომების შესახებ გაეროს მინიმალური წესები (ტოკიოს წესები), გაეროს რეზოლუცია №45/110 (1990), წესი 5 (სამართალდამცავ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ უფლება შეწყვიტონ სამართალწარმოება სამართალდამრღვევის მიმართ, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ საზოგადოების დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან კანონისადმი და დაზარალებულის უფლებების პატივისცემის უზრუნველსაყოფად არ არის საჭირო პროცესის გაგრძელება). დოკუმენტის დედანი (ინგლისურად) იხილეთ <<http://www.un.org/documents/ga/res/45/a45r110.htm>> [11.01.2017]

<sup>20</sup> მართალია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 1682-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, განრიდების სუბიექტი სარგებლობს ბრალდებულის ყველა უფლებით, თუმცა ეს პრაქტიკაში განიმარტება ვინაობა და გულისხმობს განრიდების სრულწლოვან სუბიექტს.

ასეთი უფლებით უზრუნველყოფილია განრიდების სრულწლოვანი სუბიექტი, დაუშვებელია, კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებს ჰქონდეთ მათზე ნაკლები სამართლებრივი უფლებები და გარანტიები. კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები სარგებლობენ იმ ფუნდამენტური პროცესუალური უფლებების სრული სპექტრით, რომლით სარგებლობაც უზრუნველყოფილია სრულწლოვანი პირებისთვის მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრისას.<sup>21</sup>

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე არასრულწლოვანს, რომელიც გამოკითხულ იქნა მოწმის სახით და მის მიმართ უკვე არსებობს დასაბუთებული ვარაუდი შესაძლო დანაშაულის ჩადენის შესახებ, კანონი იძლევა საშუალებას არასრულწლოვანის ბრალდებულად ცნობამდე (სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე) მოხდეს მისი ჩართვა განრიდება-მედიაციის პროგრამაში. ბუნებრივია, თუ არასრულწლოვანი არ იქნება აღჭურვილი საქმის მასალების გაცნობის უფლებით (ვინაიდან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე იგი არ წარმოადგენს მხარეს), მას არ ექნება შესაძლებლობა გაეცნოს მის წინააღმდეგ არსებულ ინფორმაციას. საქმის მასალების გაცნობის გარეშე განრიდების გაფორმებამ, შესაძლოა მოუსპოს არასრულწლოვანს განრიდების მეორედ (რეალური საფუძლის არსებობის პირობებში) გამოყენების შანსი. საქმის მასალების გაცნობის შემდგომ შესაძლოა გამოიკვეთოს იმ ფაქტებისა და ინფორმაციის არარსებობა ან არასაკმარისობა, რაც უცილებელია დასაბუთებული ვარაუდის, როგორც პირველი მტკიცებულებითი სტანდარტის დადგენისთვის, რომლის არსებობაც განრიდების გამოყენების კანონისმიერ წინაპირობას წარმოადგენს.

არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებთან გამომდინარე, სასურველია, ამკ-ის მე-15 მუხლის მეორე ნაწილში მოცემულ საპროცესო უფლებების ჩამონათვალს დაემატოს საქმის მასალების გაცნობის უფლება, რაც ეფექტური მექანიზმი იქნება ბრალდების მხარის შესაძლო თვითნებობის თავიდან ასაცილებლად, შესაბამისი კანონისმიერი საფუძლის გარეშე არ იქნეს გამოყენებული არასრულწლოვანის მიმართ განრიდების მექანიზმი. ეს დაცვის მხარეს საშუალებას მისცემს მარტივად გამიჯნოს ერთმანეთისაგან პროკურორის მიერ განრიდების გამოყენების შესახებ მღებული თვითნებური გადაწყვეტილება არათვითნებურისაგან, რათა არასრულწლოვანს უსაფუძვლოდ არ წაერთვას განრიდების გამოყენების ერთი შანსი. საქმის მასალების გაცნობის უფლება არ არის გათვალისწინებული არც ამკ-ს 41-ე მუხლში, რომელიც ეხება არასრულწლოვანის გარანტიებს განრიდების გამოყენებისას; ზემოაღნიშნული საფუძვლით, აუცილებელია განრიდების არასრულწლოვანი სუბიექტი სარგებლობდეს ბრალდების ყველა უფლებით, მათ შორის საქმის გაცნობის უფლებით.

არასრულწლოვანის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვა წითელ ხაზად უნდა გასდევდეს მართლმსაჯულების მთლიან პროცესს. არასრულწლოვანები სრულწლოვანებისგან განსხვავდებიან თავიანთი ფიზიკური და გონებრივი განვითარების დონით, ემოციური მდგომარეობითა და განათლების საჭიროებებით. სწორედ ეს განსხვავებები წარმოადგენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განსხვავებული სისტემის შექმნის საფუძველს და მოითხოვს არასრულწლოვანთა მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, არასრულწლოვანის განსაკუთრებული ფსიქოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობა, ემოციური და საგანმანათლებლო საჭიროებები მისი ბრალეულობის ნაკლები ხარისხის უდავო დასტურია და მოითხოვს სრულწლოვანებისგან განსხვავებულ მიდგომას.

„პეკინის წესების“ მიხედვით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში მიიღება არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესები.<sup>22</sup> „საუკეთესო ინტერესის ტესტი“ გულისხმობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მხრიდან დამსჯელობითი ღონისძიებების მინიმუმამდე დაყვანას და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის

<sup>21</sup> Justice in Matters Involving Children in Conflict with the Law - Model Law on Juvenile Justice and Related Commentary, pg.72, (UNODC), United Nations, New York, 2013. < [https://www.unodc.org/.../justice-and.../Justice\\_Matters\\_Involving-Web\\_version.pdf](https://www.unodc.org/.../justice-and.../Justice_Matters_Involving-Web_version.pdf) > [03.02.2017]

<sup>22</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მინიმალური სტანდარტული წესები („პეკინის წესები“);

შემდგომი რეინტეგრაციის მაქსიმალურ ხელშეწყობას.<sup>23</sup> „საუკეთესო ინტერესის ტესტი“ ასევე გულისხმობს მოსამართლის მხრიდან იმის გათვალისწინებას, თუ რა შედეგი შეიძლება მოახდინოს სასჯელმა არასრულწლოვანზე და შესაბამისად, შეუფარდოს პროპორციული, არასრულწლოვნის კეთილდღეობასა და განვითარებაზე ნაკლები გავლენის მქონე სასჯელი.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებასთან მჭიდრო კავშირშია ინდივიდუალური მიდგომა, რაც გულისხმობს, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი უნდა განისაზღვროს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში მისი სპეციფიკური მახასიათებლების, საჭიროებების, გამოცდილების, ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით. ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არასრულწლოვნის პირადი შეხედულებები მისი საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისას. პროცესის მწარმოებელი პირი ვალდებულია, რომ მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, არასრულწლოვნის მიმართ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას მის მიმართ გამოიჩინოს განსაკუთრებული ყურადღება და მხედველობაში მიიღოს არასრულწლოვნის შემდეგი ინდივიდუალური მახასიათებლები: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდის და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რაც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასებისა და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

## 5. არასრულწლოვნის კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლობა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში დიდი ყურადღება ეთმობა კანონიერი წარმომადგენლის ინსტიტუტს. კანონით გათვალისწინებულია ასევე მისი შეცვლა საპროცესო წარმომადგენლის ინსტიტუტით, ძირითადად საპროცესო მიზნებიდან გამომდინარე, რაც არ შეესაბამება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

საქმეში ჩართვისას ადვოკატმა ყოველთვის უნდა გადაამოწმოს საპროცესო წარმომადგენლის ჩართვის საფუძველი და უნდა გაარკვიოს, გამოიყენა თუ არა მის ხელთ არსებული ყველა საშუალება გამომძიებელმა კანონიერი წარმომადგენლის ჩასართავად თუ მისი ამგვარი ქმედებები ატარებდა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს. გამოძიების მწარმოებელმა ორგანომ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რომ სწორედ არასრულწლოვნის მშობლები და არა სხვა პირები იქნენ საგამომძიებო მოქმედებებში ჩართული. ამკ-ს 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიუხედავად, რომელიც ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის დაცვის იდეას, მშობელს გამოძიების მწარმოებელი ორგანოსაგან უნდა მიეცეს გონივრული ვადა საგამომძიებო მოქმედებაში მონაწილეობისათვის გამოსაცხადებლად, იმ მიზნით, რომ არასრულწლოვანს, ჰყავდეს მისი ნდობით აღჭურვილი პირი, რათა მან არ განიცადოს ფსიქოლოგიური, ემოციური შოკი.<sup>24</sup> ბავშვთა უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის (ბ) პუნქტის (III) ქვეპუნქტი პირდაპირ მიუთითებს მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის დასწრებაზე, თუ ეს ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესს არ ეწინააღმდეგება.<sup>25</sup>

ბავშვის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაციით, მონაწილე სახელმწიფოებმა ცალსახად უნდა უზრუნველყონ საქმისწარმოებაში მშობლისა და მეურვეების მაქსიმალური ჩართულობა.<sup>26</sup> კომიტეტის აზრით, ამგვარი ჩართულობის პროცესი უზრუნველყოფს დანამაულის ჩამდენი ბავშვის მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ და ემოციურ მხარდაჭერას, ამასთანავე, მათ ეხმარება ყვე-

<sup>23</sup> იქვე.

<sup>24</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, თბ., ფრაიბურგი, სტრასბურგი 2016, გვ 75.

<sup>25</sup> ჰამილტონი, ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები 2011. გვ. 87.

<sup>26</sup> ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №10 (2007); პუნქტი 54.

ლაფერი იცოდნენ თავისი შვილის შესახებ და უკეთ მართონ მომავალში საკუთარი ბავშვის ქცევა.<sup>27</sup>

თავის მხრივ, საქმეში ჩართვამდე და მის შემდეგაც, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო-მაც, შესაბამისი წარმომადგენლის გამოყოფამდე, უნდა გაარკვიოს მშობლის გამოუცხადებლობის მიზეზი, თუ რამდენად რეალურად და ობიექტურად არსებობს გამომძიებლის მიერ დასახელებული მშობლის გამოუცხადებლობის ობიექტური გარემოება. აღნიშნულის გარკვევის გარეშე წარმომადგენლის ჩართვა არასრულწლოვნის მონაწილეობით ჩასატარებელ საგამომძიებო მოქმედებებში (მაგ: დაკითხვა), თუნდაც ეს შეესაბამისობაში იყოს კანონის ფორმალურ მოთხოვნებთან, არ იქნება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებთან თანხვედრაში და ყოველთვის შეამცირებს ამ გზით მოპოვებული ინფორმაციის სანდოობის ხარისხს. ამ ყველაფერმა კი საბოლოოდ შესაძლოა გავლენა იქონიოს როგორც დაკავების კანონიერებაზე, ისე აღკვეთის ღონისძიების სახისა და ზომის შერჩევის საკითხზე.

## 6. ადვოკატი ცალკეული საგამომძიებო მოქმედებების ჩატარებისას

ამკ, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ადგენს ცალკეული საგამომძიებო მოქმედებების ჩატარების თავისებურებებს, რომლის თანახმად, ჩხრეკა და სხვა საგამომძიებო მოქმედება, რომელიც გულისხმობს არასრულწლოვნის სხეულის შიგნით შემოწმებას ან მისი სხეულიდან ნივთის ამოღებას, შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ სასამართლოს განჩინებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საფრთხე ემუქრება არასრულწლოვნის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (112-ე მუხლის მე-5 ნაწილით) დადგენილი წესი; ხოლო ჩხრეკა და სხვა საგამომძიებო მოქმედება, რომელიც გულისხმობს არასრულწლოვნის სხეულის ნაწილობრივ ან მთლიანად გაშიშვლებას, შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ სასამართლოს განჩინებით, აგრეთვე, კანონიერი წარმომადგენლის, ხოლო არასრულწლოვნის სურვილის შემთხვევაში ადვოკატის თანდასწრებითაც, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.

ამასთანავე, კანონი ადგენს სპეციალურ წესებს, რომელსაც უნდა დაექვემდებაროს ამგვარი საგამომძიებო მოქმედება. კერძოდ, ის უნდა ჩატარდეს საგამომძიებო ორგანოს საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილას. საგამომძიებო მოქმედების ჩამტარებელი პირი უნდა იყოს იმავე სქესის, რომელი სქესისაც არის არასრულწლოვანი. რაც შეეხება სხეულიდან ნივთის ამოღებას, ნებისმიერ შემთხვევაში ეს უნდა განხორციელდეს სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიის/წებართვის მქონე დანესებულებაში სერტიფიცირებული, იმავე სქესის ექიმის ან ექთნის მონაწილეობით და კანონიერი წარმომადგენლის, ხოლო არასრულწლოვნის სურვილის შემთხვევაში აგრეთვე ადვოკატის თანდასწრებით. ამასთანავე, საგამომძიებო მოქმედების ჩამტარებელი პირი უნდა იყოს იმავე სქესის, რომელი სქესისაც არის არასრულწლოვანი.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრებისას, რამდენიმე რეგიონში მონაწილეთა მხრიდან დაისვა საკითხი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში უნდა ჩატარდეს თუ არა ღამით<sup>28</sup> არასრულწლოვნის დაკითხვა და სხვა საგამომძიებო მოქმედებები.

საკითხის გადაწყვეტისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს როგორც გამოძიების ინტერესები, ისე არასრულწლოვნის ინტერესები. გამომძიებლის მიერ საგამომძიებო მოქმედების გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ღამით ჩატარებისას, თუ დაცვის მხარე არ ეთანხმება გამომძიებლის გადაწყვეტილებას და მიაჩნია, რომ არ არსებობს კანონით გათვალისწინებული გადაუდ-

<sup>27</sup> ჰამილტონი, ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები 2011. გვ. 88.

<sup>28</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-17 ნაწილი.

ბელი აუცილებლობა, ადვოკატს უფლება აქვს შესაბამის საგამოძიებო ოქმზე შენიშვნის დაფიქსირების გზით გამოხატოს თავისი პოზიცია, რაც სასამართლოს მიერ, ადვოკატის პოზიციის გაზიარების შემთხვევაში, ასეთი ფორმით მოპოვებული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის საფუძველი შეიძლება გახდეს.

დაცვის მხარე უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით არასრულწლოვანი მონმის დისტანციურად დაკითხვის ან სასამართლო სხდომამდე ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობით არასრულწლოვანი მონმის დაკითხვის ან დაკითხვის ვიდეოგადაღების შესახებ, რაც მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს დაცვის მხარის ხელში. კანონით გათვალისწინებული ეს შესაძლებლობა წარმოადგენს დაზარალებული ბავშვის ეფექტური დაცვის ქმედებით მექანიზმს, რისი წარმატებით გამოყენების შემთხვევაშიც უზრუნველყოფილი იქნება როგორც დაზარალებული არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესები, ისე ბრალდებულის უფლება საქმის სამართლიან განხილვაზე.<sup>29</sup>

ყველა საგამოძიებო მოქმედება, როგორც წესი, უნდა ჩატარდეს დღის საათებში. დაუშვებელია ბავშვთა გამოკითხვა და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება ღამით, გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ბრალდების მხარეს ეკისრება ვალდებულება დაასაბუთოს, თუ რატომაა ეს შემთხვევა გადაუდებელი. სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს და მოითხოვოს ბრალდების მხარისგან ასეთი დასაბუთება.

კოდექსის 52-ე მუხლის მე-6 ნაწილი კრძალავს არასრულწლოვნის დაკითხვას 22 საათიდან დილის 8 საათამდე, რაშიც, თუ ვიხელმძღვანელებთ ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვის სტანდარტით, კანონმდებლის მიერ დიდი ალბათობით ნაგულისხმევია როგორც ყოველგვარი გამოკითხვა-დაკითხვის, ისე ზოგადად საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დრო, გარდა სახელის, გვარის, მისამართის და მშობლების ვინაობის შესახებ ინფორმაციის გამოკითხვისა, რასაც ძალიან მცირე დრო სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ბრალდების მხარე ვერ დაასაბუთებს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველს, დაცვის მხარეს აქვს უფლება, თავისი მოსაზრება (პროტესტი) პრეტენზია დააფიქსიროს საგამოძიებო მოქმედების ოქმზე შესაბამისი შენიშვნის გაკეთებით.

ამკ იცნობს მხოლოდ სს საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლით გათვალისწინებულ ზემოაღნიშნულ შემთხვევებს და მოქმედებს მხოლოდ ჩხრეკის და სხვა ისეთი ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას, რომელთა ჩატარების პროცესი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება (ამკ – 53-ე მუხლი). გადაუდებელი აუცილებლობის გამო პირადი ჩხრეკა/დაკავება ძირითადად ხდება არასტანდარტულ სამუშაო პირობებში, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, დაუყონებლივ, რა დროსაც ხშირ შემთხვევებში, ფიზიკურად შეუძლებელია სასამართლოს შესაბამისი განჩინების მოპოვება.

სხვა საგამონაკლისო შემთხვევებს ამკ-ი არ ითვალისწინებს, რითაც ხაზს უსვამს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობას და მას ყველაზე მაღალ დონეზე მდგომ პრინციპად განიხილავს.

## 7. არასრულწლოვნის საქმის სასამართლოში განხილვა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალი კოდექსი პროცესის მწარმოებელს ავალდებულებს, რომ მის საქმესთან დაკავშირებული გადანყვეტილების გამოტანა მოხდეს გაჭიანურების გარეშე კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. კოდექსი მოითხოვს, რომ სასამართლომ საქმეთა განხილვის რიგითობის განსაზღვრისას უპირატესობა მიანიჭოს კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა საქმეებს, არ დაუშვას საქმის განხილვის გაუმართლებელი გაჭიანურება და საქმე განიხილოს სწრაფად და სამართლიანად.

სასურველია, საქმის სამართლიანი განხილვის კონტექსტში, არასრულწლოვანთა საქმეები და

<sup>29</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 6, ნაწილი 1/დ.

მასთან დაკავშირებული საჩივრები ზემდგომი ინსტანციების მიერ განიხილებოდა დასაშვებობის კრიტერიუმების გარეშე ყოველმხრივ და სრულად, თუნდაც ზეპირი მოსმენის გარეშე, რაც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვას და მეორეს მხრივ, განავითარებს სასამართლო პრაქტიკას არასრულწლოვანთა საქმეებზე.

მულტიდისციპლინური უწყებათაშორისი ჯგუფის რეგიონალური შეხვედრებისას, მონაწილეთა მხრიდან დაისვა საკითხი, როგორ რეჟიმში უნდა გაგრძელდეს საქმის განხილვა იმ არასრულწლოვნის მიმართ, რომელიც გამოძიების წარმოების დროს იყო არასრულწლოვანი და საქმის სასამართლოში განხილვისას სრულწლოვანი გახდა?

მონაწილე მხარეებს შორის იყო აზრთა სხვადასხვაობა. მოსამართლეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ საქმის განხილვა უნდა გაგრძელდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად (სპეციალიზაცია, სავალდებულო დაცვა, დახურული სხდომა და ა.შ.), ხოლო ნაწილი თვლის, რომ მას, როგორც სრულწლოვანს, ეზღუდება გარკვეული უფლებები (თავი დაიცვას პირადად, გაიხსნას სასამართლო სხდომა, არ ჰყავდეს კანონიერი წარმომადგენელი და ა.შ.).

პროკურატურის წარმომადგენლებს ცალსახად მიაჩნიათ, რომ საქმის სასამართლოში წარმართვისას ბრალდებული თუ უკვე სრულწლოვანი გახდა, მის მიმართ საქმის განხილვა უნდა დაიწყოს ან დაწყებული გაგრძელდეს, როგორც სრულწლოვნის საქმე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, ვინაიდან ამკ-ს მე-3 მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესი არის არასრულწლოვნის მონაწილეობით წარმოებული სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვა. თუმცა საკითხის ამ ფორმით გადანყვეტამ შესაძლოა დააზიანოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები და უმჯობესია, საკითხი გადაწყდეს ინდივიდუალურად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ქვეშაირი ინტერესებიდან გამომდინარე.

ადვოკატი, რომელიც უფასო იურიდიულ მომსახურებას უწევს არასრულწლოვანს, რომელსაც სასამართლოში საქმის განხილვისას ან განხილვამდე შეუსრულდა 18 წელი, მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის და ადვოკატის პროფესიული ეთიკის<sup>30</sup> ნორმების შესაბამისად. იგი განუმარტავს თავის დაცვის ქვეშ მყოფს დაცვის უფლების არსს და დასაცავი პირის სურვილის შემთხვევაში, კვლავ გააგრძელებს მისი ინტერესების დაცვას საერთო წესების დაცვით. ეს პრობლემა არ დგას მაშინ, როცა ადვოკატი დაცვას ახორციელებს საკონტრაქტო ურთიერთობის საფუძველზე.

## 8. არასრულწლოვნის სასჯელის მიზანი, ნასამართლობა

კანონის თანახმად, არასრულწლოვნისთვის დანიშნული სასჯელის მიზანს პირის რეაბილიტაცია და საზოგადოებაში რეინტეგრაცია წარმოადგენს, რაც გათვლილია საზოგადოების გრძელვადიან პერსპექტივაზე, რათა კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვი საზოგადოებას დაუბრუნდეს საზოგადოებაში დამკვიდრებული დადებითი ღირებულებების მქონე კანონმორჩილ პიროვნებად.

ამ მიზანს ემსახურება არასრულწლოვნის ნასამართლობის გაქარწყლების განსხვავებული პირობები. არასრულწლოვანს ნასამართლობა გაქარწყლებულად ჩაეთვლება სასჯელის მოხდისთანავე, ხოლო პირობითი მსჯავრის შემთხვევაში – გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე. ნასამართლობის დაუყოვნებლივ გაქარწყლება მნიშვნელოვნად ამცირებს მის მიერ დანაშაულის განმეორების რისკს და უდავოდ ხელს უწყობს პირის რეაბილიტაცია/რესოციალიზაციას. ეს შედეგათი აღარ იმოქმედებს, თუკი პირი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს. მიუხედავად პრაქტიკაში გამოთქმული აზრთა სხვადასხვაობისა, ამკ-ს მე-12 მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების ფრაზა „კვლავ ჩაიდენს დანაშაულს“ უნდა განიმარტოს, როგორც „კვლავ ჩაიდენს დანაშაულს

<sup>30</sup> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, თავი II, მუხლი 8.

სასჯელის მოხდის პერიოდში ან პირობითი მსჯავრდებისას – გამოსაცდელი ვადის გასვლამდე“. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანმა ისე მოიხადა სასჯელი ან პირობითი მსჯავრდებისას, გამოსაცდელი ვადა, რომ ამ პერიოდში დანაშაული არ ჩაუდენია, ის ნასამართლობის არმქონედ ითვლება (ამკ-ს მე-12/1). მე-12 მუხლის მეორე ნაწილი გამოიყენება, თუ მან სასჯელის მოხდის პერიოდში ან გამოსაცდელი ვადის გასვლამდე კვლავ ჩაიდინა დანაშაული. ასეთ შემთხვევაში არასრულწლოვნის ნასამართლობის გაქარწყლებისთვის შემოთავაზებულია განსხვავებულად შემცირებული ვადები.

ინფორმაცია არასრულწლოვნის ნასამართლობის შესახებ მიჩნეული უნდა იყოს როგორც კონფიდენციალური და არ უნდა მოხდეს არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების რაიმე სახით გამჟღავნება ან გამოქვეყნება, გარდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხოლო 16 წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემები, გარდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, შეიძლება გამჟღავნდეს ან გამოქვეყნდეს მხოლოდ მისი და მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით და თუ მათი გამჟღავნება და გამოქვეყნება შეესაბამება მის საუკეთესო ინტერესებს.

არასრულწლოვნის პირველი მსჯავრდების შემთხვევაში, მოსამართლე უფლებამოსილი ხდება არასრულწლოვანს დაუნიშნოს კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე ნაკლები ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი, თუ მის მიმართ წარსულში არ ყოფილა გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი და სახეზეა შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა, რის გამოც მიზანშეწონილია კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა. თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით დავას იწვევს ისეთი შემთხვევა, როცა წარსულში, მართალია, გამოტანილია არასრულწლოვნის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი, მაგრამ გაქარწყებულია ან მოხსნილია ნასამართლობა საერთო წესით. ასეთ შემთხვევაში საკითხი გადაწყდება ნასამართლობის მოხსნის ან გაქარწყლების საერთო წესების დაცვით, ვინაიდან მოქმედი წესი მეტად შეესაბამება ბავშვის ქვამარიტ ინტერესს და წარსულში გამამტყუნებელი განაჩენის ზოგადად არსებობა (იმ პირობებში, როცა არასრულწლოვანს დანაშაული არ ჩაუდენია სასჯელის მოხდის პერიოდში ან გამოსაცდელი ვადის გასვლამდე, ანუ „არ ითვლება ნასამართლევად“) არ იქნება დამაბრკოლებელი გარემოება სასამართლოს მიერ კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე ნაკლები ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელის გამოყენებისთვის.

## დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ მულტიდისციპლინური ჯგუფების შეხვედრებისას მიღწეულ ზემოხსენებულ შეთანხმებებს და დათქმებს არ აქვს კანონის ძალა, იგი მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად განხორციელებისთვის.

წარმოდგენილ სტატიაში დაცვის მხარის თვალთ დანახული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული ინოვაციური საკითხების განხილვისა და მისი გადაჭრის გზების შემოთავაზების მიზანია არასრულწლოვნის საპროცესო უფლებების შესახებ სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და იმ პრობლემების გაშუქება, რასაც ადგილი ჰქონდა კოდექსის მოქმედების მცირე პერიოდში და შესაძლოა, კვლავ ჰქონდეს ადგილი პრაქტიკაში დაცვის უფლების განხორციელებისას.

მულტიდისციპლინარულ უწყებათაშორის ჯგუფებში არსებული აზრთა სხვადასხვაობა, მიუხედავად მათი მონაწილეობის საერთო მიზნისა (გამოვლენილ იქნეს ამკ-ს აღსრულების პროცესში წარმოქმნილი ხარვეზები და უწყებებს შორის ჩამოყალიბდეს ერთიანი ხედვა ამ გამომწვევ-

ბის საპასუხოდ), ცხადყოფს, რომ არსებობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ხარვეზებით წარმართვის საფრთხე, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად დააზიანოს არასრულწლოვნის ინტერესები.

ამკ-ს მუხლობრივი განხილვის, მათი ანალიზის შედეგად, ნათელია კანონმდებლის ნება, მართლმსაჯულების მთელი პროცესის განმავლობაში არასრულწლოვნის უპირატესი ინტერესების ხარისხიანად დაცვის პრიმატის შესახებ, რაც უდავოდ მისასაღმებელი ფაქტია და გვაძლევს იმედის საფუძველს, რომ აღნიშნული წესების დაცვით უზრუნველყოფილი იქნება არასრულწლოვნის ქეშმარიტი ინტერესებისა და საზოგადოების კეთილდღეობის/უსაფრთხოების დაცვა.



# არასრულწლოვანთა სასჯელის მოხდის საერთაშორისო სტანდარტების ზოგადი მიმოხილვა

მაია (ზოია) ხასია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის დოქტორანტი,  
მრჩეველი ციხეების საკითხებში, ნითელი ჯვრის  
საერთაშორისო კომიტეტი

## შესავალი

არასრულწლოვანი/მოზარდი ეს ის სინონიმებია, რომლის ქვეშ მოიაზრება ბავშვი, რომელიც უნდა იზრდებოდეს და ყალიბდებოდეს ოჯახის, სკოლისა და მეგობრების გარემოცვაში. ბავშვთა უფლებათა კონვენცია ხაზს უსვამს ოჯახის როლს ბავშვის ჩამოყალიბებაში და ადგენს სტანდარტს იმ გარემო პირობებისა, რომელშიც იგი უნდა იზრდებოდეს, „ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია იგი იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულის და ურთიერთგაგების ატმოსფეროში.“<sup>1</sup> შესაბამისად, ნებისმიერი კარგი გარემო სასჯელის მოხდის ადგილებში და მასში რეგულირების ეფექტური მექანიზმების არსებობა, არ გამორიცხავს ციხის უარყოფით ზეგავლენას ბავშვის განვითარებაზე. ნებისმიერ შემთხვევაში საზოგადოებისაგან იზოლირებულად, სასჯელის მოხდის ადგილებში ყოფნა უარყოფით დალს ასვამს ბავშვის როგორც ფსიქოლოგიურ, ისე ფიზიკურ განვითარებას, რადგანაც ეს არის გარემო, სადაც ბავშვი მონყვეტილია ყოველდღიური ცხოვრების რიტმს, მისთვის ჩვეულ ზრუნვასა და გარემოს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა მუდმივი ზრუნვის საგანს წარმოადგენს მსოფლიოში, ის ეტაპობრივად განიცდის ცვლილებას და ვითარდება ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. ქართული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განვითარების ისტორიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოზიტიურ და წარმატებულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალი სისტემა, რომელმაც ძირეულად შეცვალა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან მიდგომისა და მათთან მოპყრობის ფორმები და მეთოდები. მეცნიერები საუბრობენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირებასა და მის პრიორიტეტულ მნიშვნელობაზე (მათ შორის უნდა მოვიაზროთ საქართველოში განხორციელებული რეფორმა), „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემამ ევროპაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ბოლო 15 წლის განმავლობაში, განსაკუთრებით პოსტ სოციალისტურმა ქვეყნებმა. თუმცა ასევე დასავლეთ ევროპაში შეიძლება ზოგჯერ აღმოვაჩინოთ განსხვავებული და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სანინაალმდეგო პოლიტიკა: მაგალითად, ნეოლიბერალური ტენდენციები, კონკრეტულად ინგლისსა და უელსში, ასევე ნიდერლანდებში (see Cavadino and Dignan 2002: 284 ff.; 2006: 215 ff.). სხვა ქვეყნებში – როგორცაა გერმანია, მაგალითად – „მინიმალური ინტერვენციის“, ზომიერი ჩარევის პოლიტიკა (განრიდებასა და საგანმანათლებლო ღონისძიებებზე პრიორიტეტის მინიჭება) შენარჩუნებული იყო (see Dünkel

<sup>1</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ბავშვთა უფლებათა კონვენცია“, პრეამბულა, დოკუმენტი ხელმისაწვდომია მისამართზე: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)

2005). ბევრ ქვეყანაში აღდგენითი მართლმსაჯულების ელემენტები იყო განხორციელებული (მე-  
დიაცია, საოჯახო კონფერენცია).<sup>2</sup>

არასრულწლოვანთა დანაშაულის გამომწვევი მიზეზები საზოგადოებაში მრავლადაა და იგი  
დიდად არ განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, როგორცაა, მაგალითად ბავშვი, რომელიც იზრ-  
დება ძალადობრივ გარემოში; სოციალური გარემო და ღირებულებები, რომელშიც ბავშვი ყალ-  
ბდება; ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ეკონომიური სიდუხჭირე; სტიგმა და  
სხვა. ნებისმიერი ამ და სხვა ფაქტორების არსებობა, მიუხედავად იმისა, თუ რომელმა ფაქტორმა  
გამოიწვია ბავშვის დევიანტური ქცევა, ის კანონთან კონფლიქტში ყოფნის გამო ხშირად ხვდება  
თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, წყდება ოჯახს და გარემოს, სადაც იზრდება და ყალიბდება.

მთავარი კითხვა, რომელიც ისმება არასრულწლოვნის სასჯელის მოხდის ადგილებში მოხ-  
ვედრის შემთხვევაში, არის, თუ რა მოხდება შემდგომ, როცა იგი სასჯელს მოიხდის. ერთხელ,  
ბავშვობის ასაკში ჩადენილი გადაცდომა დაუფდება იმის ფასად, რომ მთელი შემდგომი ცხოვრება  
ამ სტიგმით იცხოვროს და ვერ დაუბრუნდება ნორმალურ ცხოვრებას, თუ ამ მოკლე პერიოდით  
შესაძლებელია დასრულდეს მისი, როგორც დამნაშავეს ცხოვრება და დაბრუნდება საზოგადოე-  
ბრივ ცხოვრებაში როგორც სრულფასოვანი წევრი. აღნიშნულ კითხვებზე პასუხი შესაძლებელია  
გასცეს მხოლოდ სასჯელის აღსრულების ფორმებმა და მექანიზმებმა, რომელიც ამა თუ იმ ქვეყ-  
ანაში არსებობს. როგორი განვითარებული და არასრულწლოვანთა საჭიროებებს მორგებულიც  
არ უნდა იყოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის სხვა სფეროები, თუ სას-  
ჯელაღსრულების სისტემა ხასიათდება ხარვეზებით პასუხი აღნიშნულ კითხვებზე შესაბამისად  
ნეგატიური იქნება. ამდენად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ერთ-ერთ გადამწყვეტ ელე-  
მენტს წარმოადგენს სწორედ სასჯელაღსრულების სისტემა, მასში არსებული გარემო პირობები  
და რეგულირების მექანიზმები. წინამდებარე სტატია მოიცავს სწორედ სასჯელის აღსრულების  
საერთაშორისო სტანდარტების გარკვეულ ნაკრებს და მის მოკლე ანალიზს.

## 1. არასრულწლოვანთა სასჯელის მოხდის მარეგულირებელი საერთაშორისო სტანდარტები

მოცემული საერთაშორისო სტანდარტები შესაძლებელია განვიხილოთ ორ ჯგუფად: ა) სტან-  
დარტები, რომლებიც პირდაპირ არ არიან შემუშავებული არასრულწლოვანთა სისხლის სამართ-  
ლის მართლმსაჯულების სისტემის რეგულირების მიზნით, მაგრამ გარკვეულწილად, სხვა საკითხ-  
ებთან ერთად პირდაპირ თუ არაპირდაპირ ეხება მას; ბ) სტანდარტები, რომლებიც ადგენენ  
არასრულწლოვანთა სასჯელის მოხდის სტანდარტებსა და პროცედურებს და შემუშავებულია  
სწორედ მოცემული სფეროს დარეგულირების მიზნით.

### პირველი ჯგუფის დოკუმენტები:

#### ბავშვთა უფლებათა კონვენცია (შემდგომში – კონვენცია)

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან  
საერთაშორისო ინსტრუმენტებად ექსპერტები განიხილავენ ბავშვის უფლებათა კონვენციას და  
სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტს.

მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია არ წარმოადგენს ვინრო რეგულირების მექანიზმს სისხ-  
ლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში, ის ნათლად წარმოაჩენს ხედვას, თუ როგორი  
უნდა იყოს იგი არასრულწლოვნებთან მიმართებაში: „ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხ-  
ორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, – სახელმწიფო

<sup>2</sup> Prof. Dr. Frieder Dünkel, “Juvenile justice systems in Europe – current situation, reform developments and good practices”, დოკუ-  
მენტი ხელმისაწვდომია მისამართზე: [www.kekidatabank.be/docs/Onderzoek/JuJu\\_expose\\_englisch\\_13.04.pdf](http://www.kekidatabank.be/docs/Onderzoek/JuJu_expose_englisch_13.04.pdf)

თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები – უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.<sup>3</sup> კონვენცია პრიორიტეტს ანიჭებს ბავშვის სრულ ჩართულობას პროცესში, რაც უნდა ხორციელდებოდეს ბავშვის ინტერესებზე დაყრდნობით, მისი უფლებებისა და საჭიროებების, ასევე მისი მოსაზრებების გათვალისწინებით. მთავარი პრიორიტეტი უნდა ენიჭებოდეს პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა მოდელს და საშუალებებს მათ შორის სასჯელის ალტერნატივებს.

კონვენცია არ განიხილავს კონკრეტულ დათქმებს, რომელიც ორიენტირებულია პენიტენციური სისტემის სპეციფიკაზე და ამდენად, პირდაპირ არ პასუხობს წინამდებრე სტატიის მოთხოვნებს, თუმცა იგი განიხილავს მიდგომებს, რომელიც ეხება ქვეყნის შიგნით არსებულ ნებისმიერ ინსტიტუტს და მის საქმიანობას არასრულწლოვნებთან მიმართებაში „მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ ყოველი ბავშვის უფლებას, რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება მისი დარღვევა ან აღიარებულია მის დამრღვევად“.<sup>4</sup>

კონვენცია განსაზღვრავს არასრულწლოვანთა მიმართ ისეთ მოპყრობას, რომელიც ხელს უნდა უწყობდეს მისი ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელოვნების გრძობის განვითარებას. ასევე დამოკიდებულებას, რომელიც ემსახურება არასრულწლოვანთა ადამიანის უფლებებისადმი და სხვათა ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემის განმტკიცებას. „მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ ყოველი ბავშვის უფლებას, უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის.“<sup>5</sup> როგორც ვხედავთ, აქ საუბარი არ არის თუ როგორი უნდა იყოს პენიტენციური დაწესებულება, სადაც არასრულწლოვანი იმყოფება, მაგრამ ის განმარტავს თუ როგორი უნდა იყოს ბავშვის განვითარებისადმი მიდგომა, მაგალითად, ასეთი უფლებების კონტექსტში კონვენცია განიხილავს:

**ა. განათლების უფლებას,** სადაც განმარტავს მოთხოვნას სახელმწიფოსადმი, რომ დაანესონ უფასო და სავალდებულო დაწყებით განათლება, ასევე ხელი შეუწყონ როგორც ზოგადი, ისე პროფესიული საშუალო განათლების სხვადასხვა ფორმების განვითარებას და უმაღლესი განათლების მიღებას, მასალებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, ყველასათვის თითოეულის უნარის შესატყვისად. ის, რომ კონვენციის მოთხოვნა ეხება ყველას შესაძლებლობას, გვაძლევს მოცემული მოთხოვნები პირდაპირ რეგულირების მექანიზმად განვიხილოთ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან მიმართებაშიც.

**ბ. ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობა,** სადაც კონვენცია განმარტავს ყველა ბავშვისათვის აუცილებელი სამედიცინო დახმარებისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობას, ასევე პირველადი სამედიცინო-სანიტარიული დახმარების უზრუნველყოფას. მოცემულ შემთხვევაშიც, როგორც სხვა უფლებებთან მიმართებაში, კონვენცია სახელმწიფოებს უყენებს მოთხოვნას შექმნან ბავშვებისათვის უსაფრთხო გარემო როგორც კვების, ასევე სანიტარიული მდგომარეობისა და ადეკვატური სამედიცინო დახმარების ჩათვლით, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი, ანუ ნებისმიერ შემთხვევაში არასრულწლოვანი იმყოფება სახლში, რაიმე ტიპის სხვა ინსტიტუციაში თუ პენიტენციურ დაწესებულებაში.

სს მართლმსაჯულების პირველ ეტაპთან დაკავშირებით კონვენცია მოუწოდებს ნევრ სახელმწიფოებს გაითვალისწინონ ბავშვის ასაკი და მისი რეინტეგრაციის, საზოგადოებაში მის მიერ სასარგებლო როლის შესრულებისათვის ხელშეწყობის მნიშვნელობა, რომ არც ერთ ბავშვს არ უნდა აღეკვეთოს თავისუფლება უკანონოდ ან თვითნებურად, ამდენად, ადგენს მკაცრ შეზღუდვას დაკავების პროცედურებთან დაკავშირებით. გარდა დაკავების პროცედურებისა, კონვენცია ეხება ბავშვის მიმართ პატიმრობის ღონისძიების გამოყენებას, როგორც უკიდურეს ღონისძიებას.

<sup>3</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ბავშვთა უფლებათა კონვენცია“, ნაწილი I, მუხლი 3.

<sup>4</sup> იგივე, მუხლი 40.

<sup>5</sup> იგივე, მუხლი 27, პუნქტი 1.

„მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ: ბავშვის დაპატიმრება, დაკავება ან ციხეში მოთავსება ხორციელდება კანონის თანახმად და განიხილება, როგორც მხოლოდ უკიდურესი ზომა რაც შეიძლება ნაკლები პერიოდის განმავლობაში.“ იმ შემთხვევაში, თუ, მიუხედავად ზემოაღნიშნული შეზღუდვებისა, ადგილი ექნება ბავშვის დაკავებას, კონვენციაში ვხვდებით პირველადი პროცედურების რეგულირებას, სადაც ის ადგილს უთმობს ყოველი თავისუფლებააღკვეთილი ბავშვის უფლებას, დაუყონებლივ მიიღოს სამართლებრივი და სხვა შესაბამისი დახმარება, ასევე მის უფლებას, გააპროტესტოს მისი თავისუფლების აღკვეთის კანონიერება სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს წინაშე და მოუწოდებს შესაბამის ორგანოებს, რომ მათ დაუყონებლივ გამოიტანონ გადაწყვეტილება ნებისმიერი ასეთი პროცესუალური ქმედების თაობაზე.

კონვენციაში გარკვეულწილად ვხვდებით კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან მოპყრობის სტანდარტებს, მათი პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობასა და ჰუმანური მოპყრობის კონტექსტში „ყოველ თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს უნდა ეპყრობოდნენ ჰუმანურად და პიროვნების განუყრელი ღირსების პატივისცემით, ისე, რომ გათვალისწინებული იყოს მისი ასაკის პირთა მოთხოვნილებები.“<sup>6</sup> ასევე განიხილავს მათი განთავსებისადმი სპეციფიკურ მიდგომას ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე. „ღონისძიებათა მიზანია ბავშვისადმი იმგვარი მოპყრობის უზრუნველყოფა, როგორც შეესაბამება ბავშვის კეთილდღეობის ინტერესებს, აგრეთვე მის მდგომარეობას და დანაშაულის ხასიათს.“

### **პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (ნელსონ მანდელას წესები) – (შემდგომ – მსნ) და ევროპული პენიტენციური წესები (შემდგომში - ეპნ):**

მსნ და ეპნ არ არიან სავალდებულო ხასიათის რეგულაციები, თუმცა ისინი არიან სახელმძღვანელო დირექტივების უმნიშვნელოვანესი ნაკრები, რომლებიც ადგენენ პენიტენციური სისტემის რეგულირების ფორმებს და მეთოდებს მისი ყველა შემადგენელი ელემენტის მიმართ. ისინი ასევე არ განიხილება დოკუმენტებად, რომელიც არასრულწლოვანთა სასჯელის მოხდის პროცედურებს არეგულირებს, თუმცა მასში ვხვდებით არაერთ მნიშვნელოვან რეკომენდაციას არასრულწლოვნთა სასჯელის მოხდის ნაწილში, მაგალითად, განმარტებას, თუ ვინ მოიაზრება არასრულწლოვან პატიმართა კატეგორიის ქვეშ, „არასრულწლოვანი პატიმრების კატეგორიას უნდა განეკუთვნებოდეს ყველა ახალგაზრდა დამნაშავე, რომელიც ექვემდებარება არასრულწლოვანთა სასამართლოების კომპეტენციას. როგორც წესი, ასეთი ახალგაზრდების მიმართ თავისუფლების აღკვეთის ზომად პატიმრობა არ უნდა გამოიყენებოდეს.“<sup>7</sup>

ორივე დოკუმენტში ვხვდებით არაერთ ასპექტს სასჯელის მოხდის პროცედურებთან დაკავშირებით, მათ შორის სასჯელის მოხდის ადგილებში არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან დამოკიდებულების ნაწილში, როგორცაა, მაგალითად, განთავსება. „არასრულწლოვანი პატიმრები განთავსებულ უნდა იქნენ სრულწლოვანი პატიმრებისგან განცალკევებით.“<sup>8</sup> ეპნ უფრო აკონკრეტებს განთავსების საკითხებს, „თუ არასრულწლოვნები მოთავსებული არიან ციხეში, ისინი უნდა იმყოფებოდნენ ცალკე განყოფილებაში, რომელიც გამოყოფილია მოზრდილი პატიმრებისათვის განკუთვნილი ნაწილისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მიჩნეულ იქნება, რომ ეს ბავშვის ინტერესებს ეწინააღმდეგება.“<sup>9</sup> სრულწლოვანთა ციხეში განთავსების შემთხვევისას ეპნ განმარტავს შესაბამის მართვის მექანიზმებს, რომელიც მოიზრებს არასრულწლოვანთა განვითარებისათვის ხელშემწყობი სერვისების ხელმისაწვდომობას, „როცა გამონაკლის შემთხვევებში 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნები მოთავსებული არიან მოზრდილებისთვის განკუთვნილ

<sup>6</sup> იგივე, მუხლი 37, პუნქტი გ.

<sup>7</sup> პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 1955 წელი, წესი 5. (2).

<sup>8</sup> იგივე, წესი 8,

<sup>9</sup> ევროპული ციხის წესები, მინისტრთა კომიტეტის, რეკომენდაცია REC (2006)2, 11 იანვარი, 2006 წელი, წესი 35.5.

ციხეში, ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა პატიმრისათვის განუვლ მომსახურებების გარდა, არასრულწლოვან პატიმრებს აგრეთვე გაეწიოთ სოციალური, ფსიქოლოგიური და საგანმანათლებლო მომსახურება, რელიგიური მზრუნველობა და გაჯანსაღების ღონისძიებები, ან საზოგადოებაში ბავშვთათვის არსებული მსგავსი პროგრამების ეკვივალენტური ღონისძიებები ყოველ არასრულწლოვან პატიმარს, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო განათლებას, ხელი უნდა მიუწვდებოდეს ასეთ განათლებაზე.<sup>10</sup>

მსნ ასევე განიხილავს გარკვეულ სპეციფიკურ მოთხოვნებს, როგორცაა სავალდებულო და პროფესიული განათლება და სპორტი: „სპორტი – სათანადო ფიზიკურ მდგომარეობაში მყოფი არასრულწლოვანი და სხვა პატიმრები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ ფიზიკური ვარჯიშის დროს – თამაშის შესაძლებლობით. ამისათვის საჭიროა სათანადო მოედნების, დანადგარებისა და ინვენტარის არსებობა. პროფესიული განათლება – სასარგებლო ხელობის სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეთ იმ არასრულწლოვან პატიმრებს, რომლებიც საამისოდ დიდ მონდომებასა და უნარს ამჟღავნებენ. სავალდებულო განათლება – იმ ქვეყნებში, სადაც ეს დაშვებულია, პატიმრები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ შემდგომი განათლების მიღების შესაძლებლობით, რელიგიური განათლების ჩათვლით. წერა-კითხვის უცოდინართა და არასრულწლოვანთა განათლება სავალდებულო უნდა იყოს და ციხის მართვის ორგანოებმა ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ. პატიმრების განათლება შეძლებისდაგვარად დაკავშირებული უნდა იყოს ქვეყანაში არსებულ განათლების სისტემასთან იმ მიზნით, რომ მომავალში ამ პატიმრებმა დაუბრკოლებლად შეძლონ სწავლის გაგრძელება.<sup>11</sup>

გარდა იმ რეკომენდაციებისა, რომლებიც ორიენტირებულია არასრულწლოვანთა მოპყრობაზე ციხეში ყოფნის დროს, ის ასევე ყურადღებას უთმობს მათ მხარდაჭერას გათავისუფლების შემდეგ „დამატებითი დახმარება უნდა გაეწიოთ ბავშვებს, რომელთა გათავისუფლება ხდება ციხიდან.“<sup>12</sup>

## 2. გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციის შესახებ (რიადის პრინციპები)<sup>13</sup>

რიადის სახელმძღვანელო პრინციპები აქცენტს აკეთებს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის მიმართ ისეთი სახის ღონისძიებების გამოყენებაზე, რომლებიც აადვილებს ყველა ბავშვისა და ახალგაზრდა პირის წარმატებულ სოციალიზაციასა და ინტეგრაციას. პრინციპები ყურადღებას ამახვილებს ოჯახების, საზოგადოების, თანატოლების ჯგუფის, სკოლების, პროფესიული ტრენინგებისა და სამუშაოში ჩაბმის როლზე და არასრულწლოვანის სოციალიზაციის და ინტეგრაციის მნიშვნელოვან ელემენტზე. ასევე თვითონ არასრულწლოვანის, როგორც თანასწორი პარტნიორის ჩართვას მისი რესოციალიზაციის პროცესში, „შესაბამისი ყურადღება უნდა გამახვილდეს ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაფერის პიროვნულ განვითარებაზე და ისინი მიჩნეულ უნდა იქნენ სრულყოფილ და თანასწორ პარტნიორებად სოციალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესში.<sup>14</sup>

**ა. ოჯახი** – პრინციპები პრიორიტეტს ანიჭებს ოჯახის როლს ბავშვის განვითარების პროცესში და ადგენს სახელმწიფოთა ვალდებულებას ხელი შეუწყონ ოჯახის განვითარებას ბავშვის

<sup>10</sup> იგივე, წესი 35.1, 35.2, 35.4.

<sup>11</sup> იგივე, წესი 21 (2), 71, (5), 77 (1).

<sup>12</sup> იგივე, წესი 35.3.

<sup>13</sup> გაერო-ს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით (UN Guidelines for the Prevention of Crime, 24 July 2002), რიადის პრინციპები ადგენს სტანდარტებს, რომელთა მიზანია არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია. დოკუმენტი ხელმისაწვდომია მისამართზე: [https://www.unodc.org/.../criminal.../UN\\_standards\\_and\\_norms\\_in\\_crime\\_prevention](https://www.unodc.org/.../criminal.../UN_standards_and_norms_in_crime_prevention)

<sup>14</sup> იგივე, თავი IV სოციალიზაციის პროცესი, პუნქტი 10.

ინტერესებიდან გამომდინარე, „მთავრობებმა უნდა განახორციელონ ისეთი პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის აღზრდას სტაბილურ და წყნარ ოჯახურ გარემოში. ოჯახებს, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას არასტაბილური ან კონფლიქტური პირობების გადაჭრაში, უნდა გაეწიოთ შესაბამისი დახმარება.“<sup>15</sup>

**ბ. განათლება** – პრინციპები ყურადღებას უთმობს საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებას, მის ხელმისაწვდომობას ნებისმიერი არასრულწლოვნისათვის და მის უზრუნველყოფას განიხილავს, როგორც მთავრობების ვალდებულებას, რომ „მთავრობებს აკისრიათ ვალდებულება ყველა ახალგაზრდისათვის ხელმისაწვდომი გახადონ საჯარო განათლება.“<sup>16</sup> გარდა განათლების ხელმისაწვდომობისა, ის ასევე ადგენს სტანდარტებს, რომლებსაც უნდა ეფუძნებოდეს განათლების პროცესი, როგორცაა: ძირითადი ფასეულობების სწავლება, ბავშვის კულტურული თვითმყოფადობის განვითარება და პატივისცემას იმ ქვეყნის სოციალური ფასეულობების შესაბამისად, რომელშიც ბავშვი ცხოვრობს; პიროვნების განვითარება და პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, ახალგაზრდა პირების ტალანტების, სულიერი და ფიზიკური შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა; საგანმანათლებლო პროცესში ახალგაზრდა პირების აქტიურად და ეფექტიანად ჩართვა და პოზიტიური ემოციური მხარდაჭერის აღმოჩენა ახალგაზრდა პირებისათვის და არასწორი ფსიქოლოგიური მოპყრობის თავიდან აცილება.

**გ. საზოგადოება** – პრინციპები განიხილავენ საზოგადოების როლს არასრულწლოვანთა განვითარების სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა სფეროში და განმარტავენ მთავრობების ვალდებულებას, ხელი შეუწყონ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ვალანტორულ ჯგუფებს, რომლებიც ახორციელებენ პროგრამებს იმ არასრულწლოვნების მიმართ, რომლებიც ასეთ პროგრამებს საჭიროებენ.

**დ. მასმედია** – პრინციპები აღიარებს მასმედიის როლს ბავშვის განვითარების პროცესში და ხაზს უსვამს მასმედიის ნახალისების საჭიროებას, რათა მან უზრუნველყოს, რომ ახალგაზრდა პირებს ჰქონდეთ ინფორმაციისა და მასალების ხელმისაწვდომობა მრავალმხრივი ეროვნული და საერთაშორისო წყაროებიდან. ასევე, მასმედიას აკისრებს სხვადასხვა ნეგატიური ქმედებების პრევენციის ვალდებულებას, რომ თავიდან იქნეს აცილებული დამამცირებელი და ღირსების შემლახველი პრეზენტაციები, განსაკუთრებით ბავშვებთან, ქალებთან და სხვა მოწყვლად ჯგუფებთან მიმართებით. რიადის პრინციპები მოუწოდებენ მთავრობებს მიიღონ და განახორციელონ კონკრეტული კანონები და პროცედურები, რათა ხელი შეუწყონ და დაიცვან ყველა ახალგაზრდა ადამიანის უფლებები და კეთილდღეობა.

მნიშვნელოვანია პრინციპების დამოკიდებულება არასრულწლოვანთა სტიგმატიზაციისა და კრიმინალიზაციის თავიდან აცილების საკითხში, იგი შემდეგნაირად უდგება სტიგმატიზაციის პრობლემის გადაჭრის საკითხს: „იმისათვის, რომ აღვკვეთოთ ახალგაზრდა პირების შემდგომი სტიგმატიზაცია, ვიქტიმიზაცია და კრიმინალიზაცია, განხორციელებულ უნდა იქნეს კანონმდებლობა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ ითვლება დანაშაულად მისი ჩადენის პერიოდში, არ ითვლებოდეს დანაშაულად და არ ისჯებოდეს იმ შემთხვევაში, თუკი იგი ჩადენილ იქნება ახალგაზრდა პირის მიერ“.<sup>17</sup> რიადის პრინციპების შეაჯამებელ ნაწილში ყურადღება ეთმობა კვლევას, პოლიტიკის განვითარებასა და კოორდინაციას, სადაც განიხილავს ღონისძიებებს მიმართულს არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილებისა და პრევენციის საკითხებში.

<sup>15</sup> იგივე პუნქტი 13.

<sup>16</sup> იგივე, პუნქტი 20.

<sup>17</sup> იგივე, თავი VI. კანონმდებლობა და არასრულწლოვნებთან დაკავშირებული მართლმსაჯულების განხორციელება, პუნქტი 56.

### 3. სტანდარტები, რომლებიც ადგენენ არასრულწლოვანთა სასჯელის მოხდის პროცედურებს

ზემოაღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სტანდარტების გარდა, არსებობს არაერთი სტანდარტი, რომელიც სწორედ შემუშავებულია იმ მიზნით, რომ დაადგინოს არასრულწლოვნებთან მოპყრობის სტანდარტები სასჯელის მოხდის ადგილებში და შექმნილია იმ მიზნის მისაღწევად, რომ სასჯელის მოხდამ არ იქონიოს დამანგრეველი ზეგავლენა არასრულწლოვანის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე.

#### გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ („პეკინის წესები“) – (შემდგომში პეკინის წესები)

სახელმძღვანელოში „ვმუშაობთ ერთად ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის მხარდასაჭერად“<sup>18</sup> ექსპერტები განმარტავენ პეკინის წესების დანიშნულებას, სადაც აღნიშნულია, რომ „ძირითადი მიზნები შეეხება მთლიან სოციალურ პოლიტიკას და მიმართულია არასრულწლოვანთა კეთილდღეობის მაქსიმალურად ხელშეწყობისაკენ, რაც შეამცირებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების გამოყენების აუცილებლობას და შესაბამისად, შეამცირებს ზიანს, რაც შეიძლება გამოიწვიოს [მართლმსაჯულების] გამოყენებამ“. ამდენად პეკინის წესებს აქვს ზოგადი ხასათი და ის სასჯელის მოხდაზე ორიენტირებულ დოკუმენტს არ წარმოადგენს. კერძოდ, წესებში ვხვდებით სს მართლმსაჯულების სიტემის სხვადასხვა ასპექტის რეგულირებას, როგორცაა სასამართლო განხილვის პროცედურები, პოლიციის სპეციალიზაცია და სხვა.

**ა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიზნები** – მიზნები ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს. პირველი მიზანი – ეს არის არასრულწლოვანთა კეთილდღეობის ხელშეწყობა და მეორე, „პროპორციულობის (თანაზომიერების) პრინციპი“, რომელიც შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც დამსჯელობითი სანქციების შემაკავებელი საშუალება, რომელთა რეალიზებაც ძირითადად გამოიხატება ნებისმიერი გადაწყვეტილების სამართლიანი მიდგომით მიღებაში სამართალდარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით.

**ბ. დისკრეციული უფლებამოსილება** – დისკრეციული უფლებამოსილება თავის თავში აერთიანებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ეფექტური, სამართლიანი და ჰუმანური ადმინისტრირების რამდენიმე ძირითად ელემენტს, როგორცაა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება პროცესის წარმოების ყველა მნიშვნელოვან ეტაპზე, რათა მათ, ვინც იღებს გადაწყვეტილებებს, შეეძლოთ იმ ღონისძიებების გატარება, რომლებიც ყველაზე მეტად მიესადაგება მოცემულ საქმეს; შემონიშნება და ბლანსირება, რათა თავიდან იქნეს აცილებული დისკრეციული უფლებამოსილებით ბოროტად სარგებლობა და დაცულ იქნეს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის უფლებები, ანგარიშვალდებულება და პროფესიონალიზმი. ამგვარად, პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებასა და საექსპერტო მომზადებას განსაკუთრებული როლი ენიჭება არასრულწლოვანთა საქმეებზე დისკრეციული უფლებამოსილების კეთილგონივრულად გამოყენების უზრუნველყოფისას.<sup>19</sup>

**გ. არასრულწლოვანთა უფლებები** – უფლებათა კონტექსტში წესები აქცენტს აკეთებს იმ უფლებებზე, რომლებიც წარმოადგენენ მიუკერძოებელი და სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის გარანტიას, როგორცაა უდანაშაულობის პრეზუმფცია, დაცვის უფლების უზრუნველყოფა და სხვა. „სამართალწარმოების ყველა ეტაპზე გარანტირებული უნდა იყოს ძირითადი პროცესუალური გარანტიები, როგორცაა, უდანაშაულობის პრეზუმფცია, უფლება, გაეცნოს

<sup>18</sup> სახელმძღვანელო „ვმუშაობთ ერთად ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის მხარდასაჭერად“, UNISF, 2016.

<sup>19</sup> გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ („პეკინის წესები“), პუნქტი 3.1.

ნაყენებულ ბრალდებას, დუმილის უფლება, დაცვით სარგებლობის უფლება, მშობლის ან მეურვის დასწრების უფლება, მოწმეთა დაპირისპირებისა და ჯვარედინი დაკითხვის უფლება და უფრო მაღალ ინსტანციაში გასაჩივრების უფლება.<sup>20</sup>

**დ. პირადი ცხოვრების დაცვა** – განსაკუთრებულად მგრძობიარე თემად უნდა განვიხილოთ არასრულწლოვანის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის უპირატესი მნიშვნელობა, რადგანაც არასრულწლოვანი, რომელიც ხვდება თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, მეტად ექვემდებარება სტიგმატიზაციას, ვიდრე სრულწლოვანი, ამდენად, „ყველა ეტაპზე დაცულ უნდა იქნეს არასრულწლოვანის უფლება პირად ცხოვრებაზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული არასათანადო საჯაროობით ან რეპუტაციის შელახვით გამოწვეული ზიანი. ზოგადად, არ შეიძლება გამოქვეყნდეს ინფორმაცია, რომელიც ხელს შეუწყობს არასრულწლოვანის პიროვნების დადგენას.“<sup>21</sup>

**ე. წინასწარი პატიმრობა** – წესები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემას მოუწოდებს წინასწარი პატიმრობის თავიდან აცილებისაკენ, არასრულწლოვანის კეთილდღეობის ინტერესის გათვალისწინებით, მისი როგორც უკიდურესი ღონისძიების გამოყენებასა და ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენებისაკენ. ის ასევე მოუწოდებს პატიმრობის ალტერნატიული მეთოდების გამოყენებისკენ, როგორცაა მუდმივი ზედამხედველობა, ინტენსიური მეურვეობა ან ოჯახში, ან სასწავლო დაწესებულებაში განთავსება და სხვა, აღნიშნული ალტერნატიული ღონისძიებები შესაძლებელია განსხვავდებოდეს ქვეყანაში არსებული კანონებისა და სპეციფიკის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ ალტერნატიული ღონისძიებები არ იქნება გამოყენებული, წესები უთითებს, რომ „წინასწარი პატიმრობის განმავლობაში არასრულწლოვნებზე უნდა ზრუნავდნენ, ისინი უნდა იყვნენ დაცულნი და მიიღონ სათანადო ინდივიდუალური დახმარება – სოციალური, საგანმანათლებლო, პროფესიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო და ფიზიკური – რაც შეიძლება აუცილებელი იყოს მათი ასაკის, სქესისა და პიროვნების გათვალისწინებით“.<sup>22</sup>

**ვ. ინსტიტუციური მოპყრობა** – პეკინის წესები ინსტიტუციური მოპყრობის ფარგლებში განიხილავს პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსების სტანდარტებს, სადაც იგი ადგილს უთმობს პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ არასრულწლოვნებთან მოპყრობის სპეციფიკას, რომელიც განსხვავდება იმ პირობებისაგან, რაც უნდა იქნეს შექმნილი სრულწლოვნებთან მიმართებაში, „დაწესებულებაში განთავსებული არასრულწლოვნები მიიღებენ მზრუნველობას, დაცვასა და საჭირო დახმარებას – სოციალურს, საგანმანათლებლო, პროფესიულ, ფსიქოლოგიურ, სამედიცინო და ფიზიკურს – რაც შეიძლება აუცილებელი იყოს მათი ასაკის, სქესისა და პიროვნების გათვალისწინებით, აგრეთვე მათი სრულყოფილი განვითარების ინტერესების შესაბამისად.“<sup>23</sup> აქვე ადგილი ეთმობა სპეციფიკურ მიდგომას ახალგაზრდა სამართალდამრღვევ ქალებთან მიმართებაში მათი საჭიროებების გათვალისწინებით.

**თ. პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების გამოყენება** – წესები მოუწოდებს სახელმწიფოებს ვადამდე ადრე გათავისუფლების უფრო ხშირად და ეფექტურად გამოყენებისკენ. თუმცა ის ყურადღების მიღმა არ ტოვებს გათავისუფლების შემდგომ კონტროლის საჭიროებას და ასეთი კონტროლის ფორმებსა და მეთოდებს „სათანადო ხელისუფლების ორგანო დახმარებასა და ზედამხედველობას გაუწევს დაწესებულებიდან პირობით განთავისუფლებულ არასრულწლოვანს, რომელმაც უნდა მიიღოს საზოგადოების სრული მხარდაჭერაც“.<sup>24</sup>

მიზანშეწონილი იქნება პეკინის წესებში ბოლო შემაჯამებელ პუნქტად განვიხილოთ წესების მეექვსე ნაწილი, რომელიც ეძღვნება კვლევას, დაგეგმვას, პოლიტიკის ფორმულირებასა და შეფასებას. ყოველი მოცემული კომპონენტი უნდა მოვიზიზროთ ეფექტურობის გარანტიად როგორც სასაზღვრო სტანდარტების პროცესში, ასევე სასაზღვრო მოხელის შემდგომ საზოგადოებაში ინტეგრაციის თვალსაზრისით.

<sup>20</sup> იგივე, თავი - „არასრულწლოვანთა უფლებები, პუნქტი“ 7.1.

<sup>21</sup> იგივე, თავი „პირადი ცხოვრების დაცვა“, პუნქტი 8.

<sup>22</sup> პეკინის წესები, წესი 13.

<sup>23</sup> პეკინის წესები, წესი 26.2.

<sup>24</sup> პეკინის წესები, წესი 28.2.



## გაეროს წესები თავისუფლებათა დაცვითი არასრულწლოვნების დასაცავად („ჰავანის წესები“)<sup>25</sup>

ჰავანის წესები მოწოდებულია ხელი შეუშალოს იმ უარყოფით ზეგავლენას, რომელიც ახასიათებს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში არასრულწლოვანთა განთავსებას და შესაბამისად, ხელი შეუწყოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ ჩართულობას. ამასთან, წესები წარმოადგენს გარკვეულ გზამკვლევს იმ სპეციალისტებისათვის, რომელიც ახორციელებენ ასეთი დაწესებულების მართვას.

ნიშნდობლივია, ჰავანის წესების განმარტება არასრულწლოვანთა პატიმრობის შესახებ – „თავისუფლების აღკვეთა ნიშნავს ნებისმიერი პირის ნებისმიერი ფორმით დაკავებას ან დაპატიმრებას, ან მის განთავსებას სახელმწიფო თუ კერძო გამასწორებელ დაწესებულებაში, სადაც არასრულწლოვანს სასამართლოს, ადმინისტრაციული თუ სხვა სახელმწიფო ორგანოებს გადაწყვეტილებით არ ეძლევა უფლება მისი სურვილისამებრ დატოვოს ეს ადგილი“.<sup>26</sup> წესები განიხილავს რეგულირების მექანიზმებს დაპატიმრებულ ან სასამართლო პროცესის მოლოდინში მყოფ არასრულწლოვნებთან მიმართებაში, და განმარტავს, რომ ისინი სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ითვლებიან უდანაშაულოდ და უნდა ჰქონდეთ შესაბამისი მოპყრობა.

წესები საუბრობს იმ მოთხოვნებზე, რომლებსაც უნდა პასუხობდეს სასჯელალსრულების დაწესებულება, „თავისუფლების აღკვეთა უნდა ხორციელდებოდეს იმ პირობებში და გარემოებებში, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა დაცვას. არასრულწლოვნის ინტერესებიდან გამომდინარე, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში გარანტირებული უნდა იყოს ეფექტური ღონისძიებები და პროგრამები, რომელიც ხელს შეუწყობს მათ ჯანმრთელობასა და თავმოყვარეობას, პასუხისმგებლობის გრძობის განვითარებას და ისეთი დამოკიდებულებებისა და უნარ-ჩვევების ფორმირებას, რაც დაეხმარება მათ მათი, როგორც საზოგადოების წევრის პოტენციალის განვითარებას.<sup>27</sup> როგორც ვხედავთ, წესები მთავარ აქცენტს აკეთებს რამოდენიმე ძირითად მიმართულებაზე, როგორცაა უფლებების განუხრელი დაცვის უზრუნველყოფა, ჯანმრთელობის დაცვის ადეკვატური პირობების უზრუნველყოფა, არასრულწლოვანში თავმოყვარეობის გრძობის გაღრმავება და მისი დაცვა, ბოლოს კი საუბრობს პროგრამების აუცილებლობაზე, რომელიც უნდა დაეხმაროს არასრულწლოვანს ჩამოყალიბდეს საზოგადოების სრულყოფილებიან წევრად. აქვე უნდა აღინიშნოს სპეციფიკური რეკომენდაცია დაწესებულების ზომებთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ დახურულ ინსტიტუციებში არ უნდა იყოს განთავსებული მსჯავრდებულთა დიდი რაოდენობა, რათა შესაძლებელი იყოს ინდივიდუალური მიდგომების გამოყენება.

წესები პრიორიტეტს ანიჭებს არასრულწლოვნებთან ინდივიდუალური მიდგომების გამოყენებას, სადაც განმარტავს, რომ „შემოსვლიდან უმოკლეს დროში უნდა ჩატარდეს გასაუბრება არასრულწლოვანთან და უნდა მომზადდეს ფსიქოლოგიური და სოციალური ანგარიში“.<sup>28</sup> აღნიშნული გასაუბრებების მიზანს წარმოადგენს მოპყრობის, მოვლისა და პროგრამების დაგეგმვა არასრულწლოვნის საჭიროებებზე დაყრდნობით. წესები ადგენს შეზღუდვებს, რომ არასრულწლოვანი უნდა მოთავსდეს მხოლოდ იმ დაწესებულებაში, სადაც გათვალისწინებული იქნება მისი სპეციფიკური საჭიროებები, რაც შეესაბამება მათ ასაკს, სქესს, ინდივიდუალობას, ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობას, რაც მაქსიმალურად დაიცავს მათ უარყოფითი ზემოქმედებისაგან. განთავსების პირობები, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს არასრულწლოვნის აღზრდის საჭიროებას, მის ემოციურ მდგომარეობას, თანატოლებთან ურთიერთობას, სპორტულ და საგან-

<sup>25</sup> United Nations General Assembly, United Nations Rules for the Protection of Juveniles Deprived of their Liberty (the Havana Rules), adopted by resolution 45/113, 14 December 1990, ჰავანის წესებში დეტალურადაა მოცემული თავისუფლებათა დაცვითი არასრულწლოვანზე ზრუნვისა და მის მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტები. დოკუმენტი ხელმისაწვდომია მისამართზე: [www.un.org/documents/ga/res/45/a45r113](http://www.un.org/documents/ga/res/45/a45r113)

<sup>26</sup> იგივე, პუნქტი 3.2.

<sup>27</sup> გაეროს წესები თავისუფლებათა დაცვითი არასრულწლოვნების დასაცავად („ჰავანის წესები“), თავი მეორე, წესების მოქმედების სფერო და გამოყენება, პუნქტი 12.

<sup>28</sup> იგივე, პუნქტი 27.

მანათლებლო პროგრამებში მონაწილეობას. რაც შეეხება საძინებელ ოთახებს, წესები განმარტავს, რომ ის უნდა იყოს მცირე ზომის პატარა ჯგუფებისათვის.

წესებში პირველ პლანზეა წამოწეული პირადი ნივთების ქონის აუცილებლობა და განმარტავს, რომ „შესაძლებლობა, რომ ჰქონდეთ პირადი ნივთები, წარმოადგენს პირადი ცხოვრების უფლების ერთერთ ძირითად ელემენტს და აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა არასრულწლოვანის ფსიქოლოგიური კეთილდღეობისთვის.“<sup>29</sup> გარდა სხვა პირადი ნივთებისა, წესებში ვხვდებით პირადი ტანსაცმლის ქონის აუცილებლობას, სადაც განსაკუთრებით ხაზს უსვამს შემთხვევას, როდესაც არასრულწლოვანი უნდა იქნეს გაყვანილი დაწესებულების გარეთ, როდესაც ის გვევლინება საზოგადოების უარყოფითი რეაქციისა და სტიგმატიზაციის თავიდან აცილების გარანტიად.

თავში „განათლება, პროფესიული მომზადება და დასაქმება“, გარდა სტანდარტული ზოგადი რეგულირებისა, წესები განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს განათლების ადეკვატურობასა და მის ხარისხზე, რომ „ყველა სასკოლო ასაკის არასრულწლოვანს აქვს განათლების მიღების უფლება მისი საჭიროებების და შესაძლებლობების მიხედვით, რაც მიზნად ისახავს მის საზოგადოებაში დაბრუნებისათვის მომზადებას“.<sup>30</sup> აქვე საუბრობს ადმინისტრაციის ვალდებულებაზე, შექმნას პირობები მოწყვლადი ჯგუფებისათვის, როგორცაა უცხოელები, ასევე არასრულწლოვნები, რომლებსაც გააჩნიათ სპეციფიკური კულტურული და ეთნიკური საჭიროებები, ასევე განსაკუთრებული სირთულეები აღქმის თვალსაზრისით. მოცემულ წესებში ვხვდებით სასწავლო პროცესის რეგულირებას გათავისუფლების შემდგომ იმ პირების მიმართ, რომლებიც იყვნენ ჩართული საგანმანათლებლო პროგრამებში და გახდნენ სრულწლოვანი, მოცემულ შემთხვევაში ასეთ პირებს უნდა მიეცეს სწავლის გაგრძელების უფლება შესატყვისი პროგრამით. აქვე ადგილი აქვს დათმობილი პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის დროს მიღებული განათლების დამატებითურებელი დოკუმენტის ფორმას, სადაც, წესების თანახმად, არ უნდა იყოს არავითარი ჩანაწერი, რომ პირმა განათლება მიიღო პენიტენციურ სისტემაში ყოფნის დროს.

არასრულწლოვანთა შრომასთან დამოკიდებულებაში წესები განმარტავს, რომ მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა შეარჩიონ სამუშაოს ტიპი. თუმცა, გარდა ამისა, სიფრთხილით ეკიდება არასრულწლოვანთა დასაქმების საკითხს და ადგენს სტანდარტს, რომ „ყველა ეროვნული და საერთაშორისო დამცავი ნორმები, რომელიც გამოიყენება ბავშვთა შრომასა და ახალგაზრდა დასაქმებულებთან მიმართებაში უნდა იყოს და გავრცელდეს იმ არასრულწლოვნებზე, რომლებიც იმყოფებიან თავისუფლების აღკვეთის პირობებში.“<sup>31</sup>

ჰავანის წესებს ახასიათებს სპეციფიკური მიდგომები, რომლებსაც არასრულწლოვნების კონტექსტში უმნიშვნელოვანესი როლი აქვს, მაგალითად, სპორტთან მიმართებაში, გარდა იმისა, რომ არასრულწლოვანს უნდა ჰქონდეს დრო და შესაბამისი აღჭურვილობა სრულყოფილი ფიზიკური ვარჯიშისათვის, აქვე წესები განმარტავს ფიზიკური შესაძლებლობების გათვალისწინებისა და სამკურნალო ვარჯიშების ხელმისაწვდომობის აუცილებლობას, რომ „პენიტენციურმა დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ყველა არასრულწლოვნის ფიზიკური შესაძლებლობა, მიიღოს მონაწილეობა ფიზიკური მომზადების შემოთავაზებულ პროგრამაში. არასრულწლოვანს, რომელსაც ესაჭიროება სამკურნალო ფიზიკური ვარჯიში და თერაპია, შეეთავაზება შესაბამისი კურსი სამედიცინო ზედამხედველობის ფარგლებში.“<sup>32</sup>

წესები განიხილავს სამედიცინო მომსახურებას და მის ხელმისაწვდომობას არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებაში, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მათ ასაკს, სქესს, საჭიროებებს, სადაც განმარტავს მომსახურების ხარისხს და სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. აქვე ვხვდებით განმარტებებს, რომლებიც არასრულწლოვნებთან მიმართებაში გაცილებით მაღალ მოთხოვნებს აყენებს, მაგალითად, „სამედიცინო მომსახურე-

<sup>29</sup> იგივე, პუნქტი 35.

<sup>30</sup> იგივე, პუნქტი 38.

<sup>31</sup> იგივე, პუნქტი 44.

<sup>32</sup> იგივე, პუნქტი 47.

ბას, რომელიც მიენოდება არასრულწლოვნებს, უნდა ემსახურობდეს მიზანს, გამოავლინოს და განკურნოს ნებისმიერი ფიზიკური თუ ფსიქიკური დაავადება, ნარკომანია თუ სხვა გადახრა, რომელსაც შეუძლია შეაფერხოს არასრულწლოვნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა<sup>33</sup>. ამასთანავე, იგი ადგენს ამკრძალავ დათქმას, რომ „არასრულწლოვნებზე არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება გამოიყენოს მედიკამენტები და მკურნალობის მეთოდები. ნებისმიერი სამედიცინო საშუალების გამოყენება ყოველთვის უნდა იყოს სანქციონირებული და მოხდეს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მიერ“<sup>34</sup>. განსხვავებით სრულწლოვნებისაგან, რომლებზეც აღნიშნული ექსპერიმენტის დაშვება შესაძლებელია მისი სურვილისა და თანხმობის შემთხვევაში.

წესები ფართოდ უთმობს ადგილს გარე სამყაროსთან ურთიერთობას, რაც არასრულწლოვნის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს, სადაც განმარტავს, რომ „ყველა საშუალება უნდა იყოს გამოყენებული იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს არასრულწლოვნის სათანადო კავშირი გარე სამყაროსთან, რაც წარმოადგენს სამართლიანი და ჰუმანური მოპყრობის უფლების განუყოფელ ნაწილს და აქვს უმთავრესი მნიშვნელობა არასრულწლოვნის საზოგადოებაში დასაბრუნებლად მომზადებისათვის“<sup>35</sup>.

მნიშვნელოვანია მოთხოვნა, რომელსაც წესები დისციპლინური გამოყენების ნაწილში აყენებს პენიტენციური ადმინისტრაციების წინაშე. „ყველა დისციპლინური ზომა და პროცედურა უნდა ემსახურობდეს უსაფრთხოებასა და წესრიგის დაცვას, შეესატყვისებოდეს მთავარ ამოცანას, როგორცაა არასრულწლოვანთა განუყოფელი ღირსების დაცვა, პასუხობდეს თავისუფლების აღკვეთის მთავარ მიზანს, სამართლიანობის გრძნობა, თავმოყვარეობა და ყოველი ადამიანის ძირითადი უფლებების პატივისცემა“<sup>36</sup>.

არასრულწლოვანთა სასჯელის მოხდის პროცესი უნდა ექვემდებარებოდეს სისტემატურ კონტროლს და ინსპექტირებას, რადგანაც ის უნდა შეესატყვისებოდეს არასრულწლოვანთა განვითარების საზოგადოებაში არსებულ სტანდარტებს, რათა, პირველ რიგში, სასჯელის მოხდის შემდგომ არასრულწლოვანი უნდა იყოს მზად ადვილად ინტეგრირდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მეორე, სტიგმატიზაციისაგან გათავისუფლება. ყოველივე ზემოაღნიშნული უნდა იყოს გარანტირებული ორი ძირითადი ასპექტით, ესაა დამოუკიდებელი მონიტორინგის სისტემისა და გასაჩივრების ეფექტური მექანიზმების არსებობა. ასევე ვხვდებით გასაჩივრების პროცედურების რეგულირებას და უფლებას, ნებისმიერ ინსტანციაში გადააგზავნოს საჩივარი მისი სურვილის შესაბამისად. წესები კრძალავს ცენზურას და მოუწოდებს საჩივრის განხილვის დამოუკიდებელი მექანიზმების შექმნაზე. „ზომები უნდა იქნეს მიღებული თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა საჩივრების მიღების, განხილვისა და სამართლიანი დარეგულირების ხელშეწყობის მიზნით დამოუკიდებელი სამსახურის (ომბუდსმენის) შესაქმნელად“<sup>37</sup>.

პერსონალი და მათი მომზადება პენიტენციური სისტემის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს და მისი როლი სასჯელის მიზნის მიღწევაში ნიშანდობლივია. ყველა საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც პენიტენციური სისტემის საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებისკენაა მიმართული, ადგილს უთმობს სისტემის პერსონალის ხარისხსა და მის მომზადება/გადამზადებას. ჰავანის წესები საუბრობენ როგორც პერსონალის კვალიფიკაციაზე, ასევე მათ კატეგორიზაციაზე და განმარტავენ, რომ მასში უნდა მოიაზრობდეს საკმარისი რაოდენობა ისეთი პერსონალისა, როგორცაა აღმზრდელი, პროფესიული მომზადების ინსტრუქტორი, სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი და ფსიქიატრი. წესებში ადგილი ეთმობა შერჩევის პროცედურებს და მომზადებას, სადაც ყურადღებას უთმობს ისეთ მახასიათებლებს, როგორცაა ჰუმანურობა, არასრულწლოვნებთან მუშაობის უნარი, პროფესიული უნარები „პერსონალმა უნდა მიიღოს ისეთი მომზადება, რომელიც მას საშუალებას მისცემს ეფექტურად შეასრულოს თავისი მოვალეობები, მათ

<sup>33</sup> იგივე, პუნქტი 51.

<sup>34</sup> იგივე, პუნქტი 55.

<sup>35</sup> იგივე, პუნქტი 59.

<sup>36</sup> იგივე, თავი ლ. დისციპლინური რეჟიმი, პუნქტი 66.

<sup>37</sup> იგივე.

შორის ნაწილობრივ მომზადება საბავშვო ფსიქოლოგიის, ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში და საერთაშორისო ნორმების გაცნობა, ადამიანის უფლებებისა და ბავშვთა უფლებების სფეროში.<sup>38</sup>

### გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №10 მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ

ზოგად კომენტარებში განხილულია ბავშვთა უფლებათა კონვენციაში განხილული უფლებების სრული სპექტრი კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან მიმართებაში. კომენტარებში განმარტებულია დანაშაულის უკიდურესად უარყოფითი ზეგავლენა ბავშვების განვითარებასა და ადამიანის უფლებათა დაცვის როლზე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის მიზნების მისაღწევად, „ძირითადი უფლების დაცვამ შედეგად უნდა მოიტანოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ისეთი პოლიტიკის ამოქმედება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ბავშვის განვითარების საკითხებს.“<sup>39</sup>

კომენტარები სახელმწიფოებს ავალდებულებს დაიცვან კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნები ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისაგან. „დაიცვან კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების თანაბარი მოპყრობის უფლება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დეფაქტო დისკრიმინაციას და უთანასწორობას, რომელიც შეიძლება არათანმიმდევრული პოლიტიკიდან გამომდინარეობდეს და განსაკუთრებით შეეხოს ბავშვების ისეთ დაუცველ ჯგუფებს, როგორებიც არიან, მაგალითად, ქუჩის ბავშვები, ბავშვები, რომლებიც მიეკუთვნებიან რასობრივ, ეთნიკურ, რელიგიურ ან ლინგვისტურ უმცირესობებს; გოგონები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები და აგრეთვე ის ბავშვები, რომლებიც ხშირად არღვევენ კანონს (რეციდივისტები). ამ კუთხით, მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირებაში მონაწილე ყველა სპეციალისტის მომზადება. გარდა ამისა, საჭიროა შემუშავებულ და დაცულ იქნეს წესები და რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფს კანონდამრღვევი ბავშვის მიმართ თანასწორ მოპყრობას და ასევე უზრუნველყოფს გამოსწორებისა და კომპენსაციის მექანიზმებს.“<sup>40</sup>

კომენტარებში განმარტებულია ბავშვის ქვემარტი ინტერესის როლი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულების პროცესში და ასახელებს მისი გათვალისწინების საჭიროების ობიექტურ საფუძვლებს, როგორიცაა უფროსებისგან განსახვავებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარება, ემოციური და საგანმანათლებლო საჭიროებები და სწორედ ესაა ის განსხვავებები, რის საფუძველზეც კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებს უნდა დაეკისროთ შედარებით მსუბუქი პასუხისმგებლობა. ეს განსხვავებები წარმოშობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განცალკევებისა და ბავშვების მიმართ განსხვავებული მოპყრობის საჭიროებას. პრინციპები განმარტავს, თუ რაში უნდა გამოიხატოს კანონდამრღვევი ბავშვის ქვემარტი ინტერესების დაცვა, „კანონდამრღვევი ბავშვების მიმართ გულისხმობს, სისხლის სამართლის ისეთი ტრადიციული ამოცანების ჩანაცვლებას, როგორიცაა რეპრესია/დასჯა რეაბილიტაციითა და აღდგენითი მართლმსაჯულებით, რაც აუცილებელია განხორციელდეს საზოგადოების უსაფრთხოების საკითხის გათვალისწინებით.“<sup>41</sup>

ნიშანდობლივია განმარტება, რომ „ბავშვების მიერ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, მიღებული ზომა უნდა იყოს დანაშაულის გარემოებებისა და სიმძიმის პროპორციული და ასევე ითვალისწინებდეს საზოგადოებრივი უსაფრთხოების საჭიროებას. ბავშვების შემთხვევაში, მათი კეთილდღეობის, მათი ქვემარტი ინტერესების დაცვისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობის საჭიროებას უპირატესობა უნდა მიენიჭოს ამგვარი ფაქტორების გათვალისწინებით.“<sup>42</sup>

<sup>38</sup> იგივე, თავის ვ. პერსონალი, პუნქტი 85.  
<sup>39</sup> გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №10 მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ, ქვეთავი „დისკრიმინაციის დაუშვებლობა“, პუნქტი 6.  
<sup>40</sup> იგივე.  
<sup>41</sup> იგივე, ქვეთავი, „ბავშვის ქვემარტი ინტერესი“, პუნქტი 10.  
<sup>42</sup> იგივე, პუნქტი 71.

**ზოგადი კომენტარი №14 (2013 14 (2013 წ. წ.) ) ბავშვის უფლების შესახებ,  
მის საუკეთესო ინტერესს დაეთმოს უპირველესი ყურადღება  
(მე-3 მუხლის პირველი პუნქტი)**

კომენტარებში ძირითად განხილულია კონვენციის მესამე მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც საუბრობს ბავშვის ქვეყნარტი ინტერესებზე, მის შეფასებასა და მართლმსაჯულების სისტემის დამოკიდებულებაზე ბავშვის ქვეყნარტი ინტერესების გათვალისწინებით. კომენტარები განმარტავს, რომ ბავშვის ქვეყნარტი ინტერესები არ არის სფერო, რომელიც ერთჯერადად უნდა შეფასდეს და იქნეს გამოყენებული, არამედ „ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება უნიკალური საქმიანობაა, რომელიც უნდა განხორციელდეს თითოეულ ინდივიდუალურ საქმეში თითოეული ბავშვის, ბავშვთა ჯგუფის ან ზოგადად ბავშვების კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.<sup>43</sup> კომენტარები ასევე საუბრობს, თუ როგორ უნდა შეფასდეს ბავშვის ქვეყნარტი ინტერესები, რომელიც ძირითადად, ეყრდნობა ბავშვის ინდივიდუალურ მახასიათებლებს, როგორცაა „ასაკი, სქესი, სიმწიფის ხარისხი, გამოცდილება, უმცირესობათა ჯგუფისადმი კუთვნილება, ფიზიკური, სენსორული ან ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის ქონა, ისევე, როგორც სოციალური და კულტურული კონტექსტი, რომელშიც ბავშვი ან ბავშვები აღმოჩნდებიან, როგორცაა მშობლების არსებობა ან არარსებობა, ცხოვრობს თუ არა ბავშვი მათთან, ბავშვის ურთიერთობების ხარისხი თავის ოჯახთან ან მზრუნველებთან, გარემო უსაფრთხოების თვალსაზრისით, ოჯახისათვის ხელმისაწვდომი ხარისხიანი ალტერნატიული საშუალებების არსებობა, ნათესავები, მზრუნველები და სხვ.“<sup>44</sup> აქვე კომენტარები ამომწურავად განიხილავს ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისას გასათვალისწინებელ ელემენტებს, როგორცაა: ა) ბავშვის მოსაზრებები – რაც მოიაზრებს ბავშვის უფლებას, გამოხატოს თავისი მოსაზრებები ნებისმიერი იმ გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც მის მიმართ იქნება მიღებული; ბ) ბავშვის იდენტობა – როგორცაა სქესი, სექსუალური ორიენტაცია, რელიგია და რწმენა, კულტურული იდენტობა, პიროვნება; გ) ოჯახური გარემოსა და ურთიერთობების შენარჩუნება – ბავშვზე მშობლებთან დაშორების ზეგავლენის სიმძიმეიდან გამომდინარე, ამგვარი დაშორება უნდა განხორციელდეს მხოლოდ როგორც უკიდურესი ზომა, როდესაც ბავშვს ემუქრება უშუალო საფრთხე, ან, როდესაც ეს სხვაგვარად არის აუცილებელი; დ) ბავშვზე ზრუნვა, მისი დაცვა და უსაფრთხოება – რომ ეს ცნებები არ უნდა იყოს განხილული უარყოფით კონტექსტში, როგორც ზიანისაგან დაცვა, არამედ იგი უნდა იქნეს განხილული პოზიტიურ კონტექსტში, როგორც ბავშვის „კეთილდღეობისა“ და განვითარების უზრუნველყოფა „ბავშვთა კეთილდღეობა, ფართო გაგებით, გულისხმობს მათ ძირითად მატერიალურ, ფიზიკურ, საგანმანათლებლო და ემოციურ საჭიროებებს, ისევე, როგორც სიყვარულისა და უსაფრთხოების საჭიროებას.“<sup>45</sup> ე) დაუცველობა – სადაც განხილულია მონყვლადი ჯგუფები და მათ მიმართ ყველა იმ უფლებების განხორციელების აუცილებლობა, რომელიც სხვა არასრულწლოვან პირებზე იქნება გავრცელებული. მონყვლად ჯგუფებად მოიაზრება „შეზღუდული შესაძლებლობები, უმცირესობის ჯგუფისადმი, ლტოლვილის ან თავშესაფრის მაძიებლის სტატუსი, ძალადობის მსხვერპლობა, ქუჩაში ცხოვრება და სხვ.“<sup>46</sup> ვ) ბავშვის უფლება, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვით – გარდა იმისა, რომ კომენტარებში ვხვდებით ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობას ბავშვის ასაკის, სქესისა და სხვა საჭიროებების გათვალისწინებით, აქვე ხაზს უსვამს შესაბამისი მკურნალობის ვალდებულებას. მოცემული თავი ასევე მოიცავს ინფორმაციას „თამბაქოსა და სხვა ნივთიერებების მოხმარების, კვების შესახებ, სათანადო ინფორმაციას სქესობრივი და რეპროდუქციული საკითხების, ნაადრევი ორსულობის რისკების, აივ/მიდს-ისა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების შესახებ; ზ) ბავშვის განათლების

<sup>43</sup> ზოგადი კომენტარი №14 (2013 14 (2013 წ. წ.) ) ბავშვის უფლების შესახებ, მის საუკეთესო ინტერესს დაეთმოს უპირველესი ყურადღება (მე-3 მუხლის პირველი პუნქტი), პუნქტი 32.

<sup>44</sup> იგივე პუნქტი ა. საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა, ქვეპუნქტი 48.

<sup>45</sup> იგივე, ქვეპუნქტი 71.

<sup>46</sup> იგივე, ქვეპუნქტი 75.

უფლება, რომელშიც განმარტებულია ბავშვის უფასო და მალალხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა.

**ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო დირექტივები  
ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების თაობაზე  
(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2010 წლის 17 ნოემბერს)**

ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო დირექტივები ერთ-ერთი უახლესი დოკუმენტია, რომელიც განიხილავს სპეციალიზებული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სიტემის შექმნას, როგორცაა: სპეციალიზებული მოსამართლეებისა და ადვოკატების და სასამართლოების შექმნა, რომლებიც მხოლოდ ბავშვთა საკითხებზე იმუშავებენ; ბავშვებსა და მათ მშობლებზე ორიენტირებული ღონისძიებების გამოყენების აუცილებლობა. ამასთან, დირექტივები მოუწოდებს სახელმწიფოს გასაჩივრების მექანიზმების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისაკენ, რომ აღიარონ და გააძლიერონ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა დამოუკიდებელი ინსტიტუტების როლი გასაჩივრების მექანიზმების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სფეროში როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

დირექტივები ხაზს უსვამს მულტიდისციპლინარულ მიდგომებს, ბავშვის მიმართ გამოტანილი ყველა გადაწყვეტილებისათვის საერთო ჩარჩოს შექმნას, და განმარტავს, რომ „ყველა პროფესიონალისთვის (ადვოკატები, ფსიქოლოგები, პოლიცია, საიმპერაციო სამსახურების პერსონალი, სოციალური მუშაკები და მედიატორები), რომლებიც სამართალწარმოებასთან ან სხვა ინტერვენციასთან დაკავშირებული, ან მონაწილე ბავშვების შეფასებაზე არიან პასუხისმგებელი, შეფასების საერთო ჩარჩო უნდა შემუშავდეს, რათა ეს ინფორმაცია გადაწყვეტილებების მიღებაზე პასუხისმგებელ პირებს წარედგინოს და ბავშვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები ამ შეფასებებზე დაყრდნობითა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით იქნეს მიღებული.“<sup>47</sup>

გარდა სს მართლმსაჯულების სიტემის სხვადასხვა ელემენტის განხილვისა, დირექტივები მთავარ აქცენტს აკეთებს სს მართლმსაჯულების სისტემის მონაწილე ყველა იმ სპეციალისტის, სპეციალიზებულ მომზადებას, რომლებიც ბავშვთა საკითხებზე მუშაობენ, ასევე შესაბამისი მხარდაჭერისა და ტრენინგების გაივლის საჭიროებას, რომლებიც განსაკუთრებულად ადგილს უთმობს ბავშვთა უფლებების ეფექტურად განხორციელების ხელშეწყობას, განსაკუთრებით კი ბავშვთა საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და გათვალისწინების მიზნით ისეთი პროცედურების განხორციელების პროცესში, რომლებიც ბავშვის მდგომარეობაზე ახდენენ ზეგავლენას. იმ პერსონალის მალალი პროფესიონალიზმი და მათი სისტემატური მომზადება-გადამზადება, კანონთან კონფლქტში მყოფ არასრულწლოვნებთან მოპყრობისა და მათთან მუშაობის სპეციფიკის საკითხებში სს სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს.

**დასკვნა**

საქმიანობის პროცესში ჩვენ შევხვდებით არაერთ სხვა წესსა და პრინციპს, რომელსაც აქვს როგორც საერთაშორისო, ისე რეგიონული ხასიათი, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მიმართულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სიტემის და მათ შორის არასრულწლოვანთა სასჯელის აღსრულების სიტემის დარეგულირებისაკენ. წინამდებარე სტატია, რომლის მიზანია არასრულწლოვანთა სასჯელის მოხდის სტანდარტების მიმოხილვა, განიხილავს მათ ძირითად ნაწილს, რომლის ყოველდღიურ საქმიანობაში გამოყენება სს მართლმსაჯულების სისტემის ეფექტურობისა და მისი სისტემური განვითარების გარანტად შეიძლება მოვიზარით.

<sup>47</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო დირექტივები ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების თაობაზე ბავშვზე (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2010 წლის 17 ნოემბერს, პუნქტი V, ე. ქვეპუნქტი).

---

მთავარი აქცენტები, რომლებსაც მოცემულ სტანდარტებში ვხვდებით, არის არასრულწლოვანთა განვითარებისათვის შესატყვისი სასჯელის აღსრულების ადგილების შექმნა და ფორმირება, სადაც ძირითადი ყურადღება დაეთმობა არასრულწლოვანთა განვითარებას საზოგადოებაში არსებული სტანდარტების შესაბამისად, ოჯახთან და იმ ადამიანებთან სისტემატური კონტაქტის შენარჩუნებით, რომლების დადებით ზეგავლენას ახდენენ მათ განვითარებაზე. სასჯელის მოხდის პროცესის ბაზირება არასრულწლოვანთა განათლებასა და პროფესიულ მომზადებაზე, დასაქმებისათვის საჭირო უნარების ჩამოყალიბებასა და მათ ფიზიკურ და ფსიქიკურ მომზადებაზე საზოგადოებაში დასაბრუნებლად, სადაც ის თავისუფალი იქნება სტიგმისა და უარყოფითი ზემოქმედებისგან და სადაც აქტიურად შეძლებს ჩაერთოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

## ოჯახის ფაქტორი არასრულწლოვნის სამართლებრივი აღზრდისა და მართლშეგნების ამაღლებისათვის

ლუარა ჭანტურია

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და  
სამართლის ინსტიტუტის თანამშრომელი

**„ოჯახი უნდა იყოს სახლი სათნოებისა  
და სახლი სიყვარულისა“.  
ღირსი იოსებ ოპტინელი**

**„ბავშვის ბუნება საიდუმლოთა საიდუმლოა. ბავშვი იგივე ადამიანია და  
მით უფრო ძნელი საცნობელია, რომ ძნელ წასაკითხ ქარაგმით დანერვილია...  
არ უნდა გვიკვირდეს, რომ, რასაც დიდ მდინარეში ვპოულობთ,  
იმას მის სათავეშიაც ვხედავთ. ბავშვი სათავეა, დასაწყისია დიდი ადამიანისა“.  
წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე)**

ოჯახი საზოგადოების პირველადი უჯრედი და ერთიანი, ცოცხალი ორგანიზმია, მეტად მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანია ოჯახის ფაქტორი და ფუნქციები თანამედროვე საზოგადოებაში, რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენს მოზარდში სამართლებრივი აღზრდისა და მართლშეგნების ამაღლება, შექმნას და განავითაროს ადამიანი, ჩამოუყალიბოს მას სწორი ჩვევები და გახადოს შემოქმედი ძალა და ერის ორგანული ნაწილი.

ოჯახი ერთგვარი შიდაეკლესიაა, რომელიც ოჯახის სივრცეში სინამდის უნდა იცავდეს. ის წარმოადგენს სოციალურ ძალას, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე – ეკონომიკურიდან დაწყებული სულიერ კულტურამდე.

მსურს, თქვენი ყურადღება გავამახვილო ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორცაა ოჯახის როლი მოზარდის პიროვნების ფორმირებაში. მშობლების ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე, რომელიც დაეხმარება მოზარდებს გადალახონ არსებული მორალური და ფსიქოლოგიური სიძნელებები, რათა მათ იპოვონ სწორი გზა რთულ სიტუაციაში.

ასაკის ზრდასთან ერთად ბავშვს უჩნდება სხვებზე დომინირების სურვილი და ხდება უფრო პატივმოყვარე, რომელიც იმყოფება თავისი ოჯახის უპირატესი მაფორმირებელი ფაქტორების გავლენის ქვეშ, დიდობაშიც იმავეს მოითხოვს, თითქოს ეს მისი ოჯახია. მაგრამ უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მკაცრ, ავტორიტარულ აღზრდას შეუძლია უარყოფითი შედეგის მიღება.

იბადება კითხვა, რომელ დაწესებულებას შესწევს უნარი აღმოფხვრას ბავშვის განვითარების ადრეულ ეტაპზე დაშვებული შეცდომები, რომ დაეხმაროს წარმატებულად ადაპტირდეს ამ სამყაროში? პასუხი ნათელია: რა თქმა უნდა, სკოლას. მესამე ინსტიტუტი კი თავად ცხოვრებაა. ცხადია, რომ მართო ცხოვრებას კარდინალურად შეცვლა არ შეუძლია ფსიქოლოგიის თვალსაზრისით. დასკვნის სახით მოზარდის აღზრდაში შეგვიძლია მოვიშველიოთ ძირითად ინსტიტუტად სკოლა, მასწავლებლის ავტორიტეტი, რომელიც აღიარებულია საზოგადოების მიერ ჭეშმარიტი პატივისცემით, რაც არის გარანტი პიროვნების ფორმირებაში. ნებისმიერი კონფრონტაციის თავიდან ასაცილებლად უფროსებმა ბავშვში, სწავლების ობიექტი კი არა, სუბიექტი და მასწავ-



ლებლის თანასწორი მომნიჭებული პიროვნება უნდა დავინახოთ. სკოლა არის ტაძარი, სადაც თითოეული მოზარდი ფსიქოლოგიური განვითარების პროცესს გაივლის. ამიტომ, პირველ რიგში, სკოლა უნდა პასუხობდეს ჯანსაღი ფსიქოლოგიური ზრდის მოთხოვნებს. სწორი აღზრდის მიცემა მხოლოდ ისეთ სკოლას შეუძლია, რომელიც ჰარმონიამა მოსწავლეების ფსიქოლოგიურ მოთხოვნებებთან<sup>1</sup>.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ფსიქოლოგებმა და სხვადასხვა ჯგუფის მკვლევარებმა წარმოადგინეს მტკიცებულებები, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ბავშვის განვითარებაში ის კი არ არის, თუ რა მოცულობის ინფორმაციის დატევა შეუძლია მის გონებას, არამედ ის, შეგვიძლია თუ არა ჩვენ დავეხმაროთ ბავშვს განსხვავებული თვისებების ერთობლიობის გამომუშავებაში. ეს თვისებებია: სიბეჯითე, თვითკონტროლი, ცნობისმოყვარეობა, კეთილსინდისიერება, გამძლეობა და საკუთარი რწმენა. ფსიქოლოგები ამ თვისებებს „პიროვნულ ნიშნებს“ უწოდებენ<sup>2</sup>.

ფსიქოლოგების მრავალი კვლევის შედეგად ღრმად შესწავლილია და გაშუქებული მოზარდის განვითარების სოციალური ასპექტი და გენეზისი. ძირითადად პიროვნების ჩამოყალიბება ხდება სკოლაში, სკოლის გარეშე სააღმზრდელო დაწესებულებებსა და ოჯახში. ოჯახი პირველადი სოციალური უჯრედია, სადაც სათავეს იღებს ბავშვის პიროვნული თვისებების ფორმირება. ჩვილური ასაკის პირველი დღიდანვე ბავშვი თავისი განვითარებისათვის მუდმივი ბრძოლის პროცესშია ჩართული: ეს ბრძოლა დაკავშირებულია მუდმივად არსებულ მიზანთან – ძლიერების, სრულყოფილებისა და უპირატესობის ხატთან. ეს მიზანმიმართული ბრძოლა და აქტივობა ასახავს ადამიანისათვის დამახასიათებელ აზროვნებისა და წარმოსახვის უნარს და მთელი ცხოვრების განმავლობაში დომინირებენ, რამეთუ ისინიც სუბიექტურნი არიან და იბადებიან მიზნისა და ცხოვრების გამომუშავებული სტილის შესაბამისად<sup>3</sup>.

მოზარდის ოჯახთან დამოკიდებულების მიმართულებით ჩატარებულმა გამოკვლევებმა ნათელი მოჰფინა საკითხს, რომ ურთიერთობის ეს სფერო მეტად საინტერესო კვლევის ობიექტს წარმოადგენს. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მშობლებისა და ოჯახის დამახასიათებელი თვისებები, რომელიც დიდი დოზით აისახება მოზარდის პიროვნების ფორმირებაში. ეს გარემოება გარკვეულ სტიმულს იძლევა ამ მიმართულებით კვლევა-ძიების გასაგრძელებლად<sup>4</sup>.

ცნობილი ფსიქოლოგი გარდინერი მოზარდის პრობლემებს ორ ჯგუფად ყოფდა. პირველს განეკუთვნება ისეთი სახის პრობლემები, რომლის გადაწყვეტა ადრეულ ასაკში სცადა მოზარდმა, რომელიც ხელახლა ამოტივიცდა მის წინაშე. მეორე კატეგორიას კი განეკუთვნება საგანგებოდ მოზარდობის პერიოდისათვის დამახასიათებელი პრობლემები, რომელიც თავისი არსით სოციალური ხასიათისაა. მოზარდი უნდა შეეგუოს ახალ სოციალურ ნორმებს რაც ითვალისწინებს დიდი წინააღმდეგობის გადალახვას. მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ გვიჩვენა, რომ ადრეულ ასაკში უფრო მეტად თავს იჩენს ისეთი პრობლემები, რომლებიც ხშირად დგება მშობლებთან ურთიერთობის პროცესში. აქედან გამომდინარე, ძალიან ბევრი საყურადღებო ნიუანსი გამოიკვეთება. ეს საკითხები ძალიან პრობლემატურია, რომელიც ფართოდ არის გაშუქებული „ბავშვის ფსიქოლოგიის“ წიგნში, რომლის გათვალისწინება აუცილებლად გვმართებს მშობლებს:

- როდის და როგორი მეთოდით დაისაჯოს მოზარდი?
- შეიძლება თუ არა უნებართვოდ შვილების ბარათის წაკითხვა?
- არიან მშობლები ყოველთვის მართალნი?
- დაობდნენ თუ არა მშობლები მოზარდის თანდასწრებით?

მოზარდის პრობლემების რიგს განეკუთვნება შემდეგი საკითხებიც:

- მინდა მქონდეს საკუთარი თავის მეტი რწმენა;
- მინდა მასწავლებელს მოვწონდე;
- რომელი პროფესია უნდა ავირჩიო?

<sup>1</sup> ალ. ადლერი, ბავშვთა აღზრდა, გამომცემლობა „პეგა“, თბ., 2014, გვ. 293-300.

<sup>2</sup> პოლ ტაფი, როგორ აღწევნ ბავშვები წარმატებას თბ., 2014, გვ. 14-16.

<sup>3</sup> ალ. ადლერი, დასახ. ნაშრ., გვ. 4-6.

<sup>4</sup> ვლ. ნორაკიძე (რედ.), მე-2 სასკოლო ასაკის ბავშვის ფსიქოლოგია, თბ., 1975, გვ. 11.

– როგორ შეიძლება თავისუფალი დროის უფრო გონივრულად გამოყენება.

მოზარდს ანუხებს ეს და სხვა უამრავი საკითხი. ამ საკითხების მოგვარებაში დიდი სიფრთხილე მართებს ოჯახს, რათა სამომავლოდ პრობლემები არ შეექმნას მოზარდს. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს სოციალური მომენტის ასახვას:

- რა ასაკიდან შეიძლება გოგონების მეჯლისზე წასვლა.
- როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება ნამდვილი მეგობრის მიმართ.
- როგორ უნდა გაარჩიოს მოზარდმა სიყვარული გატაცებისაგან?<sup>5</sup>

ინდივიდუალური ფსიქოლოგიის დებულებაზე დაყრდნობით, ავსტრიელი ფსიქოლოგი ალ. ადლერი სამართლიანად მიიჩნევს, რომ სოციალური გრძნობა ბავშვის განვითარებაში ნორმალურობის თავისებური ინდიკატორია, ყოველი დარღვევა, რომელიც სოციალური გრძნობის დაქვეითებას იწვევს, დიდ ზიანს აყენებს ბავშვის განვითარებას. სწორედ ინდივიდუალური ფსიქოლოგიის შესწავლის მიზანია, ნათელი მოჭფინოს მოზრდილთა ხასიათის თვისებებს და ქცევას<sup>6</sup>.

მოზარდის აღზრდის, ჰარმონიული განვითარების მთავარი გზაა საზოგადოებრივი შეგნების ამაღლება. დავას არ იწვევს ის საკითხი, რომ ადამიანის მართლშეგნების დონე განსაზღვრავს მის მიერ კანონის შესრულების მეტ-ნაკლებ აღბათობას. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ მართლშეგნების ამაღლება სამართალდარღვევისა და დანაშაულის პროფილაქტიკის ერთ-ერთი ქმედითი საშუალებაა. მართლშეგნების კვლევა-ძიებას კრიმინოლოგები უკავშირებენ დანაშაულის პროფილაქტიკის პრობლემას, რადგანაც მათ მიაჩნიათ, რომ მართლშეგნება ადამიანის ქცევის მომწესრიგებელ ფუნქციას ეკუთვნის. ადამიანის ქცევის საკითხი კი მეტწილად ფსიქოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის კვლევის საგანია.

მართლშეგნების პრობლემის სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური კვლევა-ძიება უდავოდ ხელს შეუწყობს მოზარდის ოჯახთან დამოკიდებულებას როგორც სამართლებრივ, ასევე სოციალურ ასპექტში. მოგეხსენებათ, რომ ადამიანი არ იბადება შეგნებულ არსებად, მისი შეგნების განვითარება ხდება მხოლოდ სოციალიზაციის პირობებში. თანამედროვე ცივილიზებულ საზოგადოებაში მოზარდს უწევს ურთიერთობა სხვადასხვა სოციალურ გარემოსთან. განსაკუთრებით მის ფორმირებაში, პირველ რიგში, მთავარ როლს ოჯახი თამაშობს, სადაც გროვდება ცოდნა და გამოცდილება, ყალიბდება სოციალურ ღირებულებათა მთელი სისტემა, მუშავდება მოზარდის ცნობიერებაში შესაბამისი ქცევის ნორმები გარკვეული მოქმედების შესასრულებლად. ყოველივე ეს ასახავს პოულობს შეგნების სფეროში. თითოეულ ადამიანს გააჩნია შეგნება, რომელსაც ინდივიდუალურ შეგნებად მიიჩნევენ. როგორც ვიცით, შეგნება ყოველთვის საზოგადოებრივია, ვინაიდან იგი სოციალიზაციის პროდუქტია.

ადამიანის შეგნებაში აისახება საზოგადოებრივი განვითარების თანმდევი ობიექტური მოთხოვნილებები, რომელიც გვევლინება სუბიექტის მოქმედების ნანამძღვრად და მომწესრიგებლად. ადამიანის შეგნება ასახავს იმ ობიექტურ სინამდვილეს, რომელშიც მას ცხოვრება უხდება<sup>7</sup>.

როგორც მოგეხსენებათ, პიროვნების ყოველგვარი მოქმედება საზოგადოებრივი მოქმედების ნაწილია, მასში შეგვიძლია გავარჩიოთ შინაარსობრივი და ფორმალური მხარე. ფორმალურ მხარეს წარმოადგენს მოქმედების მექანიზმი, ყოველი მოქმედებისათვის აუცილებელია ფაქტორებისა და ეტაპების ერთობლიობა, რომელიც უნდა გაიაროს მოქმედების აღმძვრელმა, რომ გარკვეული მიზნის მისაღწევად მოძრაობაში მოიყვანოს ადამიანის ფიზიკური და სულიერი ძალები. ადამიანის მოქმედების პირველ საფუძველს, მიზეზს წარმოადგენს გარემო, მაგრამ, როგორც დ. კიკნაძე აღნიშნავს თავის ნაშრომში, გარემო უშუალოდ და ავტომატურად არ იწვევს ადამიანის მოქმედებას. გარემომ რომ შესატყვისი მოქმედება გამოიწვიოს, ამისათვის აუცილებელია მან რაიმე მოთხოვნილება წარმოშვას. მოქმედების აღმძვრელად ყოველთვის მოგვევლინება მოთხოვნილება, რომლის გარეშე არ არსებობს ცოცხალი ორგანიზმის არავითარი აქტიურობა, ინტერესი, სურვილი,

<sup>5</sup> ვ. მუხინა, ბავშვის ფსიქოლოგია, გამომც. „განათლება“ თბ., 1989, გვ. 6-7.

<sup>6</sup> ალ. ადლერი, დასახ. ნაშრ., გვ. 3.

<sup>7</sup> თ. შავგულიძე, საზოგადოებრივი აზრი, მართლშეგნება და მოსწავლე ახალგაზრდობა, გამომცემლობა, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1981, გვ. 4-13.

მისწრაფება ვნებები და ა.შ., რომელსაც ახლავს შესაბამისი გრძნობები და ემოციები, რომელიც დაკავშირებულია ფსიქიკასთან. ადამიანის მოქმედების მექანიზმში მოთხოვნილების შემდგომი ეტაპია მისი გადაქცევა მიზნად, რომელიც ადამიანის მოთხოვნილების, როგორც მოქმედების აღმძვრელის, ახალ თვისებრიობას წარმოადგენს<sup>8</sup>.

მოზარდის მართლშეგნების განვითარება უმთავრესად ხორციელდება ქცევის პროცესში. უფროსები აძლევენ ორგანიზებულად რჩევასა და მითითებას. ეხმარებიან ქცევის პროცესში წარმოშობილი სიძნელეების დაძლევაში. ერთობლივ საქმიანობაში ერთიანდებიან ბავშვები და ამყარებენ ერთმანეთთან სხვადასხვაგვარ ურთიერთობებს, რომლებიც ბავშვთა საზოგადოების საფუძველს შეადგენს და ხელს უწყობს მისი წევრების პიროვნების განვითარებას<sup>9</sup>.

მოზარდობის წლები მეტად სათუთი პერიოდია თითქმის ყველა ბავშვისთვის, ხოლო მათთვის, ვისაც უნევს არასაიმედო გარემოში ცხოვრება, სიყმანვილე შეიძლება საშინელ გარდატეხის მომენტად იქცეს, ადრეულ ასაკშივე მიყენებული ქრილობები მავნე გადაწყვეტილებების მიღების მიზეზად გახდეს, რომელიც დამლუპველი შედეგის მომტანია. თუმცა, ზოგ შემთხვევაში შესწევთ უნარი, სხვაგვარი შემობრუნების, გარდატეხის, ძირფესვიანი გარდაქმნის: შესაძლებელია მოზარდმა ზურგი აქციოს მარცხს და გეზი აიღოს წარმატებისკენ.

ნათელი დასტურია იმისა, რომ მართლშეგნება პოზიტიური მოვლენის დემონსტრირებაა – თუკი საზოგადოება პატივს სცემს კანონს, იზიარებს და მზად არის შეასრულოს იგი. სწორედ ამიტომ, მართლშეგნების განვითარების დონე გველინება საზოგადოებაში სოციალური კონტროლის უზრუნველყოფის საშუალებად და წარმოადგენს ქცევის შაბლონების შემუშავებისა და „მე“ – კონცეფციის ჩამოყალიბების და განმტკიცების წყაროს<sup>10</sup>.

ბავშვი, ვიდრე ზრდადამთავრებული გახდებოდეს, გაივლის ბიოლოგიურ და ფსიქიკურ საფეხურებს, რომელიც ხასიათდება განსაკუთრებული თავისებურებებით. ასაკობრივი განვითარების საფეხურების დადგენის პროცესი განსხვავებული შეხედულებებით ხასიათდება როგორც უცხოეთში, ისე ჩვენში. სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, პასუხისმგებლობის დაკისრებისას ან მისგან განთავისუფლებისას არასრულწლოვნად ითვლება ის, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი. დ. უზნაძის „ზოგად ფსიქოლოგიაში“ ნათლად არის გაშუქებული, რომ სქესობრივი მომწიფების პერიოდში მოზარდის ყურადღების კონცენტრაცია ქვეითდება. ამ დახასიათებაში ფსიქოლოგი დ. უზნაძე ყურადღებას ამახვილებს არასრულწლოვანის (მოზარდის) „სქესობრივი მომწიფების“ პერიოდზე და მოზარდის ე.წ. „გარდატეხის პერიოდზე.“

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ფსიქოლოგ შ. ჩხარტიშვილის მოსაზრება, რომელიც წერს: ბავშვობის დატოვებისა და დიდის მდგომარეობაში ყოფნის მოთხოვნილებები გარდამავალ ასაკში იძენს რა სოციალურ შინაარსს, გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს მოზარდის აქტივობის მიმართულების განსაზღვრის საქმეში. ეს მოთხოვნილება, პირველ რიგში, სოციალური პრესტიჟის, თავისუფლების და დამოუკიდებლობის მოთხოვნილებათა ფორმებში დიფერენცირდება მოზარდის ყოველ ქცევაში, რომელიც მას რაიმე მხრივ სხვა ადამიანებთან აკავშირებს<sup>11</sup>.

მეტად საინტერესო და ყურადსაღებია საკითხი ფსიქოლოგ ნ. ადამაშვილის გამოკვლევაზე, რომელიც შეისწავლის ბავშვებში თვითცნობიერების განვითარების თავისებურებას, ონტოგენეზს – ანუ ორგანიზმის ინდივიდუალურ განვითარებას მისი ჩასახვიდან სიცოცხლის დასრულებამდე. იგი მიიჩნევს, რომ „...საკმაოდ ადრევე მოზარდის თვითცნობიერებაში, მნიშვნელოვანი რამ ხდება გარეშე მყოფ ადამიანებთან ურთიერთდამოკიდებულების ასპექტში, რომელშიც მოზარდი საკუთარი „მეს“ – გამოვლინებას ხედავს და რომელსაც „მეს დასახასიათებლად იყენებს. განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს გარდამავალი ასაკიდან.“ თვითცნობიერება ვითარდება პიროვნების განვითარებასთან ერთად და გავლენას ახდენს პიროვნების ფორმირებაზე.

<sup>8</sup> დ. კიკნაძე, ადამიანის მოქმედების საკითხისათვის, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1971, გვ. 6-7.

<sup>9</sup> ვ. მუხინა, დასახ. ნაშრ., გვ. 204-205.

<sup>10</sup> თ. შავგულიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 19-33.

<sup>11</sup> შ. ჩხარტიშვილი, პედაგოგიური ფსიქოლოგია, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1975, გვ. 51.

უცხოელი ავტორები შერიკი და კენტერი მიუთითებენ, რომ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბავშვი სწავლობს საკუთარ პოზიციას სხვა მის გარშემო მყოფ ინდივიდთა მიმართ, იგი ახერხებს წარმატებით მიიღოს მონაწილეობა ჯგუფის აქტივობაში. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია განახორციელოს მყარი ქცევა, რისთვისაც აუცილებელია ხანგრძლივი სოციალური ურთიერთობანი<sup>12</sup>.

საბინოვამ გამოიკვლია პიროვნების თუ რა თვისებები ხდება მოზარდის ცნობიერების საგანი, როგორ ხედავს იგი ამხანაგების პიროვნულ თვისებებს თავის თავთან და სხვებთან მიმართებაში. აღნიშნული საკითხის შესწავლის შედეგად ცხადყო, რომ 12-16 წლის მოზარდს უკვე აქვს საკმაოდ დიდი ინტერესი ადამიანის შინაგანი სამყაროს მიმართ, უჩნდება მეორე ადამიანის პიროვნებაში გარკვევის სურვილი. მოზარდები მიუთითებენ, რომ დაინყეს „თავის თავზე“ ფიქრი, თავის თავზე მსჯელობის შედეგად მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით, შესაძლებელი გახადა მოზარდის თვითცნობიერების ჩამოყალიბებაში გამოეყოთ რამდენიმე ეტაპი. მოზარდის პირველ პერიოდს განეკუთვნება მშობლებთან ურთიერთობის ეტაპი, სადაც მოზარდი ყვება, რომ მშობლებს არ ეხმარება, უხეშად ექცევა, არ შეუძლია რიგ სიტუაციაში თავის შეკავება, უყვირის მეგობრებს. ამ მაგალითიდან ნათლად ჩანს, თუ რა კრიტიკულად განსჯის მოზარდი თავის საქციელს და აცნობიერებს უარყოფით მხარეებს<sup>13</sup>.

ბოჟოვიჩის შეხედულების მიხედვით, ბავშვის მორალი ყალიბდება იმ კოლექტივის, ჯგუფის მორალის მიხედვით, რომელშიც მოზარდს უხდება საქმიანობა და მონაწილეობა მოზარდობის ასაკში, როდესაც ბავშვს უჩნდება აზრი, გარკვეული რწმენა ამა თუ იმ მორალური ნორმების მიმართ<sup>14</sup>.

შვეიცარიელი ბიოლოგი და ფსიქოლოგი ჟან პიაჟე გამოყოფს განვითარების 4 სტადიას და იმ პროცესებს, რომელთა მეშვეობითაც ბავშვები აღწევენ პროგრესს ამ სტადიების ფარგლებში:

1. სენსომოტორული სტადია (დაბადებიდან 2 წლამდე), როცა ბავშვი შეიცნობს სამყაროს მხოლოდ სხვადასხვა ქმედების მეშვეობით (წოვა, კბენა, ლეჭვა და სხვა). ამ პერიოდში ბავშვი ვერ ხვდება, რომ ფიზიკური ობიექტები მაშინაც არსებობენ, როცა ის მათ ვერ ხედავს.

2. წინაოპერაციული სტადია (2-იდან 7 წლამდე). ეს ის პერიოდია, როცა ბავშვები იწყებენ ცნებების ფორმირებას და სიმბოლოების გამოყენებას. ამ ასაკში ძალიან უჭირთ მიზეზშედეგობრივი კავშირების დამყარება და ობიექტებისა და მოვლენების კლასიფიკაცია.

3. კონკრეტული ოპერაციების სტადია (7-დან 11-12 წლამდე) – ფიზიკური გამოცდილების დაგროვების შედეგად ბავშვი იწყებს გააზრებას, ლოგიკური სტრუქტურების შექმნას, რომლებიც იწყებენ მოვლენებთან დაკავშირებითი პრობლემების გადაწყვეტას.

4. ფორმალური ოპერაციების სტადია (11-12-დან 15 წლამდე) – ბავშვის კოგნიტური (შემეცნებითი აზროვნება) სტრუქტურები უტოლდება ზრდასრულისას და მოიცავს კონცეპტუალურ მსჯელობას. პიაჟემ შეიმუშავა კოგნიტური სტრუქტურების აგების რამდენიმე პრინციპი. განვითარების ყველა სტადიის განმავლობაში მოზარდი ურთიერთობს საკუთარ გარემოსთან იმ მენტალური რუკების გამოყენებით, რომლებიც მანამდე შექმნა. თუ გამოცდილება გამეორდა, ადვილად ხდება მისი მორგება ბავშვის კოგნიტურ სტრუქტურაში ისე, რომ შენარჩუნდეს მენტალური „თანასწორობა“. თუ გამოცდილება ახალია ან შეცვლილია, ბავშვი კარგავს „თანასწორობას“ და ცვლის კოგნიტურ სტრუქტურას, რათა მოერგოს ახალ პირობებს<sup>15</sup>.

მოზარდის პიროვნული ნიშან-თვისებების ფორმირება მისი ცხოვრების ადრეულ ხანაში იწყება და იგი თავის გამოვლენას პოულობს როგორც მოზარდობის, ისე შემდგომ პერიოდშიც. მაგალითად, 10 წლის ასაკში ბავშვი ხასიათდება, როგორც „მზიარული“, „ცოცხალი“, „მეგობრული“. ბავშვის ხასიათი გარკვეული ზომით შემდგომ ასაკშიც იჩენს თავს. მოზარდი, რომელიც შეეჩვია ბავშვობაში აუსრულონ ყველაფერი, მისი ხასიათიდან გამომდინარე, გამოავლენს „სიბრაზეს“,

<sup>12</sup> ვ. მუხინა, დასახ. ნაშრ., გვ. 10-14.

<sup>13</sup> ვ. მუხინა, დასახ. ნაშრ., გვ. 1.

<sup>14</sup> ვ. მუხინა, დასახ. ნაშრ., გვ. 19-20.

<sup>15</sup> ვლ. ნორაკიძე (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 20-21.

როცა მას სურვილების სანინალმდეგო მდგომარეობა შეხვდება. „როგორც დავინახეთ, ყველა ფსიქოლოგიური მოვლენა, პირდაპირი თუ არაპირდაპირი მოთხოვნილებებითაა განპირობებული, მოთხოვნილების საფუძველზე წარმოიშობა მისწრაფებები, ვნებები, მიდრეკილებები, მიზნები და ა.შ. ყოველი სუბიექტისათვის მისი საკუთარი ინტერესი სუბიექტურად არსებობს, ხოლო საზოგადოების და სხვა ინტერესები ობიექტურად არსებობენ, როგორც სოციალური გარემოს ფაქტორები“<sup>16</sup>.

3. ლანდესი დაინტერესდა შეესწავლა მოზარდის პიროვნების ზოგადი დამახასიათებელი ნიშნები, რომელიც ინდივიდის ქცევის პროცესში განსაკუთრებულ კონკრეტულ გამოვლენას იჩენს. ავტორი ხაზს უსვამს შემდეგ თვისებებს. 1. აღიარება, სტატუსი, საზოგადოებრივი მდგომარეობა; 2. პატივისცემა და სოციალური კეთილგანწყობილება; 3. საპასუხო გრძნობა და ბედნიერი სოციალური ურთიერთობა; 4. უზრუნველყოფა, მიღება ჯგუფში; 5. გამოცდილება; 6. მიღწევა და წარმატება; 7. ბედნიერება და თავისუფლება<sup>17</sup>.

მეცნიერული ფსიქოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გამოირკვა, რომ უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისგან განსხვავებით, როცა ბავშვები ძირითადად გატაცებული არიან თავგადასავლებით, მოზარდებს თვითცნობიერების განვითარებასთან ერთად უჩნდებათ გამოკვეთილი ინტერესი გარშემო მყოფი ადამიანებისა და საკუთარი შინაგანი სამყაროს მიმართ.

ცნობილი პედაგოგებისა და ფსიქოლოგების განჭვრეტის შედეგად მათ სწორად დაინახეს მოზარდის ბუნების ძირითადი თავისებურებანი და სწორად შეაფასეს სკოლამდელ ასაკში ბავშვების განსაკუთრებით ძლიერი მიდრეკილება შრომითი მოქმედებისაკენ. მოზარდში ნელ-ნელა ჩნდება მოვალეობის გრძნობის დასაწყისი მომენტები: გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, როდესაც დეტერმინაცია, როგორც ასეთი, ბავშვისათვის საკმაო მოტივს წარმოადგენს იმისათვის, რომ ერთხელ დაწყებული მოქმედება ბოლომდე მიიყვანოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც დასაწყისში მოცემული სიამოვნების მომგვრელი მოტივები სუსტდება. აქ ჩვენ საქმე გვაქვს მოვალეობის გრძნობის გაღვიძებასთან<sup>18</sup>.

ვფიქრობ, ყველასათვის ნათელია ის საკითხი, რომ მართლშეგნება სამართლებრივი კულტურის ელემენტია, ხოლო სამართლებრივი კულტურა ინდივიდის თუ საზოგადოების საერთო კულტურის ნაწილია. ინდივიდუალური თუ საზოგადოებრივი კულტურა მხოლოდ სულიერ სფეროს როდი ეკუთვნის, იგი სოციალური ფენომენია. მართლშეგნების ამალღება ნიშნავს სამართლებრივი კულტურის დონის ამალღებას, სამართლებრივი აღზრდა სამართლებრივ განათლებაზე უფრო მაღალი ცნებაა, სამართლებრივი აღზრდა გულისხმობს მართლშეგნების ამალღებას. მოზარდი, პირველ რიგში, სამართლებრივ კულტურას ოჯახში ეზიარება, რომელიც ერთ-ერთი ქმედითი გზაა ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდისათვის. სამართლებრივი კულტურიდან გამომდინარე, მოზარდი უნდა იყოს გაცნობიერებული სისხლის სამართლის დარგში, კანონებში უნდა ერკვეოდეს, რათა თავიდან აიცილოს დანაშაულის ჩადენის ფაქტი<sup>19</sup>.

მოზარდის სოციალიზაცია და პიროვნული განვითარება დამოკიდებულია ოჯახზე, სკოლასა და სოციალურ გარემოზე, სადაც ხდება მოზარდის ჩამოყალიბება.

18 წლამდე ადამიანი ითვლება არასრულწლოვან მოზარდად, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მოზარდმა დაასრულა განვითარება და შესაძლებელია მის წინააღმდეგ იმავე პირობების გამოყენება, რაც გამოიყენება სრულწლოვანი ადამიანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დროს. გერმანიის უზენაესი სასამართლო აღნიშნავს, რომ ასაკის საზღვრის დადგენა მოზარდის განვითარების საფუძველზე მეტად რთულია, ვინაიდან მოზარდის განვითარება ერთიანი შეუწყვეტილი პროცესია, რომლის გაზომვაც შეუძლებელია. გასული საუკუნის 50-იან წლებში გერმანიაში შეიქმნა ჰამბურგის დირექტივები, რომელიც აღწერდა იმ კრიტერიუმებს, რაც პირდაპირ ეხებოდა არასრულწლოვან (14-18წ.) და მოზარდილ (18-21წ.) დამნაშავეებს. ამ კრიტერიუმის თანახ-

<sup>16</sup> დ. კიკნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 80-99.

<sup>17</sup> ვლ. ნორაკიძე (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 21-24.

<sup>18</sup> შ. ჩხარტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 282-283.

<sup>19</sup> თ. შავგულიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 104-107.

მად არასრულწლოვანი არის პირი, რომლისთვისაც დამახასიათებელია შემდეგი კრიტერიუმები: პიროვნების არასაკმარისი ჩამოყალიბება, უმწეო მდგომარეობა, ბრიყვულად მიმდობი საქციელი, დღევანდელი დღით ცხოვრება, მაღალი ხარისხით სხვაზე დამოკიდებულება, მუშაობისადმი თამაშისებრივი დამოკიდებულება, მეოცნებობა, თავგადასავლების ძიება, თანატოლებთან ურთიერთობის პრობლემები და სხვა. აქედან გამომდინარე, კვლევის შედეგად ჩამოყალიბდა ადამიანის სრულწლოვნად აღქმის შემდეგი კრიტერიუმები: რეალური ცხოვრების დაგეგმვა, მშობლებისგან დამოუკიდებლობა, სამუშაოსა და სწავლისადმი სერიოზული დამოკიდებულება, რეალისტური, ანუ დაძლევადი დღის განრიგი, თანატოლებთან ან უფროსებთან ურთიერთობა, შესაძლებლობა პასუხისმგებლობა აიღოს ოჯახის შექმნაზე, სულიერი და სექსუალური მოთხოვნილებების ინტეგრაცია, მყარი, „დაღვინებული“ ხასიათი<sup>20</sup>.

სასურველი იქნებოდა საქართველოში არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ზედა ზღვარის დადგენის პროცესში უფრო აქტიური ჩართულობა, გამოცდილი პედაგოგებისა და ფსიქოლოგების ანალიზის გაზიარება, ვინაიდან მოზარდის ბიოლოგიურ-ფსიქოლოგიური, ანუ გარდატეხის პერიოდი, ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის ჩამოყალიბებული.

დღეს ცხოვრების განვითარების მაღალმა დონემ, კულტურისა და მეცნიერების მაღალი წარმატების ეპოქამ და ახალმა ვითარებამ მეტი ფაქტივი დამოკიდებულება დააკისრა მშობლებს ბავშვებთან ურთიერთობაში. ძალიან მოზომილად უნდა შეაფასოს მოზარდის ქცევა ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში, ვინაიდან ძალიან რთულია მოზარდის სულიერ სამყაროში ბრმად ხელის ფათური, კითხვებზე პასუხის გასაცემად, პირველ რიგში, აუცილებელია ღრმად ჩაწვდეთ მოზარდის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს. შინაგან სამყაროს ანგარიში გაუწიოთ თანამედროვე კულტურის დონის გათვალისწინებით. თანამედროვე კონსტრუქტივისტული აზროვნება ეფუძნება ცნობილი მეცნიერების ჟან პიაჟესა და ლევ ვიგოტსკის ნაშრომებს. ამ ორი მეცნიერის ნაშრომებს განასხვავებს რამდენიმე ასპექტი. პიაჟეს აზრით, მოზარდი თვითმოტივირებული არსებაა, რომელიც თავად იკვლევს და შეიმეცნებს სამყაროს, თავად მართავს თავისი კოგნიტური (შეცნობა) განვითარების პროცესს. ხოლო ვიგოტსკი განმარტავს, რომ საზოგადოება და კულტურა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ბავშვთა კოგნიტურ განვითარებას. პიაჟე მიუთითებს, რომ განვითარება წინ უძღვის სწავლას. ბავშვს ჯერ გარკვეული კოგნიტური (ცოდნის) სტრუქტურები უნდა ჩამოუყალიბდეს, რათა შეძლოს სამყაროს შეცნობა. ვიგოტსკის აზრით, სწავლა წინ უძღვის და ხელს უწყობს კოგნიტურ განვითარებას.

სულაც არ არის აუცილებელი უკვე არსებული ცოდნის თავიდან აღმოჩენა. სოციალური კომუნიკაციის შედეგად ბავშვი ვითარდება უფრო მცოდნე და გამოცდილ ადამიანებთან კომუნიკაციის შედეგად. მოზარდობის პერიოდში ხდება ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტა, როგორცაა მომავალი პროფესიის არჩევა. მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად მიღებული მონაცემებით პროფესიის განსაზღვრაში მნიშვნელოვანია მოზარდის მიდრეკილება. მესამე ადგილი უკავია მშობელს. მშობლისა და მოზარდის ურთიერთობაში პროფესიული ინტერესის განსაზღვრა წარმოადგენს ერთ-ერთ აქტიურ პრობლემას მოზარდის ცხოვრებაში და აღზრდის ძალისმიერი მეთოდები ნეგატიურ გავლენას ახდენს ბავშვის ჩამოყალიბებაზე. კრიმინოლოგიური დისკუსიის საგანს წარმოადგენს დანგრეული ოჯახების ზეგავლენა ბავშვის კრიმინალად ჩამოყალიბებაზე. დანგრეული ოჯახი დიდ ზიანს აყენებს მოზარდის ფსიქოლოგიას და დანაშაულის ჩადენას უწყობს მეტწილად ხელს<sup>21</sup>.

დრაგუნოვა დიდობის გრძნობას განიხილავს როგორც თვითცნობიერების განსაკუთრებულ ფორმას, რომელიც თანმხლები ფორმაა მოზარდობის სანყისი პერიოდისათვის. დიდობა მიჩნეულია ბავშვის სოციალიზაციის სიმპტომად. ბავშვს უჩნდება ცნობიერება იმის შესახებ, რომ იგი არის სოციალური არსება. ამიტომ ყოველთვის უნდა ვერიდოთ უფროსებმა მათთან უხეშ დამოკიდებულებას, შეძლებისდაგვარად ანგარიში უნდა გავუწიოთ მას, როგორც პიროვნებას და

<sup>20</sup> მ. შალიკაშვილი, სტატიათა კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011, გვ. 99-100.

<sup>21</sup> მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მე-2 გამოცემა, თბ., 2011, გვ. 262-263.

ვეცადოთ დავაკმაყოფილოთ მისი კანონიერი მოთხოვნა<sup>22</sup>.

თუ მონაცემებს ასაკობრივი თვალსაზრისით განვიხილავთ, პირველ რიგში, მათ უჩნდებათ პრეტენზიები, ვინც დამოუკიდებელ პიროვნებად მიიჩნევენ თავს და საკუთარი პოზიციებით უპირისპირდებიან მშობლებს, ცდილობენ მიაღწიონ მისი პიროვნების ტოლფასოვან აღიარებას. ასაკობრივი თვალსაზრისით თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ბავშვთა იმ კატეგორიას, რომელიც უკვე გრძნობს თავს დამოუკიდებელ პიროვნებად, აქვს პრეტენზიები იმოქმედოს საკუთარი გადანყვეტილებით. ეს მოზარდები საკუთარი ნორმებითა და პოზიციებით უპირისპირდებიან მშობლებს და ცდილობენ მიაღწიონ მისი პიროვნების ტოლფასოვან აღიარებას.

ამ შემთხვევაში სკოლას შეუძლია ინდიკატორის როლის შესრულება, ოჯახური აღზრდის შეცდომების ნიადაგზე სწორი ანალიზის გაკეთება, ვინაიდან იგი არ არის ჯერ კიდევ იდეალური გარემო ბავშვებისათვის, რადგან მათ ჯერ კიდევ არ შესწევთ სხვებთან კონტაქტში შესვლის უნარი. ამიტომ ისინი მარტოხელეებლად გრძნობენ თავს, რის შედეგადაც განსაკუთრებული დამოკიდებულება ყალიბდება, რაც დიდობაში უარყოფითად აისახება. ხდებიან რთული ბავშვები და გამოსატყვევებელი პრეტენზიებს ამა თუ იმ მოვლენისადმი. საზოგადოებისაგან განსხვავებით, ისინი ირჩევენ იმედგაცრუებულთათვის მიმზიდველ გზას – უსწრაფესი ფსიქოლოგიური წარმატების გზას<sup>23</sup>.

აუცილებელია ის გარემოებაც, რომ მშობელმა უნდა გაითვალისწინოს თვითშეფასების კონტროლი, რომელიც სანინდარია მომავალში პიროვნების სწორი ფორმირებისათვის. მოზარდის პრეტენზიების დასარეგულირებლად აუცილებელია როგორც მშობლების, ასევე სკოლის სწორი მიდგომა, რათა ბავშვს მივანოდოთ აღზრდის პროცესში ადეკვატური თვითშეფასება, რაც სირთულეებს ააცდენს მოზარდის მიერ ნამოყენებულ პრეტენზიებს. „ფსიქოლოგების აზრით, მოზარდის პიროვნებაში ახალ ცენტრალურ წარმონაქმნად მიჩნეულია მის თვითცნობიერებაში მომხდარი თვისებრივი ხასიათის ძვრა, რაც ვლინდება მოზარდის წარმოდგენაში თავის თავზე, როგორც დიდზე – ლტოლვა იყოს და ჩათვალონ დიდად, ეს გარემოება მიჩნეულია „პიროვნების ერთადერთ სტრუქტურულ ცენტრად“<sup>24</sup>.

თავდაპირველად ფსიქოლოგიაში „პრეტენზიის ცნება“ შემოიტანა კ. ლევინის მონაფემ ფერდინანდ ჰოპემ, რომელიც განსაზღვრავს გარკვეული ადამიანისათვის დამაკმაყოფილებელი თვითშეფასების მოთხოვნილებას. დღეს ინდივიდის პრეტენზიის დონის კვლევის სხვადასხვა მეთოდები არსებობს. მსურს, მოკლედ გავაანალიზო ფ. ჰოპეს მეთოდი, რომელიც ინტერესს მოკლებული არ იქნება. მან ჩაატარა მოზარდებში შემდეგი ცდა: აიღო 3 ბარათი, სადაც მოათავსა სიძნელების მიხედვით ამოცანები. არჩევა სურვილსამებრ იყო, შეფასება ხდებოდა ქულებით. გამარჯვებული ყველაზე მაღალი ქულით ფასდებოდა. მოზარდი, რაც უფრო რთულ ამოცანას წყვეტს, მას უფრო მეტი ქულა ეწერება და ის რჩება გამარჯვებულად. ჰოპეს ექსპერიმენტმა უჩვენა შემდეგი: 1. წარმატება ამოცანის გადანყვეტაში მაღლა სწევს ცდის პირის „პრეტენზიის დონეს“, რაც მას დიდ სტიმულს აძლევს მომავალში უფრო რთული ამოცანა აირჩიოს. 2. წარუმატებლობა კი დაბლა სცემს პრეტენზიის დონეს – ცდის პირი უფრო დაბალ საფეხურზე გადადის ამოცანების გადანყვეტაში<sup>25</sup>.

მოზარდთა პრეტენზიის დონის გამოსაკვლევად უნდა იქნეს უსათუოდ კარგად მოფიქრებული, რომ ინდივიდის პრეტენზიის დონე და მისი მიღწევის სირთულე მნიშვნელოვნად იყოს დამოკიდებული ამოცანის შინაარსზე. პოპულარული, ანუ ლიდერი მოსაწავლეები ცდილობენ შეინარჩუნონ პოზიციები და არ დაკარგონ პოპულარობა მეგობრებს შორის, რომელსაც უდიდესი გავლენა აქვს მოზარდის პიროვნების ფორმირებისათვის. ხდება შემთხვევები, როცა არაპოპულარული მოზარდი ეთიშება მეგობრებს და გარიყული რჩება, მაგრამ, საბედნიეროდ, არიან ძლიერი პიროვნებები, რომლებიც ახერხებენ მასთან დამეგობრებას. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ხშირად ხდება

<sup>22</sup> ვლ. ნორაკიძე (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 38-39.

<sup>23</sup> ალ. აღლერი, დასახ. ნაშრ., გვ. 9-11.

<sup>24</sup> ვ. მუხინა, დასახ. ნაშრ., გვ. 40-41.

<sup>25</sup> ვ. მუხინა, დასახ. ნაშრ., გვ. 176-179.

მოზარდთა ასაკობრივი საფეხურების, სტატუსის განმსაზღვრელი პიროვნული თვისებებით და-პირისპირება. თუ მონაცემებს ასაკობრივი თვალსაზრისით განვიხილავთ, აღმოვაჩინებთ, რომ მოზარდთა ის კატეგორია, რომლებიც თავს თვლიან უკვე დამოუკიდებელ პიროვნებად და გააჩნიათ პრეტენზია იმოქმედონ დამოუკიდებლად, იზრდებიან ასაკის შესაბამისად, რომლებიც თავიანთი ნორმებითა და პოზიციებით უპირისპირდებიან მშობლებს და ახერხებენ როგორმე მიაღწიონ მისი პიროვნების ტოლფასოვან აღიარებას. ხშირ შემთხვევაში მოზარდები უკმაყოფილებას გამოთქვამენ, იმის გამო, რომ მათ მშობლები სათანადოდ ვერ უგებენ მათ მიერ წამოჭრილი პრობლემის მოგვარებაში და ამავდროულად არ იზიარებენ მათ შეხედულებებს. თავის მხრივ, მოზარდსაც ევალება, რომ მშობლებს გაუწიოს ანგარიში, რადგან მათ მეტი ცხოვრებისეული გამოცდილება გააჩნიათ<sup>26</sup>.

საზოგადოებაში ცხოვრება, ქცევის დინამიკური ფაქტორების თვალსაზრისით, რამდენიმე კონფლიქტსაც შეიცავს ინსტინქტურ მოთხოვნილებებსა და ღირებულებათა და განცდას შორის. ინდივიდის დამოკიდებულება ღირებულებებთან განსაზღვრულია იმ საზოგადოებითაც, რომელშიც თავად ცხოვრობს. კულტურულ წრეში, – ამბობს ფსიქოლოგი ბუზემანი, – მომავალში კეთილდღეობის საფუძველით აუცილებელია ანმყო მოთხოვნილებებზე უარის თქმა. ეს გარემოება რამდენადმე გადატვირთვას იწვევს ბავშვში და მით უფრო ძლიერს ხდის, რაც დიდია ის მოთხოვნები, რომლითაც მას აღმზრდელი წაუყენებს. ბავშვის კონფლიქტები საზოგადოების ზნეობრივ მოთხოვნებთან იმაში მდგომარეობს, რომ ბუნებრივი მოთხოვნილებები არღვევენ იმ შეკავებას, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების წესიდანაა წამოსული, ესენია: მსუენაგობა, წვალება, მითვისება, სიცრუე<sup>27</sup>.

მოზარდების კონფლიქტების გამომწვევ მიზეზად თვლიან იმ გარემოებას, რომ მათ ხშირად შეუფერებელ მოთხოვნებს უყენებენ და მათ ძალებს აღემატება. ასეთ ვითარებაში მოზარდი გაურკვეველ სიტუაციაში რჩება და არ იცის როგორ მოიქცეს. გამოკვლევების შედეგად კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა მოზარდს შეუქმნათ კომფორტული პირობები საზოგადოებრივ საქმიანობაში. სადავო არ არის ის საკითხი, რომ, როგორი ზემოქმედებაც არ უნდა მოვახდინოთ მოზარდზე, სანამ სხვისი მოთხოვნა არ გადაიქცევა მის მოთხოვნად, მანამდე იგი არ გვევლინება განვითარების მოქმედ ფაქტორად. ნებისმიერი ასაკის ინდივიდს სურს გართობა და შესაფერისი პირობები. „იზრდება ბავშვის ინტერესები საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი, სხვადასხვა მოვლენისადმი, რეალური სამყაროთი გატაცება, რომლებიც უშუალო სინამდვილეს, ბავშვებისა და მოზრდილების ცხოვრების სხვადასხვა მომენტს ეხებიან, აფართოებენ და აზუსტებენ მათ მიერ მიღებულ წარმოდგენებს ამ ცხოვრების შესახებ და ახალი საინტერესო მხარეებით ამდიდრებენ მათ. ჩქარი ტემპით ხდება მოზარდის კრიტიკული და განყენებული აზროვნების, ლოგიკური მსჯელობისა და დასკვნების გამოტანის უნარის განვითარება, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სხვადასხვა მეცნიერული დარგისადმი ინტერესების გაღვივებას. ბავშვის პიროვნების განვითარების პერიოდში დიდი ცვლილებები ხდება მის ემოციურ ცხოვრებაში. ბავშვის გრძნობა, როგორც მისი აზრი, პირველად გამსჭვალულია უშუალოდ მოცემულით. მხოლოდ განვითარების გარკვევულ დონეზე ის თავისუფლდება მშობლების, ახლობლების უშუალო გარემოდან, რომელშიც ბავშვი იზრდება და თანდათან შეგნებულად მიიმართება ამ ვიწროდ შემოფარგლულ გარემოს საზღვრებს იქით“<sup>28</sup>.

როგორც დავინახეთ, მოზარდის ყველა ფსიქიკური მოვლენა პირდაპირი ან არაპირდაპირი მოთხოვნილებითაა განპიროვნებული, რომლის საფუძველზე წარმოიშობა ინტერესები, გრძნობები, ემოციები, მიდრეკილებები, მისწრაფებები და წარმოიშობა კონფლიქტი. მოთხოვნილება მხოლოდ მაშინ წარმოიშობს ინტერესს, როცა ის წინააღმდეგობას აწყდება სუბიექტური ან ობიექტური ფაქტორებისაგან. თუ ეს წინააღმდეგობა რეგულარულად მოქმედებს მის მიმართ, ამ შემთხვევაში

<sup>26</sup> ვ. მუხინა, დასახ. ნაშრ., გვ. 176-179.

<sup>27</sup> ვლ. ნორაკიძე (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 12-13.

<sup>28</sup> ვლ. ნორაკიძე (რედ.), დასახ. ნაშრ., გვ. 267-269.



ჩნება მუდმივი ინტერესი აღნიშნული საგნისადმი<sup>29</sup>.

მოზარდობის ასაკი, როგორც პიროვნების განვითარების კრიზისული პერიოდი, მეტად რთულია, სასწავლო პროცესში რთული მოსწავლეები ბევრ პრობლემას ქმნიან.

ძნელად აღსაზრდელი მოზარდების ტიპები:

1. პრობლემური ურთიერთობის მქონე მოზარდები, რომლებსაც დარღვეული აქვთ ნორმალური ადამიანური ურთიერთობანი;
2. დაქვეითებული ემოციური რეაქციების მოზღვავება ფსიქოლოგიური ტრავმების მქონე მოზარდებში;
3. ცალმხრივი გონებრივი განვითარების მოზარდები;
4. სუსტი ნებელობის მოზარდები, უნებისყოფი, ხშირად აგრესიულები არიან სხვების მიმართ.

რთული მოზარდები მიმართავენ დევიაციურ ქცევას, რომელიც მიუღებელია კულტურული ნორმებისთვის. ქურდობა, მანანალობა, ნარკომანია, სუიციდი. ამრიგად, საჭიროა სწორი სააღმზრდელო ღონისძიებების ჩატარება, რათა შევამციროთ პრობლემები.

მეტად საინტერესოა თ. შავგულიძის მოსაზრება, რომელიც აღნიშნავს, რომ ნებისყოფა ადამიანის თანდაყოლილი თვისება არ არის. ახალშობილი ბავშვი მოთხოვნილების სუბიექტია, ხოლო ნებისყოფის სუბიექტად ის იქცევა სოციალიზაციის მსვლელობაში. მხოლოდ ამის შემდეგ აქვს ადამიანს უნარი დაიოკოს მოთხოვნილების იმპულსი და პასუხი აგოს თავისი მოქმედებისათვის. სოციალური ნორმების ძალა პირდაპირ კავშირშია იმასთან, რომ ადამიანს სოციალიზაციის საფუძველზე უყალიბდება „მე“ – კონცეფცია, რომელიც ადამიანის შეხედულებაა საკუთარ თავზე, როგორც ობიექტური ღირებულება, რომელიც წარმოადგენს მის ობიექტივაციის უნარს და თვითკონტროლს<sup>30</sup>.

ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა მაინც ოჯახს აკისრია, ამიტომ მშობლებს მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეთ სკოლასთან, რომ მიიღონ რჩევა-დარიგება აღზრდის საკითხზე, რომელიც მათ აინტერესებთ. მოზარდის ხასიათის ძირითადი ნიშნების ჩამოყალიბება დამოკიდებულია მშობელთა სიმტკიცესა და მომთხოვნელობაზე, მოზარდის სწორ შრომით დატვირთვასა და დღის რეჟიმის განაწილებაზე. ბავშვი ზედმეტად არ უნდა დატვირთოს, მაგრამ არც ზედმეტ შეცოდებას უნდა ჰქონდეს ადგილი. სწორად ორგანიზებული აღზრდა ბავშვს უმუშავეს ნებისყოფას, შრომისადმი სიყვარულს, მოვალეობის გრძნობას. ყოველდღიური კონტროლია საჭირო და სისტემატური კავშირი სკოლასთან. აუცილებელია ერთობლივი ღონისძიების მიღება სკოლისა და ოჯახის მიერ.

<sup>29</sup> დ. კიკნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 87-88.

<sup>30</sup> თ. შავგულიძე, საზოგადოებრივი აზრი, მართლშეგნება და მოსწავლე-ახალგაზრდობა, 1981, გვ. 22-25.

ISSN 24449-3112



9 772449 311009